მესნევის საგანძურიდან

უკვდავების წყლის წვეთები

ოსმან ნური თოფბაში

بسم الله الرحمن الرحيم

2010

თარგმნა

ნინო ჩოგაძემ

თეოლოგიური რედაქტორი:

ომარ ქამადაძე

რედაქტორი:

ბადრი შანთაძე

კორექტორი:

ნანა პაპიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

როინ კოჩალიძე

თარგმნილია:

Osman Nurı Topbaş

AB-I HAYAT KATRELERI

წიგნი თარგმნილია ფონდ „ბარაქას“

ფინანსური მხარდაჭერით

მისამართი:

ბათუმი; ანგისა

ISBN 978-9941-0-2489-4

მესნევის საგანძურიდან

უკვდავების წყლის წვეთები

ოსმან ნური თოფბაში

უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

„...დედამიწა მემკვიდრეობად ერგებათ ჩემს ღვთის-მოშიშ მონა-მსახურებს!..“

(სურა ენბია, აიათი 105)

„იცოდეთ, რომ წმინდანებისთვის შიში არ არსებობს და მათთვის მწუხარებაც უცხოა.“

(სურა იუნუსი, აიათი 62)

„სააქაოშიც და საიქიოშიც ისინი სამახარობლოს მიიღებენ...“

(სურა იუნუსი, აიათი 64)

ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„უეჭველია, რომ (ნამდვილი) სწავლულები შუამავალთა მემკვიდრეები არიან. შუამავლებს კი მემკვიდრეობად არც ერთი ერთეული დინარი ან დირჰემი არ დაუტოვებიათ. მათ მემკვიდრეობად ცოდნა დატოვეს და, ვინც ამ ცოდნას დაეწაფება ძალიან დიდი წილის მფლობელად იქცევა.“

(თირმიზი, აბუ დავუდი)

იმამი გაზალი ბრძანებს:

„შუამავლების ჭეშმარიტი მემკვიდრეები გარეგნული ქცევისა და შინაგანი მისწრაფების მიხედვით მეცნიერნი არიან.“

წმინდა მევლანასგან

გონება მოიკრიბე და ჩათვალე, რომ მთელი ცხოვრება დღევანდელი დღის იდენტურია. მაშ, მოდი, ვნახოთ დღევანდღელ დღეს რის სიყვარულში ხარჯავ!

❀

თვალი გაახილე და შეხედე ყურანს, რომელიც თავიდან ბოლომდე ალლაჰის სიტყვაა!

ყურანის ყველა აიათი ზნეკეთილობას გვასწავლის.

თავს ვკითხე: – „რწმენა რა არის?“

გონებამ გულს ჩასჩურჩულა:

„რწმენა ზნეკეთილობაა!“

❀

ნუ იზრუნებ სხეულის კვებასა და მის განვითარებაზე რადგან ის საბოლოოდ მიწისთვის მისაბარები მსხვერპლია. შენ გულის საზრდოს მიაქციე ყურადღება. უზენაესთან წამსვლელი, აი, ვინ იმსახურებს ყურადღებას და პატივისცემას.

❀

„ვარდმა თავისი სასიამოვნო სურნელი ეკალთან შეხმატკბილებული ცხოვრებით შეიძინა. ამის ჭეშმარიტება ვარდის ნაამბობიდან მოისმინე და გაითვალისწინე ის.

„რატომ უნდა დავმწუხრდე ან დავდარდიანდე იმის გამო, რომ ეკალთან ერთად ვცხოვრობ? მე ხომ ბედნიერება სწორედ იმის წყალობით მოვიპოვე, რომ ეკლის მძიმე ხასიათს შევეგუე. მისივე საშუალებით მომეცა შესაძლებლობა სამყაროსთვის სილამაზე და სასიამოვნო სურნელი შემეთავაზებინა...“

❀

გულს ვუთხარი, იყავ მწყალობელი და მაამებელი! ტკივილის მიმყენებელ ეკალს კი ნუ დაემსგავსები!

ადამიანების კეთილდღეობისა და მათი სიმშვიდის დაცვისათვის საჭირო ვალდებულებების მომწესრიგებელი, ისლამური სამართალი, ორ განსხვავებულ თავისებურებას ფლობს:

ა. კანონებში უფრო მეტად ჭკუასა და სიბრძნეს ეყრდნობა და მათ ანიჭებს უპირატესობას.

ბ. სამართლიანობისა და ღმერთის წყალობის გამოხატვის სურვილიდან გამომდინარე ბრძანებებისა და აკრძალვების საფუძვლად აღებულია საზოგადოების ყველაზე დაბალი მდგომარეობის მქონე, ესე იგი, ყველაზე სუსტი წევრები.

რაკი იმ ტვირთის ბავშვისთვის შეთავაზება, რომლის ტარებაც მხოლოდ ფალავანს შეუძლია, სამართლიანობასა და მოწყალებას ეწინააღმდეგება, ასეთი ქმედება უსამართლობაა. ხოლო ადამიანის უფლების დაცვა მისი სოციალური მდგომარეობის გაუთვალისწინებლად მოწყალების გამოვლინებაა.

ეს ორი თავისებურება საზოგადოების ყველა წევრის უფლებების დამცველი და მათი კეთილდღეობის განმაპირობებელია. ამავდროულად, საჭიროა მუდმივად ღია იყოს ზედა სამყაროსთან დამაკავშირებელი კარი, რათა მათ ვისაც სულიერების მეტი ტალანტი გააჩნიათ შესძლონ ზეაღსვლა უფრო მაღალ საფეხურზე.

წინააღმდეგ შემთხვევაში სულიერებას მოწყურებული უამრავი გულისთვის სამოქმედო თვალსაწიერი დახურული იქნება.

ისლამისთვის დამახასიათებელი ჭეშმარიტების წყალობაა, რომ მისი არსებობის ყველა პერიოდში მისტიკური მიმდინარეობები მუდამ ყურადღებას იქცევდა. ნებისმიერი მისტიკური მიმდინარეობა აღიარებს და ემხრობა იმ აზრს, რომ გონებაზე მეტი მნიშვნელობა გულს ენიჭება, რადგან ის სიყვარულის ცენტრია. შეიძლება ითქვას, რომ იმისათვის რათა შენობა ყოველგვარი გარე ზემოქმედებისგან იყოს დაცული, მისი მხოლოდ ოთხი კედელი კი არ უნდა ამოვიყვანოთ და დავტოვოთ, არამედ უნდა შევკრათ და სიმტკიცე მივანიჭოთ, უნდა გავამთლიანოდ.

ამგვარი პრინციპებით მოარსებე და მოქმედი, სულიერებას მოწყურებული, ნიჭიერი ადამიანები მოპოვებული სრულყოფილების წყალობით ნებისმიერ მოვლენას გონებითაც აღიქვამენ და გულითაც. ამგვარად ყველა მავნე გატაცებისა და უბედურებისაგან თავის დასაცავად ღმერთზე მინდობა და მისით დაიმედება მიზანშეწონილი და მისაღებია, რადგან მისტიციზმი თავდაპირველად ღვთიური ბედისწერის, სიბრძნისა და საიდუმლოებების შემეცნებისაკენ, ამის შემდეგ კი ნუგეშის, კმაყოფილებისა და სიმშვიდის მოპოვებისაკენ მოგვიწოდებს.

აქედან გამომდინარე ისლამურ სამყაროში მისტიკური მიმდინარეობები ყველაზე ხშირად კრიზისების დროს იჩენდა თავს. „ღვთაებრივი ხედვა; რაც მოწყალე-

ბად აღიქმებოდა, განსაკუთრებით მძიმე პერიოდებში სუსტების, ტანჯულებისა დაჩაგრულთათვის თავშესაფარი იყო, სადაც ისინი განმაკურნებელ სიყვარულს, თანაგრძნობასა და სითბოს ღებულობდნენ. ის მათთვის დედის მკერდის მოვალეობას ასრულებდა.

ამის ჭეშმარიტებაში განსაკუთრებით მაშინ დავრწმუნდებით თუ ისლამის ისტორიაში ყველაზე საშინელ, მონღოლური დაპყრობების პერიოდს გადავავლებთ თვალს. მონღოლური დაპყრობების შედეგად ისლამური სამყარო გადაიწვა, დაინგრა და საზოგადოების უმეტესი ნაწილი ფრთამოტეხილ ჩიტს დაემსგავსა. იმ პერიოდში მისტიციზმი ტანჯულთათვის სავანედ თავშესაფრად იქცა, სადაც სიმშვიდეს, სულიერებასა და ნუგეშს საყოველთაოდ სთავაზობდნენ. ის ადამიანებს მაგნიტივით იზიდავდა, რადგან სისხლმდინარე დაჭრილებისთვის – წამლის მაგივრობას სწევდა, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფთათვის კი დიდი ნუგეში იყო. ამ პერიოდში მოევლინენ საზოგადოებას იუნუს ემრე და მევლანა ჯალალედდინ რუმი. ისინი იყვნენ მისტიკოსები, რომლებიც კრიზისულ ვითარებაშიც ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ და სულებს მალამოდ ედებოდნენ. მათი შემოქმედება კი დღემდე ახდენს ზემოქმედებას ჩვენს გულებზე.

სამწუხაროდ, მისტიციზმის ზემოქმედებისა და სილამაზის შემცირების პერიოდში საზოგადოებამ დეგრადაცია განიცადა. სწორედ XIX საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი **„ისლამისგან უკუქცევას“,** რომელიც თანდათანობით განვითარდა, გაიზარდა და თანამედროვე საზოგადოებაში დიდი კრიზისი წარმოქმნა. დღევან-

დელმა ადამიანებმა უარყვეს რა სულიერი გზით ცხოვრება, ვნების ჩარჩოებსა და მატერიალურ წნეხში მოექცნენ. მათ საკუთარი ზნეობა იმაზე მეტად დაანგრიეს,ვიდრე ეს მონღოლური დაპყრობების დროს მოხდა. საზოგადოება ამორალურობის მორევში მცურავ იმ კუნძს დაემსგავსა, რომელიც გაურკვეველი დასასრულისკენ მიექანება. ამგვარ საგანგაშო სიტუაციაში თავის გადასარჩენად აუცილებელია იმ სიმშვიდის ნავთსაყუდელს შევეფაროთ, რომელსაც მისტიციზმი გვთავაზობს.

დღეს, იმის გამო, რომ გონება მატერიალიაზმის ბრჭყალებშია მოქცეული, აუცილებლობად იქცა ცხოვრებისეული მოვლენების გულის თვალითა და სიბრძნით განჭვრეტა. ჩვენ ვალდებული ვართ ბაჰაედდინ ნაქშიბენდის, მევლანა ჯალალედდინ რუმის, აბდულქადირ გეილანისა და სხვა დიდი ადამიანების ბრძნულ და საიდუმლოებებით აღსავსე რჩევებს კვლავ დავუგდოთ ყური და მათი სულიერებისგან მობერილი ნიავით ვისაზრდოოთ.

მათი ცოდნისა და რწმენისთვის დამახასიათებელი დადებითი ზეგავლენის გამო წარმოგიდგენთ ნაწარმოებს – **„მესნევის ბაღიდან ერთი დოქი წყალი“.** ამ ნაწარმოების წარმატებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ კრიზისის მორევში ჩავარდნილი, ტანჯული ადამიანებისთვის მისტიციზმი განმაკურნებელი ელექსირია. ამიტომაც კვლავ მოვკიდეთ კალამს ხელი და უკვე მეორედ გადავწყვიტეთ მესნევის გამოყენება. ჩვენს ხელთ არსებული ეს ახალი მასალა საზოგადოებისთვის, რომელსაც სულიერებისა და სიმშვიდის მოთხ-

ოვნილება გააჩნია, მევლანას მესნევიდან **„ერთი დოქი წყალია“.**[1]

ამ გზით გვსურს დაგარწმუნოთ, რომ მესნევი, რომელიც მთელი კაცობრიობისათვის საუკუნეების მანძილზე უკვდავი შთაგონების წყარო იყო, უდიდესი ღმერთის მიერ მევლანასთვის მინიჭებული აზრისა და სიბრძნის ოკეანეა. ამავე დროს ღრმა საიდუმლოებებით აღსავსე წიგნია; ადამიანის არსის ამხსნელი, მისი გამომკვლეველი და სიტყვებით ამეტყველებული მისივე სულია.

მესნევში მევლანა ადამიანის სულის სიღრმეებს სწვდება, წარმოგვიდგენს მის ნამდვილ სახეს, შინაგან სამყაროს და აკვნესებული ეძებს გულს, რომელიც მის დარდს გაიზიარებს.

იშვიათია ნაწარმოები, რომელსაც მესნევის მსგავსი სიღრმით გადმოგვცეს მისტიკური ჭეშმარიტებები და ადამიანის სულის ხვეულები. წმინდა მევლანა ადამიანის აზროვნებისთვის ძნელად ჩასაწვდომ მისტიკურ თემებს გვაწვდის და ბრძნული მოთხრობების გზით ცოდნის მისაღებად მზადმყოფ გულებს ინექციას უკე-

1. ამ ნაწარმოების შედგენის დროს გამოყენებული იქნა აწ განსვ - ნებული შეფიქ ჯან ბეიეფენდის „საკითხების მიხედვით განმარტებული მესნევის თარგმანი“ და მკითხველისთვის უფრო ადვილი გასაგები რომ იყოს მევლანას მიერ გადმოცემული ჭეშმარიტებები, მესნევიდან აღებული ბეითების ზოგიერთი სიტყვა უმნიშვნელოდ იქნა შეცვლილი. ნაწარმოების შედგენის დროს, რაკი მეცნიერული ნაშრომის შედგენა არ გვქონდა მიზნად დასახული და ჩვენი მიზანი იყო ის მკითხველისთვის გასაგებ ენაზე მოგვეწოდებინა, დროდადრო იმ თარგმანს მივმართავთ, რომლზეც ზემოთ მოგახსენეთ.

თებს.

ღმერთმა წმინდა მევლანას სახით ჩვენ მოგვანიჭა ბედნიერება, რათა ღვთის მიერ მისთვის ნაწყალობევი სიბრძნით სავსე გულის ოკეანიდან – წილი მიგვეღო და ამ გრძნობების მეშვეობით ეს წიგნი შეგვეკრა. ჩვენ მხოლოდ საბეჭდი მანქანის მოვალეობა შევასრულეთ და ყოველგვარი საკუთარი მტკიცებულების წარმოდგენისაგან (ალლაჰს ვეფარებით) თავი შევიკავეთ.

უდიდეს ღმერთს ვევედრებით ეს ჩვენი მოკრძალებული ნაწარმოები მუდმივად ნაყოფიერი ყოფილიყოს და ომარ ფარუქ დემირიშიქისა და ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მის შედგენაში დაგვეხმარა მუდმივმოქმედ სიკეთედ იქცეს.

დაე, ჩვენი გულწრფელი მიზანი უდიდეს ღმერთს თავის საფეხურებზე მიწვდეს და ეს ნაწარმოები, რომელიც უცნობი ადამიანებისადმი მიწერილი წერილის ხასიათს ატარებს, სულიერების იმ სარკმლად აქციოს, რომლისგანაც მატერიალური და სულიერი კრიზისით სულშეხუთული სულები, დაღლილ-დაქანცული გულები ჩაისუნთქავენ და დამშვიდების საშუალება მიეცემათ. “

ამინ!

წარმატება ალლაჰისგანაა.

ოსმან ნური თოფბაში

23 მარტი 2005

სალამურის ნოველა

მევლანას ნაწარმოებებში მოხსენიებული სალამური სინამდვილეში „სრულყოფილ ადამიანს“ წარმოადგენს. სალამურის სრულქმნამდე, ლელიანში, ლერწმის მიერ გავლილი ფაზები ადამიანის ჩამოყალიბების, ესე იგი, სულის გაწაფვისა და გულის განწმენდის~ საფეხურებს გამოხატავს.

სალამურის ნოველა

ლერწამი გამოცალკევებულ იქნა ლელიანისგან, სადაც ის თავდაპირველად იზრდებოდა, ეს მისთვის მწარე გოდების მიზეზი გახდა. სულების სამყაროდან მოვლენილ, თიხისგან შექმნილ სხეულში შესახლებულ **„სრულყოფილ ადამიანსაც“** იმ ლერწმის მსგავსად სულიერი სამყარო მოენატრა. ეს მონატრება, თავშეკავება, თვითშემეცნება, ფიქრი, ღმერთის სიყვარული და უბედურებები კი ადამიანს ამწიფებს, ავითარებს, გამოწვრთნის და საბოლოოდ **„სრულყოფს.“**

ლელიანში ამოსული ლერწამი ოსტატის ხელით წესისამებრ იჭრება. მას გულს უღებენ და ახმობენ. შემდეგ ცეცხლით ხვრეტენ, თავსა და ბოლოში რკინის კვანძს უკეთებენ და ცოტა ხანს ასე ტოვებენ. შემდეგ კი მას მესტვირე ჩაჰბერავს და ისიც მსმენელებს მათი გულის ვითარების შესაბამისად,[1] საოცრებასა და იდუ-

1. წმინდა მევლანა იმ აზრს, რომ სალამური ადამიანების გულ - ბზე მათი მგრძნობელობის შესაბამისად სხვადასხვაგვარ ზეგავლენას ახდენს, ლერწმის ენით ასე გადმოგვცემს:

„მე ყოველგვარ საზოგადოებაში ავკვნესებულვარ. ცუდი ხასიათის ადამიანებთანაც მიცხოვრია და კარგი ხასიათის ადამიანებთანაც. ყველა თავისი გაგების მიხედვით ჩემი საგრფო გახდა, მაგრამ ჩემში არსებული საიდუმლო არავინ არ მოძებნა.“

მევლანა, ერთ სხვა ბეითში, გადმოსცემს, თუ როგორ დაეძებს ის სრულყოფილ ადამიანს, რომელთანაც შესძლებს თავისი საიდუმლოებების გაზიარებას.

„მივდივარ სავანეში იმ ადამიანის მონატრებით ვისაც გულს გადავუშლი და ვინც ჩემს გაგებას შეძლებს!“

მალებას აზიარებს.[2]

2. ისლამი არის ამაღლებული რწმენა, რომელიც არ უარყოფს ადამიანის ხასიათის თავისებურებებს და მათ შესანიშნავი ფორმით აწესრიგებს. ისე როგორც არაერთი მხატვრული შემოქმედება, მუსიკაც ადამიანში არსებულ ბუნებრივ თავისებურებათაგან ერთ-ერთის გამომჟღავნებაა. აქედან გამომდინარე, სხვა თავისებურებების მსგავსად, მისი არც მთლად უარყოფაა შესაძლებელი და არც იმ სახით მიღება, როგორიც სინამდვილეში არის. გადაწყვეტილება იმის მიხედვით უნდა მივიღოთ თუ რა ზეგავლენას ახდენს ის ადამიანზე: სასიკეთოსა თუ საზიანოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ბაჰაედდინ ნაქშიბენდის მურიდთაგან გადმოგვცემენ:

„ბაჰაედდინ მასწავლებელს ვემსახურებოდი, მიყვარდა მუსიკა. ერთ დღეს რამდენიმე მურიდი შევიკრიბეთ, მუსიკალური ინსტრუმენტები მოვძებნეთ და წმინდა მასწავლებლის საზოგადოებაში მუსიკის შესრულება გადავწყვიტეთ, ამგვარად გვინდოდა გაგვეგო რას ფიქრობდა ის ამ საკითხთან დაკავშირებით. ასეც მოვიქეცით. მაგრამ მასწავლებელმა არ დაგვანება და გვითხრა:

„ჩვენ ამ საქმეს არ ვაღიარებთ, მაგრამ არც უარვყოფთ!“

ბაჰაედდინ ნაქშიბენდის ეს სიტყვები მიუთითებს, რომ ბოროტებასთან დაბრუნება შესაძლებელია და ამიტომ სიფრთხილე გვმართებს. სწორედ დღეს, როცა მრავალი ადამიანი მთლიანად დაშორდა მისტიციზმს და მხოლოდ მუსიკით ტკბობას მიეცა, კარგად აჩვენებს ამ საკითხის აქტუალობას და იმის აუცილებლობას, თუ როგორი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მას.

წმინდა მევლანა საკუთარი ცხოვრების „წვისა და გამოწრთობის“ პერიოდში, მაშინ როცა ის დიდ ადგილს უთმობდა ექსტაზს, ქუჩაში ჩავლისას ოქრომჭედლისაგან ოქროზე დარტყმის ხმას რომ გაიგონებდა, ესეც კი ალლაჰს ახსენებდა და მისთვის ეს ექსტაზის საბაბი ხდებოდა. საერთოდ მისი ამგვარი მდგომარეობა და ეს უნარი, მისი ხასიათის თავისებურება, ღრმა სულიერების, მგრძნობელობისა და საიდუმლოებებში წვდომისგან წარმოიშვა. ამიტომაც მევლანას დამოკიდებულება მუსიკისადმი საყოველთაო მაგალითად არ გამოდგება.“

სრულყოფილების გზაზე მიმავალი, ადამიანიც მსგავს ფაზებს გაივლის. სრულქმნილი პიროვნება სხვა ადამიანებისგან განსხვავებული კრიტერიუმებით სარგებლობს. შუამავლების ერთ-ერთი ყველაზე დიდი თავისებურება ისაა, რომ ისინი „შერჩეულ“ იქნენ. შემდეგ კი, აღზრდის სხვადასხვა მეთოდებით, მათი შინაგანი სამყარო ამქვეყნიური წარმავალი კავშირებისა და მღელვარებებისგან დაიცალა, გამოიწრთო, მოთმინება თარიქათის (დერვიშთა ორდენი; მისტიკოსების პროფესია, გზა რომელსაც ადამიანი ალლაჰთან შეხვედრის სურვილით ადგება) გზის გავლით ჩამოყალიბდა, რომელიც გატაცებებითა და გამოცდებითაა აღსავსე, ამას შედეგად მოჰყვა **„ზეშთაგონების“** ნებართვა, რომელიც მათი სრულყოფილების ბოლო საფეხური იყო. ისინი იქცნენ იმ გამოვლინებებად, რომლებშიც ალლაჰის შემოქმედება, საოცრებები და ძალა მჟღავნდებოდა. ამიტომ, ადამიანები მათი მორჩილები ღმერთთან შეხვედრის გზას ირჩევდნენ, მას მიყვებოდნენ.

ლერწმის ადამიანების დარდის გამზიარებლად ქცევასა და პირიქით, ადამიანთაგან მისი აღმოჩენის შესახებ მესნევის წყაროებში შემდეგი ნოველაა მოცემული:

წმინდა შუამავალმა ალლაჰის მიერ თავისთვის ნაწყალობევი საიდუმლოებებისა და სიბრძნის ზღვიდან ერთი წვეთი ამანათად წმინდა ალისაც მისცა და მკაცრად გააფრთხილა:

„ამ საიდუმლოებებს გაუფრთხილდი, არ გასცე!“

წმინდა ალიმ მისთვის მიბარებული ამანათის

ტარება ვერ შეძლო, რადგან მისი სიმძიმის ქვეშ ორად მოიკეცა. ის ველად გავიდა და საკუთარი საიდუმლო ერთ ბნელ ჭაში ჩაღვარა. დრო გავიდა, ჭა აივსო და წყალი გარეთ გადმოვიდა. ჭიდან გადმოსულმა წყალმა არემარე ლელიანად აქცია და დროთა განმავლობაში იქ ლერწმები აღმოცენდა. ერთ მწყემსს ქარის ქროლვისას ლელიანიდან სასიამოვნო მელოდია შემოესმა, ერთი მათგანი მოჭრა და „სალამური“ გააკეთა. მაგრამ სალამურის მიერ გამოცემული ხმა იმდენად ღრმა და მწველი აღმოჩნდა, რომ ყველა მოაჯადოვა. ეს ხმა ადამიანების სევდისა და სიხარულის მიზეზი გახდა. მწყემსმა სახელი მალე გაითქვა და არაბული ტომები მისი ხმის მოსასმენად ყოველი მხრიდან მოდიოდნენ. (აჰმედ ეფლაქი ბრძენთა ნაამბობი, II, 440)

მევლანას **მესნევი** ამ სასიამოვნო მელოდიის და მასში დამალული საიდუმლოს წერილობითი ფორმაა ამიტომაც ის ვინც **მესნევის** კითხვისას მის აზრს ჩაუღრმავდებოდა ბევრ სიბრძნეს პოულობდა და ცდილობდა საიდუმლო ამოეხსნა.[3] მევლანა, რომელიც უკიდეგანო ოკეანის მხოლოდ ერთ წვეთს შესცქეროდა, ამ წვეთის შესაბამისი ბაიათების საშუალებით, ჩვენი თვალსაწიერისთვის მისაწვდომ ოკეანეს წარმოგვიდგენს. მიუხე-

3. ჩემი სპარსი მასწავლებელი იამან დედე, რომელიც თავდაპირველად ქრისტიანი იყო, სწორედ მესნევის საშუალებით ჩასწვდა ჭეშმარიტებას. მას ჰკითხეს:

„რატომ ახსენებთ თქვენ ასე ხშირად მევლანასა და მესნევს?“

პასუხი ასეთი იყო:

„შვილო, მე მევლანა დამეხმარა და წმინდა შუამავლის კარებთან მიმიყვანა, რაც ჩემთვის ჭეშმარიტების შემეცნების საშუალებად იქცა. იმის მრავალჯერ მოხსენება კი, ვინც მე ცეცხლისაგან მიხსნა განა საკვირველია?“

დავად იმისა, რომ ის აზრის სიღრმესა და სიბრძნეს ფლობდა, მაინც მოთქვამდა საკუთარ თავში დამალული საიდუმლოს ღირსეულად გადმოცემის მოუხერხებლობის გამო. მას შემდეგ მსჯელობაში ნაგულისხმევი ჰყავს რა მესნევის პირველი მკითხველი, ამბობს:

„ეს მესნევი ჰუსამედდინის მიხედვით დავწერე!“

„მესნევი მოკლედ დავაწერინე რათა საიდუმლოებები და სიბრძნე უკეთ ყოფილიყო განმარტებული; წინაადმდეგ შემთხვევაში მისი ტარება ორმოც აქლემსაც კი გაუჭირდებოდა.“ ამგვარად ის მიანიშნებს, რომ ალლაჰის ცოდნა და სიბრძნე უსასრულოა.

მევლანა შეყვარებული მოაზროვნე იყო. მისი სიბრძნის სიღრმის შემეცნებისთვის ადამიანთა უმრავლესობას ძალა არ შესწევს.

„ჩვენ მევლანა ჯალალედდინის ექსტაზური გოდება მოვისმინეთ, მაგრამ არ ხელგვეწიფება იმ სიმშვიდის ზღვის სიღრმის სრულად ხილვა, რომელშიც იგი იყო ჩაძირული. ჩვენ მხოლოდ იმას ვხედავთ, რაც ზღვის ფსკერს მოსწყდა და ზღვის ზედაპირზე ამოტივტივდა. ჩვენ წმინდა მევლანას სიყვარული კი არა, მხოლოდ ამ სიყვარულისგან გადმოსული გოდება დავინახეთ. მთელი ჩვენი ნამუშევარი ჩვენი მოუხერხებელი ენით ამის გადმოცემის მცდელობაა, რადგან სიმშვიდის ზღვაში მხოლოდ ის ჩაიძირა. ჩვენ მისი ექსტაზის გრიგალისგან მარტო ხმა მოგვწვდა. და, სამწუხაროდ მას მევლანად ვთვლით.“[4]

4. ნურეთთინ თოფჩუ, მევლანა და მისტიციზმი, გვ. 139.

მესნევის მიხედვით

სალამურის კვნესა ანუ სრულყოფილი ადამიანის გულის ხმა

მესნევი: „სარჩოს ზღვა ერთ დოქში რომ ჩაასხა, იქედან რამდენის აღებას შეძლებ? მხოლოდ იმდენის, რამდენიც მასშია მოთავსებული. ესე იგი ყველა არსება თავისი ბედისწერის მიხედვით მხოლოდ კუთვნილ წილს აიღებს...“ (ტ. 1, 20)

უდიდესი ღმერთი თითოეულ ადამიანს იმდენ სარჩოს განუსაზღვრავს, რამდენიც ამ ადამიანისთვისაა საჭირო. მისი გადაჭარბებულად უზრუნველყოფა-უაზრობაა, რადგანაც ჰადისში ნაბრძანებია:

„სარჩოც ისევე მიაღწევს ადამიანთან, როგორც სიკვდილი.“ (იბნ ჰიბბანი, საჰიჰი, VIII, 31)

ამ ჰადისის მიხედვით არც ერთი ადამიანის სიცოცხლე არ მთავრდება მანამ, სანამ მისთვის წინასწარ განსაზღვრული სარჩო არ დასრულდება. ისე როგორც სხვა ყველაფერი, სარჩოც ღვთაებრივ განსაზღვრულობას ემორჩილება, ამიტომ მისი მოპოვებისა და მიღების დროს გვმართებს აქტიურობა, თავშეკავება და მოწიწება. დიდი უგულისყურობაა თუ ღმერთს დავივიწყებთ და ჩავთვლით, რომ შედეგი ჩვენი დამსახურებაა, რომ მიზეზი შესაბამის შედეგს იძლევა. ჭკვიანმა ადამიანმა იცის, რომ სარჩო მიზეზებისგან კი არა, ამ მიზეზების შემოქმედი, უდიდესი ღმერთისგან მომდინარეობს. სარჩოს გამომგზავნი სწორედ ის არის, ამიტომ ჩვენ უნდა მივყვეთ ღმერთს, რომელიც ამ საზრდოთი უზრუნველგვყოფს. აიათში ნაბრძანებია:

„..ჩვენ შენგან სარჩოს არ ვითხოვთ. პირიქით, შენი სარჩო ჩვენ გვეკუთვნის...“ (სურა თაჰა, აიათი 132)

მესნევი: *„გაუმაძღრების, ესე იგი, ამქვეყნის ძლიერ მოყვარულთა თვალი არასდროს დაკმაყოფილდება. მარგალიტის ნიჟარაც მარგალიტით მანამ არ შეივსება, სანამ მცირედით არ დაკმაყოფილდება.“* (ტ. 1, 21).

სიხარბე ყველა ქმნილებაში განსხვავებული ოდენობით, მაგრამ მაინც დევს. ორ ბავშვს ხელში ერთნაირი სათამაშო რომ მისცეთ, ერთი მეორეს სათამაშოს

მიმართ იმ დოზით განიცდის შურს, რა დოზითაც დევს მის ხასიათში სიხარბე. ამ სიხარბის გაკონტროლება და მინიმუმამდე დაყვანა სულიერი აღზრდითაა შესაძლებელი. ამის გამო ყურანში ნაბრძანებია:

„ხსნას მოიპოვებს ის, ვინც განიწმინდება.“ (სურა ალა, აიათი 14)

საზოგადოების სიმშვიდისა და ბედნიერების უპირველესი პირობა ალლაჰის მიერ ბოძებული ხვედრით კმაყოფილებაა. ვინაიდან ეს ხვედრი აუცილებელი და გარდაუვალი ბედისწერაა. ბედი კი საიდუმლოების ოკეანეა. მასში დამალული სიბრძნეების არსში ჩაწვდომა შესაძლებელი არ არის. ამიტომაც ალლაჰის ბედისწერით კმაყოფილება და იმ ბედისწერაში ჩამალულ სიბრძნეზე მინდობა სავალდებულოა. ისინი, ვინც ამ საკითხში წარმატებას ვერ მიაღწევენ, აღმოჩნდებიან ჯოჯოხეთის ყველაზე ღრმა ორმოს – „გაია“-ს ადიდებულ მორევში, რომელიც ყოველგვარ სურვილებს შთანთქავს.

მესნევი: *„ღმერთის სიყვარულის წყალობით ვნებისგან ხსნილია, ეგოიზმის ბორკილებისაგან განთავისუფლებული ადამიანი სიხარბისაგან, ყოველგვარი ბოროტისა და სიბილწისაგან მთლიანად განიწმინდება.“* (ტ. 1, 22)

ისინი, ვინც სულს რწმენით ასაზრდოებენ და ამით სიამოვნებას იღებენ, თავისუფლდებიან სიცოცხლისა

და ქონების დაკარგვის შიშისგან და მათ ღვთაებრივი სიყვარულის მოპოვების საშუალებად გარდასახავენ. მაგრამ ეს იოლად განსახორციელებელი რამ არ არის. ამის მისაღწევად მოთმინება, შეუპოვრობა, ღვთისმსახურება, ვედრება და ვნების დაძლევის მუდმივი მცდელობაა საჭირო. მიწაც კი ზამთრის სისასტიკეს იტანს, რათა გაზაფხულის თვალწარმტაცი სიკეთეებით მოირთოს. მარგალიტის ნიჟარა კი ლოდინის შემდეგ მარგალიტის მკერდში ჩაკვრის ბედნიერებას მოიპოვებს.

მესნევი: *„მიწისგან შექმნილი ჩვენი სხეული სიყვარულის წყალობით ცად ამაღლდა, განდიდდა.“* (ტ. 1,25)

ადამიანის სხეული მიწისგან შედგება. ამით ის სხვა ქმნილებებისგან არ განსხვავდება, რადგან, თავის დროზე ისე როგორც სხვა სულიერი არსებები, ისიც მიწისგან შეიქმნა. დღემდე ის მიწის ცვლილებების შედეგად მიღებული საკვებით საზრდოობს და საბოლოოდ ისევ მიწას უბრუნდება. ჩვენი სულიერი თვისებები კი ალლაჰს ეკუთვნის. აიათში ნაბძანებია:

„როცა მას ჩემი სულისგან შთავბერე...“ (სურა ჰიჯრი, აიათი 29)

ადამიანმა ღმერთამდე ამაღლება რომ შეძლოს, მას ამისთვის უზენაესმა განსაკუთრებული ნიჭი უწყალობა. ისინი ვინც ამქვეყნიურ ზრახვებსა და სურვილებს უარყოფენ და სრულყოფილების გზას დაადგებიან, ღმერთთან შესახვედრ მანძილს შეიმოკლებენ.

მევლანა ამბობს:

„სხეულის კვებასა და განვითარებას გადამეტებული ყურადღება არ მიაქციო! რადგან ის საბოლოოდ მიწისთვის მისაბარებელი მსხვერპლია. შენ იმას დაუკვირდი გული რით საზრდოობს! რადგან სწორედ ის ამაღლდება და იქნება პატივცემული.“

„სხეულს კარაქიანი და თაფლიანი საზრდო მცირე დოზით მიაწოდე. ის სავალდებულოზე მეტად არ გამოკვებო, რადგან შემდეგ ვნებისა და გემოთმოყვარეობის მორჩილების ქვეშ აღმოჩნდება და შერცხვება, დამდაბლდება.“

„სული სულიერი გზით გამოკვებე. სრულყოფილი ფიქრი, გამჭრიახი გონება და უბიწო საკვები შესთავაზე, რომ სამარადისო მგზავრობაში ძლიერი წავიდეს.“

მესნევი: *„საკუთარი ენისა და ცოდნის მფლობელნი თავიანთ ენაზე მოსაუბრეთაგან ან ცოდნის მიღების მსურველთაგან შორს თუ დადგებიან, ასობით ენა, ასობით მელოდია რომ იცოდნენ მაინც უტყვნი იქნებიან, გაჩუმდებიან.“* (ტ. 1, 28)

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ადამიანებს მათი ცნობიერების დონის შესაბამისი სიტყვით მიმართეთ.“ (იხ. ბუჰარი, ცოდნა, 49)

სიტყვა, რომელიც თანამოსაუბრის შემეცნების

დონეზე მაღლა დგას, რაოდენ მაღალფარდოვანიც არ უნდა იყოს, სარგებელს არ მოიტანს. აქედან გამომდინარე, ერთი გულიდან წამოსული ღრმა და ნაზი გრძნობების გასაგებად ასეთივე მეორე გულია საჭირო, რადგან ცოდვის ჭაობში ჩაძირულ ადამიანებს თვალიც დაბრმავებული აქვთ და გულიც. რა დასანანია ბრიყვებსა და უვიცებზე დახარჯული სიტყვა, ისინი ქვაფენილის განაპირა ამოსულ, ფეხით გადათელილ, არაჩვეულებრივ ყვავილს ჰგვანან.

წმინდა მევლანამ ხალხისთვის გასაგები,ემოციურად აღსაქმელი თხზულება „მესნევი“ შექმნა. მიუხედავად ამისა ის ბრძანებს:

„გამგებიანი ადამიანის ნატვრაში მოვკვდები!...“

მეორე მხრივ, რჩევა-დარიგებამ თანამოსაუბრეზე ზეგავლენა რომ მოახდინოს, რჩევის მიმცემსა და მიმღებს შორის სიყვარული უნდა არსებობდეს. სიყვარული ისეთი ჯადოსნური განცდაა, რომ შეიძლება სიტყვის უთქმელად ერთი გულიდან მეორეში გადავიდეს. ეს არის იმის მიზეზი, რომ სუფისტები ნებისმიერი ჩანაფიქრის ჭეშმარიტების გზაზე დასაყენებლად საჭირო ნიადაგის მომზადებისას სიყვარულს იყენებდნენ.

ალლაჰისეული ნამდვილი მეგობრობა ნიშნავს ორი სხვადასხვა სხეულის ერთი გულით ცხოვრებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეგობრობა ორი ხელია, რომლებიც ერთმანეთს ბანს, ზუსტად ისე როგორც მუჭაჯირები და ანსარები...

მესნევი: *„შემოდგომის დადგომისთანავე ვარდის ბაღში ვარდები სიქორფეს ეთხოვებიან. ამის შემდეგ ბულბულის აქამდე სასიამოვნო მელოდიებისა და გოდების მოსმენა გაუსაძლისი ხდება.“* (ტ.1, 29)

ადამიანის მიერ ადამიანის სიყვარული და ამ სიყვარულის ობიექტის ფამილარული საუბარი ვარდისა და ბულბულის თავგადასავალს ჰგავს. ადამიანების უმრავლესობა თანამოსაუბრის მიმართ შესაფერის სიტყვებს იყენებს. მოსაუბრე ძირითადად გულია, ენა კი გულის თარჯიმანია. გამოხატულებები და გრძნობები ჩვეულებრივ სალამურის მწველი მელოდიებია, თუკი მას მესტვირე ასრულებს. ხოლო თუ ამ სალამურზე უცოდინარი უკრავს საზოგადოება შემოდგომის ვარდის ბაღს ემსგავსება.

მესნევი: *„რა ბედნიერია ადამიანი, რომელიც მიმართავს წარმავალ ამქვეყნიურობასა და ეგოიზმისგან განთავისუფლებულ, უკვდავ ადამიანებს. საბრალოა ის ცოცხალი ადამიანი, რომელიც მკვდართან ზის, რადგან მაშინ თავადაც მკვდრად აღიქმება.“* (ტ. 1, 1513)

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„მორწმუნენო! გეშინოდეთ ალლაჰის და იყავით სანდოებთან ერთად!“ (სურა თევბე, აიათი 119)

ნამდვილი ბედნიერება წმინდა ადამიანთა გულებისგან სულიერების მიღებითა და ზნეობის ამგვარი გაკეთილშობილებითაა შესაძლებელი. რადგან მათი ამაღლებული მდგომარეობა, იმ სიყვარულის წყალობით, რომელიც ერთად ყოფნას საჭიროებს,გულიდან გულში ვრცელდება და ადამიანს სრულყოფილს ხდის. ამის თვალსაჩინო მაგალითები შუამავლის თანამიმდევრებია. მათი წარსული ხომ ველურობის გამოვლინებებით იყო აღსავსე,ისინი საკუთარ ქალიშვილებს ცოცხლად მარხავდნენ და არ ცნობდნენ არავითარ სამართალს; მაგრამ წმინდა შუამავლის სიყვარულისა და მასთან ურთიერთობის წყალობით ზნემაღალ ადამიანებად იქცნენ. ხარისხობრივად კი წმინდა ადამიანებიც იგივე საფეხურზე იყვნენ.

ამ მდგომარეობას მევლანა ასე გადმოგვცემს:

„მეგობარო! არ მოიწყინო იმის გამო, რომ წმინდა შუამავალს ვერ მოესწარი და ამით ვერ ისარგებლე! იყავი ამ წმინდა ქმნილების მემკვიდრე სანდო ადამიანებთან ერთად და საწადელს აისრულებ.“

ღმერთი ბრძანებს:

„...ნუ დაჯდები უსამართლო საზოგადოებაში!“ (სურა ენამი, აიათი 68)

თუმცა, ადამიანის ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ამ ბრძანების საპირისპიროდ იქცევა და ვნების წნეხის ქვეშ მოქცეულ ადამიანებთან ერთად იმყოფება. ამგვარი სიყვარული ყოველგვარი უარყოფითი თვისების ერთი გულიდან მეორეში გადასვლისა და

საშინელი შედეგის მიღების მიზეზი ხდება.

ადამიანი, რომელიც მუდმივად ღვთისმოსავებთან ერთად არის, თავადაც ღვთისმოსავი ხდება; ხოლო ვინც უსამართლოებთან ატარებს დროს მათ მსგავსად და კომპანიონად იქცევა. ამ ჭეშმარიტებას მევლანა შემდეგნაირად გამოხატავს:

„აზრიან ადამიანებთან ერთად იყავი, მათგან კეთილგანწყობა და სულიერი სიძლიერე მიიღე. ღმერთის სიყვარულით კი ახალგაზრდობა, ღონე და ჯანმრთელობა შეინარჩუნე.

სხეულში ჩასახლებულ სულს თუკი აზროვნებისა და სიყვარულის შესახებ არაფერი ეცოდინება, ქარქაშში ჩადებულ ხის ხმალს დაემსგავსება. ის ხმალი სანამ ქარქაშში დევს, შესახედავად ძვირფასი და სასარგებლო ჩანს, როგორც კი ქარქაშიდან ამოიღებ მხოლოდ დასაწვავად თუ გამოდგება.

თუ ის ხისაა, წადი და სხვა ხმალი მოძებნე. თუ ალმასისაა, სიხარულით იშიშვლე. ალმასის ხმალი წმინდანების იარაღთაგანია. მათი მოპოვება თქვენთვის ძვირფასია, რადგან სულიერი სიძლიერის დასტურია.

შენ უმტკიცესი ქვა ან მარმარილოს ნატეხიც რომ იყო, გულის პატრონთან თუ შეაღწევ მაშინ ძვირფასეულობად, ესე იგი ზურმუხტად, ბრილიანტად, ალმასად იქცევი. წმინდა ვაჟკაცების სიყვარული გულში განთავსდება. გულს გონიერთა სიყვარულის გარდა არაფერი მიაწოდო.“

მესნევი: *„როგორც კი სიყვარულის ხმა მოვიდა მკვდარმა სულებმა ფრთების ფარფატი, გარდაცვლილმა სხეულებმა კი საფლავებიდან თავის წამოწევა დაიწყეს.“* (ტ. 4, 840)

შუამავლები და წმინდანები უკვდავების წყაროა. მათი საშუალებით გაუხეშებული მკვდარი სულები ცოცხლდებიან, ენერგიული ხდებიან.

მესნევი: *„ვნებიანო ადამიანო! კარგად იცოდე, რომ ღმერთის წყალობის ყველაზე დიდი ქმნილება – გულია. მის მიღმა ყველაფერი სუსტი და მისი ჩრდილის იდენტურია.“* (ტ. 4, 1362)

„ხეებს შორის მდინარე მიედინება. მის კამკამა წყალში ორივე ნაპირას განლაგებული ხეების ანარეკლს დაინახავ.“

„წყალში ასახული ანარეკლი მხოლოდ ილუზიის ბაღ-ბოსტანია. ნამდვილი ბაღები და ბოსტნები გულებია. რადგან გული ალლაჰის სამეთვალყურეო ადგილია.“ (ტ. 4, 1364-1365)

საჭიროა არ დაგვავიწყდეს, რომ გული ღმერთის თავშესაფარი და ნავთსაყუდელია. რადგანაც გადმოცემის მიხედვით უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„ცასა და მიწაზე არ დავეტევი, მე მხოლოდ ჩემს მორწმუნე მონა-მსახურის გულში განთავსდები.“

(აჯლუნი, ქეშფულ ჰაფა, II, 195) იუნუს ემრე ამბობს:

ღმერთის სასახლე – გული,
მისი მზერით სულდგმული,
გულის მომკვლელი სული
იქნება უბედური.

მესნევი: *„წმინდანებს უდიდესმა ღმერთმა ისეთი ძალა უწყალობა, რომ ისინი მშვილდიდან გასროლილ ისარს უკან აბრუნებდნენ.“*

„წმინდანს სიმშვიდეს რაიმე მოვლენა თუ დაურღვევს, უდიდესი ღმერთი ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზის კარს დაკეტავს.“ (ტ. 1, 1669-1670)

უდიდესი ღმერთის საფეხურებზე წმინდანების აღიარებაზე და დაშვებაზე ნათლად მეტყველებს ერთ-ერთი წმინდა ჰადისი, სადაც ღმერთი ბრძანებს:

„იმას, ვინც ჩემს წმინდა მონა-მსახურს უმტრობს, ომს გამოვუცხადებ. ჩემი მიმდევარი და მონა-მსახური უფრო მეტად ვერაფრით დამიახლოვდება, ვიდრე ჩემს მიერ მისთვის დაწესებული ფარძებით. ჩემი აღმსარებელი მე (ფარძებთან დამატებით შემსრულებული) ნებაყოფლობითი ღვთისმსახურებებით მიახლოვდება; საბოლოოდ მე მას ვადიარებ და მიყვარს. ***ხოლო, როცა მას შევიყვარებ (ჩვეულებრივ), მის, მოლაპარაკე ენად, მგრძნობიარე გულად, მსმენელ ყურად, მხედველ თვალად, დამჭერ ხელად და მოსიარულე ფეხად ვიქცევი.*** *ჩემგან რასაც ითხოვს აუცილებლად მივცემ, თუ*

დახმარებას მთხოვს – დავეხმარები, თუ შემეკედლება დავიფარავ...“ (ბუჰარი, რიქაქი, 38)

ერთ სხვა ჰადისში ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„ალლაჰის მონა-მსახურებს შორის არიან ადამიანები, რომლებიც არც შუამავლები არიან, არც შეჰიდები, მაგრამ განკითხვის დღეს ალლაჰის საფეხურებზე ისეთ ადგილებს დაიჭერენ, რომ მათი თვით შუამავლებსა და შეჰიდებს შეშურდებათ.“

თანამიმდევრებმა უთხრეს:

„ვინ არიან ესენი და რა სიკეთეები ჩაიდინეს? გვამცნე ალლაჰის შუამავალო და ჩვენც მათდამი მხოლოდ სიყვარულსა და სითბოს გამოვიჩენთ!“

„ეს ისეთი მოდგმაა, რომელთა შორის არც ახლობლობაა, არც ვაჭრობა და არც საქმიანი ურთიერთობა, ისინი ერთმანეთს მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად დაუკავშირდნენ. ვფიცავ ღმერთს, მათი სახეები გაცისკროვნებულია და თავადაც შუქის მინბერზე დგანან. როცა ადამიანებს ეშინიათ, მათ არ ეშინიათ. როცა ადამიანები დადარდიანებული არიან, ისინი არ სწუხან.“ – ბრძანა წმინდა შუამავალმა და შემდეგი აიათიც წაიკითხა:

„იცოდეთ, რომ ალლაჰის მეგობრებისთვის შიში არ არსებობს; მათ არ იციან მწუხარებაც, რადგან ალლაჰი იწამეს და ყველა ღვთისმოშიშობითა და საკუთარი რწმენის ძალითაა შემოზღუდული. მათთვის

სააქაო და საიქიო ცხოვრებაშიც სამახარობლო დევს. ალლაჰის სიტყვებში ცვლილება არ არის. აი, ეს ყველაზე დიდი ხსნაა.“ (სურა იუნუსი, აიათები 62-64), (ჰაქიმი, მუსთედრიქი, IV, 170)

წმინდა მევლანა ზემოთ მოცემულ ბწკარებს, სხვაგან შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„ალლაჰმა შუამავლები და წმინდანები სამყაროში წყალობისთვის მოავლინა. ამის გამო ისინი ხალხს ისე აძლევენ რჩევებს, რომ თავს არ აბეზრებენ. იმათთვის კი ვინც ამ რჩევებს არ უსმენენ და არ მოსწონთ, ღმერთს ევედრებიან: „ღმერთო ჩვენო! შეიბრალე შენ ისინი და წყალობის კარები არ დაუკეტო!“

შენც მოიკრიბე გონება და წმინდანების რჩევებს გულისყურით მოუსმინე! მოუსმინე და დარდისგან, შიშისგან განთავისუფლდი, სულიერი სიმშვიდე და დარწმუნებულობა მოიპოვე!

ხელსაყრელი შემთხვევის წყალობით უყოყმანოდ ჩამოშორდი მათ,ვინც ამ წარმავალმა ქვეყანამ მოატყუა და მთლიანად ჩაეჭიდე ღმერთზე მინდობილ, სრულყოფილ ადამიანებს, რათა საიქიო ნეტარება დაიმკვიდრო და ამ წამხდარ სააქაოს ინტრიგებისგან თავი იხსნა!

წმინდანების სიტყვები უკვდავების ანკარა წყლის მსგავსია. როცა ხელსაყრელი შემთხვევა გექნება მას დაეწაფე, რათა გულში სულიერების ყვავილები, ვარდები გაიშალოს.“

მესნევი: *„უდიდესმა ღმერთმა წმინდა ადამს საკუთარი სახელები და თვისობრივი მახასიათებლები თავად ამცნო. სხვებს კი ეს სახელები ადამის საშუალებით გამოუშკარავა.“* (ტ. 1, 1943)

„ალლაჰის შუქი გინდ ალლაჰისგან აიღე, გინდ სრულქმნილი ადამიანისგან. სიყვარულის ელექსირს გინდ თასიდან დაეწაფე, გინდ დოქიდან.“ (ტ. 1, 1944)

„ვინც ერთი სანთლისგან ანთებულ მეორე სანთელს დაინახავს, ნამდვილი სანთლის მნახველი ის იქნება.“

„ამგვარად, პირველი სანთლის შუქი ას სანთელზე თუ გადავა და იმ სანთლით ასი სანთელი თუ აინთება, უკანასკნელი სანთლის შუქის მნახველი ნამდვილ პირველ სანთელს იხილავს.“

„ჭეშმარიტების შუქი, რომელსაც ეძებდი თუნდაც სიყვარულით მანათობელი ბოლო სანთლიდან ან თავად პირველი სანთლისაგან აიღე. მათ შორის არავითარი სხვაობა არ არის.“ (ტ. 1, 1947-1949)

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე **„შუამავლების მემკვიდრეები“** ეწოდებათ იმ მოღვაწეებს, რომლებიც ასკეტიზმისა და ღვთისმოშიშობის გზაზე სულიერ სრულყოფილებას გარეგნულად და შინაგანადაც აღწევენ; ასევე შემეცნებასა და გამჭრიახობას ივითარებენ, ფაქიზი გრძნობები უყალიბდებათ და რწმენის სიამოვნებას შეიგრძნობენ.

წმინდანები იმათთვის, ვინც ცდილობს ვნებისა და

დაბრკოლებების განადგურებას და რომელთაც წმინდა შუამავალი და მისი თანამიმდევრები არ უნახავთ, სამაგალითო არიან. ამ წმინდა ადამიანების მისაბაძი ცხოვრება და ჭეშმარიტებისადმი ლტოლვა შუამავლის ზნეობის გამოვლინებაა.

ისინი თავიანთი სიბრძნით, ძლიერი რწმენითა და გადამდები ნიჭით ადამიანებს მაგნიტივით იზიდავდნენ და საზოგადოებისათვის თანაგრძნობისა და სიყვარულის უბედ იქცეოდნენ. მათი აღიარება და ხალხის მიერ მათი დაფასება ისევ ღვთით იყო განპირობებული. აიათში ნაბრძანებია:

„მათ ვინც ირწმუნეს და ღვთისნიერი ქმედებები ჩაიდინეს, უეჭველია მოწყალე ალლაჰი (მათ გულებში) სიყვარულს შეასახლებს.“ (სურა მერიემი, აიათი 96)

სრულქმნილი ადამიანის გულის ხმა

– სალამურის გმინვა

„მოუსმინე სალამურს, თუ როგორ მოგვითხრობს,

განშორებაზე, ჩივის და ამბობს, რომ მას შემდეგ

რაც ის ლელიანს მოსწყვიტეს,

კაცი და ქალი განურჩევლად მისი გოდების გამო ოხრავს.“

სრულყოფილი ადამიანის გულის ხმა

სალამურის გმინვა

სულების სამყაროდან მარადიულობისკენ მიმავალ გზაზე დამდგარი ადამიანი სიხარულისა და ძრწოლის მომგვრელ, ორ კონტრასტულ სიტუაციას შორის ინჯღრევა. მგზავრობის ყველაზე რთული და ხიფათიანი ფაზა ამქვეყნად ყოფნის პერიოდია. წუთისოფელში ყოფნა, აკვნიდან კუბოს კარამდე, ვიწრო დერეფანში დარდიან მგზავრობას შეესაბამება. ამის შედეგი კი ან მარადიული ბედნიერება და მონაგებია, ან მარადიული დანაკლისი და წუხილი ამ დანაკარგის გამო.

ადამიანები, ამ პერიოდში, თვალზე ჩამოფარებული უგულისყურობის ფარდის გამო ჭეშმარიტსა და უფრო მნიშვნელოვანს ვეღარ ხედავენ. არის ადამიანთა ისეთი კატეგორიაც, რომლებიც ამ წარმავალ სამყაროში თავიანთ ადგილს; მოვალეობასა და პასუხისმგებლობას ვერ განსაზღვრავენ. ისინი ცხოვრებენ ისე, რომ ვერც კი გრძნობენ მიწის ქვეშ არსებულ წყვდიადს როგორი იდუმალებითა და სისწრაფით შეერწყმებიან.

„ვინ ვარ, საიდან და რისთვის მოვედი? ეს მიწის სამფლობელო რას წარმოადგენს? როცა სიცოცხლის წყაროები, ზღვის მსგავს უკუნს შეერწყმის, სხეული რომელ სანაპიროს მიადგება?!“

ადამიანები, რომლებიც ამგვარად არ მსჯელობენ, თვლიან, რომ სიკვდილი მათგან შორს არის და თავს უკვდავებად მიიჩნევენ. ისინი წარმავლობას გამორ-

იცხავენ და ამიტომ მისი უარყოფით ცხოვრობენ. მათ მარადისობის შეგრძნება უსუსტდებათ და საიქიო თადარიგს არ ეწევიან. ისინი ამქვეყნიური ვარსკვლავების ცრუ ბრწყინვალებით არიან შეპყრობილი.

ადამიანი ყველაზე მნიშვნელოვან ცოდნას იღებს და სრულყოფილებას აღწევს მიწისა და მის ქვეშ არსებული საფლავის საიდუმლოს ამოხსნით. მაგრამ გონება და გული მანამ ვერ ჩასწვდება ამ საიდუმლოს, სანამ იქ თავად არ აღმოჩნდება. რადგან ცოდნას, რომელიც სიკვდილის საიდუმლოს ხსნის მხოლოდ ღმერთი ფლობს... ამ საკითხის შესახებ ყველაზე დამაჯერებელი, გააზრებული და მისაღები პასუხები, შუამავლებსა და მის მემკვიდრეებს აქვთ. ამიტომაც შუამავლების შემდეგ მათ მოვალეობას საკუთარ თავზე წმინდანები იღებენ. ისინი იმ შეგნებით ცხოვრებენ, რომ მათ უგულისყუროების გამოფხიზლება ევალებათ. ისინი ათასგვარი ხერხითა და მეთოდით, ხან ხატოვანი მსჯელობით, ღრმა სიბრძნის გამოვლენით და ჭეშმარიტი მაგალითების მოყვანით ცდილობენ ღვთიური საიდუმლო ჩვენს გულამდე მიიტანონ. ამ გადასახედიდან, წმინდა მევლანას მესნევში არსებული თვრამმეტტაეპიანი ეპიზოდი ძალიან ღრმა აზრსა და საიდუმლოებებს მოიცავს. ასე რომ ამ უსაზღვრო საიდუმლოებებიდან აღებული შთაბეჭდილებების წყალობით ბევრი არამუსლიმანი ეზიარა ისლამის ჭეშმარიტებას.

წმინდა მევლანა ღვთაებრივი სიყვარულის ცეცხლით დამწვარი, მუდმივად მწყურვალი, მარადჟამს შეხვედრის სურვილით ათრთოლებული და აღელვებული, გონდაკარგული და დატყვევებული გულია. მხოლოდ

ისინი, ვინც ვერ გაიაზრებდნენ მისი სიყვარულის საიდუმლოს და სიბრძნით განმსჭვალულ მდგომარეობას, მის შესახებ ათასგვარ ჭორებს ავრცელებდნენ. გონება ვერ სწვდებოდა რა მისი სიყვარულის უსასრულობას, მის ექსტაზს, ტანჯვასა და წუხილს მას შეურაცხყოფას აყენებდნენ.

ამ გაუგებრობით საკმაოდ გატანჯული წმინდა მევლანა იძულებული გახდა ზნეობრივად სრულქმნილი ადამიანის გოდება და თავისი გულისტკივილი სალამურის კვნესის სახით მოეთხრო.

აი, რას წერს თავისი განცდების შესახებ:

„ჩემი კვნესა შენი კვნესისაგან არ განსხვავდება, ჩემი საიდუმლო შენს კვნესაშია! მომისმინე!“

ჩვენი აზრით, ყველაზე საუკეთესო რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვიძლია არის მისი მოწოდებისადმი ყურის დაგდება. ის, სიყვარულით ნასაზრდოები ამბობს:

„მოუსმინე სალამურს თუ რა ამბავს გვიამბობს;“

„მას შემდეგ რაც ლელიანს მოსწყვიტეს, კაცი და ქალი, განურჩევლად, მისი გოდების გამო ოხრავენ.“

მოვუსმინოთ ისევ მას:

„მე თავდაპირველად ლელიანში აღმოვცენდი. ჩემი ფესვები და გული წყლითა და მიწით საზრდოობდა. იქ ნაზად ვირხეოდი, ქარის ქროლვის მიმართულების მიხედვით ვმოძრაობდი, მაგრამ დადგა დღე და მშობლიურ გარემოს მომაშორეს. ჩემი სხეული სიყვარულის ცეცხლით გამოაშრეს, დადაღეს, გახვრიტეს და

მრავლი ჭრილობა მომაყენეს. შემდეგ მას მიმაბარეს, ვისაც სუნთქვის დიდი ხნით შეკავება და სტვირში ჩაბერვა შეუძლია. მისმა მხურვალე გრძნობით აღსავსე სუნთქვამ სულში გაიარა და მან ჩემში, სიყვარულის გარდა, ყველაფერი წაშალა. ახლა უკვე სიყვარულით აღმომხდარი კვნესა და გოდება მახრჩობს. ჩემი კვნესა-გოდება სინამდვილეში ჩემში არსებულ უსასრულო, ღვთიურ საიდუმლოებებს გადმოსცემს და იმ ჭეშმარიტებასა და ბედნიერებას,რომელსაც მე ჩავწვდი მელოდიით გადმოსცემს. ესე იგი ჩემი საიდუმლოებები ხმის გარკვეული მდგომარეობითა და მოძრაობით გამოიხატება და ხატოვნად გადმოიცემა. მაგრამ მათ, ვისაც თვალები დანისლული აქვთ და ყურები დახშული ამ საიდუმლოებებისგან წამოსულ შუქს ვერ დაინახავენ და ჩემს მიერ ნათქვამ ჭეშმარიტებას ვერ გაიგებენ."

წმინდა მევლანას სურს მათ, ვინც მესნევის სალამურის ჟღერას უსმენენ, მისი თავგადასავლის წყალობით ღრმა გრძნობები დაეუფლოთ.

ლელიანი, რომელსაც სალამური ეკუთვნის ადამიანის თავდაპირველი ჰარმონიული არსებობის სიმბოლოა. ამიტომ ის მარადისობაში ადამიანის ღმერთთან ერთად ყოფნას შეგვახსენებს. უდიდესი ღმერთი ადამიანთან დაკავშირებით აცხადებს: **„ჩემი ღვთაებრივი ძალისგან** (სულისგან) **მას** (საიდუმლო) **შთავბერე."** ეს ნათლად აჩვენებს, რომ ჩვენი სულიერი სამყარო ალლაჰისეული საიდუმლოს მატარებელია და ის ადამიანები და ბრძენები, რომელთაც ეს სრულად აქვთ შემეცნებული, მთელი ცხოვრება ღმერთთან შეხვედრის დაუოკებელი სურვილით იწვიან.

„ყურანი იწყება სიტყვით „წაიკითხე!“ მესნევი კი სიტყვით – „მოისმინე!“ ამიტომაც როცა მესნევის კომენტატორები ამბობენ „მოისმინე“ „წაიკითხეს“ განმარტებას წარმოადგენსო, მათ შემდეგი რამის თქმა სურთ:

„ღვთის სიტყვას მოუსმინე! საიდუმლოს მოუსმინე! შენში არსებულ ფარულ ჭეშმარიტებას მოუსმინე!“

რადგანაც მესნევი ადამიანებისთვის შეთავაზებული ყურანის ჭეშმარიტებებისა და საიდუმლოებების ცვარია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ მევლანა ნაწარმოებს სიტყვა მისმინეთი იწყებს, რაც არაბულად ტერმინით „ბიშნევ“ გადმოიცემა. რაკი ის ასო ბ-ზე იწყება, გულისხმობენ, რომ ნაწარმოები „ბესმელეთი“ უნდა იხსნებოდეს. იმის მაგალითები კი, რომ წერილებს, ბროშურებს, სტატიებს „ბესმელეს“ ნაცვლად „ბ“ ასობგერას აწერდნენ, ხშირია. ამას საფუძვლად წმინდა ალის განცხადება უდევს:

„ის რაც ყურანშია – არის ფათიჰაში, რაც ფათიჰაშია – არის ბესმელეში, რაც ბესმელეში – „ბ“ ასობგერაშია მოცემული.“

მესნევის პირველი თვრამეტი ტაეპი, მევლანასეული ფაქიზი ფიქრების, ოსტატური და ღრმა აზრის მაჩვენებელი საიდუმლოებების ოკეანეა. ამიტომაც მესნევის შესავალი ნაწილი „ბეით-ბეით,“ სიტყვა-სიტყვით, ბგერით-ბგერამდე იქნა განმარტებული და უამრავი კომენტარი გაუკეთდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს თვრამეტი ბეითი ას ექვს ბეითიანი მესნევის „ფათიჰად“ მიიჩნევა. ეს ბეითები თავად მევლანამ დაწერა ქაღ-

ალდზე და შემდეგი ნაწილიც მან გამოთქვა; პატივცემულმა მურიდმა ჰუსამედდინ ჩელებიმ კი ის დაწერა.

წმინდა მევლანა აქ სალამურს ვნებისგან განწმენდილ, ეგოისტობა დაძლეულ, ღვთიური სიყვარულით გაჯერებულ, სრულყოფილი ადამიანის სიმბოლოდ წარმოგვიდგენს. სალამური იმის გამო კვნესის და გოდებს რომ ლელიანს, ესე იგი თავის ნამდვილ სამშობლოს მოაშორეს. ადამიანი კი მარადისობიდან, ესე იგი ღმერთთან სიახლოვის სავანიდან გამოსაცდელად იქნა გადმოსახლებული. აქედან გამომდინარე, ღმერთთან განშორების გამო, სული გამუდმებით იტანჯება. ადამიანი თავისი შინაგანი სამყაროსა და ზნეობრიობის შესაბამისად ამ უცხო მხარეში ტკივილის, ავადმყოფობისა და მოულოდნელი უბედურების გამო ირთის. ის სულიერების სამყაროს, ბედნიერებისა და სიმშვიდის ნოსტალგიით არის შეპყრობილი. ამგვარად უცხო მხარეში მოხვედრილი სული ღმერთთან შეხვედრის დაუოკებელი სურვილით, ხმამაღალი ან უტყვი მოთქმა-გოდებით განვლის სიცოცხლეს, ზუსტად ისე როგორც სალამური კვნესის.

ადამიანის სული ამქვეყნად სხეულის გალიაშია მომწყვდეული. სხეული, ესე იგი ვნება და მისკენ მიდრეკილება ღმერთთან შეხვედრისთვის წინაღობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე სრულყოფილი და შეყვარებული გულებისთვის სხეულის გალია მუდმივად ღრმა ტკივილისა და მონატრების ცეცხლის მიზეზია.

ამ ცეცხლის მხურვალებით გულის კვნესა იზრდება და ზეცამდე მაღლდება. ეს კი სალამურის მელოდიის მსგავსია და ღმერთთან შეხვედრის სიხარულს ან მასთან განშორების ტკივილს თანაბრად გადმოგვცემს. ამიტომ ის, ვინც სალამურის კვნესას უსმენს, განშორებისა და შეხვედრის საიდუმლოებებს უგდებს ყურს. ამ დროს ნებისმიერი ადამიანი, განურჩევლად სქესისა, ერთნაირი სიმძაფრით კვნესის და გოდებს.

მოკლედ, ისინი ვინც ალლაჰის სიყვარულით არიან აღსავსე, ზღვაში მყოფ თევზებს ჰგვანან, მათ არ ახრჩობთ ის სიყვარული, რომელშიც დაცურავენ. მაგრამ ისინი ვინც მოკლებული არიან ამ სიყვარულს ჰგვანან იმ უგულისყუროებს,რომლებიც მიუხედავად იმისა,რომ ათასგვარი სანოვაგით გაწყობილ სუფრასთან სხედან მშიერი რჩებიან. ისინი ყოველ დღესა და ღამეს წყვდიადში,მშრალი და ფუჭი ცხოვრებით ატარებენ. ამგვარი სულები,რა თქმა უნდა,მოკლებული არიან სრულყოფილი სულებისთვის დამახასიათებელ მგრძნობელობას და იმ უმაღლეს ბედს რაც მათ არგუნა ღმერთმა.

ამგვარად, ეს თვრამეტი ბეითი იწყება სიტყვით **„მოისმინე!“** და სრულდება ფრაზით:

შენს განწყობას ვერ მიხვდება ბეცი ანდა ბრიყვი

მორჩება და გათავდება, თუკი მოკლედ იტყვი...

ეს თვრამეტი ბეითი საყოველთაო აზრისა და ძალიან დიდი საიდუმლოებების შემცველია. წმინდა მევლანა ხომ ერთ წვეთში ღია ზღვას უცქეროდა. ეს ბეითი,

რომლის თითოეული სიტყვა წვეთის მნიშვნელობის მატარებელია, ჩვენ ზღვასა და ოკეანესაც კი წარმოგვიდგენს და თვალწინ გადაგვიშლის.

წმინდა მევლანა აღნიშნავს, რომ მის გულში არსებული საიდუმლოს შემეცნებას ყველა ვერ შეძლებს, ეს მხოლოდ იმ შეყვარებულ ადამიანებს ხელეწიფებათ, ვინც უზენაესთან შეხვედრის დაუოკებელი ცეცხლით იწვიან.

„იმისათვის, რომ მონატრებით გამოწვეული დარდი ავუხსნა, განშორებისგან დაქუცმაცებული გული მინდა!“

ამ წინადადების გასააზრებლად წარმოგიდგენთ ნოველას, რომელშიც წმინდა მევლანამ სრულყოფილი ადამიანის პოვნის სირთულე გამოხატა.

„ღამე იყო. სახლიდან გარეთ გამოვედი. სანაპიროზე ვსეირნობდი. დავინახე ერთი საცოდავი კაცი, რომელიც ფარნით ხელში ხეტიალობდა.

ვკითხე:

„ამ წყვდიადში რას ეძებ?“

კაცმა მიპასუხა:

„ადამიანს.“

მე მივუგე:

„სამწუხარო! ტყუილად ირჯები... მე თვით სამშობლოზე ვოქვი უარი და ის მაინც ვერ ვიპოვე. წადი

სახლში, დაწექი, დაისვენე! ამაოდ ეძებ, მას ვერსად იპოვი!“

კაცმა საცოდავად შემხედა:

„რომ ვერ ვიპოვი ეს მეც ვიცი. მაგრამ ძებნა სიამოვნებას მანიჭებს!“

ე.ი. წუხილი ყველაზე ღირსეული ქმნილების, სრულყოფილი ადამიანის ძებნით იყო გამოწვეული. და იმას, რასაც ეძებ მხოლოდ მაშინ იპოვი, როცა მსგავსი სევდისგან ათრთოლდები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თრთოლვის გარეშე დარჩენილი ცოდნა და ძიება ვერავითარ შედეგს ვერ მოგცემს.

სიყვარული თრთოლვით იწყება. ცხოვრების ოკეანის გადალახვა და მონატრებულთან შეხვედრა, ამ სიყვარულითა და ექსტაზით ათრთოლებულ ნაყოფიერ ნიადაგზე განხორციელდება. ზარმაცი და დახავსებული გულები არ თრთიან და ისინი ამ ყოფიერების ოკეანის მორევში მოტივტივე ტვირთს ემსგავსებიან, რომელიც ბოლოს ჩაიძირება და განადგურდება.

გული ზღვას ჰგავს. თევზის არსებობის ხანგრძლივობა ზღვაში ყოფნასთან და ზღვის სიკეთეებით კვებასთან არის დაკავშირებული. თევზი წყლიდან თუ ამოვა მოკვდება.

ის გულიც,რომელიც ღმერთის ხსენებასა და სიყვარულს მოაკლდება, ზღვიდან გამორიყულ თევზს დაემსგავსება; უგულისყურო გახდება და ვნების კლანჭებში

მოექცევა.

უდიდესო ღმერთო, წილად გვარგუნე იმ ადამიანებად ქცევის ბედნიერება, რომლებიც ყურს უგდებენ სრულყოფილ პიროვნებათა საიდუმლოებებისა და სიბრძნის ხმას და რომელთაც სალამური მაგალითად აქვთ დასახული; რომლებიც სიყვარულითა და ექსტაზით შეხვედრის დაუოკებელი სურვილითა და ცეცხლით იწვიან და ყველა ამ რთული საფეხურის წარმატებით გავლის შემდეგ ღმერთს ხვდებიან.

ამინ!



მესნევის მიხედვით

ჭეშმარიტი მეგობრობა

მესნევი: *„ადამიანი, რატომღაც მხოლოდ თვალი – ესე იგი ღრმა მჭვრეტელია. სხვა დანარჩენი სხეულია. ნამდვილი თვალი კი ის არის, რომელიც მეგობარს შეუცდომლად ხედავს, ესე იგი მას შეიმეცნებს. თვალად არ ჩათვალო სხეულის ის ნაწილი, რომელიც მეგობარს ვერ ცნობს, ვერ ხედავს!“* (ტ. 1, 1406)

თვალი არის ფიქრისა და გრძნობის სამყაროსათვის გამოღებული სარკმელი. ადამიანში შემჩნეულ დადებით ან უარყოფით თვისებას, გულისა და გონების ანარეკლებს, ასოციაციებს სწორედ ის წარმოგვიდგენს.

სადი ფიქრისა და ემოციის გამომჟღავნების უპირველესი საშუალება გარემოზე ისე შეხედვაა, როგორც საოცრებაზე. ამიტომ თვით ალლაჰი ყურანის სხვადასხვა აიათებში ადამიანებს გარემომცველი სამყაროსადმი ამგვარად შეხედვისა და დაკვირვებისაკენ

მოუწოდებს:

„ნუთუ ისინი აქლემს, ღრუბელს, წვიმას, მთებს, ზამთარში სიმწვანის კვდომასა და გაზაფხულზე მის გაცოცხლებას, წარსული ტომებისაგან დარჩენილ ნიშნებს... არ შეხედავენ?“

მეორე მხრივ, ყურანში ალლაჰის სიკეთეების ხელახლა ჩამოთვლის შემდეგ, ადამიანებს მრავალგზის მიმართავენ სიტყვებით: **„ჰეი, ხედვის, დაკვირვების (შემეცნების) პატრონებო!..“** ამ აიათის მიხედვით ადამიანებს მოეთხოვებათ, რომ სამყაროს გამჭრიახი თვალით შეხედონ. მსგავსი შინაარსის მატარებელია სხვა აიათში ნაბრძანებიც: **„არ ფიქრობენ? არ აზროვნებენ? არ შეიმეცნებენ?“** ეს აიათი გამოხატავს, რომ სამყაროს არაფრისმთქმელი, გაუგებარი მზერით კი არ უნდა შევხედოთ, არამედ საჭიროა მას სიბრძნით შემმეცნებელი საზრიანობით დავაკვირდეთ.

ის, ვინც სამყაროს შინაგანი მზერით აღიქვამს, მასში, როგორც უზენაესის უმაღლეს ქმნილებაში, რომელსაც ადამიანის გონება სრულად ვერ სწვდება, თავისი სულიერების შესაბამისად აღწევს.

სამყარო ღვთაებრივი სიხარულის წყაროა. ადამიანი კი ღვთიური სიხარულის პირველი გამოვლინებაა. მჭვრეტელი თვალები და მგრძნობიარე გულები დედამიწაზე ამ ღვთიური სიხარულის გარდა ვერაფერს დაინახავენ და იგრძნობენ.

ადამიანმა განთიადისას ამომავალ მზეს ისე უნდა შეხედოს, რომ ჰორიზონტზე გადაშლილი ფერად-ფერადი და არაერთგვაროვანი პეიზაჟების დანახვა არ გაუ-

ჭირდეს. მაშინ, როცა ჩვენ მხატვრის მიერ დახატულ პეიზაჟს გაოცებაში მოვყავართ, როგორ შეიძლება გულგრილი დავრჩეთ სამყაროს ღვთაებრივი ხელოვანის შემოქმედების წინაშე, რომელიც ყოველ წამს ქმნის უბადლო შედევრებს?

შეხედე! ტიტას, იას. ნეტავ სად იპოვა ეს საოცარი ფერები შავმა მიწამ? ან ის წითელი თუთა? მზის სხივებზე აელვარებული ყვავილების ცისფერი და ვარდისფერი... ღრმა გრძნობებით სავსე გულისთვის ყველა ადგილი ხელოვნებისა და შემოქმედების საოცარი გამოფენაა... შეხედე ყვავილის სიკეკლუცეს, ფუტკრისა და პეპელას ცეკვას, ფარვანას აალებას, ბულბულის კვნესას და საკუთარ თავს. ყველაფერი ხომ სილამაზე, სრულქმნილება, ღმერთის სილამაზისგან გამოჟონილი ანარეკლის ციაგია.

ცისკრის დადგომისთანავე, როგორც კი მზის პირველი სხივი სამყაროში აირეკლება, ის ახალი დღის დაწყებას ესალმება და ჩვეულებრივ გვეუბნება:

„გაიღვიძე! შენ დღესაც მოგეცა საშუალება სიცოცხლის წიგნის სრულიად სუფთა ფურცელი გადაშალო. როგორ შეავსებ შენ იმ ფურცელს, რომელსაც განკითხვის დღეს წინ დაგიდებენ? როგორ ემზადები იმ საშინელი დღისთვის როცა გეტყვიან: „წაიკითხე წიგნი, დღეს დამკითხველად შენი სულიც გეყოფა!“

საღამოს, როცა ცა ჯერ გაწითლდება, შემდეგ კი შავად შეიღებება და დაღამდება, ღამე ადამიანს ეტყვის:

„კიდევ ერთმა დღემ ჩაიარა. კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდი სიკვდილს. ახლა მოთქმა-გოდება უკვე

ამაოა, საჭირო არ არის. რაც არ უნდა ეცადო განვლილ დღეს უკან ვეღარ დააბრუნებ. თავს მარადიულ ძილს, მიაბარებ რომელიც სიკვდილია. დაფიქრებულხარ იმაზე თუ არა რაც გააკეთე და რაც არ გააკეთე, ან იმაზე თუ რა უნდა გაგეკეთებინა? შეიძლება დღეის შემდეგ დილის მზის სხივები ვეღარც იხილო."

ის ადამიანები,რომლებიც სამყაროს სულიერი კუთხით უცქერენ და ისე აღიქვამენ, ერთადერთ ძვირფას არსებად და მეგობრად ალლაჰს თვლიან. იმისათვის, რომ ადამიანმა საკუთარი არსებობის მიზნად უზენაესთან მიახლოება დაისახოს, ამის განხორციელებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანური ფიქრის და შთაბეჭდილებების ზეშთაგონების ჩარჩოებში მოქცევა და ღვთისმოსავ ადამიანებთან ერთად ყოფნაა. მაგრამ მათთვის მეგობრის წოდება პირობითია. ნამდვილი მეგობრობა (მასთან ალლაჰის სიყვარულითა და კეთილგნწყობით შეერთებამდე), ალლაჰთან ახლო მყოფ ადამიანებთან სიახლოვე, მათი სიყვარული და დაფასებაა, ადამიანური უსუსურობის შეგრძნების აუცილებლობაა. სულიერი ამაღლება არა წამიერად, არამედ თანდათანობით ხდება. ე.ი. იმისათვის, რომ ალლაჰს დაუმეგობრდე ჯერ ადამიანური მეგობრობა უნდა გასწიო. ეს მგზავრობისთვის აუცილებელი პირობაა.

მევლანა ამ ჭეშმარიტებას ასე გადმოგვცემს:

„თუკი იმის გამო, რომ მარტო დარჩი და ვერ იპოვე ისეთი ადამიანი, ვინც თანადგომას გაგიწევდა – უიმედობაში ჩავარდი, შეგიძლია მეგობრის ჩრდილს შეე-

ფარო, რომელიც მზესთანაა გათანაბრებული.

წადი და სწრაფად იპოვე შენთვის ღმერთისმიერი მეგობარი. თუ ასე მოიქცევი თვით ალლაჰი იქნება შენი მეგობარი და დამხმარე.

მარტოდ ყოფნა, განმარტოება უცხო გარემოში, უცხოთა წრეში ხდება, მეგობრების წინაშე კი არა. ქურქი ზამთრისთვის არის საჭირო, გაზაფხულისთვის არა.

როცა ერთი საღი გონება მეორეს, ესე იგი ზეშთაგონების შედეგად აღზრდილ გონებას შეუერთდება – ძლიერდება, მისი შუქი მატულობს და გზას კარგად იკვლევს.

ამის საწინააღმდეგოდ, რაკი ცალკეულ ვნებას სხვა ვნებებთან თანაარსებობა ეს იწვევს მსგავს გზაზე წყვდიადის გაზრდას, ამ დროს ჭეშმარიტების დანახვა შეუძლებელი ხდება.“

მესნევი: *„გულო! მიმართე იმ ადგილს სადაც შენ შუქით შეიმოსები. ის შენთვის მახლობელი, სრულყოფილი ადამიანებით დამკვიდრებული მხარეა. ისინი შენი მომავალი უბედურებების ასარიდებელ ფარს წარმოადგენენ.*

ისინი ბოროტებას შეგინდობენ და თავიანთ სულებში დაგითმობენ ადგილს.“ (ტ. 2, 2576-2577)

მართლაცდა, ბოროტი საქმეების გამო დასჯა ახალი ბოროტების თავიდან აცილების მიზნით იურიდიულ

სისტემებში საყოველთაოდ აღიარებული წესია. შარიათიც („შეწყვეტა“ განხორციელდესო) ამ გზას ირჩევს. სუფისტები კი, იმასთან ერთად, რომ დამნაშავის მიერ ჩადენილ დანაშაულს კეთილგონივრულად და მოსაწონად არ აღიქვამდენენ, თვლიდნენ, რომ ის „ბოროტებაში ჩათრევისგან თავის დასაცავად უსუსური გამოდგა“ და ამ მეთოდს ბოროტებისვე საწინააღმდეგოდ იყენებდნენ. მას აღიქვამდენენ როგორც ფრთამოტეხილ ჩიტს. ამიტომ, დასჯის ნაცვლად მკურნალობის საშუალებებს ეძებდნენ და ზუსტად ისე, როგორც მედიცინაში... არც ერთი ექიმი არ ეკითხება ავადმყოფს: „თუ რატომ არ დაიცვა საკუთარი თავი, რატომ შეემთხვა ეს ავტოკატასტროფა ან რატომ გაცივდა! ის ავადმყოფს არ დაძრახავს, პირიქით იცის, რომ ვალდებულია მასთან მოსულ ადამიანს უმკურნალოს. სუფისტებიც მანკიერ ადამიანს ამ მეთოდით ექცეოდნენ. ხელოსანიც ხომ, იმდენადაა თავისი საქმის ოსტატი, რამდენადაც უზადოდ შეაკეთებს იმ ნივთს, რომელიც დაზიანებული იყო. წმინდა მევლანა ამბობს:

„ისინი შენს მიერ ჩადენილ ბოროტებას გაპატიებენ და თავიანთ სულებში ადგილს დაგითმობენ.“

მესნევი: *„იმგვარი გონების მფლობელს, რომელსაც ყველაფერი ესმის და ყველაფერს შეიმეცნებს, მეგობართან განშორება ისეთ საგონებელში ჩააგდებს, როგორშიც გატეხილი ისარი მშვილდოსანს.“* (ტ. 3, 3693)

ჭკუა ისლამში განიმარტება, როგორც **„გონება, რომელსაც ყველაფრის სრულად შემეცნება არ ძალუძს“.** ეს ნიშნავს, რომ მარტო ჭკუით ღმერთთან და ბედნიერებასთან მიღწევას ვერ შეძლებ. ამის ჭეშმარიტება იმით დასტურდება, რომ უდიდესი ღმერთი დამხმარედ შუამავლებს და საჭირო ცოდნით აღჭურვილ ადამიანებს გვიგზავნის. ჭკუა იმის პირობაა, რომ ადამიანს პასუხისმგებლობა დაეკისროს. მართლაცდა, არც ერთ სამართლებრივ სისტემაში გონებასუსტი ადამიანი დანაშაულზე პასუხისმგებელი არ არის, მას არ სჯიან. ეჭვმიტანილი მას შემდეგ მიიჩნევა დამნაშავედ, რაც მისი გონებრივი სრულყოფილება დადასტურდება. ე.ი. ჭკუაგონება ადამიანს იცავს შეცდომის ჩადენისგან.

ამ დამახასიათებელი სისუსტის გამო, ჭკუა უფრო ძლიერი გონებით უნდა შევავსოთ და სრულვქმნათ. ანდაზა: „ჭკუა ჭკუაზე ნამეტანია“ – გონიერ ადამიანებს რჩევის აუცილებლობაზე მიუთითებს. ინდივიდისა და საზოგადოების განვითარებისთვის რჩევის მიღების საჭიროება ყურანის სხვადასხვა აიათებშიცაა ნაბრძანები:

„...შენს საქმეებზე მათთან ითათბირე!...“ (სურა ალი იმრანი, აიათი 153)

„...ისინი საქმეებს ბჭობით აწარმოებენ...“ (სურა შურა, აიათი 38)

მესნევი: *„შვილო, დაუმეგობრდი ყველას ვისაც ალლაჰის მძებნელად ჩათვლი და მათ წინაშე პატივისცემით მოიხარე ქედი!*

თუკი ალლაჰის მაძიებლებს და მის მეგობრებს დაემგზავრები, ღმერთის მძებნელი გახდები; მათი წყალობით ვნებასთან დაამარცხებ.“ (ტ. 3, 1446-1447)

ანდაზა გვეუბნება **„ხარი ხართან რომ დააბა ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.“** მართლაც, იმასთან ერთად ყოფნით, ვინც გიყვარს მას დაემსგავსები. ამის გამოა, რომ უდიდესი ღმერთი ყურანში გვიბრძანებს:

„...სანდოებთან ერთად იყავით!“ (სურა თევბე, აიათი 119)

ვინაიდან ადამიანი საყვარელი ადამიანის ბედისწერის მოზიარეა, მასთან გარკვეული გრძნობები აკავშირებს. ამგვარად, ღვთისმოსავ ადამიანებთან ურთიერთობა ნებისმიერ კაცზე პოზიტიურად მოქმედებს.

მესნევი: *„კარგად იცოდე, რომ (ამქვეყნად) ორგული და ცრუ მეგობრები, ყალბი საყვარლები, საბოლოოდ შენს მტრად იქცევიან და შეურაცხყოფილად იგრძნობ თავს.*

საფლავში კი ალლაჰს მოთქმით შეეხვეწები:

„ღმერთო, არ დამტოვო მარტო!“ (ტ. 5, 1523-1524)

ამქვეყნიურ ცხოვრებაში ადამიანები ბევრ რამეს სიყვარულით უდგებიან და გულთან ახლოს მიაქვთ. მაგრამ სამარადისო სამყაროში გამგზავრების დრო

რომ დადგება, ასე აღარ იქცევიან, რადგან ყველაფერი ის, რაც ამქვეყნად ყოფნისას უყვართ და რაზეც არიან მინდობილი, მათ იმქვეყნად არავითარ სარგებელს აღარ მისცემს. იმის გამო, რომ ამქვეყნად ყველაზე ძვირფასად ქონებასა და შვილებს მივიჩნევთ, უდიდესი ღმერთი გვეუბნება:

„იმ დღეს ქონება და შვილები ვერავითარ სარგებლობას ვერ მოგიტანს. ალლაჰთან მხოლოდ სრულყოფილი გული მიგიყვანს.“ (სურა შუარა, აიათები 88-89)

ამ ჭეშმარიტებას პოეტი შემდეგნაირად გამოხატავს:

მასწავლებელო! ოქრო აღარ მოგეთხოვება,

იმ დრეს, გულია ყოველივე შენი ქონება.

„მასწავლებელო, არ იფიქრო რომ იმ დღეს როცა ყველაფერი ფასს დაკარგავს, შენგან ოქროსა და ვერცხლს მოითხოვენ! მაშინ სარგებლობის მომტანი მხოლოდ სრულყოფილი (განწმენდილი) გული იქნება.“

მესნევი: *„ვისაც გარდაცვლილი არსების სიყვარული აქვს, იმ სიყვარულით ცოცხალ არსებასთან შეხვედრას იმედოვნებს. ამგვარად, წარმავალი არსების სიყვარული, ის ხიდია, რომელიც ღმერთის სიყვარულთან დაგვაკავშირებს.“* (ტ. 3, 545)

„ჭეშმარიტების თანამგზავრო, შენ ცოცხალთან შესახვედრად მასზე ფიქრი არ გაწყვიტო და ხელი არ დააკლო, რათა ის ცოცხალი არსება, რომელმაც გული

დაგიკავშირა, ცოტა ხნის შემდეგ უსულოდ არ იქცეს და მიწას არ შეერიოს.

გრძნობებმა არ მოგიცვას და ჩალის ღერი, ესე იგი წარმავალი სილამაზე, შენთვის ახლობელ მეგობრად არ აირჩიო, რადგან მასში განთავსებული სიყვარული და სიახლოვის გრძნობა დროებითია. შენ სამარადისო მეგობარი მოძებნე.

ალლაჰის გარდა შენს გულთან სხვა ვინმეს რომ ჰქონოდა კავშირი, დაგეხმარებოდა. ახლა, შენთვის ყველაზე ახლობელი დედ-მამის მეგობრობაა?“ (ტ. 3, 547-549)

„გულისთვის მინიჭებული ყალბი ბრწყინვალება ორიგინალის გამოჩენისთანავე კარგავს ხიბლს. თუკი შენი საყვარელი სილამაზეს დაკარგავს, ის მოგყირჭდება, აღარ მოგეწონება, მას უყურადღებოდ დატოვებ.“ (ტ. 3, 555)

„წარმავალ არსებებში დანახული სილამაზე ღვთიური სილამაზისგან ნათხოვარი, მისი ანარეკლია. ის არეკლილი შუქი კი ერთ დღეს უკან დაბრუნდება. ამიტომაც წარმავალი სილამაზით ნუ მოტყუვდები, შენ იმის დედანი, იმ სილამაზის საწყისი მოძებნე!“

„კედელზე დაცემული მზის სხივი, კვლავ მზეს უბრუნდება. შენც კედელზე დაცემული სხივის ნაცვლად სხივის მტყორცნელს შეხედე, ესე იგი მზესთან წადი, შენი შესაბამისი ის არის.“

„თუკი ღარიდან წყალი არ გადმოდინდა, ესე იგი სილამაზის მშვენიერებით ვერ დატკბი, მაშინ ზეციური წყალი მოიპოვე.“ (ტ. 3, 558-560)

ადამიანის მიდრეკილება სიყვარულისადმი სინამდვილეში მასში არსებული შეუფასებელი საგანძურია. მისი გაფლანგვა სამწუხაროა. ამ სამყაროში ალლაჰის გარდა ყველა სხვა მეგობრის სიყვარული წარმავალია. ამიტომაც სიყვარულის, სიახლოვისა და მეგობრობის მთავარი მიზანი და მამოძრავებელი უდიდესი ღმერთი უნდა იყოს. ალლაჰი, ერთი მხრივ, მიუწვდომლად შორი და შემეცნების მიღმა მყოფია; მეორე მხრივ ადამიანისთვის მთავარ არტერიაზე ახლომყოფი მეგობარი და დამხმარეა. თუ ადამიანი შეეცდება შინაგანი ცხოვრებით ღმერთს დაუახლოვდეს, უზენაესი აღუთქვამს, რომ მისი *„მხედველი თვალი, მსმენელი ყური, დამჭერი ხელი იქნება...“* (ზუდბეთულ ბუჰარი, 1107)

ამ საკითხთან დაკავშირებით აიათში ნაბრძანებია:

„...ალლაჰი ჩვენთვის საკმარისია, ის კეთილი მეგობარი და შეუდარებელი დამხმარეა.“ (სურა ალი იმრანი, აიათი 173)

ამასთან ერთად (ცნობილ) ადამიანურ სიყვარულს, ესე იგი მოკვდავ არსებასთან დაკავშირებულ სიყვარულს, ალლაჰთან ზეაღმავალ ერთ-ერთ საფეხურად თუ ჩათვლი, ეს მოსაწონია, ვინაიდან ამ შემთხვევაში, ალლაჰის სიყვარულისკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ პაუზა იქნება. მაგრამ თუკი გული წარმავალ არსებას გააკერპებს, მისთვის ეს ღმერთთან შესახვედრ გზაზე დაბრკოლებად იქცევა.

ის, ვინც შეძლებს მეჯნუნივით თქვას **„ლეილას ძახილში ღმერთი ვიპოვეო“** და წარმავალი არსებისადმი მისი სიყვარული ღვთაებრივი სიყვარულის მხოლოდ

ერთი (დროებითი) საფეხური იქნება – ბედნიერებაა!.. ესე იგი ყველაზე ჭეშმარიტი და უზენაესი ალლაჰის სიყვარულია; რომლის მოპოვებაც ამქვეყნიური ცხოვრების ყველაზე დიდი და მაღალი მიზანია.

მესნევი: *„ვფიცავ ალლაჰს, რომელსაც ყველა საჭიროებს, თავად კი არაფერი სჭირდება, ბოროტ მეგობარს ბოროტი გველი სჯობია!*

ბოროტი გველი ადამიანს კლავს, ბოროტი მეგობარი კი მას ცეცხლში აგდებს და სწვავს!

ცუდი ამხანაგი, თუნდაც ზნეობრივ მეგობარს ხასიათს უფუჭებს! რადგან ფარულად მის მორალს ითვისებს; მის ცუდ თვისებებს თავის თვისებებად აქცევს!

ამხანაგი, რომელსაც სამათლიანობასთან შეხება არ აქვს, კაპიტალს ვერ შოულობს; ის შენს ჩრდილად იქცევა, შენივე კაპიტალს იღებს და მიდის!“ (ტ. 5, 2634-2637)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის ფსიქოლოგიური და გონებრივი მდგომარეობა **„ადამიანიდან ადამიანზე“** გადადის, ამიტომაც კარგ ადამიანებთან ურთიერთობა – კარგ, ცუდ ადამიანებთან ერთად ყოფნა კი ცუდ ზეგავლენას ახდენს. ამის მაგალითი წმინდა შუამავალს მოჰყავს:

„კარგი და ცუდი ამხანაგი ნელსაცხებლებისა და

საბერველის გამომწევ (მჭედლის) მდგომარეობას ჰგავს. მუშკის გამყიდველი შენ სასიამოვნო არომატისგან მცირე ნაწილს უსასყიდლოდ მოგცემს ან თავად შეიძენ (სანამ მასთან იქნები) და სასიამოვნო სურნელს შეიყნოსავ. საბერველის გამომწევი ადამიანი კი ან ტანსაცმელს დაგიწვავს,ან საბერველის ცუდი სუნი შეგაწუხებს.“ (ბუჰარი, ზებაიჰი, 31)

იმამი რაბანი იმის შესახებ, რომ ცუდ ამხანაგს ადამიანი როგორი უბედურებისაკენ მიჰყავს, შემდეგ მაგალითს წარმოგვიდგენს:

„აზარტულ მოთამაშეებთან მჯდარმა ადამიანმა შესაძლოა არ ითამაშოს და თავი სუფთად იგრძნოს. მაგრამ მათთან თუ ხშირად იქნება, დროთა განმავლობაში, აზარტული თამაშები მოეწონება. ეს კი სულიერი ნგრევაა.“

ადამიანმა ყოველგვარი ცოდვისაგან თავი რომ დაიცვას, აუცილებელია მეხამრიდი, ბოროტისა და ავის ცნობიერად ან გაუცნობიერებლად უარყოფა, მაგრამ ცოდვის გვერდით ყოფნა, იმავე ცოდვაში ჩავარდნის საფრთხის შემცველია. რადგან გაუთლელ და უვიც ადამიანებთან თანაარსებობა საბოლოოდ მათთან „შინაგან დაახლოვებასაც“ გამოიწვევს. ეს სიახლოვე დროთა განმავლობაში „გულის სიახლოვეში“ გადაიზრდება და ადამიანს ნაბიჯ-ნაბიჯ წაიყვანს განადგურებისკენ.

მესნევი: *„ფარისევლებთან მეგობრობის უბედურება ის არის, რომ მორწმუნესაც მათ მსგავსად დაამახინჯებს და მეამბოხედ აქცევს.“* (ტ. 2, 2892)

უზნეობის გამოვლინების უკანასკნელი ზღვარი უთანხმოებაა. ისლამში ფარისევლობის საფეხური „ურწმუნოების საფეხურზე“ უარესია, რადგან სხვა ადამიანის შეცდომაში შეყვანა უფრო მძიმე ცოდვაა, ათეიზმი, რომელიც სხვის რწმენას არ შეურაცხყოფს და არ ცდილობს მისი მრწამსის შერყევას. ამ გადასახედიდან, მეგობრობისა და ერთად ყოფნისგან ყველაზე მეტი ზიანი მათ ადგებათ, ვინც ურწმუნოებს თანამზრახველად იქცევენ. რადგან გონებრივი კავშირი დროთა განმავლობაში ღრმა სიახლოვეში გადადის, ეს მორწმუნის სულიერი დაცემისა და იმედგაცრუების მიზეზი ხდება. წმინდა მევლანა, ზემოთ მოცემულ ბეითში, ამ ჭეშმარიტებაზე მიანიშნებს.

მესნევი: *„რადგანაც, ჩვენი შეხედულებით, რამდენიმე სახის ავადმყოფობა არსებობს; წადი და შენი შეხედულება მეგობრის მოსაზრებას შეუერთე.*

ჩვენი შეხედულების სანაცვლოდ მეგობრის შეხედულების მოწონება, ე.ი. გაცემულის ნაცვლად სამაგიეროს აღება რა სარფიანი გარიგებაა?! შეხედულებაში ყველა მისი საწადელი ჩანს.“ (ტ. 1, 921-922)

ჭეშმარიტი მეგობარი ცდილობს თქვას სიმართლე ,თუნდაც მწარე. თუკი მეგობარი შეამჩნევს, რომ ამხანაგი დაზარალდება სიმართლის უთქმელობის შემთხ-

ვევაში, მას აუცილებლად ეტყვის მანამდე დაფარულს. მევლანა სხვა ბეითებში ამ ჭეშმარიტებას გადმოგვცემს ადამიანის ენით, რომელმაც მასთან რჩევის საკითხავად მისულ ადამიანს დახმარებაზე უარი უთხრა:

„ერთმა კაცმა, რაღაც საკითხთან დაკავშირებით, ვერაფრით მიიღო გადაწყვეტილება. იმისათვის, რომ გადაწყვეტილება მიეღო და ყოყმანისგან გათავისუფლებულიყო, ის ერთ უცხო ადამიანთან რჩევის სათხოვნელად მივიდა, მისი აზრის გაგება ისურვა.

ადამიანმა, რომელსაც მან რჩევით მიმართა, უთხრა: „მესიამოვნა რომ მენდე და რჩევის მისაღებად მომართე. მაგრამ მე შენი მეგობარი არ ვარ! მოძებნე სხვა და რჩევაც იმას ჰკითხე!

მე შენი მეგობარი არ ვარ და რჩევას ნუ მთხოვ! იმის რჩევა, კი ვინც შენი მეგობარი არ არის, წარმატებას არ მოგიტანს!

წადი და ის მოძებნე, ვინც შენი მეგობარია! უეჭველია, რომ მეგობარს მეგობრისთვის სიკეთე უნდა.

მე შენი მეგობარი არ ვარ, ჩემი მსგავსი ადამიანი შენ სარგებელს ვერ მოგცემს! მე არასწორად ვიმსჯელებ, მცდარი გზით წავალ და საჭირო სიტყვას ვერ გეტყვი.

ადამიანი, რომელიც კარგ ადამიანებთან მეგობრობს, ღუმელშიც რომ იჯდეს, გეგონება, რომ ვარდის ბაღში ზის.

მაგრამ თუ ბაღში ზის მტერთან, რომელიც მეგობრად მიაჩნია, მაშინ ის ღუმელში მჯდარი ადამიანის

თანაბარია.

მოუხმე გონებას, ეგოისტობამ არ შეგიპყროს და გულწრფელი მეგობარი არ დაამცირო, შეურაცხყოფა არ მიაყენო!“

მესნევი: *„გული ყოველი მეგობრისგან საკვებსა და სულიერ საზრდოს, ყოველი ცნობისაგან კი ამამაღლებელ სიამოვნებას იღებს და განიწმინდება.“* (ტ. 2, 1089)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეგობრის შერჩევაში სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. მევლანა ამ ბეითში მიუთითებს, რომ მხოლოდ კარგ ადამიანებთან მეგობრობაა სასარგებლო და შედეგიანი. საერთოდ, განწყობა და ამა თუ იმ ადამიანის ხედვა გადამდებია. მათი გადაცემის არხი კი სიყვარულია. ერთი ადამიანი მეორე ადამიანის განწყობის ზეგავლენის ქვეშ იმის მიხედვით ექცევა, რამდენადაც ეს ადამიანი უყვარს. სიძულვილი ამ სულიერ ვაჭრობას აბრკოლებს, სიყვარული კი „გულის ვაჭრობას“ იმდენად აძლიერებს, რა დოზითაც მასშია განთავსებული.

მესნევი: *„შენ სალი ქვა ან მარმარილოს ნატეხიც რომ იყო, მგრძნობიარე გულის პატრონთან მოხვედრისას საგანძურად იქცევი.*

წრფელი და წმინდა ვაჟკაცების სიყვარული გულ-

ში განათავსე. ბრძენთა თანაგრძნობის გარდა გული არაფერს დაუთმო.

უიმედობისაკენ ნუ წახვალ, იმედის კარები არსებობს. წყვდიდის მხარეს ნუ მიმართავ, როცა მზე ბრწყინავს.

გული შენ ბრძენთა სამყოფელისკენ გეზიდება, სხეული კი წყლისა და თიხის ნაგებობისაკენ მიგათრევს.

გონება მოიკრიბე, გულის ამხანაგს ესაუბრე და ამ გზით გულს საკვები მიაწოდე." (ტ. 1, 722-726)

ვნება ადამიანს სულმდაბლობისაკენ უბიძგებს. ამიტომაც, ისე როგორც დაუმორჩილებელ, შმაგ ცხენს წრთვნის პატრონი, საჭიროა ადამიანმაც საკუთარი თავი ცოდნის, ღვთისმსახურებისა და ალლაჰის გზაზე სვლით სულიერების ატმოსფეროში აღზარდოს.

საკუთარი თავის სრულქმნისთვის ცოდნა საჭიროა, მაგრამ არაა საკმარისი. რადგან მცოდნე ადამიანმა თავისი ცოდნა შორსმჭვრეტელობად და შედეგიან საქმედ უნდა აქციოს. ამგვარად, გონებისა და გულის ერთობლივი და ჰარმონიული ფუნქციონირებაა საჭირო დადებითი შედეგის მისაღებად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მშრალმა ცოდნამ ადამიანს შეიძლება სიამაყის, ეგოისტობისა და განადგურებისკენ უბიძგოს.

ვნება რამდენიმე საფეხურს შეიცავს. ყველაზე დაუმორჩილებელი ვნება – **„ემმარე"**, ადამიანს მუდმივად ბოროტების ქმნისაკენ უბიძგებს; თანმიმდევრული გაწაფვით სული **„ლევვამე", „მულჰიმე"** და **„მუთმაინ"**

საფეხურებამდე ამაღლდება. მაშინ ეს შმაგი ვნება დამორჩილებულ პატრონს აღვირახსნილი ცხენის მსგავსად იქ წაიყვანს, სადაც ისურვებს. ნამდვილი მონა-მსახურება ამ საფეხურზე ჩნდება. ალლაჰის ნებასურვილით ის წინ წაიწევს და **„რადიე“, „მერდიე“** და **„სრულყოფილების“** საფეხურებამდე ამაღლდება. ამ მდგომარეობის მიღწევის პირობა და სათავე წმინდანებთან ერთად ყოფნა, მათი გულის სიყვარულის მოპოვებაა. თავდაპირველად ვნება ამას ეურჩება და ადამიანს სულმდაბალ პიროვნებებთან ყოფნას აძალებს. მაგრამ ისევე როგორც ყოველი სირთულისას ერთი გამოსავალი აქაც არის. (და საკმარისია ამ გამოსავლის მოძებნა.) მეორე მხრივ, ადამიანს ანგელოზისთვის კუთვნილ საფეხურამდე ამაღლება საკუთარი თავის აღზრდის წყალობით შეუძლია. წმინდა ადამს ღმერთის ბრძანებით ანგელოზებმა სეჯდე შეუსრულეს, რაც იმის განსახიერება იყო, რომ ადამიანი ვნებაზე მბრძანებლობდა. ანგელოზი ღმერთის კეთილგანწყობას ისე მოიპოვებს, რომ მას ამ გზაზე არავითარი დაბრკოლება არ ხვდება. ადამიანს კი ამის მისაღწევად ვნებებისა და დაბრკოლებების მუდმივი გადალახვა სჭირდება. სწორედ ამ მიზეზით, ადამიანის მიერ ღმერთთან დასაკავშირებლად მოპოვებული გამარჯვება ანგელოზების მორჩილებაზე უფრო მაღალ საფეხურზე დგას.

მესნევი: *ნამდვილ „მეგობარს მეგობრის ტანჯვა-წამება რარიგად უმძიმს? ტანჯვა-წამება ჩვენი სხ-*

ეულის შიგნითა ნაწილის მსგავსია. მეგობრობა კი მის კანს ჰგავს. ამიტომ მეგობრობისთვის დამახასიათებელი სირთულეებისა და პრობლემების ტვირთვა რთულია. მეგობარი ოქროს მსგავსია. უბედურება კი ცეცხლს ჰგავს. ხალასი ოქრო ცეცხლში გამჭვირვალე ხდება." (ტ. 2, 1459-1461)

არსებობს გამოთქმა **„ადამიანს ტანჯვა აწრთობს, ფოლადს-ცეცხლი."** მართლაცდა, წყალობის მსგავსად დარდიც ჩვენთვის სასიკეთოდაა. იმის საფრთხე კი დიდია, რომ ამ ორი გამოვლინებისას ადამიანს ფეხი დაუცდეს. მწუხარებისა და განსაცდელის ჟამს თუკი მოთმინებას არ გამოვამჟღავნებთ, თუკი არ ვიტვირთავთ მას, როგორც ღვთაებრივ განსაზღვრულობას და პირიქით, არ დავეთანხმებით, არ ვისარგებლებთ მათგან, ე.ი. ღვთის ნებას არ დავემორჩილებით და ავუჯანყდებით, ეს განადგურებასთან მიგვიყვანს. წყალობაც ამგვარია. თუკი წყალობას ალლაჰისგან გარდმოვლენილად ჩავთვლით და მისი მადლიერი ვიქნებით ის ხვავისა და ბარაქას მიზეზი გახდება. მაგრამ მას საკუთარ დამსახურებად თუ ჩავთვლით, სიამაყე მოგვიცავს და უბედურებას დავატეხთ თავს.

წმინდანები, ესე იგი, ამაღლებული სულის ადამიანები, შემეცნებისა და წვდომის უნარს ისეთი ზეშთაგონებით ივითარებდნენ, რომ ისინი სადარდებლიდანაც და წყალობიდანაც თანაბრად გამარჯვებული გამოდიოდნენ, ზარალი არ ადგებოდათ. ასეთ ადამიანებს შეუძლიათ თქვან: „დარდიც სასიამოვნოა და წყალობაც!" ღვთის წყალობით, ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ ასეთ ადამიანებად ვიქცეთ. დარდისგანაც და წყალობისგანაც ნამდვილი სარგებლობის მისაღე-

ბად მხოლოდ ზემოთ დასახელებულ მიზეზებს კი არ უნდა ჩავუფიქრდეთ, არამედ ძირეულ მიზეზებს უნდა ჩავუღრმავდეთ. ეს ალლაჰის კმაყოფილებასთან არის დაკავშირებული. ვინც ამის გაკეთებას შეძლებს ღმერთის ნება-სურვილს აღასრულებს და მის სიყვარულს მოიპოვებს. ზემოთ მოცემულ ბეითში წმინდა მევლანა ზუსტად ამას გამოხატავს.

მესნევი: *„თუკი ჩვენს თავს დატეხილი უბედურების ქარი ძლიერ დაუბერავს და ჩვენი ცხოვრების სანთელს ჩაქრობით დაემუქრება, სწრაფად ვიმოქმედოთ და მიმქრალი სანთლით სხვა სანთელი ავანთოთ.*

იმ ორი სანთლისგან თუკი ერთ-ერთს ქარი ჩააქრობს, მეორეთი მაინც განვაგრძოთ ცხოვრების გზა.“ (ტ. 6, 3108-3109)

წმინდა მევლანა ზემოთ მოცემული ბეითით გვირჩევს უიმედობაში არასდროს არ ჩავცვივდეთ. ოღონდ გამოვიჩინოთ სიფხიზლე მაშინ, როცა მოსალოდნელია ფეხი დაგვიცდეს. რაკი უდიდესი ღმერთი ადამიანებს უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მიტევებას ჰპირდება, საკმარისია გულით მონანიება.

მესნევი: *„აჰ, ჩვენგან განსხვავებული მეგობრის მიერ მოყენებული სატანჯველი! აჰ, მათ მიერ ჩვენს გულში გაჩენილი ღრმა ჭრილობები! დიდებულო ადამიანებო, მოუხმეთ გონებას და თქვენთვის კარგი მეგობრები, შესაბამისი ამხანაგები მოძებნეთ!“* (ტ. 6, 2950)

„გონს მოეგე და გარეგნობამ არ მოგატყუოს,მხოლოდ ლამაზ სურათს არ სცე თაყვანი; მსგავსი შინაარსის სიტყვაც არ უთხრა! საგანს ან მოვლენას ერთი და იგივე საზომით, ერთი კუთხით ნუ მიუდგები, სურათს გარეგნული ეფექტით ნუ განსაზღვრავ!“ (ტ. 6, 2953)

მეგობრობა პოზიტიური და ნეგატიური თვისებების გაერთიანებით საზრდოობს. ჭეშმარიტი მეგობრობა მხოლოდ გულწრფელ სულებში ჰპოვებს თავშესაფარს. ამ თვისებას მთელი თავისი სულქმნილებით,ადამიანის ყველაზე მაღალ პიროვნულ საფეხურებში ვხვდებით. რაიმე საკითხის ან მოვლენის მიმართ ორი ადამიანი მსგავს გრძნობას თუ განიცდის, მსგავს დამოკიდებულებას თუ ამჟღავნებს, მათ შორის ნამდვილი მეგობრობაა. ის ორ გულს შორის გაბმული გადამცემი ხაზია, რომლითაც სიყვარული და მისი ყველა გამოვლინება სიყვარულის ობიექტში უკლებლივ გადადის. გულში არსებული სიყვარულის ზღვა აღელვებას და მისი მზის სხივები აალებაას იწყებს. აქედან გამომდინარე, ადამიანებისთვის რომელთაც საერთო გრძნობები არ აერთიანებთ,ამხანაგობისა და მეგობრობის განცდა უცხოა. მაგალითად,მიუხდავად იმისა,რომ აბუ ლეჰები წმინდა შუამავლის ღვიძლი ბიძა იყო,მისგან ყველაზე შორს მდგომი უბედური გახლდათ.

ჭეშმარიტი მეგობრობა

ნამდვილი სიყვარული დანაკარგსა
და სირთულეებს წყალობით ცვლის,
სიყვარულის დარდს კი ტკბობად და
სიამოვნებად გარდაქმნის. იმისათვის, რომ
გავიგოთ რამდენად ძლიერია პიროვნების
სიყვარული და განვსაზღვროთ მისი დონე,
საკმარისია ვნახოთ რამდენ ხანს შეუძლია მას
ამ განცდით გამოწვეული ტკივილის აცანა.

ჭეშმარიტი მეგობრობა

სიყვარული ორ გულს შორის გაბმული გადამცემი ხაზია. ამ გრძნობით შეპყრობილი თავისი სიყვარულის ობიექტის ხატებას გულით ატარებს. მთელ თავის შესაძლებლობებს გულწრფელად სთავაზობს მას და მსგავსი თავგანწირულობის მიუხედავად უშფოთველად და უდრტვინველად ცხოვრობს.

საყოველთაო აზრის მიხედვით მეგობრობა ადამიანებს შორის პოზიტიური და ნეგატიური თვისებების ერთობას ეფუძნება. ნამდვილი მეგობრობა დიდი პიროვნებების წმინდა სულებში ჰპოვებს თავშესაფარს. მეგობრობის მწვერვალზე აყვანა კი ორი ადამიანის მიერ ერთი მოვლენისადმი საერთო გრძნობით განმსჭვალვით, ორ სხეულში ერთი გულის ჩასახლებითაა შესაძლებელი.

ადამიანს აღაფრთოვანებს ის ფაქტი, როცა თავის გულს საყვარელ არსებას უძღვნის. სიყვარულისთვის დამახასიათებელი ზემოქმედების უნარის მეშვეობით მასში საყვარლის ყველა მდგომარეობა უკლებლივ გადადის. ამ დროს, გულში არსებული სიყვარულის ზღვა აღელვებას და სიყვარულის მზის სხივები აალებას იწყებს. შედეგად ობიექტი საკუთარ სურვილებს და მოთხოვნილებებს უარყოფს და საყვარლის მიბაძვას იწყებს. აქედან გამომდინარე, მორწმუნემ უნდა იცოდეს, რომ ყველა საკითხში სიყვარულის ელექსირი უნდა გამოიყენოს.

რაკი ნამდვილ სიყვარულს სირთულეების წყალობით ანაზღაურება ახასიათებს, ის შეყვარებულის

დარდსაც წყალობის მსგავსად სასიამოვნოს ხდის. იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ რამდენად ამაღლებულია ადამიანის სიყვარული და განვსაზღვროთ მისი დონე, საკმარისია გამოვცადოთ ის, რამდენ ხანს შეძლებს მიჯნურობით მიყენებული ტკივილის ატანას.

წმინდა მევლანა იმ აზრს, რომ ნამდვილი სიყვარული და მეგობრობა მეგობრისგან წამოსულ ტანჯვა-წამებასაც კი სიამოვნებით იღებს, ღმერთის ნება-სურვილზე დამორჩილებითა და მინდობით, შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„ერთ ბატონს სტუმრად მისულმა ახლო მეგობრებმა საჩუქრად ნესვი მიუტანეს. მან თავის საყვარელ, გულის მესაიდუმლე, ღრმა გრძნობებით განმსჭვალულ, ერთგულ მსახურს, ლოყმანს დაუძახა.

ლოყმანი როგორც კი მოვიდა, ბატონმა ნესვს ერთი ნაჭერი ჩამოაჭრა და მას შესთავაზა. ლოყმანმა ის ნაჭერი თაფლივით, შაქარივით შეჭამა. ისეთი სიამოვნებით მიირთვა, რომ მის შემხედვარეთ მადა აღეძრათ და შეშურდათ კიდეც. ბატონმა ერთი ნაჭერი კიდევ შესთავაზა. რადგან ის ლოყმანის ამ ქმედების ცქერით სიმშვიდეს განიცდიდა. საბოლოოდ ნესვისგან ერთი ნაჭერი დარჩა. მაშინ ბატონმა თქვა:

„ამას მე შევჭამ და გავიგებ რამდენად ტკბილი ნესვი იყო!“

ბატონმა ის ნაჭერი შეჭამა თუ არა, ნესვის სიმწარისგან პირში ცეცხლი მოედო. ენაზე გამოაყარა, ყელი ჩაეწვა. ნესვის სიმწარისგან გონება დაკარგა. შემდეგ ლოყმანს უთხრა:

„ჩემო ძვირფასო მსახურო! ჩემო სამყაროვ! ასეთი საწამლავი ტკბილად როგორ მიიღე? ასეთი დარდი წყალობად როგორ ჩათვალე? ეს რა მოთმინებაა? ვინ იცის აქამდე რამდენი სიმწარე მოგითმენია მსგავსი სიმშვიდით! თუ შენ ტკბილი სიცოცხლის მტერი ხარ? რატომ არაფერი თქვი? რატომ არ თქვი: „მაპატიეთ, ახლა ვერ შევჭამ!“

ლოყმანმა უთხრა:

„მე თქვენი, ე.ი. ჩემი ბატონის ხელით იმდენი ტკბილი და (მატერიალურად და სულიერად) უცხო, გამორჩეული საკვები მიმიღია, მაგრამ ამისთვის სანაცვლოდ არაფერი გადამიხდია და სირცხვილის გამო ორად მოკეცილვარ, თქვენგან შემოთავაზებულზე როგორ შემეძლო მეთქვა: „ეს მწარეა, ვერ შევჭამ მეთქი?!“ რადგან თქვენს მიერ მოწოდებული, თუნდაც მწარე, მე ტკბილი მეჩვენება, რადგან ჩემი სხეულის ყველა უჯრედი, თქვენი სიკეთეებითაა გამოკვებილი.“

ლოყმანმა თავისი მღელვარებითა და სიყვარულით აღსავსე სიტყვები ასე გააგრძელა:

„ჩემო ბატონო! თქვენგან წვნეული სიმწარის ან უსამართლობის გამო თუკი გისაყვედურებთ მიწა გამისკდეს. მოწყალე ხელის მიერ მოწოდებული ნესვი სიმწარეს როგორ დატოვებს? სიყვარულისგან ხომ ცხარე ტკბილი ხდება და მისი წყალობით სპილენძი ოქროდ გარდაისახება. სიყვარულით ნალექი იწმინდება; გაუქარვებელი დარდები იკურნება, მკვდრები ცოცხლდებიან და ხელმწიფეები ნაცრად იქცევიან. სიყვარულისგან საპყრობილე ვარდის ბაღად გადაიქცე-

ვა, ჩაბნელებული სახლები განათდება, შუქით აივსება; ნებისმიერი სახის ცეცხლი მხოლოდ სხივად, უსახური კი ფერად გარდაისახება. სიყვარულისგან დარდი და მწუხარება სიხარულად იქცევა, გზას აცდენილი და გზის გადამკვეთი კი გზის მაჩვენებლად და ბედნიერების გიდად. სიყვარულის წყალობით ავადმყოფობა ჯანმრთელობად, დარდი კი წყალობად გარდაიქმნება.“

სიყვარული შემოქმედის მიერ ჩვენთვის წყალობად გარდმოვლენილი გრძნობისკენ გადახრაა. ამიტომ, გულში არსებული სიყვარულის დონე იმ სიმაღლისა უნდა იყოს, რასაც ჩვენი გრძნობის ობიექტი იმსახურებს. აქედან გამომდინარე, გულში არსებული სიყვარულის ნიჭის უკანასკნელი ადრესატი ალლაჰია. მაგრამ იმისათვის, რომ ადამიანურმა გულმა შეძლოს ალლაჰისთვის დამახასიათებელი უზენაესი სიყვარულის ტვირთვა, საჭიროა მანამდე სახიერი, უბრალო, ადამიანური სიყვარულით გამოიწრთოს და ღმერთის სიყვარულთან ნაბიჯ-ნაბიჯ მივიდეს.

ადამიანი, რომელიც სიყვარულის მთავარ ადრესატს და მასთან შეხვედრის მოსალოდნელ ბედნიერებას დაივიწყებს; რომელიც იმ საფეხურებისაგან, როგორებიცაა: ქონება, ადგილ-მამული, სიმდიდრე, ოჯახი, შვილები და სხვა – ერთ-ერთზე შეჩერდება, თავის შინაგან სამყაროს, გრძნობას ზიანს მიაყენებს. ამიტომაც, საჭიროა არასდროს დაგვავიწყდეს, რომ ეს ყველაფერი წარმავალი, დროებითია. აუცილებელია, ისინი ღმერთის სიყვარულის მოსაპოვებელ საშუალებად გამოვი-

ყენოთ. ამ საფეხურთა თანმიმდევრული განვლით ჩვენ შეგვიძლია გამოვიმუშაოთ ალლაჰის სიყვარულის სატარებლად სამუშაოს ნიჭი. წარმავალი სიყვარულის ღვთაებრივ სიყვარულად მოქცევა რწმენისგან სიამოვნების მიღების საშუალებაა. ყველა, ვინც შეძლებს ადამიანური მღელვარების გადალახვას, სრულყოფილ რწმენასთან ზიარებას, დაუსრულებელი სურვილებისა და სიამოვნებებისათვის ხაზის გადასმას, ადვილად მიხვდება, რომ ადამიანის შექმნის მთავარი მიზანი მისი სიყვარულის ღმერთისკენ მიმართვაა.

წარმავალი არსებობის ვნებისა და სურვილებისგან გათავისუფლებული ადამიანი ღმერთს ემორჩილება და უკვდავიყოფა. ამიტომ, მას შემდეგ, რაც მისი სხეული მიწას შეუერთდება, ის მაინც გააგრძელებს სიცოცხლეს. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი მეჯნუნია, რომელმაც ლეილას მიმართ ნაგრძნობი სიყვარულის მეშვეობით ღმერთის სიყვარული მოიპოვა. მისი ლეილასადმი სიყვარული რომ დასრულებულიყო, ის ერთ-ერთი იქნებოთა ათასობით წარმავალი სიყვარულის მატარებელთა შორის. შედეგად, მის სახელსაც აღარ გაიხსენებდნენ საუკუნეების განმავლობაში, ის წარსულში დაიმარხებოდა.

ის, თუ რამდენად მართალი და ჭეშმარიტია გრძნობა, მხოლოდ მისი ბწკარებში ამოკითხვით კი არა, გულში არსებული სიყვარულით, საქმით იცნობა. გული წარმავალ სიყვარულის ცდუნებისაგან თუ დაიხსნის თავს და მის საფეხურებს გადალახავს, ის ღმერთის სიყვარულით აივსება და აი, მაშინ ყველა საიდუმლო, ჭეშმარიტება და სილამაზე მის გულში აირეკლება. ამ გა-

დასახედიდან, ადამიანის მარადიულ ბედნიერებასთან მიმყვანი ჭეშმარიტი მეგობრობა „ღმერთთან გაბმული მეგობრობაა“.

ქვემოთ მოცემულ ნოველაში გადმოცემული ბატონისა და ყმის საუბარი, ღმერთთან მეგობრობის ჭეშმარიტ სილამაზეს წარმოსახავს:

„ერთმა კაცმა მონა იყიდა. მონა მორწმუნე, ღვთისმოშიში ადამიანი აღმოჩნდა. მათ შორის შემდეგი ხასიათის დიალოგი გაიმართა:

ბატონი:

„რის ჭამას ისურვებდი ჩემს სახლში?“

„რასაც მომცემ, იმისას.“

„როგორი ტანსაცმლის ჩაცმას ისურვებდი?“

„როგორ ტანსაცმელსაც შემომთავაზებთ, იმას ჩავიცვამ.“

„ჩემი სახლის რომელ ოთახში ისურვებდი გაჩერებას?“

„რომელ ოთახშიც გინდა რომ გავჩერდე, იმ ოთახში.“

„რა საქმის გაკეთებას ისურვებდი ჩემს სახლში?“

„რა საქმეც თქვენ გსურთ რომ გავკეთო, იმ საქმის.“

ამ ბოლო პასუხის შემდეგ ბატონი ერთხანს ჩაფიქრდა, თვალებიდან ჩამოდენილი ცრემლი მოიწმინდა და თქვა:

„ნეტა, მეც შემძლებოდა ღვთის მიმართ ასეთი მეგობარი ვყოფილიყავი, მაშინ რა ბედნიერი ვიქნებოდი!“

ამ დროს მონამ იკითხა:

„ჩემო ბატონო! ნუთუ თავისი ბატონის გვერდით მონას საკუთარ ნება-სურვილის წარმოჩენის ან არჩევანის გაკეთების საშუალება აქვს?“

„შენ გათავისუფლებ. დაე, იყოს ალლაჰის წყალობა! თუმცა ისიც მინდა, რომ ჩემს გვერდით დარჩე, რათა მთელი ჩემი არსებითა და ქონებით მოგემსახურო.“

ვინც ალლაჰს შესაბამისად იცნობს და მის მიმართ წრფელი განცდები ამოძრავებს, მასში საკუთარი არც ნება-სურვილი დარჩება და არც არჩევანი. ის მხოლოდ ასე იტყვის:

„იქ, სადაც ალლაჰის ნება-სურვილი არსებობს, მე რადა უნდა მსურდეს?!“

ღმერთის მოყვარულმა მორწმუნემ უნდა შეიმეცნოს, რომ სინამდვილეში ის არაფრის მფლობელი არ არის. ვინაიდან, აუცილებელია, საყვარელს ყველაფერი გადასცე. სიყვარული თავგანწირვას მოითხოვს და ამიტომ მფლობელობას არ შეესაბამება. სიყვარული გულში ბუნებრივად წარმოშობს მატერიალურ და სულიერ პატივისცემას და სიმპათიას; რაც მისივე სიძლიერის შესაბამისად განხორციელდება. ამიტომაცაა, რომ ადამიანები ყველაზე დიდ ხარკს სიყვარულის სანაცვლოდ იხდიან. ამ ხარკის სახეც ჩვენში არსებული გრძნობის

სიწმინდეზე და ჭეშმარიტებაზეა დამოკიდებული და თავგანწირვა შეიძლება იმ დონემდე მივიდეს, რომ საყვარლის სასარგებლოდ მიჯნურმა სიცოცხლეზეც კი თქვას უარი. ამ საკითხთან დაკავშირებით უდიდესი ღმერთი აიათში ბრძანებს:

„ვერ მისწვდებით სიკეთეს სრულად, ვიდრემდის არ იმწყალობებთ იმათთაგან, რაც გიყვართ!“ (სურა ალი იმრანი, აიათი 92)

ამ გადასახედიდან ღვთის მოყვარული და ჭეშმარიტი სიყვარულის ერთგული ადამიანი **„თავის სულს, ყოველგვარ შესაძლებლობებს და შედეგს“** მას ჩააბარებს, რადგან ალლაჰისა და შუამავლის მეგობრობა და სიყვარული არის ის დონე, რომელსაც ყველა მორწმუნემ შეიძლება მიაღწიოს.

ნამდვილი მეგობრობისა და სიყვარულის პირობაა, რომ საყვარლის გვერდით შეყვარებულს არავითარი ნება-სურვილი არ გააჩნდეს. წმინდა იბრაჰიმის მაგალითი, ღმერთთან მეგობრობის, არაჩვეულებრივი მაგალითია:

როდესაც ნემრუდმა ის ცეცხლში ჩააგდო, წმინდა იბრაჰიმმა მის საშველად მოსულ ანგელოზებს უთხრა:

„ვინ არის ცეცხლის ამგზნები? მან ჩემი ყველა მდგომარეობა იცის. მე თქვენ არაფერს გთხოვ: – (მეგობრებს შორის ნუ ჩადგებით).“

ამგვარად, ღმერთისადმი ნდობის წყალობით, მთასავით ცეცხლი ვარდის ბაღად გადაიქცა.

წმინდა იბრაჰიმი ღმერთს აგრეთვე შეევედრა, რომ მისი მოდგმისგან შუამავალი დაბადებულიყო. უდიდესმა ღმერთმაც მოხუცებულობაში მას შვილი უწყალობა. იბრაჰიმს პირმშო ძალიან უყვარდა. მისმა სიყვარულმა მამის გულში ტახტი დაიდგა. უზენაესმა იბრაჰიმის მეგობრობისა და რწმენის გამოცდის მიზნით მისი ერთადერთი ვაჟის მსხვერპლად შეწირვა მოითხოვა. შვილისადმი უსაზღვრო სიყვარულის გამო, მამამ ნანახ სიზმარში ეჭვი შეიტანა. მაგრამ სიზმარი სამჯერ რომ განმეორდა, დარწმუნდა. ე.ი. იბრაჰიმს გადაწყვეტილების მიღებამდე ეშმაკი აცდუნებდა და მის მრუდე გზაზე დაყენებას ცდილობდა.

მაგრამ ჭეშმარიტმა რწმენამ გაიმარჯვა და იბრაჰიმმა მხოლოდშობილი ძე ღმერთის სიყვარულით მსხვერპლად შესაწირად წაიყვანა. უზენაესმა მისი ეს გადაწყვეტილება ღირსეულად შეაფასა და იბრაჰიმს ყოჩი მოუვლინა,რათა სწორედ ის მიეძღვნა გამჩენისთვის. მან ბრძანა:

„...იბრაჰიმ, შენს სიზმარს უერთგულე. ჩვენ სიკეთის მქმნელთ ასე ვაჯილდოვებთ. ეს მართლაცდა ძალიან მძიმე გამოცდა იყო.

ჩვენ, შვილის სანაცვლოდ, მას დიდი ყურბანი ვუბოძეთ და მომავალ თაობაში კარგი სახელი დავუტოვეთ. იბრაჰიმს სალამი ვუთხარით.“ (ეს-საფფათ, აიათები 104-105)

ამგვარად წმინდა იბრაჰამის მიერ ღმერთისადმი გამომჟღავნებული უდიდესი მეგობრობის მაგალითი მთელ კაცობრიობას წარედგინა.

ის, ვინც უზენაესის მეგობარია, შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერი შექმნილის მეგობარია. ისინი უზენაესის ქმნილებებს ღვთაებრივი გადასახედიდან უცქერიან. მეგობრობის მწვერვალზე მყოფი წმინდა შუამავალი მაშინ, როცა ტაიფში მას ქვებს ესროდნენ, ნამდვილ მეგობარს (ღმერთს), იმ მხარის ხალხისთვის შენდობას სთხოვდა.

ღმერთის მეგობართაგან მძიმე გამოცდის წინაშე აღმოჩენილი ჰალლაჯი მანსური წნეხის ქვეშ იმდენად მოექცა, ექსტაზს ვეღარ გაუმკლავდა და აკრძალული საიდუმლოებები გათქვა. რაკი ხალხმა მისი სულიერი მდგომარეობის შესახებ არაფერი იცოდა, მას ქვების სროლა დაუწყო. ამ დროს, ის მათდამი რისხვას კი არ გამოხატავდა, არამედ ღმერთს მათი მიტევებისკენ მოუწოდებდა:

„ღმერთო! ჩემზე ადრე ჩემს ჩამქოლავებს მიუტევე, რადგან მათ არ იციან ჩემი განცდილი. ისინი მხოლოდ რელიგიურ გულმოდგინებას ამჟღავნებდნენ როცა თავს მესხმოდნენ“!

ეს ფაქტი გვაჩვენებს ადამიანებთან როგორი მიტევებისა და ლმობიერების უნარის გამოჩენაა საჭირო. ამავდროულად, ის არის ღვთისგან ქმნილთათვის ღვთაებრივი გადასახედიდან შეხედვის თვალსაჩინო მაგალითი.

ადამიანი შორსმჭვრეტელი გახდება ვნებისა და დაბრკოლებების გადალახვით, გატაცებებისა და ტანჯვის

მიმართ მოთმინების გამოჩენითა და მომვლენელის წინაშე კმაყოფილების გმოხატვით. ესენი სულიერი აღმასვლის გზაზე მომხდარი ზეგავლენის ანარეკლებია. ამიტომაც, დიდი ჯილდოთი და მეგობრობის ნიჭით, დიდი წინააღმდეგობების მოთმინებითა და სიმტკიცით ამტანები ჯილდოვდებიან ხოლმე.

ამ საფეხურზე მყოფი მორწმუნეების გადასახედიდან, ამქვეყნად დარდსა და სიხარულს ერთი ფასი აქვს, რადგან მას შემდეგ რაც მათი გული წუთისოფელს მოსწყდა, სიხარული და დარდი თანასწორი გახდა. მათ იციან, რომ სიკეთე და ბოროტებაც ღმერთისგან მოდის და ამას ჯერდებიან.

რა ლამაზად გამოხატავს ქვემოთ მოცემული ბწკარები ამ ჭეშმარიტებას:

მსიამოვნებს შენგან ყველა:
ვარდის კვირტი, ეკალის კბენა,
სუდარაში გამოწყობა,
წუხილი და მაღლა რბენა.

ერთი შეხედვით, იოლად წასაკითხი ამ ბწკარების ცხოვრებაში განხორციელება, მსგავსი ფიქრისა და სურვილის რეალური ხორცშესხმა რთულია და მხოლოდ ღმერთის კმაყოფილების მოპოვების საშუალებითაა შესაძლებელი. საჭიროა, ამაო სიფრთხილის გამოვლენის მიზნით, მოვლენებზე დასწრებასა და ქმედებებში ინდეფერენტულობას მოვერიდოთ. ვინაიდან, იმ შემთხვევაში, თუკი უდიდესი ღმერთი გამოგვცდის, რამდენად გულწრფელია ჩვენი ნათქვამი, საშიშია, რომ ბევრი ადამიანი ამ გზის გავლას უბრალოდ ვერ შეძლებს.

მოკლედ გულის ნეტარებისა და შინაგანი თავისუფლების მოპოვება, ალლაჰისგან ბოძებულის მიმართ კმაყოფილების გამომჟღავნებითაა შესაძლებელი. ამის საწინააღმდეგო არც ერთი მოქმედება სარგებელს არ მოიტანს. წმინდა მევლანა ბრძანებს:

„მანამ, სანამ ალლაჰის ბოძებულით არ დაკმაყოფილდები, სიმშვიდისა და ხსნის მიზნით სადაც არ უნდა გაიქცე, იქ უბედურება დაგხვდება; უბედურება მოვა და კვლავ შენ ამოგიღებს მიზანში.“

„უნდა იცოდე, რომ ამ წარმავალ ქვეყანას არც ერთი კუთხე არ გააჩნია, ჩვენთვის დაგებული ხაფანგის გარეშე. ამიტომ, საკუთარ თავში ღმერთის აღმოჩენისა და მასზე თავშეფარების გარდა, სხვა ხსნა და სიმშვიდის მოპოვების გზა არ არსებობს. შეხედე, ამ წარმავალი სამყაროს ყველაზე სანდო ადგილებში მცხოვრებნი და ისინი, ვინც ყველაზე ძლიერებად ითვლებიან, საბოლოოდ სიკვდილის კლანჭებში აღმოჩნდებიან.“

„შენ წარმავალი ხაფანგებისგან საიმედო თავშესაფარს კი ნუ ეძიებ, მხოლოდ ალაჰს მიენდე! მხოლოდ მას შეუძლია განგკურნოს – საწამლავის მოწოდებით და პირიქით, წყალი საწამლავად გიქციოს!“

ღმერთო! ჩვენ, შენი უსუსური მონა-მსახურები, ალლაჰის მეგობრებისთვის ნიშანდობლივი გულის კლიმატით დაგვაჯილდოვე და მისით გვასარგებლე.

„...მათთვის შიში არ არსებობს და არც მწუხრდებიან...“ (სურა იუნუსი, აიათი 62)

გვარგუნე ამ აიათის სიბრძნისგან წილის მიღების ბედნიერება!

ამინ!

მესნევის მიხედვით

მარადიული სიყვარული და ყოფიერების შუქი

მესნევი: *„მოდი გულო! ნამდვილი დღესასწაული წმინდა მუჰამმედთან შეხვედრაა, რადგან ეს ქვეყანა სწორედ მისი უწმინდესი და ულამაზესი შუქისგანაა განათებული.“* (ტ. 6, 161)

მარადისობაში თავისთავად არსებულმა ღმერთმა ისურვა, რომ ადამიანებსა და ჯინებს, თავიანთი შემეცნების შესაბამისად, შეეცნოთ ის და ამის შედეგად მისთვის ღვთისმსახურება შეესრულებინათ, ამიტომაც შექმნა მან სამყარო. პირველად უზენაესმა **„მუჰამმედის შუქი“** შექმნა. ამ საკითხთან დაკავშირებით ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„როცა ადამი სულსა და სხეულს შორის იმყოფებოდა, მე შუამავალი ვიყავი.“ (თირმიზი, მენაქიბი, 1)

ასე,რომ შუამავლის ნამდვილი საგანძური მისი შუქი ე.ი. უზენაესის მიერ პირველად ქმნილი ნათელი იყო, ხოლო ხორცშესხმულ შუამავლად ის უკანასკნელი შუამავლის ჟამს მოგვევლინა. შუამავლობის კალენდრის ათვლა სწორედ **„მუჰამმედის შუქის“** შექმნით დაიწყო, ხოლო მისი ბოლო ფურცელიც ე.წ. **„სხეული მუჰამმედით“** სრულდება.

მუჰამმედის შუქი **„მუჰამმედის ჭეშმარიტების“** არსი და საფუძველია. ისევე როგორც ძვირფასი ქვა მისი ღირებულების ნიშნად ძვირფასსა და დახვეწილ ფუტლიარში ინახება, ასევე პატივისცემითაა გამსჭვალული **„მუჰამმედის შუქის“** წინაშე ყველა არსება. ისინი ხომ მისი ძლიერების წარმოსაჩენად შეიქმნენ. ამის მიხედვით ე.წ. შესაქმეს პირველი მიზეზი უდიდესი ღმერთის არსებობა, მეორე მიზეზი კი –**„მუჰამმედის შუქია.“** ერთ ჰადისში ნაბრძანებია:

„ადამმა, სამოთხიდან გამოდევნის მიზეზად ქცეული შეცდომა რომ დაუშვა, დანაშაულს მიხვდა და თქვა:

„ღმერთო! მუჰამმედის ხათრით, გთხოვ, მაპატიო.“

უდიდესმა ალლაჰმა ბრძანა:

„ადამ! მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ არ შემიქმნია, საიდან იცი მუჰამმედის შესახებ?“

ადამმა მიუგო:

„ღმერთო! მას შემდეგ რაც მე შემქმენი და სული შთამბერე, თავი რომ ავიღე შენი სამყოფლის სვეტზე წარწერა შევნიშნე: „ლა ილაჰე ილლალლაჰ, მუჰამმედუნ რასულულლაჰ“ (არ არსებობს ღმერთი გარ-

და ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია). ამის შემდეგ მივხვდი, რომ შენ სახელს მხოლოდ შენთვის უსაყვარლესი ქმნილების გვერდით თუ დაწერდი!

ამაზე ალლაჰმა ბრძანა:

„მართალს ამბობ ადამ! ის ჩემთვის ყველა არსებაზე უფრო საყვარელია. თუკი მისი ხათრისთვის მევედრები პატიებას – გპატიობ! იცოდე, მუჰამმედი რომ არ ყოფილიყო არც შენ შეგქმნიდი!“ (ჰაქიმი, მუსთედრექი, II, 672, ბეიჰაქი, V, 488-489)

სიყვარული ადამიანის გულის ჭეშმარიტი არსებობის პირველი ნიშანია. ამგვარი არსებობისა და განწყობის მოპოვების უპირველესი საშუალება უდიდესი ალლაჰისა და მისი საყვარელი შუამავლის სიყვარულია.

მესნევი: *„შვილო! იცოდე რომ მთელი სამყარო ცოდნით და სილამაზით სავსე ჭურჭელია. მაგარამ ისიც იცოდე, რომ ეს ალლაჰის ტიგროსში ის ერთი წვეთია, რომლის გამომჟღავნების შესაძლებლობაც არ არსებობს. ის დამალული ხაზინა იყო და იმის გამო, რომ ძალიან სავსე იყო – გაიპო, საკუთარი თავი გამოავლინა. შედეგად, მიწა ცაზე უფრო მბრწყინავი გახდა; ის დაემსგავსა ატლასჩაცმულ სულთანს.“* (ტ. 1, 2860-2863)

ალლაჰი დროისა და ადგილის გაგებას არ ექვემდებარება. ის დროისა და ადგილის უგულებელყოფით, მხოლოდ თავისთვის ცნობილი სახით, არსებობს სამყაროში. უდიდესი ღმერთის ამგვარი ყოფიერება უცი-

ლობელი, გარდაუვალი, სხვა ქმნილებების არსებობა კი – შეფარდებითი და პირობითია.

მარადისობაში თავისთავად არსებულმა და თავისი არსებობით დამოუკიდებელმა ღმერთმა, იმისათვის რომ ადამიანებსა და ჯინებს მათი შემეცნების შესაბამისად გულის კარები გაუღოთ და მისთვის ღვთისმსახურება შეესრულებინათ, სინდისის აუცილებლობიდან გამომდინარე, „სიმრავლის სამყაროდ“ წოდებული, ეს ქვეყანა შექმნა. ერთ წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„მე დაფარულ ხაზინაში ვიყავი...“ (ისმაილ ჰაქქი ბურსევი, ქენზი მაჰფი)

ეს ჰადისი ცდილობს შეგვამეცნებინოს იმ სამყაროს არსებობის მიზეზი, სადაც ვცხოვრობთ.

მესნევი: *„რამდენად საცოდავია ადამიანი, რომლის შინაგანი სამყაროც ღმერთის სიყვარულით არ არის გამთბარი, შესაძლოა ამის გამო ის ცხოველზე უფრო დაბლაც კი იდგეს. რადგან „ასჰაბი ქეჰფის“ ძაღლმაც კი სიყვარულზე დაფუძნებული საზოგადოება მოძებნა, სულიერი სიხარული მოიპოვა და იმ სუფთა ადამიანებთან ერთად სამოთხე დაიმკვიდრა.“* (ტ. 2, 1425; 1428)

„ასჰაბი ქეჰფი“ მორწმუნე და მონოთეისტი ახალგაზრდებისგან შემდგარი ჯგუფი იყო, რომელთა შესახებ ყურანშია ნაამბობი. ამ ახალგაზრდებმა გადაწყვიტეს ეცხოვრათ რწმენის მიხედვით და დაშორებოდნენ იმ საზოგადოებას, რომელიც ურწმუნოებაში, უზნეობასა და უსამართლობაში ცხოვრობდა. მათ თავიანთი რწ-

მენის შესახებ საჯაროდ განაცხადეს, მაგრამ იმის გამო, რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, უსაფრთხოების მიზნით თავი ქალაქგარეთ მდებარე გამოქვაბულს შეაფარეს. გზაში მათ ძაღლი შეუერთდა, სახელად კიტმირი. ის მათ გამოქვაბულში ყოფნისას დარაჯობდა. ერთხელ, ამ მორწმუნე ახლგაზრდებს იმ მხარის მმართველი დაკიანუსი და ჯარისკაცები დაედევნენ, მათ გამოქვაბულამდე სდიეს, შემდეგ კი მათი დახოცვის მიზნით გამოქვაბულის შესასვლელი ამოქოლეს. ერთი შეხედვით, გამოუვალი სიტუაციიდან, ისინი ალლაჰმა იხსნა. მათ სასუფეველი დაიმკვიდრეს, რადგან სიკვდილზე ამაღლდნენ. ისინი სიკვდილმა მიატოვა და ალლაჰის წყალობით, ამ ახალგაზრდებს სამასი წლის განმავლობაში ეძინათ, მხოლოდ შემდგ გამოიღვიძეს.

წმინდა მევლანა,ყურანში,ამ ახალგაზრდების შესახებ საუბრისას, კიტმირის მდგომარეობას აქცევს ყურადღებას. ის გვამცნობს, რომ ნამდვილი რწმენითა და სიყვარულით გაჯერებულ ადამიანებთან ერთად ყოფნამ ძაღლსაც კი შეაძლებინა სამოთხის მოპოვება და მასაც არგუნა არნახული ბედნიერება. მის ადგილზე სხვა ადამიანი რომ ყოფილიყო, ისიც უდიდეს სიკეთეს ეზიარებოდა. ეს მიუთითებს თუ რაოდენ ნაყოფიერია სანდო და ღვთისმოსავ ადამიანებთან ერთად ყოფნა. ამიტომ, მათთან ურთიერთობისკენ მოგვიწოდებს. უდიდესი ღმერთი კი ყურანში ბრძანებს:

„...იყავით სანდოებთან ერთად.“ (სურა თევბე, აიათი 119)

წმინდა შუამავალიც გვამცნობს, მიუხედავად იმისა,

რომ სამოთხეში ცხოველები არ არიან; კიტმირმა და კიდევ რამდენიმე ცხოველმა განსხვავებულობის გამო, იქ შესვლის უფლება მოიპოვეს.

მესნევი: *„სიყვარული ამღვრეულ წყალს გამჭვირვალეს ხდის. ნამდვილი სიყვარული მკვდარ გულებს აცოცხლებს და ხელმწიფეებსაც კი მონებად აქცევს!..“* (ტ. 2, 1530-1531)

მევლანას მიერ სიყვარულზე რომ ის თქმული: „ამღვრეულ წყალს გამჭვირვალეს ხდის“ მიუთითებს იმაზე, რომ სიყვარულს ადამიანის ცხოვრებაში ნაყოფიერება მოაქვს.

როგორც კი ნამდვილი სიყვარული გამომჟღავნდება წვალება – წყალობით შეიცვლება; სიძნელის გადალახვა – გაიოლდება. ადამიანი სიყვარულის გზაზე თანმხვედრი დაბრკოლებების დაძლევით ძალას, ღირსებასა და გამჭრიახობას იძენს. მოაზროვნე ინდივიდი ცხოვრების მანძილზე შეხვედრილ სიძნელეებს სიყვარულის წყალობით ანადგურებს და მინიმუმამდე დაჰყავს. შუამავლის თანამიმდევრები, ისლამთან დადებითი დამოკიდებულებისა და ღმერთისა და ალლაჰის შუამავლის სიყვარულის გამო, ამ უმაღლესი რწმენის საქადაგებლად ჩინეთში, სამერყანდსა და სტამბოლში მიდიოდნენ. არ ერიდებოდნენ რა რთულ და მტანჯველ მგზავრობას, ისინი ამით არც იღლებოდნენ, რადგან მათ მკერდში არსებული შუამავლობის მისიის კვალი და რწმენის სიყვარული ამ საშინელი მგზავრობის

ტანჯვა-წამებასაც სიამოვნებად გარდასახავდა ხოლმე. ფერჰათას ხომ მთების გახვრეტა მომაჯადოებელი, წარმავალი სიყვარულის წყალობით გაუადვილდა და ის ამ რთულ საქმეს სიამოვნებით აკეთებდა.

სიყვარული იმდენად ძლიერი და ამაღლებულია, რამდენადაც საყვარელი არსება. ამ გადასახედიდან ყველაზე ამაღლებული და ნაყოფიერი, ადამიანის მიერ ღმერთის სიყვარულია, რადგან არაფერი არსებობს, რომელიც მასზე დიდ სიყვარულს იმსახურებდეს, ვინაიდან სიყვარულის შემოქმედი სწორედ ის არის. აიათში ალლაჰის მიმართ სიყვარულით განწყობილ ადამიანებზე ნაბრძანებია:

„...ალლაჰისადმი მორწმუნეების სიყვარული კი ყველაფერზე უფრო წინ მდგომი და ძლიერია...“ (სურა ბაყარა, აიათი 165)

ადამიანები ყველაზე მაღალ საფასურს სიყვარულის გამო იხდიან. ფერჰათს შირინის გამო მთების გახვრეტა, მეჯნუნს კი ლეილას გამო უდაბნოში ცხოვრება ეადვილებოდა. თუკი **„დროებითი, მიწიერი სიყვარული“** ისეთი ძლიერია, რომ საყვარლისთვის თავგანწირვას არად დაგიდევს, მაშინ „ღვთიური სიყარულისთვის“ ათასჯერაც რომ გასწირო თავი-მცირეა. შეყვარებული თავისი გრძნობის საგნისათვის ამ გრძნობის ძალის შესაბამის მსხვერპლს გაიღებს და ზოგჯერ მთლიანად საკუთარ მეზე ამბობს უარს. ამიტომაც შუამავლის თანამიმდევრები სიცოცხლესა და ქონებას ალლაჰისა და შუამავლის გზაზე მსხვერპლად სწირავდნენ და ამას წყალობად მიიჩნევდნენ. ისინი წმინდა შუამავ-

ლის სულ მცირე სურვილზეც კი პასუხობდნენ:

„ჩემი დედ-მამა, ქონება, სიცოცხლე შენი ჭირის სანაცვლოდ იყოს, ალლაჰის შუამავალო!“

სულთან მეჰმედის ჯარისკაცები სასტიკ ბრძოლაში ქვემოთ მოცემული ჰადისით აღგზნებულები შედიოდნენ;

„რა თქმა უნდა, სტამბოლი განთავისუფლდება. მისი განმათავისუფლებელი მეთაური რა კარგი მეთაური, მისი განმათავისუფლებელი ჯარისკაცი რა კარგი ჯარისკაცია!..“ (აჰმედ იბნ ჰანბელი, IV, 335; ჰაქიმი, IV, 468/8300)

როცა ისინი რომაელთა ცეცხლში მოექცეოდნენ, ცდილობდნენ ბიზანტიურ ციხე-სიმაგრეზე აცოცებულიყვნენ და აღგზნებულები ამბობდნენ:

„დღეს ჩვენი ჯერია, რათა შეჰიდად დავეცეთ.“

ზემოთ მოყვანილი ადამიანური სიყვარულისთვის თავგანწირვის მაგალითებს თუ გავიხსენებთ, შეიძლება წარმოვიდგინოთ ადამიანში არსებული ალლაჰისა და შუამავლის სიყვარულმა (ე.ი. უმაღლესმა სიყვარულმა), რა ზღვარს შეიძლება მიაღწიოს. ამგვარ მდგომარეობამდე ამაღლება, საკუთარი წარმავლობის აღიარება, ნამდვილ მონა-მსახურობასთან მიღწევა და ალლაჰის წინაშე საკუთარი თავის არარაობის შემეცნებაა.

სულიერების ატმოსფეროში ღვთიური წყაროთი ნასაზრდოები სიყვარული, სამოთხის ბაღებში მოყვავილე ათასგვარი სურნელების მფრქვეველ ყვავილებს ჰგავს. დროდადრო მის ფოთლებს რომ შევეხოთ და ეს ყვავილები რომც გახუნდნენ, ისინი მაინც ისეთ

მხიარულებას შეინარჩუნებენ და სურნელებას მოაფრქვევენ ირგვლივ, როგორც გაზაფხულზე.

მაგრამ შესაბამის სიყვარულს თუკი ვერ ეზიარე, მაშინ შენი არსებობა წარმავალი ცხოვრების სამწუხარო გაფლანგვაა. სიყვარული, რომელიც მდაბალ ინტერესებს ემსახურება, ტროტუარის გასწვრივ გაშლილ ყვავილებს ჰგავს, მათ ფეხით გადათელვა და განადგურება ემუქრება. რაოდენ უბედურია ქუჩაში დავარდნილი ბრილიანტი; რა სამარცხვინოა უღირსი გულით გატაცება!

მესნევი: *„სხეულის დაუწველად ღვთიური სიყვარულის საიმოვნების შეგრძნება შეუძლებელია.“* (ტ. 1, 22)

ზემოთ მოცემული ბეითიდან გამომდინარე, თუკი შემოქმედისკენ სიყვარულით მიემართები და ამ სიყვარულის ხარისხს აამაღლებ წარმავალი არსება და ყველაფერი, რაც მასთანაა დაკავშირებული მნიშვნელობას დაკარგავს. „მე“ ღმერთის არსებაში ჩაიკარგება.

მანამ, სანამ გული არ გათავისუფლდება ხორციელი (მატერიალური) სიკეთეებისა და მათი სიყვარულისგან, ამქვეყნად ღვთიურ სიყვარულს ვერ მოიპოვებს, მისი წყალობების მადლს ვერ შეიგრძნობს. ე.ი. ღმერთის სიყვარული სრულყოფილად ვერ განხორციელდება მანამ, სანამ გული ამქვეყნიური სიყვარულისგან არ განიწმინდება.

წმინდა მევლანა ბრძანებს:

„არ დაემსგავსო წვეთს, რომელსაც ქარისა და მიწის ეშინია! რადგან ისინი წვეთს ანადგურებს. ქარი მას აშრობს, მიწა კი შეიწოვს! მაგრამ თუკი წვეთი ზღვაში მოხვდება, მზის მცხუნვარებისგანაც იხსნის თავს, ქარისგანაც და მიწისგანაც... ის მთელი არსებით ზღვაში ჩაიკარგება, მაგრამ მისი რაობა და ჭეშმარიტება მუდმივად დარჩება როგორც ზღვის შემადგენელი ნაწილი!

როგორც კი წარმავალი არსება საკუთარ თავს მარადიულ არსებას მიაბარებს, ისიც მარადიული და უკვდავი გახდება! ამ სამყაროში წვეთის მსგავსო ადამიანო!.. გონს მოეგე და იმისათვის, რომ ნამდვილ ბედნიერებას ეზიარო, შენი არსება ღმერთს დაუნანებლად მიაბარე! მიაბარე და ერთი წვეთის ნაცვლად ზღვად იქეცი, უკიდეგანოდ გარდაისახე! გონს მოეგე; შენი არსება უმაღლეს მიზანს შესწირე, ზღვის მუჭში მოექეცი და ვნების დერეფნებში განადგურებისგან თავი იხსენი!“

მესნევი: *„სიყვარული, მეგობრობა და მსგავსი გრძნობები ერთგულებასთან არის დაკავშირებული და მუდმივად ერთგულ ადამიანებში ეძებენ თავშესაფარს. ისინი ვერაგ გულს არ მიუახლოვდებიან.“* (ტ. 5, 1165)

ერთგულებას ადამიანში მისი გაწონასწორებულობა და გრძნობის სტაბილურობა იწვევს. ისეთი სიყვარულით, მაისის ღრაჭას მსგავსად რომ ქრება და ინთება, ვერსად მიხვალ. მტკიცე ნების ადამიანი რაკი ღვთიურ

სიყვარულს ერთხელ იგემებს, იმ გზიდან აღარ გადაუხვევს და მანამ ივლის სწორხაზოვნად სანამ მისი წარმავალი არსება ისულდგმულებს. არასტაბილურ ადამიანში კი შემოქმედის სიყვარული დიდხანს ვერ იარსებებს. ამგვარი ადამიანები ვერ შეიმეცნებენ თუ რა სიკეთეს ფლობენ. სრულყოფილი შემეცნების უნარი რომ ჰქონდეთ მისი საშუალებით მიღებული სიამოვნება უკანასკნელ ამოსუნთქვამდე გაჰყვებათ.

ეს იმას ნიშნავს,რომ სიყვარული ადამიანის გულში სტაბილურ ნიადაგსა და მის შედეგს – ერთგულებას თუ ვერ იპოვის, იქ თავს ვერ შეაფარებს. ღვთაებრივი და ამაღლებული სიყვარული ცარიელ გულში ადგილს ვერ დაიმკვიდრებს.

ერთგულება და თავგანწირვა გულის დონის მაჩვენებელი ყველაზე სანდო და შეუცდომელი კომპასია. თავგანწირვისგან თავის არიდება და უერთგულება უქონლობა სიყვარულისა და მეგობრობისათვის ღალატია.

მესნევი: *„მდინარის დინება მთავრდება იქ, სადაც ის ზღვას ერწყმის და მის ერთ ნაწილად იქცევა.“* (ტ. 4, 2619)

„ჩვენ მიერ შეჭმული პური ჩვენს არსებაში აღწევს და ჩვენივე სხეულში განაწილდება. (შეყვარებული ადამიანის არსებაც, სიყვარულის სიძლიერის შესაბამისად, საყვარელ არსებაში იკარგება).“ (ტ. 1, 3166)

„სიყვარული რომ არ ყოფილიყო ჩვენ როგორ ვი-

არსებებდით? როგორაა ის, რომ პური თავის თავს შენ გიძღვნის; მოვა, შენ სხეულს შეერწყმება და შენს ნაწილად იქცევა!

პურმა საკუთარი თავი შენ მოგცა, შენში გადმოინაცვლა! ასე რატომ მოხდა? –სიყვარულისგან, სურვილისგან! წინააღმდეგ შემთხვევაში, პურს შენს სხეულში სიცოცხლის საშუალებას მიცემდნენ?

სიყვარული მკვდარ პურსაც კი სიცოცხლეს ჩუქნის; წარმავალი სიცოცხლე შენ გიერთდება, მარადიული ხდება!" (ტ. 5, 2012-2014)

სიყვარული, საყვარელსა და მის საგანს აერთიანებს და ერთიმეორის არსებაში კარგავს.

გრძნობის გაზრდასთან ერთად იმატებს იმ ყველაფრის გაგების სურვილი, რაც საყვარელ არსებასთანაა დაკავშირებული. მაგალითად თუკი ადამიანს ვინმე ძლიერ უყვარს, აინტერესებს ის ქალაქი სადაც ის დაიბადა, იმ ქალაქის ბინადარნი და იმ ადამიანების მდგომარეობა, რომელთა მდგომარეობაც საყვარელი არსების მდგომარეობის მსგავსია, ისინი, ვინც მის სახელს ატარებენ და ა.შ. ამას სიყვარულის **„სიღრმისეული შეგნება"** ეწოდება და ნაბიჯ-ნაბიჯ ხორციელდება. ცნობილ პაკისტანელ მოაზროვნეს, მუჰამმედ იქბალს, მევლანა ჯალალედდინ რუმი იმდენად უყვარდა, რომ თვითმფრინავი თურქეთის საჰაერო სივრცეში როგორც კი შევიდოდა, მღელვარებისგან თავისდაუნებურად ფეხზე დგებოდა და ამბობდა:

„უკვე მევლანას სამშობლოში შევედით!.."

მედინამ ადამიანების გულში ბინა იმიტომ დაიდო, რომ იქ უკანასკნელი შუამავალი ცხოვრობდა. წმინდა შუამავლისა და მისი ქალაქის – **„მედინას“** ხსენებისას გულებს თბილი სიო ელამუნება. უჰუდიც იმიტომ იქნა ასიათასობით მთას შორის გამორჩეული, რომ ის წმინდა შუამავალს განსაკუთრებით უყვარდა.

როცა სიყვარული ასე ფართოვდება და ყველა არსებას მოიცავს მისი სახელი **„სრულყოფილი სიყვარულია“;** ხოლო არსება, რომელთანაც ყველა სხვა არსებაა დაკავშირებული, მხოლოდ ღმერთია. რადგან ყველა მათგანი შეიქმნა ალლაჰის შემოქმედებითი ნიჭისა და უნარისგან სულ მცირედის გაღებით. ეს მცირედია სიტყვა – **„იქმენ.“** ასე რომ ნამდვილი, მწვერვალს მიწვდენილი სიყვარული მხოლოდ მისი ალლაჰისკენ მიმართვით შეიძლება განხორციელდეს. ალლაჰთან კავშირით ეს სიყვარული ყველა არსებაში შედის და სამყაროს აღქმას აწყებინებს. ასეთ დროს, გველი თავზარდამცემ არსებად აღარ ითვლება. თუმცა მოვლენებისა და არსებებისადმი ამგვარი საზომით მიდგომა და მსგავსი სიყვარული, მხოლოდ და მხოლოდ ალლაჰისთვის დამახასიათებელი თვისებაა.

ჩვენ, ალლაჰისთვის დამახასიათებელ არაერთ თვისებას სხვადასხვა არსებას, განსაკუთრებით კი ადამიანს მივაწერთ. მაგალითად ადამიანებზე ვამბობთ – **„სწავლული“** ან **„სამართლიანი“** მაგრამ ვერ ვამტკიცებთ, რომ ადამიანი ალლაჰივით მცოდნე და სამართლიანია. ეს რომ განგვეზრახა პოლითეიზმს მივიღებდით, რადგან როცა ჩვენს უნარებს ალლაჰის გარდა სხვა არსების დასახასიათებლად ვიყენებთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ალლაჰი არავის და არაფერს არ ჰგავს.

ან კიდევ, როცა ვიღაცაზე ვამბობთ – **„მეცნიერი“** და **„სამართლიანი“,** გვსურს იმის თქმა, რომ ამ ადამიანს ადამიანური შესაძლებლობების ფარგლებში ამ ღვთიური თვისებებისგან წილი აქვს აღებული. სიყვარულიც ზუსტად ასეა. ამიტომაც ნამდვილი შეყვარებული უდიდესი ღმერთია.

წარმავალი ადამიანი ალლაჰის წყალობითა და სიყვარულით, გარემოცულ სამყაროში იმდენად **„შეყვარებულად“** შეიძლება ჩაითვალოს, რამდენადაც ის ამ წყალობიდან წილის მიღებისკენ იქნება ორიენტირებული. ამ საფეხურზე მყოფი ადამიანის მდგომარეობას ალლაჰის არსებაში ჩაკარგული ეწოდება. ესე იგი მან საკუთარი მე ალლაჰში მოაქცია, ყოველგვარი პირადი მოთხოვნებისგან განწმინდა, წარმავლობის მწვერვალს და სიამოვნებას მიაღწია. წვეთმა, რომელმაც ზღვის სიტკბოება იგემა, მისი წყალობისაგან წილი მიიღო და მასვე შეუერთდა.

რა კარგად გამოხატავენ ღვთის მეგობრები ამ მდგომარეობას:

„სადაც არ ხარ დამრჩენი,

იქაც არის გამჩენი.“

მესნევი: *„სიყვარული, ვნებისაგან იქნება წარმოქმნილი თუ სულიერებისგან, საბოლოოდ ჩვენი მეორე მხარეს გამყვანი გიდია.“* (ტ. 1, 111)

„უკვდავი და მარადიული ალლაჰის სიყვარული არჩიე, რომ შენს სულს საზრიანობა უწყალობოს, შენ კი

სიცოცხლე გიბოძოს.“ (ტ,. 1,219)

„შენ ისეთი საოცარი არსების სიყვარული არჩიე. რომლისგანაც ყოველმა შუამავალმა ძალა, პატივი და ბედნიერება მოიპოვა.“ (ტ. 1,220)

ყოველგვარი სიყვარული ადამიანს თავგანწირვისთვის ამზადებს და ეგოისტობისაგან ათავისუფლებს, ამიტომაც ის პიროვნებას ამაღლების გზაზე წარმატებით წარმართავს.

ქონებას, შვილსა და მეუღლეს ალლაჰის მიერ დადგენილი ზომიერების ფარგლებში თუ შევიყვარებთ, ეს ჩვენ მაღალ მიზნებთან დაგვაახლოვებს და ღმერთთან შეხვედრის გზაზე დაბრკოლებების გადალახვაში დაგვეხმარება. უზენაესის მიერ ნაწყალობევი სიყვარული კი ვნების ხელში სათამაშო იარაღად თუ იქცა, ის კერპად მოკვდავ ადამიანს დაგვისახავს, რაც მიუღებელია. წყალი, რომელიც გემის ქვეშ გაედინება, მას მგზავრობაში ეხმარება, მაგრამ თუკი ხომალდში შეაღწია, მისი ჩაძირვის მიზეზი გახდება.

გულის გამოკვება ისეთი გრძნობით, რომელიც ალლაჰისმიერი არ არის, შეუფერებელი საქციელია. წარმავალი სიყვარულით გატაცება დასაშვებია მხოლოდ იმ დოზით, თუკი უზენასის სიყვარულისკენ მიმავალ გზაზე ის დროებითი სადგურის მოვალეობას ასრულებს. გულში, ალლაჰის გარდა, ნებისმიერი სხვა არსებისადმი სიყვარული თუ გაიდგამს ფესვებს, ეს პოლითეიზმი იქნება. აიათში ნაბრძანებია:

„ვნებისა და გატაცების გამაღმერთებელი ადამიანი გინახავს?“ (სურა ფურქანი, აიათი 43)

ღვთიური სიყვარულისთვის ნიადაგის მოსამზადებლად, იმისათვის რომ გულმა ზეციური სიყვარულის უნარი შეიძინოს დიდი როლი აკისრია დროებით სიყვარულს, მაგრამ ასეთი სიყვარული დიდი საფრთხის მატარებელიც არის. მიწიერი სიყვარულისთვის დამახასიათებელი ქონებისა და შვილების სიყვარული ყველაზე მოსარიდებელია. ამიტომაცაა ყურანში ნაბრძანები:

„ქონება და შვილები თქვენთვის ცდუნებაა..“ (სურა ენფალი, აიათი 28)

ეს საფრთხე, ქონებისა და შვილებისადმი ნაგრძნობი მტკიცე და ძლიერი სიყვარულის ამსახველი და დამახასიათებელია. თორემ საზღვრებში მოქცეული, გაწონასწორებული სიყვარული, რომელიც დროებითია და ღმერთის სიყვრულისკენ მიმავალ გზაზე მხოლოდ სადგურის მოვალეობას ასრულებს, ნებადართულია.

მესნევი: *„მეგობარო, მიჯნურთა ცხოვრება სიკვდილის თანაბარია. სანამ გულს არ მისცემ, გულს ვერ იპოვი!“* (ტ. 1, 1751)

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შეყვარებული მზად არის საყვარლისთვის ნებისმიერი სახის მსხვერპლი გაიღოს და ეს მას მხოლოდ სიამოვნებას ანიჭებს. შუამავლის თანამიმდევრები ყველა შესაძლებლობას მსხვერპლის გასაღებ ხელსაყრელ საშუალებად აღიქვამდნენ. ისინი ალლაჰის შუამავლის ნებისმიერ სურვილზე ამბობდნენ:

„ჩემი სიცოცხლე, ჩემი ქონება შენი ჭირის სანაცვლო იყოს, ალლაჰის შუამავალო.“ ამგვარი შინაგანი მდგომარეობის მოპოვება ღმერთისადმი ძლიერი სიყვარულითაა შესაძლებელი. ამ თავისებურებიდან იოტისოდენა წილი იმ პეპლებს ერგოთ, რომელთაც **„ფარვანა“** ეწოდებათ. ისინი თავიანთ თავს სინათლის სიყვარულს ანაცვალებენ და ფერფლად იქცევიან. ამ ფაქტს მუჰამმედ იქბალი შემდეგნაირად გადმოსცემს:

„ერთხელ, ღამით ჩემს ბიბლიოთეკაში გავიგონე ჩრჩილი ფარვანას ეუბნებოდა:

„იბნ სინას წიგნებში დავიდე ბინა და ფარაბის ნაწარმოებები ვნახე. (მათი დაუსრულებელი, მშრალი ბწკარები დავიარე და ბწკარებში განლაგებულ ცივ ბგერებს შორის ვისეირნე, შემდეგ ისინი დავღრღენი. ფარაბის სრულქმნილ ქალაქად წოდებული მედინაც ქუჩა-ქუჩა განვვლე და პროსპექტ-პროსპექტ ვიხეტიალე, მაგრამ ეს ცხოვრებისეული ფილოსოფია ვერაფრით გავიგე. ქუჩების კოშმარულ მგზავრად ვიქეცი და აღმოვაჩინე, რომ არ არსებობს მზე, რომელიც დღეს გაანათებს...

ჩრჩილის ამ მოთქმაზე ფარვანამ დამწვარი ფრთები აახმიანა და მას მიუგო: „შეხედე! მე ამ სიყვარულის გამო ფრთები დავიწვი. სიცოცხლისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი მხოლოდ სიყვარულია. სიცოცხლისთვის ფრთების გამომსხმელიც სიყვარულია!..“

ფარვანამ საკუთარი დამწვარი ფრთების მაგალითით ჩრჩილს შემდეგი რამ უთხრა:

„შენ ამ ფილოსოფიის დაუსრულებელ აღმართებში

განადგურებისგან თავი დაიცავი! მესნევის სიყვარულის ნაყოფიერი ზღვისგან წილი მიიღე და ფრთები გამოისხი!“

სიყვარული თრთოლვით იწყება. ცხოვრების ოკეანის გადალახვა და ღმერთთან შეხვედრა ამ სიყვარულისა და თრთოლვის ნაყოფიერ და ბარაქიან ნიადაგზე ხორციელდება.

მარადიული სიყვარული და წმინდა შუამავალი

უნდა ვიცოდეთ, რომ ერთადერთი წყალობა და სიყვარული, რომელიც ალლაჰის უსასრულო ზღვასთან მიგვიყვანს, წმინდა მუჰამმედ შუამავალი და მისი სიყვარულია. ასე რომ წმინდა შუამავლის სიყვარული ალლაჰის სიყვარული, მისი მორჩილება ალლაჰის მორჩილება, მის წინააღმდეგ ამბოხი კი ალლაჰის წინააღმდეგ ამბოხებაა.

მარადიული სიყვარული და წმინდა შუამავალი

ერთ წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„მე საიდუმლო ხაზინა ვიყავი და ვისურვე სცოდნოდათ ჩემს შესახებ. ვცადე საკუთარი თავის შეცნობა და (ეს) სამყარო შევქმენი.“ (ისმაილ ჰაქქი ბურსევი, ქენზი მაჰფი)

აქედან გამომდინარე, სამყარო და ყველა არსება ღმერთის სიყვარულის შედეგად წარმოიშვა. ამიტომაც ის, ვინც სამყაროს გულის თვალით უცქერის ყველა ნივთს, ყველა არსებას სიყვარულის გამოვლინებად აღიქვამს. ის შეიმეცნებს, რომ უდიდესმა ალლაჰმა ყველა არსება თავისი სრულყოფილების მტკიცებულებად შექმნა. ღვთიური ხელოვნების საოცრება – ადამიანი კი სიყვარულის სრულყოფილი გამოვლინებაა.

წმინდა მევლანა ადამიანისთვის სიყვარულის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მესნევში შემდეგნაირად საუბრობს:

„იცოდე, რაოდენ საცოდავია ადამიანი, რომლის შინაგანი სამყაროც ღმერთის სიყვარულით არ არის სავსე. შესაძლოა ის თავისი სულიერი სიმწირით ცხოველზეც დაბლა იდგეს. ვინაიდან „ასჰაბი ქეჰფის“ ძაღლმაც კი სიყვარულით გაჯერებული საზოგადოება მოძებნა, იპოვა. იქ დამკვიდრდა და სულიერი სიამოვნება მიიღო. საბოლოოდ კი ამ არსებამ წმინდა მონა-მსახურივით სამოთხე მოიპოვა.“

ისევ ღმერთის მეგობრებმა იციან, რომ ქმნილებების წარმოშობის მიზეზი წმინდა შუამავალია, უდიდესმა ღმერთმა დიდი სიყვარულის გამო ეს სამყარო სწორედ მას მიუძღვნა.

შუამავლური კალენდრის
პირველი და ბოლო გვერდი

წმინდა შუამავალი იმის წყალობით, რომ ნეტარი ადამის შექმნამდე მისი შუქი შეიქმნა, ხოლო ხორციელი ბუნების შეძენის შემდეგ უკანასკნელ შუამავლად იქნა მოვლენილი, შუამავლური კალენდრის საწყის და უკანასკნელ გვერდად იქცა. აქედან გამომდინარე, ის შექმნის თვალსაზრისით –პირველი, დროის მიხედვით კი ბოლო შუამავალია.

იმის გამო, რომ ყველა არსების შექმნის მიზეზი მუჰამმედის შუქია, უდიდესმა ღმერთმა წმინდა შუამავალს მიმართა – **„ძვირფასო“!** უდიდესმა ღმერთმა წმინდა შუამავალი შინაგანი და გარეგნული ღირსებებით დაჯილდოვა და ის მთელ კაცობრიობას საჩუქრად უწყალობა.

ალლაჰის შუამავლის ცხოვრების სტილი, პრინციპი და მისი წმინდა პიროვნება, ადამიანური ქცევების სისტემის ყველაზე მიუღწეველ მწვერვალებს წარმოგვიდგენს. ვინაიდან უდიდესმა ალლაჰმა ის კაცობრიობისთვის უბადლო მაგალითად შექმნა. ამის გამოა, რომ მან არსებობა ადამიანური უსუსურობის ყველაზე დაბალი საფეხურიდან – „ობლობიდან“ დაი-

წყო, ცხოვრების ყველა საფეხური გაიარა და ძალისა და უფლებამოსილების ყველაზე მაღალ წერტილამდე, ესე იგი, სახელმწიფოს მეთაურობამდე და შუამავლობამდე ამაღლდა. ასე რომ ადამიანური ცხოვრების ნებისმიერ საფეხურზე მყოფ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მისი შესანიშნავი ქმედებები მაგალითად აიღოს და ის თავისი შესაძლებლობების ფარგლებში განახორციელოს.

იმ მომენტიდან, რაც უდიდესმა ღმერთმა მას შუამავლობა დააკისრა, ის განკითხვის დღემდე მოვლენილი ყველა ადამიანისთვის მისაბაძი ნიმუშია. აიათში ნაბრძანებია:

„ვფიცავ, რომ ალლაჰის შუამავალი თქვენთვის, ე.ი. იმათთვის, ვინც ალლაჰთან და განკითხვის დღესთან შეხვედრას იმედოვნებენ და უზენაესს მრავალგზის მოუხმობენ, ლამაზი მაგალითია.“ (სურა აჰზაბი, აიათი 21)

იმისათვის,რომ უფრო ღრმა რწმენა მოვიპოვოთ,მაღალი ზნეობა გამოვიმუშაოდ და საკუთარი ქმედებები სრულყოფილად ვაქციოთ, იმ წმინდა არსების ცხოვრება და მოღვაწეობა შესაბამისად უნდა შევისწავლოთ. ყველა ადამიანმა, ის რაც შეიმეცნა, თავისი შესაძლებლობების შესაბამისად უნდა შეასრულოს, საქმედ გარდასახოს. ის უნდა შეეცადოს, შეძლებისდაგვარად, მიბაძოს შუამავალს. ეს კი მისდამი ნაგრძნობი სიყვარულისა და მისი სულიერ სამოსში გახვევის სურვილის მიხედვით უნდა განხორციელდეს. ალლაჰის შუმავალი შუამავლობამდეც მონოთეისტური რწმენის ცხოვრების წესით ცხოვრობდა. როცა მისთვის შუამავლო-

ბის ბოძების დრო მოახლოვდა, ის ალლაჰს შეჰპირდა, რომ ნამდვილი მონა-მსახური იქნებოდა. შემდეგ ჰირას მთაზე დიდხანს განმარტოვდა და ღრმად ჩაფიქრდა.

ამ განმარტოების მიზეზი იყო ხალხში გამეფებული უკუღმართობის, უსამართლობისა და უკიდურესი გაჭირვებისგან მის გულში არეკლილი ტკივილი და მთელი სამყაროს თავისთავში მომცველი მოწყალება. სინამდვილეში კი ეს იყო მოსამზადებელი პერიოდი, რათა წმინდა შუამავლის გულის საშუალებით კაცობრიობას მარადიული ჩირაღდანი გადასცემოდა.

აიათში ნაბრძანებია:

„უთხარი: ის, ვინც ჯებრაილის მტერია იცოდეს, რომ ალლაჰის ნებართვით, ყურანი შენს გულში ჭეშმარიტების გიდად, მანამდე შექმნილი წიგნების მამტკიცებლად და მორწმუნეებისთვის სამახარობლოდ მან ჩამოიტანა.“ (სურა ბაყარა, აიათი 97)

ამ გამოვლინებებით მისი გულის სამყარო სრულიად განიწმინდა და იმ დონეზე ავიდა, რომ ზეშთაგონების მიღება შეძლო. ზეშთაგონებისთვის მომზადებულ იმ წმინდა გულს ექვსი თვის განმავლობაში „უტყუარი სიზმრები“ ესიზმრებოდა, რაც სულიერი მინიშნებები და ღვთაებრივი შთაგონება იყო. ამგვარად, მისთვის სულიერ სამყაროში არსებულ საიდუმლოებას ფარდა აეხადა. სწორედ ამ დროს გამომჟღავნდა მისი ფარული ნიჭი და უნარი ზეშთაგონების ტარებისა, რომელიც რიგითი ადამიანებისთვის შეუძლებელია.

მოკლედ, წმინდა შუამავალი ყველა შუამავლის კომპეტენციისა და მოვალეობების, ღირსებისა და ქცევე-

ბისგან შეიკრიბა, გამთლიანდა. ის სრულყოფილ ადამიანად ჩამოყალიბდა. გულის განწმენდის შემდეგ მას ასწავლეს უზენაესის წინაშე აღსასრულებელი მონა-მსახურება და სავედრებლები. მას ჰქონდა უმაღლესი ზნეობა, ამიტომაც შესანიშნავ მაგალითად იქცა.

მისტიციზმის განსაკუთრებულობა

მისტიციზმი არის, შინაგანი სამყაროს განწმენდითა და ალლაჰის ცნობის გზით, მისი სიყვარულისგან წილის მიღება, ღმერთთან შესახვედრად საწყის წერტილამდე მისვლა. წმინდა შუამავალში ნიადაგი ზეშთაგონების მისაღებად სწორედ გულის განწმენდით მომზადდა.

გულისა და სულის განსაკუთრებულ მდგომარეობასთან მიღწეულ, წმინდა შუამავალს ჯერ კიდევ ზეშთაგონების მოსვლამდე, ჰქონდა ამაღლებული ზნეობა. შესაბამისად, ღვთიური მითითებით ჰირას გამოქვაბულიდან რომ დაბრუნდა, ცხოვრების წინანდელი სტილი დიდი მანძილით ჰქონდა გადალახული და უმაღლეს საფეხურზე იმყოფებოდა. ამგვარად, უდიდეს ღმერთთან ღრმა და ძლიერი კავშირი გაიბა, მონოთეიზმისა და ღვთის შეცნობის შუქმა ყველა უჯრედი დაფარა, მონა-მსახურებაში ღვთისმოშიშობისა და მორჩილების მწვერვალს მიაღწია. ისე რომ, ღამ-ღამობით ფეხების დასიებამდე თვალცრემლიანი, მონა-მახურებას ეწეოდა და ღვთისმსახურებას ასრულებდა. თვალები რომც მიელულა, გული მუდამ ფხიზლად ჰქონდა. ალლაჰის მოხსენებას, ჭვრეტასა და შემეცნებას წუთითაც არ

სწყდებოდა.

ალლაჰის წყალობით გულის სრულყოფილებას მიღწეულმა შუამავალმა ჭეშმარიტების შესამეცნებლად ისლამის რწმენა მთელ კაცობრიობას უქადაგა. მისთვის დაკისრებული ამ უზენაესი მისიის განხორციელებამ ის უმაღლეს მწვერვალზე აიყვანა. მან ყველა ამქვეყნიური შეთავაზება, რომელიც მოვალეობის შესრულებაში ხელს შეუშლიდა უყოყმანოდ უარყო და ღმერთის მონა-მსახურება ყველაზე მაღალ საფეხურზე დააყენა.

შედეგად, ღვთისადმი მადლიერების გამომხატველი, გულის ბოროტი ფიქრებისა და აზრებისაგან განმწმენდი, ყველა არსებისათვის ღმერთისადმი თავშესაფარის მოპოვების მომწოდებული – ყურანი (განკითხვის დღემდე) ადამიანებისთვის ჭეშმარიტების გიდად იქცა. კაცობრიობის ქმედებების სწორი გზით წარმმართველი გიდი კი წმინდა შუამავლის მიერ (თავისი ცხოვრების მანძილზე) მომზადებული სუნნეთი-სენიეა.

უნდა ვიცოდეთ, რომ მოწყალებისა და სიყვარულის ერთადერთი წყარო, რომელიც ალლაჰის სიყვარულის ზღვასთან მიგვიყვანს წმინდა შუამავალია. ასე რომ წმინდა შუმავალის სიყვარული – ალლაჰის სიყვარული, მასზე მორჩილება – ალლაჰისადმი მორჩილება; მის წინააღმდეგ ამბოხი ალლაჰის წინააღმდეგ ამბოხს ნიშნავს. ამის მიხედვით, ადამიანისთვის შუამავლის მიერ პატივდებული და აღიარებული არსება – ე.წ. სიყვარულია.

მისტიციზმი წმინდა შუამავლის გარეგან და შინა-

გან ცხოვრებას აერთიანებს, ის დიდი სიყვარულითაა შედუღაბებული, ამიტომ წმინდა შუამავლის ყველა მდგომარეობა მისტიციზმის გამოვლინებაა.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მისტიციზმი შედგება სიყვარულით სავსე გულიდან არეკლილი ნაყოფიერი ცვარისგან, რომლებსაც სათავე ადამისთვის „სულის შთაბერვით“ დაედო და ბოლო შუამავალში სრულყოფილების გამოვლინებით დასრულდა.**

მესნევის მიხედვით

შუამავლის ზნეობა

მესნევი: *„მე ისეთ არსებაზე ვარ შეყვარებული, ვისაც ყველაფერი ეკუთვნის, ვინც ყველაფერი შექმნა. ჩემი გონება, სიცოცხლე და სულიც მისი მეგობრობის სამსხვერპლოზე დაიწვა.“* (ტ. 3, 4136)

ტრფიალების ნიჭსა და მის ყველაზე უმაღლეს გამოვლინებას სიყვარული ეწოდება. თუკი თავის უკანასკნელ მიჯნაზე სიყვარული მხოლოდ უზენაესისადმი იქნება მიმართული, ის სრულყოფილებას მიაღწევს. ამის პირობა კი საფეხურ-საფეხურ **„დროებით სიყვარულად“** წოდებული ადამიანური სიყვარულის ფაზების გავლაა. ამ გზაზე ყველაზე ნაყოფიერი შუამავლის სიყვარულია. რადგან უდიდესმა ღმერთმა ის სამყაროსთვის წყალობად, საჩუქრად მოავლინა.

ზემოთ მოცემულ ბეითში, მევლანას განცხადებით შესაძლებელია შუამავალი იმდენად გიყვარდეს, რომ მას მსხვერპლად შეეწირო. მისი თანამიმდევრები ამის

ყველაზე გამორჩეული მაგალითებია. ალლაჰის შუამავლის სულ მცირე თხოვნაზე ისინი ამბობდნენ: „ჩემი სიცოცხლე, ჩემი ქონება შენი ჭირის სანაცვლო იყოს, ალლაჰის შუამავალო!...“

მესნევი: *„ადამიანებო! თქვენ, ყველანი ერთმანეთის მიმართ ფარა და მწყემსები ხართ. შუამავალი კი ყველა თქვენთაგანის მწყემსია. ხალხი ცხვრის ფარას ჰგავს; შუამავალი კი მათი მწყემსია.*

მწყემსს საკუთარი სამწყსოზე ზრუნვა არ აშინებს. ის მათ სიცხისა და სიცივისგან იცავს.

მწყემსი ფარას რომც გაუწყრეს, იცოდე, მათივე სასარგებლოდაა და სიყვარულის გამოვლინებაა.“ (ტ. 3, 4146-4148)

მევლანა, ზემოთ მოცემულ ბეითში, ადამიანებს **„ფარას“** იმიტომ კი არ უწოდებს, რომ ისინი დაამდაბლოს; ამას იმისთვის ამბობს, რომ გავისიგრძეგანოთ მათი მართვის აუცილებლობა. ჰადისში ნაბრძანებია:

„თქვენ ყველანი მწყემსები ხართ და აქედან გამომდინარე პასუხისმგებელნი მათზედ ვისაც მწყემსავთ!“ (ბუჰარი, ჯუმა 11, ისთიქრაზ 20; მუსლიმი, იმარე 20)

ეს ნათელს ხდის, რომ ყველა ადამიანს აქვს მმართველობის უნარი და ამ უნარისგან წარმოშობილი პასუხისმგებლობა. ალბათ ბევრჯერ გვინახავს, რომ მწყემსს ფარას ჩამორჩენილი, ავადმყოფი და სუსტი ცხვარი მკერდში ჩაკრული მიჰყავს, რათა სხვა დან-

არჩენებს დააწიოს. მმართველის საუკეთესო თვისება: მოწყალება, გულისხმიერება, გულწრფელობა და პასუხისმგებლობის დიდი გრძნობაა.

მესნევი: „ყურანი შუამავლების სულიერი ატმოსფერო და ამ ატმოსფეროს დახასიათებაა. როცა წაიკითხავ, ჩათვალე რომ თვით შუამავლებს, წმინდანებს შეხვდი!

თუკი ყურანი წაგიკითხავს, მაგრამ მისი ბრძანებები არ გაგითვალისწინებია და მისი ზნეობით არ გიცხოვრია, შუამავლებსა და წმინდანებთან შეხვედრა შენ რა სარგებელს მოგიტანს?

შუამავლის ნოველებს, როგორც კი შესაბამისად წაიკითხავ და შეიმეცნებ, სულს სხეული გალიად მოეჩვენება." (ტ. 1, 1516-1518)

ყურანი იმისთვის იქნა მოვლენილი, რომ ადამიანებს ჭეშმარიტება შეამეცნებინოს, მათ ამქვეყნიური და იმქვეყნიური ბედნიერება მოაპოვებინოს. ის, ამ მიზნის უზრუნველსაყოფად, ჭეშმარიტების შემეცნებას განსხვავებული მეთოდებითა და განცხადებებით, რამდენიმე თემაზე დაყრდნობით ახორციელებს. ამ თემებში მნიშვნელოვანი ადგილი შუამავლებისა და იმ ტომების ნოველებს უკავია, რომელთათვისაც ისინი იქნენ მოვლენილნი. ამ ნოველების გულისყურით წამკითხავი ადამიანები შუამავლების და ღვთისმოსავი პიროვნებების სიკეთითა და სულიერებით სავსე ცხოვრებიდან ისწავლიან ბოროტებასთან ბრძოლის წესებს და საკუ-

თარ არსებობას მხოლოდ სიკეთეს დაუკავშირებენ.

იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს ყურანში მოცემული ნოველების საჭიროებისამებრ გამოყენება, საჭიროა ამისათვის ადამიანის შინაგანი სამყარო წინასწარ იყოს მომზადებული. ის ფაქტი, რომ ადამიანები ხშირად ყურანში მოცემული აზრების მნიშვნელობაზე არ ფიქრობენ, იქედან მომდინარეობს, რომ მათ გულებს ბოქლომი ადევთ. აიათში ნაბრძანებია:

„ისინი ყურანზე დეტალურად არ ფიქრობენ? თუ გულზე ბოქლომი ადევთ?“ (სურა მუჰამმედი, აიათი 24)

ამ აიათის მიხედვით ყურანის არსის წვდომისათვის, მისი შეგრძნებისათვის და მასში ჩადებული საიდუმლოებების ცოდნისათვის სრულყოფილი გულია აუცილებელი. რადგან ყურანის საიდუმლოებები გულის სრულყოფილების შესაბამისად იხსნება. იმის გამო, რომ ყურანის ყველაზე დიდი კომენტატორი წმინდა შუამავალია, ჰადისებს კომენტარების მნიშვნელობა აქვს. წმინდა შუამავლის შემდეგ ყურანის ყველაზე დიდი და ცნობილი კომენტატორები ცოდნით განთქმული და წმინდა შუამავლის გულის ცხოვრებას ნაზიარები ბრძენი პიროვნებებია. ამ საკითხთან დაკავშირებით მევლანა ბრძანებს:

„ყურანი ყველაზე კარგად მათ ესმით, ვინც მისი ზნეობის მიხედვით ცხოვრობენ.“

ჭუჭყში დამხრჩვალ და გაშავებულ გულებს ყურანთან არაფერი აქვთ საერთო. მაგალითად, დასავლელი აღმოსავლეთმცოდნეები, რომლებიც ისლამს იკვლევენ, და მის შესახებ ცოდნას ფლობენ, მაგრამ შორს არიან

გულის მიერი ცხოვრებისაგან, ყურანის საიდუმლოებებს ვერ ჩასწვდებიან და ჭეშმარიტებას ვერ შეიცნობენ. უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

„...მათ, ყველა სასწაული ერთად რომ ნახონ, არ ირწმუნებენ! სწორი გზა რომ დაინახონ, მას არ გაყვებიან! მაგრამ თუკი მცდარ და უზნეო გზას შენიშნავენ, მაშინვე მას დაადგებიან. ასე იმიტომ ხდება, რომ ისინი ჩვენს აიათებს უარყოფენ და ყურადღებას არ აქცევენ.“ (სურა აარაფ, აიათი 146)

ყურანის წაკითხვის მიზანი კი ის არის, რომ მისი შესაბამისი ზნეობით აღვიჭურვოთ. წმინდა შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, როცა აიშეს მისი ზნეობის შესახებ ჰკითხეს, მან უპასუხა:

„მისი ზნეობა ყურანისგან შედგებოდა.“ (მუსლიმი, მუსაფირინი, 139; ნესაი, ქიამეთულ ლეილ 2)

ყურანის კანონების მიხედვით, შეიძლება ადამიანი ანგელოზზე მაღალ საფეხურზე დავაყენოთ. მევლანა ხსენებულ ბეითებში აღნიშნავს, რომ ყურანის კითხვას შეუძლია ადამიანი წმინდა შუამავალის ზნეობით აღჭურვოს. ყურანის ზნეობას წმინდა შუმავლი „ღვთიურ ზნეობად“ მოიხსენიებს და თავის მიმდევრებს მიმართავს:

„უდიდესი ალლაჰის ზნეობით შეიმოსეთ!“ (მუნავი, ეთ თეარიფ, გვ. 564)

ქვემოთ მოცემული იბნ აბბასის ამბავი, ყურანში განფენილი ზნეობის კარგი მაგალითია. ერთმა კაცმა იბნ აბბასს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართა. მან

გამკიცხველს არაფერი უთხრა, რის გამოც გაოცებულმა იკითხა, თუ რატომ არ უპასუხა მას იბნ აბბასმა! ამ უკანასკნელის პასუხი შემდეგი იყო:

„მე სამი მიზეზი მაქვს, რის გამოც შენ პასუხი არ გაგეცი!

პირველი: ალლაჰის წიგნიდან ერთი აიათი გაქვს წაკითხული. ნეტა ყველა ადამიანმა იგრძნოს, რაც მე ამის გამო განვიცადე.

მეორე: ძალიან მიხარია, როცა გავიგებ რომ მოსამართლემ სამართლიანად განსაჯა. თუმცა იმ მოსამართლესათან არავითარი მატერიალური და სულიერი კავშირი არ მაქვს. (მე მხოლოდ ის მახარებს, რომ ისლამის სილამაზეები გავრცელდა და სამართალმა იზეიმა.)

მესამე: ძალიან მიხარია, როცა მუსლიმანთა მხარეში წვიმს. თუმცა, არც ცხოველი მყავს იმ მხარეში მობალახე და არც მიწის ნაკვეთი. (სულიერი ძმების სიხარული ჩემი ბედნიერებისთვის საკმარისია.)

(მსგავსი გულის პატრონს, როგორ შემიძლია პასუხი გაგცე და ამით მუსლიმანს გული გატკინო)“! (ჰეისემი, მეჯმაუზ ზევაიდ, ტ. IX, გვ. 284)

მესნევი: *„შუამავლების გულებში ისეთი მაცოცხლებელი მელოდიები ჟღერს, რომ ისინი მას, ვინც ღმერთს ეძებს შეუფასებელ ცხოვრებას ჩუქნიან.“* (ტ. 1, 1919)

ცხოვრება სწორი ფიქრებითა და მართალი ქმედე-

ბებით ფასდება. ეს სამართლიანობასა და სიკეთესთან მიღწევას ნიშნავს. ყველაზე გულმოდგინე და ერთადერთი გიდი შუამავალია. სწორედ უდიდესმა ღმერთმა შუამავლები და განსაკუთრებით უკანასკნელი შუამავალი ჩვენთვის უბადლო მაგალითებად და გზის მაჩვენებლებად ამიტომ მოავლინა. ზემოთ მოცემული, წმინდა მევლანას ბეითი, ამ ფაქტის ჭეშმარიტებას ასაბუთებს.

წმინდა შუამავლის ამგვარი ზეგავლენა,ადამიანებზე, მისი მოღვაწეობის პერიოდიდან დაიწყო და მთელი კაცობრიობა მოიცვა. ისინიც კი, ვისაც მისი არ სწამდათ, იძულებული გახდნენ მისი მაღალი ზნეობა ეღიარებიანათ; ხოლო ისინი, ვინც მას გული მიუძღვნეს, შინაგან გრძნობებს მწველი მელოდიების სახით გადმოგვცემენ. შუამავლის თანამიმდევრები აცხადებდნენ: „ჩემს ქონებას, სიცოცხლეს, მთელ ჩემს არსებას სიხარულით გავიღებ შენს სამსხვერპლოზე.“ ამგვარად, ისინი გამოხატავდნენ, რომ მთლიანად მასზე იყვნენ მინდობილნი. მართლაც, ქვეყნიერების აღსასრულამდე გადაჭიმული სიყვარულის ქარავნები მისი ღრმა განცდებით საზრდოობს. მზეზე უფრო მბრწყინავი ქვეყანა მისი შუქით არის განათებული. რწმენით სიამოვნების მიღება მისი მეოხებით ისწავლეს. მისი აღწერა წარმავალ არსებებს არ ხელეწიფებათ. რადგან ის თავისი ზნეობითა და არსებით სამყაროს ყველაზე იშვიათი საგანძურია. შეყვარებულები, მწერლები და პოეტები მისი ქებადიდებით ვერ ძღებოდნენ. იმ მწველი მელოდიებისგან რამდენიმე მარგალიტს წარმოგიდგენთ.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანი იყო, მუჰამედი-

სეულ ჭეშმარიტებასთან ზიარების შემდეგ, თვალცრემლიან მორწმუნედ და შუამავალზე შეყვარებულ მეხოტბედ ქცეული იამან დედე შემდეგ ბწკარებს გადმოგვცემს:

უწყლოდ რომ დავრჩე, მწველ ქვიშაზე რომ განვუტევო სული, არ დავმწუხრდები;

ვულკანის მფრქვეველ მკერდში, ოკეანეში სინესტეს ვერ განვიცდი,

ციდან ცეცხლი რომ წვიმდეს და მე მეხებოდეს ვერ ვიგრძნობ,

შენი სილამაზით გამამხიარულე, დავიწვი, ალლაჰის შუამავლო!

რა ბედნიერებაა, შენი სიყვარულით თვალის დახუჭვა, შენს გზაზე სულის მიცემა.

წილად არ მხვდება ბედნიერება, ჩემო სულთანო, წმინდა ადგილზე განვუტევო სული?

ბედნიერება იქნება მეგობრის წინაშე სულის მიცემა.

შენი სილამაზით გამამხიარულე, დავიწვი, ალლაჰის შუამავალო!

ჩვენი ახლო წარსულის წმინდანი, **მუჰამმედ ესად ერბილი,** ალლაჰის შუამავლისადმი ნაგრძნობი სიყვარულით გამოწვეულ ცეცხლს სტრიქონებით ასე გადმოსცემს:

საყვარელო, შენი სილამაზის გამოვლინების გამო (შენი სიყვარულით), გაზაფხული ცეცხლია, ვარდი

ცეცხლია, ბულბული ცეცხლია, სუმბული ცეცხლია, მიწა ცეცხლია, ეკალი ცეცხლია!..

ყველა შეყვარებულის მწველო, (წმინდა სახის) მზის (მბრწყინავი) შუქო.. (ამ მიზეზით) გული ცეცხლია, (სიყვარულისგან) ატირებული ორი თვალი ცეცხლია.

ნუთუ ამდენი სიყვარულის ცეცხლით შეჰიდად ნაქცევის დაბანა შესაძლებელია? გვამი, სუდარა, შეჰიდის განსაბანი ტკბილი წყალიც კი ცეცხლია.

ყველა სილამაზე თითქოს მისი სილამაზის ანარეკლია. ბუნებას მისი სახის მსგავსი ვარდი არ უნახავს.

ფუზული კი ამ ჭეშმარიტებას ასე გადმოსცემს:

თვალო, (ალლაჰის შუამავლის სიყვარულისგან) ჩემს გულის (შემპყრობელ, აალებულ) ცეცხლს წყალი არ დაასხა! რადგან უსაზღვრო სიყვარულისგან აალებულ ცეცხლზე წყლის დასხმა გამოსავალი არ არის. (სიყვარულის ცეცხლი არ ქრება! ანთებულ ცეცხლზე დასხმული წყლის წვეთი მის ალს აძლიერებს.)

მებაღე ვარდის ბაღის მოსარწყავად (ტყუილად) არ გაისარჯოს. (რადგან) ერთ ვარდის ბაღს თუ მორწყავს, (ალლაჰის შუამავალო კვლავაც) შენი მსგავსი ვარდი (არასდროს) გაიშლება!..

მესნევი: *„წმინდა შუამავალმა რაც იცოდა, ის ნებისმიერ სხვა ადამიანს რომ სცოდნოდა, ვერც ვედრებისა და ვერც ხვეწნა-მუდარის ძალას ვერ იპოვიდა საკუ-*

თარ გულში; მის სხეულში არც მარხვისათვის საჭირო ძალა დარჩებოდა და არც ნამაზის ლოცვისათვის.“ (ტ. 2, 1913)

წმინდა შუამავლისთვის ცნობილ ჭეშმარიტებს სამ კატეგორიად ყოფენ:

ამათგან პირველი კატეგორია წმინდა შუამავალსა და უდიდეს ღმერთს შორის მუდმივ საიდუმლოდ დარჩა. შუამავალს მისთვის ცნობილი საიდუმლოებისაგან იოტისოდენისაც კი არავისთვის გაუნდია. ის გადმოგვცემს:

„ვფიცავ ალლაჰს, რომ ის რომ გცოდნოდათ, რაც მე ვიცი უფრო ნაკლებად გაიცინებდით და მეტად იტირებდით, ქალთან საწოლში ვერ ისიამოვნებდით; გზებსა და უდაბნოებში იხეტიალებდით, (უბედურების ასაცილებლად) ღმერთს შეეხვეწებოდით.“ (იბნ მაჯე, ზუჰდი, 19)

რადგან მსგავსი კატეგორიის ჭეშმარიტებაში ჩაწვდომა მხოლოდ შუამავლისეული ცოდნითაა შესაძლებელი, ეს კომპეტენცია მის გარდა არავის აქვს და ეს ინფორმაციები ადამიანებისთვის სამარადჟამოდ უცნობი დარჩა. ისინი არ თქმულა.

ის ცნობები, რომლებიც მხოლოდ წმინდა შუამავლისთვისაა გადაცემული და მიჩნეულია მეორე კატეგორიის საიდუმლოებებად, ადამიანებს შორის გამორჩეული შემეცნებისა და შეგნების მქონე პიროვნებებს გადაეცათ. ე.ი. მათი ცოდნა ყველა მოკვდავისთვის არ იყო გათვლილი. ამგვარი ნიჭის მქონე ადამიანები, როგორც ვიცით, წმინდა აბუ ბაქრი და წმინდ ალი

იყვნენ. მაგრამ ასევე ცნობილია, რომ წმინდა შუამავლი საიდუმლოებების რაღაც ნაწილს აბუ ჰურეირესა და ჰუზეიფეთულ იემანსაც გადასცემდა.

ამ კატეგორიის ცნობები ღვთიურ ცოდნასა და საიდუმლოებებს განეკუთვნება და მისტიკურ ცნობებს წარმოადგენდნენ. ამის გამოა, რომ თარიქათები წმინდა აბუ ბაქრის ან წმინდა ალისაგან იღებს სათავეს. ამ კატეგორიის ცნობები იგივე გრძნობებია და ისინი გულიდან გულში გადადიოდა. მათთვის დამახასიათებელი ეს თავისებურება ქვეყნიერების აღსასრულამდე გაგრძელდება. მასთან დაკავშირებული წიგნები კი ხილის მხოლოდ გარე კანს ჰგავს, ესე იგი მთავარი სიტყვა კი არა – თვისობრიობაა.

ხოლო წმინდა შუამავლისთვის ღმერთის მიერ ნამცნები მესამე კატეგორიის სიბრძნე ყველასთვისაა განკუთვნილი. ესენი შარიათის ცნობებს წარმოადგენენ. რადგან წმინდა შუამავალი მხოლოდ ერთი განსაზღვრული ტომისა და განსაზღვრული დროისთვის კი არ მოუვლენია უზენაესს, არამედ მას მთელი კაცობრიობის წინაშე დაეკისრა შუამავლობის მისია. ამიტომაც მისი შუამავლობიდან მოკიდებული ქვეყნიერების აღსასრულამდე, ამქვეყნად მოვლენილი ყველა ადამიანი „მუჰამმედის მიმდევარია.“ თუმცა ისინი ორ ნაწილად იყოფიან. ესენი არიან: ამ ძვირფასი არსების ქადაგების მაღიარებლები „უმმეთი იჯაბე“ (ადამიანების ის ნაწილი, რომლებმაც მათთვის მოვლენილი შუამავლის იწამეს) და უარმყოფელები „უმმეთი გაირი იჯაბე“ (ადამიანების ის ჯგუფი, რომლებმაც მათთვის მოვლენილი შუამავლის არ იწამეს).

ზემოთ მოცემულ ბეითებში მევლანაც ამ ჭეშმარ-

იტებაზე მიანიშნებს და აღნიშნავს, რომ პირველი კატეგორიის ცნობების გაგება ადამიანისთვის შეუძლებელია.

მესნევი: *„წმინდა შუამავლი ბრძანებს:*

„ჩემო თანამიმდევრებო! ჩემო თანამზრახველებო! მე თქვენს მიმართ მამაზე უფრო გულისხმიერი და მოწყალე ვარ.“ (ტ. 3, 1934)

წმინდა შუამავლის სიყვარული თავისი მიმდევრებისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ რა თქმა უნდა, ის შვილის სიყვარულსაც აღემატებოდა. წმინდა შუამავლის ცხოვრების ამსახველი წიგნები სავსეა მისი ამგვარი სიყვარულის ჭეშმარიტების მამტკიცებელი ქმედებებით. ამის დასადასტურებლად უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება. მაგალითად, როცა მისი მიმდევრები მშივრები იყვნენ ის არ ჭამდა და არ სვამდა. ისეთი პერიოდებიც განვვლო, როცა შიმშილის გრძნობის მოსაკლავად მუცელზე ქვას იბამდა. ნამაზის ლოცვისას ბავშვის ტირილს თუ გაიგონებდა, ნამაზის ლოცვას დიდხანს აღარ განაგრძობდა, მოკლე სურებს წაიკითხავდა და მალე მორჩებოდა. რთულ მომენტებში განსაცდელს წინ აღუდგებოდა ხოლმე და ყველაზე პირველი ამხნევებდა მიმდევრებს. უჰუდში, ჰუნეინეში, როცა არმია დამარცხდა და დაიშალა, ის ბრძოლის ველზე დარჩა, თუმცა დროდადრო მტრის ხაზზე ექცეოდა. ზოგიერთ ლაშქრობაში კი უკან რჩებოდა და ჯარისკაცებს გაერთიანებაში, თავმოყრაში ეხმარებოდა. მისი სიყვარული თავისი მიმდევრებისად-

მი ყურანში ასეა გადმოცემული:

„ვფიცავ! თქვენთან (ისეთი) შუამავალი მოვიდა, რომელსაც თქვენი გაჭირვება საკუთარ გაჭირვებად, თქვენი გულისტკივილი კი საკუთარ გულისტკივილად მიაჩნია. თქვენ ძალიან უყვარხართ; მორწმუნეებისადმი ძალიან მოწყალეა, მათ სიკეთეს უსურვებს.“ (სურა თევბე, აიათი 128)

ამ აიათში ალლაჰი წმინდა შუამავალს თავისი სახელებით „რაუფ“ და „რაჰიმ“ (მოწყალე) მოიხსენიებს.

ის თავისი ქმედებებით, სიტყვითა და ზნეობით, მთელი კაცობრიობისთვის წყალობად და გზის მაჩვენებელად იქცა. ჭეშმარიტების გზაზე სწრაფვისას ყოველგვარმა სატანჯველმა მის მხრებზე გადაიარა. თუმცა მან მასზე დაკისრებული მოვალეობა შესანიშნავად აღასრულა. ამ საკითხში ისეთ მოთმინებასა და მონდომებას იჩენდა, რომ ზოგჯერ იმისთვის, რომ არ განადგურებულიყო, ღმერთი მას აფრთხილებდა.

ადამიანების კეთილდღეობისთვის გამოჩენილი ეს თავგანწირვა ყურანში შემდეგნაირადაა გადმოცემული:

„(ჩემო შუამავალო!) **მათ არ სწამთო და ამის სანაცვლოდ, სადაცაა საკუთარ თავს დაღუპავ!“** (სურა შუარა, აიათი 3)

შუამავლის ზნეობა

ისლამის მიერ შეთავაზებული ზნეობის მწვერვალი, სამყაროს უკანასკნელი დასაყრდენი და მთელი კაცობრიობისთვის უბადლო მაგალითი, წმინდა შუამავალია. ორთავე სამყაროში ბედნიერების მოპოვება წმინდა შუამავლის ცხოვრებისა და შესანიშნავი ზნეობისგან წილის მიღებითაა შესაძლებელი.

შუამავლის ზნეობა

ადამიანურად ცხოვრების ერთადერთი პირობა რწმენა და ზნეობაა. რწმენა არის უდიდესი ღმერთის მიერ კაცობრიობისთვის შეთავაზებული მწვერვალი, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს იცხოვროს ჭეშმარიტების შემეცნებითა და მონა-მსახურების ღირსეული აღსრულებით. მორწმუნესათვის ყველაზე მნიშვნელოვანია ირწმუნოს შუამავლების მიერ ჩვენთვის გადმოცემული უბადლო მაგალითების, სძლიოს ვნებას და აიმაღლოს ზნეობა.

უკანასკნელი რწმენა ისლამი, ზნეობრიობის უმაღლეს მწვერვალად და ადამიანობის უბადლო მაგალითად წმინდა შუამავალს გვისახავს. უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„(შუამავლო!) უეჭველია, შენ, უმაღლესი ზნეობა გაქვს!..“ (სურა ყალემ, აიათი 4)

ბედნიერების ორთავე სამყაროში მოპოვება წმინდა შუამავლის გულის ცხოვრებისა და შესანიშნავი ზნეობისგან წილის მიღებითაა შესაძლებელი. ამ თვისებასთან მიღწევა მხოლოდ მისდამი ნაგრძნობი სიყვარულითა და სულიერი შემოსვითაა შესაძლებელი.

სამყარო ღმერთის სიყვარულის გამოვლინებაა. ამ გამოვლინების განსაკუთრებულობა კი მუჰამმედის შუქშია. სააქაო და საიქიო ბედნიერების მოპოვება სწორედ მისი სიყვარულითაა შესაძლებელი. ისტორია

მოწმობს, რომ ყველაზე ღირსეული თაობები მისი ზღვარდაუდები სიყვარულით საზრდოობდნენ.

ჩვენ, ადამიანები, რომლებიც მიუწვდომელი სინატიფის, ესთეტიკური სილამაზისა და უძირო ღვთაებრივი ნიჭით შევიქმენით, ჩვენი ადამიანური ღირსების დაცვას იმის შესაბამისად შევძლებთ, რამდენადაც ერთგულად ვემსახურებით ალლაჰს! და, აგრეთვე, რამდენად ავიღებთ მაგალითს წმინდა შუამავლის ქცევებისა და ამაღლებული ზნეობისაგან.

იმას, თუ ბედნიერების საუკუნის ადამიანებმა როგორ ირწმუნეს, მევლანა შემდეგნაირად გადმოგვცემს:

კერპთაყვანისმცემლების ერთი ნაწილი საღამოს მეჩეთში მივიდა. მათ წმინდა შუამავალს მიმართეს და უთხრეს:

„მთელი ქვეყნის ადამიანების სულიერო სტუმარო, უმაღლესო ადამიანო! ჩვენ, აქ, შენ სტუმრად გეახელით. საჭმელ-სასმელი არ გვაქვს. ძალიან შორიდან მოვდივართ. აქ ნაცნობებიც არ გვყავს. გვიჩვენე და შენი კეთილშობილება და წყალობა, შენი ღირსებისგან, გვიწყალობე. ჩვენ, უცხოები, გაგვახარე, ჩვენს გულებს მადლის შუქი მოფინე.“

შუამავალმა თანამიმდევრებს უთხრა:

„მეგობრებო! სტუმრები დაინაწილეთ, თქვენს სახლებში წაიყვანეთ, გაუმასპინძლდით, რადგან თქვენ, ჩემი ხასიათისანი და გულუხვნი ხართ. ჩემი ზნეობით

ხართ აღვსილნი.“

მართლაც, ყოველმა მათგანმა თითო სტუმარი წაიყვანა შინ. სტუმრებს შორის იყო ერთი ვეებერთელა, მსხვილი, ტლანქი, ვულგარული ადამიანი, რომლის წაყვანა მისი შემზარავი გარეგნობის გამო, ვერავინ გაბედა. ამიტომ, ის, როგორც ფინჯანში ჩარჩენილი შარბათის ნალექი, მეჩეთში ეულად დარჩა. მაშინ თვით წმინდა შუამავალმა წაიყვანა იგი.

მას ფარაში შვიდი მეწველი თხა ჰყავდა. ამ გოლიათმა კაცმა კი სუფრაზე მირთმეული პური, საჭმელი და იმ შვიდი თხის რძე სულ ერთიანად შეჭამა და შესვა. ოჯახის წევრები ამ გულცივი, ხეპრე ადამიანის გამო გაბრაზდნენ, რადაგან მათთვის განკუთვნილი საკვებიც ამ მის კუჭში მოხვდა.

კაცს, რაკი რვა-ათი კაცის საჭმელი მარტომ შეჭამა მუცელი დოლივით გაუსივდა. როცა დაძინების დრო მოვიდა, ის ერთ ოთახში განმარტოვდა. მას მოსამსახურემ კარი ჩაუკეტა და გარედან ჯაჭვიც დაადო, რადგან მისი რისხვა დაიმსახურა ვინაიდან ასეთმა საქციელმა და გულგრილობამ ძალიან გაანაწყენა.

სტუმარს, შუაღამისას, ბუნებრივი მოთხოვნილების გამო, გარეთ გამოსვლა მოუნდა. მას მუცელი სტკიოდა, ამიტომ ლოგინიდან წამოვარდა, კარისკენ გაიქცა და როცა ხელი კარისკენ წაიღო, მიხვდა, რომ ის დაკეტილი იყო და გარედან ჯაჭვიც ედო. კარის გასაღებად ათასგვარი ხრიკი მოიგონა, მაგრამ კარი

ვერ გააღო. ძალიან შეწუხდა. ოთახი ვიწროდ მოეჩვენა. გაოგნებული იყო. საშველი არსაიდან ჩანდა და ვერც ისვენებდა... ტკივილის დასავიწყებლად დაწვა, მოიკუნტა და დაეძინა. ესიზმრა თითქოს სადღაც გაპარტახებულ ნანგრევებში იმყოფებოდა. მასაც ეს უნდოდა წუხილის მოსაცილებლად. გაღვიძებისას ნახა თავისი ნამოქმედარი, ნახა რომ სიბინძურეში იწვა და სირცხვილისგან გიჟს დაემსგავსა. ინატრა: „ნეტა, ეს ღამე გათავდებოდეს და კარების გაღების ხმას მალე გავიგებდეო“! დაიწყო ლოდინი. ელოდა, რათა კარების გაღებისთანავე შურდულუვით გავარდნილიყო გარეთ და სხვებს არ დაენახათ, სიბინძურეში რომ იწვა.

დილით, პირველად წმინდა შუამავალი მოვიდა, ოთახის კარი გააღო და იმ გზადაკარგულ კაცს გზა მისცა. როცა კარებს აღებდა ის დაიმალა, რათა კაცს არ დაენახა და ამის გამო სირცხვილი არ ეგრძნო.

სტუმარი გაიქცა. მაგრამ როცა სახლის ერთ-ერთმა ბინადარმა შელახული ლოგინი ნახა, აიღო და ის წმინდა შუამავალთან მიიტანა, თითქოს ეუბნებოდა – „შეხედე, ეს სტუმრის მარიფათიაო.“

წმინდა შუამავალმა ღიმილით უთხრა:

„ის წყლის ჭურჭელი მომიტანე, ყველაფერს ჩემი ხელით გავრეცხავ.“

იქ მსხდომთ შესცხვათ წამოცვივდნენ და თქვეს:

„დაე, ჩვენი სიცოცხლე შენი მსხვერპლი იყოს.

დაეთხოვე ამ ჭუჭყს და მას ჩვენ გავასუფთავებთ. ეს ხომ ხელის საქმეა და არა გულისა. ჩვენ კი, იმიტომ ვცხოვრობთ, რომ შენ გემსახუროთ. შენ თუ სხვას მოემსახურე, ჩვენ რისთვისღა ვართ? მაშინ ჩვენ რა უნდა ვაკეთოთ?“

წმინდა შუამავალმა ბრძანა:

„ვიცი, თქვენი ჩემდამი სიყვარული, მაგრამ ამას ახლა მე გავრეცხავ, რადგან ამაში სიბრძნე დევს.“

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ მისი მიმდევრები გაჩუმდნენ, ისინი დაინტერესებული იყვნენ ამ საქმის საიდუმლოს გამომჟღავნებით. წმინდა შუამავალი ამ ჭუჭყის რეცხვით ღმერთის ბრძანებას ასრულებდა, რადგან შუამავალს გული ეუბნებოდა: „ეს შენ გაასუფთავე!“ ამ საქმეში მართლაც ბევრი საოცრება იყო.

იმ ურწმუნო სტუმარს პატარა კერპი, ერთგვარი ავგაროზი ჰქონდა, რომელსაც გულზე ჩამოკიდებულს ატარებდა. მისი დაკარგვა რომ შეამჩნია, დაუეჭვებლად გაიფიქრა:

„ის ძვირფასი თილისმა იმ ოთახში დამრჩებოდა, სადაც ვიწექი.“

მართალია, მას ჩადენილის გამო სცხვენოდა, მაგრამ თილისმისადმი მისი კავშირი იმდენად ძლიერი იყო, რომ სირცხვილს სძლია და კერპის საძებნელად გაიქცა. სასურველი ნივთი წმინდა შუამავლის ოთახში

შენიშნა და დაინახა ისიც, თუ როგორ რეცხავდა მის მიერ დასვრილ საწოლს თვით შუამავალი.

ამის ხილვისას მის გულში კერპისადმი სიყვარული გაქრა. როცა ის გონს მოეგო, ექსტაზში შევიდა, სახელო და საყელო დახია, ხელებს თავსა და სახეში იცემდა, თავს კარებსა და კედელს ურტყამდა და ამბობდა: „უჭკუო თავო!“ მკერდში მჯიღს იცემდა და თავისთავს ეუბნებოდა: „უსინდისო, საცოდავო“, „უსინათლო გულო;“ მუხლმოყრილი მოთქვამდა:

„დედამიწის სიამაყევ, ღირსეულო ადამიანო! მრცხვენია შენი კეთილშობილების წინაშე გამოჩენილი უყურადღებობის გამო.“

ის ტანჯული ხმით მიმართავდა სამყაროს:

„საოცრებებით აღსავსევ, შენც კი ალლაჰის ბრძანებას ემორჩილები, მის წინაშე ქედს იხრი, მისი სიყვარულით ბრუნავ და დგახარ; მე კი მიუხედავად იმისა, რომ შენი სიკეთეებით ვსარგებლობ, ვნება მძლევს, წონასწორობიდან გამოვდივარ. შენ ალლაჰის წინაშე არარაობად მიგაჩნია თავი, ცახცახებ და ისე ახსენებ მას. მე კი მის ბრძანებებს არ ვემორჩილები. რა საცოდავი ვარ!...“

ის წმინდა შუამავლის წინაშე მოთქვამდა და ცას შეჰღაღადებდა:

„სამყაროს ყიბლევ, სახეში როგორ შემოგხედო!“

როცა ის ექსტაზიდან გამოვიდა, წმინდა შუამავალ-

მა დაამშვიდა და ფაქიზი, სიტყვებით მიმართა.

ამგვარად, სულ მცირე დროის უკან, კერპით შთაგონებული და მოხიბლული, უგუნური ადამიანი, უცხო ზნეობისა და მრწამსის მიუხედავად, ამ გულის მეგობრად იქცა. ის წმინდა შუამავლის უსაზღვრო თავმდაბლობამ გააოცა.

წმინდა შუამავალმა მას უთხრა:

„აქეთ მოდი!“

ღრმა ძილიდან გამოღვიძებული, მისკენ წავიდა და თქვა:

„ალლაჰის ერთადერთობის მოწმევ, ქელიმე შეჰადეთი მასწავლე, რათა მისი განუმეორებლობა და შენი შუამავლობა ვიწამო და ამგვარად ბედნიერთა ქარავანს შევერწყა. მე ახლა უკვე მრცხვენია ჩემი აღვირახსნილობისა და უგრძნობი სინდისის; მომბეზრდა, ჩემი სხეული მინდა რწმენას ვეზიარო!“

ე.ი. წმინდა შუამავალმა იმ კაცს ჭეშმარიტი ცოდნა შთააგონა.

შეჰადეთის წმინდა სიტყვების – „ლა ილაჰე ილ-ლალლაჰ მუჰამმედუნ რასულულლაჰ“ (არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა და მუჰამმედი მისი შუამავალია) – წარმოთქმამ კვანძები გახსნა. წმინდა შუამავალმა ბრძანა:

„ამ ღამით, ერთდროულად, ჩვენი სახლისა და ჩვენი

გულების სტუმარი იყავი.“

გამუსლიმანებით ბედნიერმა კაცმა თქვა:

„ვფიცავ, სადაც არ უნდა ვიყო, სადაც არ უნდა წავიდე, სამარადჟამოდ შენი სტუმარი ვარ. მკვდარი ვიყავი და გამაცოცხლე. ახლა მე შენი (გათავისუფლებული) მონა, შენი კარის დარაჯი ვარ. სააქაო და საიქო ხომ შენი გულისხმიერების სუფრის სტუმრები არიან.“

იმ დამით ბედუინი შუამავალთან ისევ სტუმრად დარჩა. ერთი თხის რძისგან მხოლოდ ცოტაოდენი მიიღო. შემდეგ მადლობა გადაიხადა და სუფრიდან უკან დაიწია.

წმინდა შუამავალმა უთხრა:

„რძე დალიე, რაიმე ჭამე.“

ახალმა მორწმუნემ უთხრა:

„ვფიცავ, მართლა გავძეხი. ამას არც პირმოთნეობის გამო ვამბობ, არც სირცხვილის და არც თვალთმაქცობის. შენი წყალობით გაჯერებულმა ერთმა ლუკმამ, ასობით ლუკმის მოვალეობა შეასრულა. მე გუშინდელზე მეტად გავძეხი...“

ყველა გოცდა. ერთმანეთს გადაუჩურჩულეს:

„ამოდენა სხეული ერთი წვეთი ზეითუნის ზეთით როგორ აივსო? უფეხურა ჩიტის საკვებმა, სპილოსოდენა კაცი როგორ გააძღო? საოცარია, სპილოს ტოლა კაცი, კოღოს მსგავსად ცოტას ჭამდეს!“

მოკლედ, ეს ადამიანი ურწმუნოების ჟინისა და სირცხვილისგან რომ გათავისუფლდა, გველეშაპის კუჭი, ჭიანჭველის სამყოფი საკვებით დაკმაყოფილდა.

წმინდა მევლანას მიერ, დახვეწილი მეთოდით, მოთხრობილი ეს შემთხვევა რამდენიმე რჩევის შემცველია. ისინი, ვინც ღმერთის გზაზე გიდის მოვალეობას ასრულებენ, მათ, ვისაც გზას უჩვენებენ, წესისამებრ უნდა მოექცნენ.. ეს ის წესია, რომელმაც წმინდა შუამავლს ყველას მიერ უარყოფილი სტუმარი სახლში წააყვანინა. მას გაუმასპინძლდა. თავისი წილიც კი შესთავაზა, შემდეგ იმ კაცის მიერ დაბინძურებული ადგილი თავად გაწმინდა, ეს უმაღლესი ზნეობის გამოვლინება იყო, რამაც ის ურწმუნო ადამიანიც კი გააოცა. ეს ყველაფერი ისე გააკეთა, რომ არავინ შეურცხვენია და ამგვარი ქმედებით სრულყოფილი მორწმუნის გული წარმოგვიდგინა. შუამავლის საოცარი სიკეთის შედეგად სტუმრის ეგოისტი, გაუმაძღარი სხეული და წყვდიადით ჩაბნელებული გული ჭეშმარიტების შუქით განათდა, მან წმინდა შუამავლის ზნეობით აღივსო და ძველი ხასიათი უარყო, შეიცვალა.

აი, ეს არის შუამავლის ზნეობა!..

ამ ზნეობამ ურწმუნო მორწმუნედ აქცია, ის სულ სხვა პიროვნებად გარდაქმნა.

ამ ზნეობამ უამრავი შმაგი სული დაიმორჩილა, ულმობელი, შეუბრალებელი გულები მოწყალების

ოკეანედ გარდაქმნა.

ამ ზნეობამ ნახევრად ველური საზოგადოება ადამიანობის მწვერვალზე აიყვანა.

ამ ზნეობამ გულები სავანედ გარდაქმნა და ტანჯულთა თავშესაფრად აქცია.

ამ ზნეობამ პასუხისმგებლობის გრძნობით აღვსილი ადამიანები გამოაწრთო.

ეს ზნეობა ჭეშმარიტების გიდად იქცა და ადამიანები სრულყოფილ და მგრძნობიარე მონა-მსახურებად აქცია.

ამ ზნეობამ ადამიანებს ბოროტების სიკეთედ და წყალობად გარდაქმნა ასწავლა. რადგან ადამიანებს სიკეთე სძლევს, შედეგად მტრობა იმდენად მცირდება, რამდენადაც სიკეთე იზრდება. ამიტომ, სულში აბობოქრებული სიავე თანდათანობით სიყვარულად, ჰუმანურობად გარდაიქმნება.

აიათში ნაბრძანებია:

„შენ ის ბოროტება, ყველაზე ლამაზი საშუალებით მოიშორე!..“ (სურა მუმინუნი, აიათი 96)

სწორედ ამ ზნეობამ აქცია წმინდა შუამავალი ორი სამყაროს სულთნად.

მოკლედ, ეს ზნეობა ალლაჰისთვის მოსაწონი, ყველაზე მაღალი ზნეობაა. ამის შესახებ აიათში ნაბრძანებია:

„უეჭველია, რომ შენ მაღალი ზნეობა გაქვს...“ (სურა ყალემი, აიათი 4)

რა ბედნიერები არიან ადამიანები, რომელთაც ამ უმაღლესი ზნეობისგან წილი ერგებათ...

ჩემო ალლაჰო! დაე, ჩვენი ზნეობა შუამავლის უმაღლესი ზნეობით გაალამაზე. ყველა მორწმუნეს წილად არგუნე მისი ლამაზი ქცევების მიბაძვითა და სუნნეთი სენიეს შესაბამისად ცხოვრების ბედნიერება!

ამინ!

მესნევის მიხედვით

გაუნაწყენებლობა

მესნევი: *„თუ იცით ეს გული ვისი სამკვიდროა, მისი სახლის კარის წინ რატომ თავხედობთ?*

ბრიყვები და უგნურები ადამიანისადმი პატივისცემას არ იჩენენ, გულის პატრონებისადმი გულგრილნი არიან და მათ გულებს ამსხვრევენ.“ (ტ. 2, 3108-3109)

გული ადამიანში უდიდესი ღმერთის სამეთვალყურეო ადგილია. ვნების ყველაზე მკაცრი გამოვლინება ადამიანისათვის გულის ტკენაა. წმინდა მევლანა ბრძანებს, რომ ქაბე საფუძველი აზერის შვილმა ჰალილ იბრაჰიმმა ააგო, გული კი უზენაესის სათვალთვალო ადგილია. აქედან გამომდინარე, ამ ადგილის შეურაცხყობა ქაბის დანგრევაზე უფრო დიდ ცოდვად ითვლება.

იუნუს ემრეც იმავეს ჭეშმარიტებას ადასტურებდა, როცა ამბობდა:

თუნდაც იყოს სწავლული,

ჰაჯობაზე წასული,

არ შეერგოს მას პური,

ვინც კაცს მოუკლას გული.

ადამიანი, სამყაროში შექმნილ ქმნილებათა შორის, ყველაზე სრულყოფილი არსებაა. მისი გული ალლაჰის მეთვალყურეობის ადგილია. ერთ წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„მე მიწასა და ცაში ვერ მოვთავსდები, მორწმუნის გულს დავეტევი.“ (აჯლუნი, ქეშფულ ჰაფა, II, 195)

ყველა ზემოთ მონათხრობი ნათლად წარმოაჩენს, თუ რაოდენ მძიმე დანაშაულია ადამიანის უპატივცემულობა და მისთვის გულის ტკენა.

მოძმეთაგან გულგატეხილი ადამიანები ალლაჰის საფეხურებამდე ამაღლდებიან. ვისაც სურს ღმერთის კმაყოფილების მოპოვება, უნდა სცადოს ამგვარი სევდიანი გულების გახარება და დაიმედება. ერთ დღეს წმინდა მუსამ ღმერთს შეჰღაღადა:

„ღმერთო! სად გეძებო?“

უდიდესმა ღმერთმა უპასუხა:

„მეძებე გულდამსხვრეულებს შორის!“ (აბუ ნუაიმი, ჰილიე, II, 364)

აბუ ჰურეირეს მიერ გადმოცემულ ერთ წმინდა ჰადისში კი წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„განკითხვის დღეს უდიდესი ალლაჰი მოგვმართავს:

„ადამიანო! ავად ვიყავი და არ მინახულე!“

ადამიანი ეტყვის:

„ღმერთო ჩემო, როგორ მოგინახულებდი, როცა შენ სამყაროს ღმერთი ხარ?“

„განა არ იცოდი, რომ ის მონა-მსახური, რომელიც ავად გახდა და შენ არ მოინახულე, მე ვიყავი. ის რომ მოგენახულებინა, მის გვერდით მეც მნახავდი!“

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„ადამიანო! მე მშიერი ვიყავი და შენ არ გამაძღე!“

ადამიანი მიუგებს:

„ღმერთო ჩემო, რომ არ მინახიხარ, როგორ უნდა დამენაყრებინე?! მაშინ უზენაესი ღმერთი ბრძანებს:

„მონა-მსახურმა, რომელმაც შენ საჭმელი გთხოვა და არ უწყალობე, ის მე ვიყავი. მისთვის საჭმელი რომ მიგეცა, ეს ჩემი დანაყრების ტოლფასი იქნებოდა.“

ღმერთი ბრძანებს:

„ადამიანო! მე შენ წყალი გთხოვე და არ დამალევინე!“

ადამიანი კვლავ ჰკითხავს?

„ღმერთო ჩემო, მე როგორ შემეძლო შენთვის წყალი მომეწოდებინა? შენ ხომ სამყაროს მბრძანებელი ხარ?!

ამაზე უდიდესი ალლაჰი ბრძანებს:

„ჩემმა მონა-მსახურმა შენგან წყალი ითხოვა. შენ კი მას წყალი არ მიაწოდე. ნუთუ არ იცი, მისთვის მიწოდებული წყალი, ჩემი წყურვილის მოსაკლავად ხომ იქნებოდა გადებული!“ (მუსლიმი, ბირრ, 43)

უსამართლოდ დაჩაგრული და გულნატკენი ადამიანის ვედრებას, მიუხედავად იმისა, ეს ადამიანი მორწმუნე იქნება თუ ურწმუნო, უდიდესი ღმერთი შეისმენს, რადგან დაჩაგრულის ვედრებასა და ღმერთს შორის გამყოფი ფარდა არ არსებობს. წმინდა შუამავალი თავის თანამიმდევრებს ურჩევდა, გლახაკი ადამიანების ვედრებისათვის ყური დაეგდოთ:

„ჩაგრულის ვედრებას უფრთხილდით, ვედრებასა და ალლაჰს შორის გამმიჯნავი ფარდა არ არსებობს.“ (მუსლიმი, იმანი, 29)

ალლაჰი შემდეგი სამი ადამიანის ვედრებას შეიწყნარებს:

1. *იფთრის გაკეთებამდე მმარხველთა ვედრებას;*
2. *დაჩაგრულთა ვედრებას;*
3. *სახელმწიფოს სამართლიანად მმართველის ვედრებას.“* (თირმიზი, დეავითი, 48; იბნ მაჯე, დუა, 2)

უდიდესი ღმერთი; ადამიანთა ურთიერთ სიძულვილის წინააღმდეგია. შუამავალი ერთ ჰადისში ასე ამბობს:

„ერთი კაცი დაბეჯითებით ირწმუნებოდა:

„ვფიცავ, ალლაჰი იმ ადამიანს ცოდვებს არ მიუტევებს.“

უდიდესმა ალლაჰმა თქვა:

„რატომ ხარ დარწმუნებული რომ იმ ადამიანს არ მივუტევებ? მე მას შევიწყალებ, შენს ღვთისმსახურებას კი არ მივიღებ!..“ (მუსლიმი, ბირრ, 137)

მესნევი: *„ღმერთი არც ერთ ტომს არ განაწყენებია მანამ, სანამ მათ მის საუკეთესო მეგობრებს, ესე იგი შუამავლებს ან წმინდანებს გული არ ატკინეს.“* (ტ. 2, 3112)

ეს ბეითი ნათლყოფს, რომ ამა თუ იმ ტომის წარმომადგენლისთვის თავის მოჭრის ერთ-ერთი მიზეზი, შუამავლის ან წმინდანებისათვის გულის ტკენა იყო. ალლაჰის ჭეშმარიტი მონა-მსახურის პატივისმცემელი, მისი ფასის მცოდნე პიროვნებები (ამის საფასურად) ჯილდოს მიიღებენ.

ერთ წმინდა ჰადისში ნაბრძანებია:

„მას, ვინც ჩემს წმინდა მონა-მსახურს უმტრობს, მე ომს გამოვუცხადებ. ჩემი მონა-მსახური ჩემს მიერ ნაბრძანები ფარძების შესრულებაზე მეტად ვერაფრით დამიახლოვდება. ჩემს მიმდევარს (ფარძებზე დამატებული) ნებაყოფლობითი ღვთისმსახურებების შესრულებითაც შეუძლია დამიახლოვდეს; საბოლოოდ მე მას ვაღიარებ და სიყვარულით ვპასუხობ. ხოლო ადამიანი, რომელიც ჩემს გულში ხვდება (ჩვეულებრივ)

ჩემი ნაწილი, ჩემი ზრუნვის საგანია. ამიტომ, ჩემგან რასაც ითხოვს აუცილებლად ვუბოძებ, თუ შემეფარება მას დავიცავ.“ (ბუჰარი, რიქაქი, 38)

ამის დამადასტურებელი არაერთი ისტორიული მაგალითიც არსებობს. ფარაონის ჯადოქრებმა წმინდა მუსას დიდებულება და სულიერება შენიშნეს და ჰკითხეს:

„მუსა კვერთხს პირველად შენ გადააგდებ, თუ ჩვენ გადავაგდოთ?“

ისინი ღმერთის მეგობრის უპირატესობის აღიარებითა და მისდამი პატივისცემის გამოჩენით ჭეშმარიტებას ეზიარნენ. მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ შუამავალთან მეტოქეობა გაბედეს – დაისაჯნენ, სამაგიერო მიეზღოთ. როგორც ცნობილია, ფარაონის ბრძანებით ისინი თავდაპირველად აწამეს, შემდეგ კი ხელები და ფეხები ჯვარედინად მოჰკვეთეს და ამგვარად გამოასალმეს სიცოცხლეს.

მათ, რომლებიც იმდენად ურწმუნოები იყვნენ, რომ შუამავალთან გაჯიბრება გაბედეს, შემდეგ ისეთ რწმენას ეზიარნენ, რომ ფარაონიც კი ორთაბრძოლაში გამოიწვიეს და მის უსმართლობასა და მუქარას შეეწინააღმდეგნენ. ამ გზით, წარმავალ ქვეყანას მარადიული სიკეთე არჩიეს.

„(ჯადოქრებმა) **თქვეს: ჩვენთვის გამოცხადებულ აშკარა სასწაულსა და ჩვენს შემოქმედს** (არ უარვყოფთ და) **შენზე ვერ გავცვლით. აქედან გამომდინარე, შენ გააკეთე ის, რისი გაკეთებაც შეგიძლია. შენ მხოლოდ**

ამქვეყნად ზეგავლენის მოხდენა ხელგეწიფება!“ (სურა თაჰა, აიათი 72)

ერთ-ერთ ჰადისში ნაბრძანებია:

„საზიანო არ არის! თქვეს: (როგორაც არ უნდა იყოს) **უეჭველია, რომ ჩვენ ღმერთს დავუბრუნდებით!“** (სურა შუარა, აიათი 50)

როცა ფარაონმა მისნები სასტიკად აწამა, ისინი ღელავდნენ, არ სურდათ, რომ სისუსტე გამოეჩინათ. ამიტომ უდიდეს ღმერთს სულისშემძვრელი მოთმინებითა და რწმენით შესთხოვეს:

„...ღმერთო ჩვენო! ჩვენ მოთმინება გვიბოძე და სული, როგორც ჭეშმარიტ მუსლიმანებს ისე წაგვართვი!“ (სურა აარაფ, აიათი 126)

მევლანა ამ შემთხვევას სიღრმისეულად აანალიზებს:

წყეული და უსამართლო ფარაონი მათ რწმენის გამო დაემუქრა:

„ხელებსა და ფეხებს ჯვარედინად მოგკვეთოთ... მაგრამ ამას არ გაკმარებთ, არ მოგიტევებთ და ჩამოგახრჩობთ!

ფარაონმა იფიქრა, რომ ამის გამო მისნები შეშინდებოდნენ და აცახცახდებოდნენ, შემდეგ კი ქედს მოუხრიდნენ. მაგრამ მან ვერ გათვალა უმთავრესი. ის, რომ რწმენის სიმტკიცით სიმშვიდე მოიპოვეს და მღელვარებისგან გათავისუფლდნენ, ისინი ჭეშმარიტებას ეზიარნენ და ბედისწერის ჩარხს ასჯერ რომ დაე-

ტრიალებინა, ფქვილის მდგომარეობაშიც რომ მოეყვანა, ახლა უკვე იცოდნენ, რომ მათ მხოლოდ ჩრდილი განშორდებოდათ.“

ანუ, ისინი მიხვდნენ, რომ მთავარი სულია, სხეული კი მხოლოდ მისი აჩრდილია. მათ ეს აჩრდილი მსხვერპლად გაიღეს და ალლაჰის არსებაში ჩაიკარგნენ.

„ადამიანო, ეს ქვეყანა მხოლოდ ძილი და სიზმარია. ფრთხილად, იქაურმა მხიარულებამ და ფუფუნებამ არ მოგატყუოს! სიზმარში ხელი რომ გაიჭრა ან სხეული ნაკუწებად გექცეს, არ შეგეშინდეს! რადგან წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ეს ქვეყანა სიზმარია.“

მესნევი: *„ზოგიერთებმა შუამავლებთან ბრძოლა განიზრახეს, რადგან ისინი ჩვეულებრივ მოკვდავებად მიიჩნიეს, ისინი უბრალო ადამიანებად ჩათვალეს.“* (ტ. 2, 3113)

ისინი, ვინც შუამავლებს ჩვეულებრივ ადამიანებად აღიქვამენ და მათში ღვთიურ გამოვლინებებს ვერ ხედავენ, უზრდელობასა და თავხედობას ამჟღავნებენ და ამ თვისებებს ვერ მოერევიან. ეს ისტორიულადაც მუდმივად ასე იყო. ვინც შუამავლების ღვთიურ ბუნებასა და მისიას ვერ ჩაწვდა, მორჩილება და ღმერთისადმი მინდობა ვერ შეძლო, თავხედობის მიზეზით, დამდაბლდა. აბუ ჯეჰილმა, აბუ ლეჰებმა და კიდევ ბევრმა მსგავსმა ადამიანმა შუამავალი უბრალო, მოკვდავ

არსებად ჩათვალა და საკუთარ მცდარ მოსაზრებას შეეწირა.

უკანასკნელ შუამავალს, ის თანამიმდევრები, რომლებიც მას ახლოს იცნობდნენ, გაოცებულები აკვირდებოდნენ. ამ მდგომარეობის მწვერვალზე აბუ ბაქრი იდგა, რომელსაც შუამავალი მაშინაც კი ენატრებოდა, როცა მის გვერდით იმყოფებოდა და მას სიყვარულით უცქეროდა.

ალლაჰის შუამავლის მთავარი მუეძინის, შუამავლის მეჩეთის ბულბულად წოდებული, წმინდა ბილალის მდგომარეობა კი სხვაგვარი იყო. მან, ალლაჰის შუამავლის გარდაცვალების შემდეგ, თითქოს ენა გადაყლაპა, დანა პირს აღარ უხსნიდა. უზარმაზარ მედინაში ვეღარ თავსდებოდა, რადგან ის ვიწროდ ეჩვენებოდა.

მაშინ, ხალიფა აბუ ბაქრმა ბილალს სთხოვა ეზანი ეკითხა. შუამავალზე შეყვარებულმა, დადარდიანებულმა ბილალმა კი შემდეგი პასუხი გასცა:

„აბუ ბაქრ! თუკი ჩემი აზრი გაინტერესებს, ალლაჰის შუამავლის გარდაცვალების შემდეგ ეზანის წაკითხვის ძალა აღარ დამრჩა. გთხოვ, არ დამაძალო! რა იქნება, ჩემს სადარდებელთან მარტო რომ დამტოვო?!..“

წმინდა აბუ ბაქრს კი წმინდა შუამავლის მონატრებით გამოწვეული სევდის გაქარვება ბილალის მიერ წაკითხული ეზანით სურდა და დაჟინებით მოითხოვდა:

„ნუთუ მისი მიმდევრები ალლაჰის შუამავლის შემდეგ მის მუეძინსაც მოაკლდნენ?“

ბილალმა დაჟინებას ვეღარ გაუძლო და დილის ეზანის საკითხავად მინარაზე ავიდა,მაგრამ ყელში ბურთი გაეჩხირა, თვალები აუცრემლიანდა, ხმა აუკანკალდა და უკან ისე ჩამოვიდა, რომ ეზანის წაკითხვა ვეღარ შეძლო. აბუ ბაქრს ამის შემდეგ ადარ დაუძალებია.

ბილალმა ვეღარ გაძლო მედინაში, რომელიც სავსე იყო შუამავალთან დაკავშირებული მოგონებებით და დილის ნამაზის შემდეგ გზს გაუდგა. ის დამასკოში, (შამში), წავიდა. ალლაჰის შუამავალთან შეხვედრის დაუოკებელი წყურვილის გამო ლაშქრობებში მონაწილეობდა, იმ იმედით, რომ სადმე შეჰიდად დაეცემოდა, მაგრამ ღვთაებრივი ბედისწერის შესაბამისად ყველა ჯერზე ცოცხალი ბრუნდებოდა. ამგვარად განვლო წლებმა.

ერთ ღამეს მას წმინდა შუამავალი ესიზმრა; რომელიც ეუბნებოდა:

„ბილალ! რატომ იტანჯები? არ მოვიდა დრო, რომ მომინახულო?“

აღელვებულმა ბილალმა გამოიღვიძა. მაშინვე აქლემზე შეჯდა და უდაბნოს გზას მარტოდმარტომ გაუდგა. მგზავრობის შემდეგ, როგორც იქნა, მედინას მიაღწია. უპირველესად, სანამ ვინმეს ნახავდა შუამავლის საფლავთან მიირბინა, ზედ დაემხო, ეხვეოდა მას და თვალცრემლიანი ამბობდა:

„მოვედი, ალლაჰის შუამავალო, მოვედი!“

ზუსტად ამ დროს წმინდა შუამავლის შვილიშვილები: ჰასანი და ჰუსეინი მოვიდნენ. ბილალმა ისინი რომ

დაინახა საფლავიდან წამოდგა და თქვა:

„აჰ! ალლაჰის შუამავლის თვალის ჩინები!“

ორივეს გადაეხვია.

წმინდა ჰასანმა მათ უთხრა:

„ბილალ, რაღაც მინდა გთხოვო, შემისრულებ?“

„ბრძანე, ჩემო ძვირფასო, ბრძანე!“

„ალლაჰის მესჯიდში შენს მიერ წაკითხული ეზანი მოგვენატრა, მისი მოსმენა გვინდა. წაიკითხავ?“

„თქვენთვის წავიკითხავ.“

შუდღისას, ბილალი მესჯიდი ნებევში იმ ადგილზე ავიდა, სადაც ადრე ეზანს კითხულობდა.

დადარდიანებული გულიდან ისეთი მწველი „ალლაჰუ ექბერ, ალლაჰუ ექბერ!“ (ღმერთი უზენაესია) წარმოთქვა, რომ მთელი მედინა აათრთოლა ალლაჰის შუამავალთაგან განშორებით გამოწვეული ტკივილის გამო. ამ მწველი ხმის გაგონებაზე მთებიცა და ქვებიც აკვნესდნენ.

„ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ რასულულლაჰ!“-ის წარმოთქმისას კი მედინა შეირყა. ხალხი ქუჩებში გამოვიდა და ერთმანეთს ეკითხებოდა:

„რა მოხდა, ნუთუ ალლაჰის შუამავალი ამქვეყნად ხელახლა მობრძანდა.“

ამას ტირილითა და გულამოსკვნით ამბობდნენ...

წმინდა ბილალი კი ცდილობდა ყელში მომდგარი

სლუკუნი დაეოკებინა და „მუჰამმედის ეზანი“ ისე დაესრულებინა.. მაგრამ ცრემლი ახრჩობდა და თავი ვერ შეიკავა, ღონემიხდილს, თვალცრემლიანს გული წაუვიდა.

წმინდა შუამავალთან განშორებამ ფატიმა იმდენად დაამწუხრა რომ თქვა:

„წმინდა შუამავლის საიქიოში გამგზავრებამ იმოდენა უბედურება დამატეხა თავს, რომ ჩემს დანახვაზე თვით წყვდიადი შეიცვლის ფერს.“

დაე, ღმერთმა გაგვიბრწყინოს გულები წმინდა შუამავლის, მისი თანამიმდევრების და მათ კვალზე მავალი წმინდანების სიყვარულით! ღმერთმა წილად გვარგუნოს წმინდა შუამავლის ახლოს გაცნობის ბედნიერება, მისი ზნეობისა და პიროვნებისაგან სარგებლის მიღების ნიჭი. მისი უდიდესი სიყვარული კი ჩვენი გულებისთვის ულევ, მზარდ საგზლად ქცეულიყოს.

მესნევი: *თუკი შენ მრისხანება მოგიცავს, გულებს დაამსხვრევ და მათ ცეცხლს წაუკიდებ, ის ცეცხლი შენთვის ჯოჯოხეთის ცეცხლს გააღვივებს.*

შენი მრისხანების ცეცხლი ამქვეყნადაც კი დაგწვავს და შეგარცხვენს. მისგან წარმოშობილი ჯოჯოხეთის ცეცხლი კი, როგორც ამ შერცხვენის შედეგი, საიქიოში უკვე სამარადისოდ დაგფერფლავს.

შენი მრისხანების ცეცხლი აქ ადამიანებს ხელყოფს. ამ ხელყოფის შედეგად წარმოქმნილი ჯოჯოხ-

ეთის ცეცხლი კი, შენ საიქიოში სამარადისოდ დაგატყდება თავს.“ (ტ. 3, 3472-3474)

სრულყოფილ ადამიანს იმდენად შესანიშნავი ზნეობა და ხასიათი აქვს, რომ ის ალლაჰის გამო, არავის გაუნაწყენდება, არც არავისგან ეწყინება. მას გააზრებული აქვს ქვემოთ მოცემული აიათის საიდუმლო:

„ღვთისმოშიშნი, სიუხვისა და გაჭირვების მიუხედავად, ალლაჰის გამო მოწყალებას გასცემენ, ბრაზს იცხრობენ და ადამიანებს მიუტევებენ. ალლაჰსაც მოწყალენი უყვარს.“ (სურა ალი-იმრანი, აიათი 134)

გადმოცემის მიხედვით, წმინდა ჯაფერ სადიქს ერთი მონა ჰყავდა. ის მისი ყველაზე ახლო მსახური იყო. ერთ დღეს მონამ წვნიანით სავსე ჯამის მოიტანისას, ხელიდან დაუვარდა და წვნიანი ჯაფერს თავზე გადაასხა. გაბრაზებულმა ჯაფერმა მონას შეხედა.

ამაზე მონამ მიუგო:

„ბატონო! ყურანში ნაბრძანებია: „სიბრაზის მომთმენნი მოწონებულ იქნებიან!“

ჯაფერმა თქვა:

„ბრაზი შევიკავე“!

ამჯერად, მონამ უთხრა:

„ყურანში, იმავე ადგილზე, ნაბრძანებია „ადამიანებისთვის დანაშაულის მიმტევებელნი მოწონებულნი არიან!“

ჯაფერმა უპასუხა:

„კარგი, გაპატიე!“

მაშინ მსახურმა თქვა:

„აიათის დასასრულს კი ნაბრძანებია: „ალლაჰს მოწყალენი, სიკეთის მოქმედნი უყვარს!“

მაშინ ჯაფერმა უთხრა:

„წადი, თავისუფალი ხარ; ალლაჰის გამო, გაგათავისუფლე!..“

ცხოვრების წიგნი სიბრაზესთან ჭიდილის ტრაგიკული ისტორიაა. ამ საფრთხისაგან თავდახსნა, მისთვის ძმობისა და მოთმინების დაპირისპირებით, წონასწორობისა და სიმშვიდის შენარჩუნებით შეიძლება.

აბუ დერდამ წმინდა შუამავალს უთხრა:

„მასწავლე ის, რაც სამოთხეს დამამკვიდრებინებს!“

„ნუ მიეცემი მრისხანებას!“ – ბრძანა შუამავალმა. (ბუჰაარი, ედები, 76; თირმიზი, ბირრი, 73)

ერთმა კაცმა შუამავლს უთხრა:

„ალლაჰის შუამავალო! ვინაიდან ძალა არ შემწევს ვრცელი ახსნის გაგებისა, მოკლედ მირჩიე, რა გზით მოვიპოვო ბედნიერება!“

შუამავლმა მასაც იგივე გაუმეორა:

„არ განრისხდე!“ (ბუჰარი, ედები,76; თირმიზი, ბირრი, 73)

ერთ-ერთ ჰადისში კი ნაბრძანებია:

„უდიდესი ალლაჰი დაფარავს იმის ნაკლს, ვინც შეძლებს ბრაზისაგან თავშეკავებას!“ (იჰია, III, 372)

„ალლაჰის საფეხურებამდე ამაღლება და მისი კმაყოფილების მოპოვება, მხოლოდ ბრაზის დაცხრომით შეიძლება და ამაზე უკეთესი ქმედება არ არსებობს!“ (იჰია, III, 392)

„ძლიერი ფალავანი ის კი არ არის, ვინც ყველას მიწას გააკრავს, არამედ ის ვინც ბრაზს შეიკავებს.“ (ბუჰარი, ედები, 102; მუსლიმი, ბირრი, 106-108)

მესნევი: *„თუკი დედამიწაზე მყოფი სუსტი, საცოდავი არსება ღმერთისაგან დახმარებას ითხოვს ანგელოზთა ზეციურ დასს თავს ხმაური დაატყდებათ.“* (ტ 1, 1315)

„ადამიანო, სხვებში დანახული უსამართლობა და ბოროტება, შენივე ცუდი ხასიათის ანარეკლია მათში.“ (ტ. 1, 1318)

ჰადისი გვირჩევს, გვეშინოდეს დაჩაგრულის წყევლის და გვამცნობს, რომ ამ წყევლას ღმერთთან მიღწევაში არაფერი უშლის ხელს. ამიტომაც, საჭიროა უსამართლობას ვერიდოთ. ასევე უნდა ვიფიქროთ, რომ სხვებში შენიშნული უმსგავსობა და ბოროტება ჩვენი ცუდი ხასიათის ანარეკლია. მევლანა ადამიანისათვის დამახასიათებელ შინაგან და გარეგან სიმშვიდესა და მოუსვენრობას ქვემოთ მოცემულ ბეითში შემდეგნაირად გამოხატავს:

„ეკალი თუ შეგერჭო იცოდე, ის ეკალი შენი დარგულია! თუკი რბილ და სასიამოვნო ქსოვილში გაეხვიე,

ის ქსოვილიც შენი მოქსოვილია!

შენს ხასიათს და ბუნებას რომ ჩაღრმავებოდი, გაიგებდი, რომ ბოროტება და ამორალურობა შენშივეა.

შენ ადამიანებისათვის ალლაჰის შუქით რომ შეგეხედა, სხვების ბოროტებისა და ნაკლის გამო შეგრცხვებოდა და უგულისყუროდ აღარ მოიქცეოდი!“

ადამიანი სხვადასხვა ვნებისა და ცდუნების ზემოქმედების ქვეშ იმიტომ კი არ იმყოფება, რომ თავის დროზე შეცდომა დაუშვა და არც იმიტომ, რომ მუდამ ცუდ ქმედებებს სჩადის. ასე რომ ყოფილიყო, შუამავლები, რომლებსაც უმწიკვლო ბუნება აქვთ და ნაკლებ ცოდვილები არიან, არასდროს აღმოჩნდებოდნენ ბოროტი ქმედებების ზეგავლენის ქვეშ. ეს ზეგავლენა ამ დროებით ცხოვრებაში ვისთვის გამოცდაა, ვისთვის კი სულიერი სრულყოფის გზაზე – დახმარება.

ადამიანს ზოგიერთი ბოროტება იმიტომ დაატყდება ხოლმე თავს, რომ ეს დაიმსახურა. ასეთ შემთხვევებში საჭიროა საკუთარი თავი თავად განვსაჯოთ. ამიტომ, სანამ რაიმეს ვიტყოდეთ და საყვედურს გამოვთქვამდეთ, უნდა დავფიქრდეთ. ჩვენი მიზანი გულებში ეკლის დარგვა კი არა, იმ გულების ჩვენს გულებში შენახვა უნდა იყოს. ჩვენი ქცევებიც ჩვენი სიტყვების შესაბამისი უნდა იყოს და ყველა ჩვენი ქმედება სისპეტაკითა და მოკრძალებულობით უნდა გამოირჩეოდეს.

მესნევი: *„ის, ვინც ადამიანს აწყენინებს, იცოდეს, რომ ალლაჰის გამნაწყენებელია. მან არ იცის, რომ თუნდაც ერთი დოქის წყალი ღვთაებრივი წყაროს წყლის შემადგენელი ნაწილია.“* (ტ. 1, 2520)

საჭიროა ვიფიქროთ, რომ ქმედება რომელიც ალლაჰის რომელიმე ქმნილებას შეუარაცხყოფს, თავდაპირველად უდიდესი ალლაჰის რისხვას იწვევს, რადგან ალლაჰი თავის ქმნილებებს სიყვარულით უცქერს. ამის გამოა, რომ ცოდვილის, ესე იგი ღვთის წინააღმდეგ აჯანყებული ადამიანის ცოდვისა და ნაკლის მოხსენებაც კი აკრძალულია და ის **„ჭორაობის“** სახელით, მძიმე ცოდვად ითვლება.

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„...მას ჩემი სულისგან შთავბერე...“ (სურა ჰიჯრი, აიათი 29)

ამგვარად, ღმერთმა ადამიანს მასთან დაახლოების ნიჭი უბოძა და ის ყველაზე პატივსაცემ არსებად აქცია. ამიტომაც ღმერთი არასდროს არის კმაყოფილი ადამიანის უგულებელყოფის, დამდაბლებისა და შეურაცხყოფის გამო. გადმოცემის მიხედვით, ერთ დღეს, მუჰიდდინ არაბმა, სანაპიროზე სეირნობისას დაინახა ახალგაზრდა, რომელიც ღვინოს სვამდა. იგივე ახალგაზრდა, იმავდროულად, ერთ ქალს მოურიდებლად ექცეოდა. მუჰიდდინ არაბმა გაიფიქრა:

„მართალია ადამიანმა თავი უნდა დაიმდაბლოს და მოკრძალებული იყოს, მაგრამ მე ალბათ ამ ცოდვილ ახალგაზრდაზე მაღლა ვდგავარ, რადგან არც ღვინოს ვსვამ და არც თავხედურად, ამორალურად ვიქცევი.“

ზუსტად ამ დროს ზღვიდან ყვირილი მოისმა:

„გვიშველეთ, ვიხრჩობით!..“

ახალგაზრდამ, ამ ხმის გაგონებისთანავე, ხელიდან თასი მოისროლა, მყისიერად წამოხტა, ზღვაში გადაეშვა და რამდენიმე წუთის განმავლობაში ნაპირზე ოთხი ადამიანი გამოიყვანა. ამის შემხედვარე იბნ არაბმა კი იმ ეჭვებზე იპოვა პასუხი, სულ ცოტა ხნის წინ რომ აღეძრა. მან გაიფიქრა:

„შეხედე, იმ ჭაბუკმა, რომელიც შენ დაამდაბლე, ცოდვილად ჩათვალე და შეურაცხყოფა მიაყენე, უცებ ოთხი ადამიანი გადაარჩინა. შენ რა გააკეთე?! ერთი ადამიანიც კი ვერ იხსენი!.“

როგორც ამ ნოველიდან ჩანს, ადამიანებში ჩვენთვის შესამჩნევი და თვალსაჩინო გარეგნული ქცევების გარდა, ისეთი თვისებები და განძი დევს, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ. შუამავლების გარდა, არც ერთ ადამიანს არ აქვს უკანასკნელი ამოსუნთქვის გარანტია. ამის გამო მისტიკოსები ალლაჰის მონა-მსახურების მიმართ სიძულვილს – დანაშაულს უწოდებდნენ.

მესნევი: *„ნებისმიერ გაჭირვების, გაბრაზებისა და განრისხებისას ყველა გაუწვრთნელს სიძულვილი იპყრობს. სარკე გაუპრიალებლად როგორ იქნება?“* (ტ. 1, 2980)

ადამიანს სატანჯველი და გასაჭირი სრულყოფს. სიძნელისგან გაქცევის ყოველგვარი მცდელობა

სიზარმაცის, ეგოისტობისა და უნებისყოფობის გამოვლინებაა. ყურადღება უნდა მივაქციოთ, თავს დამტყდარი სირთულე რამდენად შეესაბამება ჩვენს, წინააღმდეგობის გაწევის უნარს.

როდესაც ადამიანს უსამართლოდ ექცევიან, ის მაშინვე არ უნდა გაბრაზდეს და პასუხის გაცემა არ უნდა სცადოს, პირიქით, ის წინააღმდეგობას მშვიდად უნდა შეხვდეს, უნდა შეიმეცნოს კრიტიკას იმსახურებს თუ არა და საკუთარი თავი თავად უნდა განსაჯოს. თუკი ის ცუდ მოპყრობას არ იმსახურებდა და მაინც მოითმინა, ეს მის მიერ სრულყოფილების საფეხურის ფლობაზე მიანიშნებს. უსამართლობის ჩამდენის მიერ ღმერთისთვის მადლობის გადახდა მისი ქმედების ბოლო სადგურია, რადგანაც ეს ყველაფერი ადვილი არ არის, ამგვარი ფალავნები იშვიათობაა.

სუსტი, ღარიბი, საბრალო ადამიანის შეცოდება და მასთან სიახლოვე გულისხმიერებისთვის აუცილებელია. მაგრამ უფრო მეტად უნდა შეგვეცოდოს:

უსამართლობის წნეხის ქვეშ მოქცეული ჩაგრულის აკვნესებული სინდისი.

დიდი შესაძლებლობების, მაგრამ წარმავალი და შმაგი სიამოვნების ტყვედ ქცეული საბრალო სულები.

უკანონობისა და უსამართლობის პერიოდში შერცხვენილი, მოწყალების გაცემის უნარის არმქონე და ეგოისტი პიროვნებები.

ვინაიდან, ესენი არიან ისინი, ვინც მარადიულ სამყაროში ყველაზე მეტს დაკარგავენ. ამ გმირობის

კარგი მაგალითია „იასინ“ სურის მეორე გვერდზე, მე-13 – 27-ე აიათებში გადმოცემული, ნოველა – ჰაბიბი ნეჯარის შესახებ. ჰაბიბი ნეჯარი იმისთვის ჩაქოლეს, რომ ხალხს სამართლიანობას ასწავლიდა. როდესაც ის სიცოცხლეს ემშვიდობებოდა, მისთვის ღვთიური ფარდები აიხადა.

„ნეტა ჩემს ტომს სცოდნოდა, რომ ღმერთმა მე მაპატია და პატივი მომაგო!“ (სურა იასინი, აიათები 26-27)

როგორც ერთგულების სიმბოლო წუხდა თავისი ტომის უგულისყურობაზე, რომლებმაც ის შეჰიდად აქციეს, ასევე, ნებისმიერი მოკვდავი უნდა იბრძოდეს ყოველ ადამიანში სიმართლისა და ზნეობრიობის აღზრდაზე.

მესნევი: *„მნიშვნელოვანია ვარდის თვისების შეძენა ესე იგი, როცა ამქვეყნიურ ბაღში ეკლებს დაინახავ, შიშით – მიჩხვლეტს და მეტკინებაო კი არ უნდა გაიქცე, ისინი გულში უნდა ჩაიკრა ზამთრის სუსხის გადატანაც რომ მოგიხდეს, უნდა სცადო ისინი გაზაფხულის კლიმატში გამოიყვანო და მთელი ქვეყნისთვის ვარდად ყოფნა შეძლო.“* (ტ. 3, 3259)

ადამიანის „ვარდობა“ მის სიხალასეს სიკეთეს ნიშნავს. ამგვარმა ადამიანმა გველსაც რომ შეხედოს, მასაც კი დაიმორჩილებს. (არსებობს ცნობილი გადმოცემა იმის შესახებ, თუ როგორ დაესხა თავს გველი აბდულქადირ გეილანს. ერთ დღეს, როცა გეილანი მეჩეთში ღვთისმსახურებას ასრულებდა, მოპირდაპირე

მხრიდან გველი გამოძვრა და აქა-იქ მოჰყვა ხეტიალს. მეჩეთში მყოფები მიმოიფანტნენ, ის კი არ განძრეულა. გველმა გეილანს გარშემოუარა, შემდეგ კი დაიკარგა. მსგავსი შემთხვევა მაჰმუდ სამი ეფენდისთან დაკავშირებითაც არის გადმოცემული. როდესაც ის მეჩეთში იმყოფებოდა, გველი შემოვიდა. ყველა დაფრთხა, მან კი სიმშვიდე შეინარჩუნა და თქვა, რომ გველი ზიანის მოსაყენებლად არ იყო მოსული. მართლაც გველი ცოტა ხნის მანძილზე იგრაგნებოდა, შემდეგ, ისევ იმ ხვრელიდან წავიდა საიდანაც მოვიდა. ე.ი. რადგან ღმერთის საყვარელი პიროვნებები სიძულვილით არც ერთ არსებას არ უცქერიან, ისინი ბოროტების წინააღმდეგ ჩვეულებრივ სიძულვილსაც კი მისტიციზმში ახრჩობენ. ამას „ალლაჰის გულისთვის სიძულვილი გაბრაზება“ ეწოდება.

მაგრამ იმ შემთხვევებზე, რომლებიც სამყაროში მრავლად ხდება, ამგვარი განწყობით მიდგომა ადვილი არ არის. ამის გამო „ვნება ემმარეთი“ დაწყებული მგზავრობა საჭიროა ჩვენი ზნეობრივი სამყაროს „სრულყოფით“ დავამთავროთ, ანუ მწვერვალს მივაღწიოთ, მწვერვალი ხომ სრულყოფილებაა.

მევლანა ვარდს ასე ესაუბრება:

„ვარდმა თავისი სასიამოვნო სურნელი ეკალთან შეხმატკბილებული ცხოვრებით შეიძინა. მოდი, ეს ჭეშმარიტება ვარდისგანაც მოისმინე. აი, რას ამბობს ის:

„იმის გამო, რომ ეკალთან ერთად ვცხოვრობ, რატომ უნდა მოვიწყინო, რატომ უნდა დავდარდიანდე? მე ხომ ბედნიერება სწორედ იმის წყალობით მოვიპოვე, რომ იმ

მკაცრი ხასიათის ეკალს შევეგუე. მისი საშუალებით მომეცა შესაძლებლობა სამყაროსთვის სილამაზე და სასიამოვნო სურნელი შემეთავაზებინა...“

იმისათვის, რომ მორწმუნემ თანამოსაუბრეზე ზეგავლენა მოახდინოს, ჯერ შინაგანი სრულყოფილება უნდა მოიპოვოს, მოპირდაპირე მხარის ჩადენილ შეცდომაზე თავი პასუხისმგებლად უნდა ჩათვალოს. ექიმის მოვალეობა ავადმყოფის გაბრაზება კი არა, ავადმყოფობის მკურნალობის გზის პოვნა და მისი განკურნებაა. ისევე როგორც ექიმი ეხმარება ავადმყოფს, მისტიკოსმაც ცოდვილი კი არ უნდა შეურაცხყოს და განკვეთოს, არამედ ისე უნდა მოექცეს, როგორც ფრთამოტეხილ ჩიტს, ის მკერდში უნდა ჩაიკრას და ცოდვისადმი სიძულვილი ცოდვილზე არ უნდა გადაიტანოს.

არ გაანაწყენო და არ განაწყენდე!

რომ არ გაანაწყენო ადვილია, მაგრამ რომ
არ განაწყენდე რთული, რადგან ის გულს
ეხება, მასთანაა დაკავშირებული. აქედან
გამომდინარე, სიმშვიდის შენარჩუნება და
წყენის მოთმენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია
შესაძლებელი თუ მოკვდავი ადამიანისაგან
წამოსული და გულში შერჭობილი მოწამლული
ისარი ჩვენზე ზეგავლენას არ მოახდენს.
ეს კი გულისა და სულის ერთდროული
განწმენდისა და აღზრდის შედეგად მიღწეული
სრულყოფილების დონის შესაბამისია.

გაუნაწყენებლობა

წმინდა შუამავლის მუეძინთაგან აბდულლაჰ იბნ უმმი მექთუმი დროდადრო ალლაჰის შუამავალთან მიდიოდა და სთხოვდა:

„ალლაჰის შუამავალო! მასწავლე იმისგან მცირედი, რაც შენ ალლაჰმა გასწავლა!“

წმინდა შუამავალიც იმ სუფთა გულის მქონე თანამიმდევარს არ ანაწყენებდა და ყველა შეკითხვაზე პასუხს სცემდა.

ერთ დღეს შუამავალთან ყურაიშების რამდენიმე წინამძღოლი იმყოფებოდა. წმინდა შუამავალს იმედი ჰქონდა – „ეგებ ყურაიშების წინამძღოლებმა ირწმნუნონ და ჭეშმარიტებას ეზიარონო.“ ამ დროს, კვლავ მოვიდა დაბადებიდანვე ბრმა უმმი მექთუმი. თავისი სიბრმავის გამო, მან ვერ შენიშნა შუამავლის სტუმრები, ამიტომაც, როგორც ყოველთვის, ახლაც იგივე თხოვნით მიმართა მას. უდროო და უადგილო თხოვნამ შუამავალი დაამწუხრა. მან სახე საპირისპირო მხარეს მიატრიალა და ყურადღება არ მიაქცია, რამაც აბდულლაჰ იბნ უმმი მექთუმს გული ატკინა. ამის გამო აბესე სურეს შემდეგი ორი აიათი მოევლინა:

„ალლაჰის შუამავალმა ბრმა მოვიდაო სახე შეჭმუხნა და თავი მიატრიალა.“ (სურა აბესე, აიათები 1-2)

ამ შემთხვევის შემდეგ ალლაჰის შუამავალი როდესაც აბდულლაჰ იბნ მექთუმს დაინახავდა, ამბობდა:

„გამარჯობა, ადამიანო, ვის გამოც ღმერთმა გამკიცხა.“ (ვაჰიდი, ესჰაბუ ნუზული ყურან, გვ. 471)

უეჭველია, რომ ეს შემთხვევა ჭეშმარიტების მიმდევარი ადამიანებისათვის, წმინდა შუამავლის პიროვნების სახით ნაჩვენები, გასათვალისწინებელი მაგალითია. ის მიგვითითებს, რომ საჭიროა ამგვარ საკითხებში ყველა მორწმუნემ მას მიბაძოს. აქედან გამომდინარე, ღმერთის მეგობრები ადამიანის წყენინებას უნდა ერიდებოდნენ, გულს როგორც ალლაჰის ნავთსაყუდელსა და მეთვალყურეობის ადგილს, ისე უნდა უყურებდნენ, (ესე იგი როგორც ალლაჰის სახლს, ქაბეს). ვინაიდან ის, ვინც გულს შეურაცხყოფს, სინამდვილეში მის პატრონს აწყენინებს. ამის გამო ნაბრძანებია:

„ალლაჰი გულნატკენებთან ერთად არის.“

ჰადისში კი ნაბრძანებია:

„მუსამ ერთ-ერთი ვედრებისას, ღმერთს უთხრა:

„ღმერთო! შენ სად გეძებო?“

უდიდესმა ღმერთმა მიუგო:

„გულგატეხილთა გვერდით!“ (აბუ ნუაიმი, ჰილიე, II, 364)

აი, რა ლამაზად გადმოსცემს ამ ჭეშმარიტებას წმინდა მევლანას ნოველა:

ერთ გემზე დერვიში იმყოფებოდა. მას პირადი ნივთები და ბარგი არ ჰქონდა, სანაცვლოდ კარგი ხასიათის, კეთილშობილებისა და ადამიანობის ბალიშს ეყრდნობოდა. გემი განაგრძნობდა გზას, ის სხვადასხვა წყლებში მიცურავდა. ამ დროს გემზე ქისა ოქრო დაიკარგა. მაშინ დერვიშს ეძინა. ამიტომ, მის გარდა ყველა გაჩხრიკეს და ქისა ვერ იპოვეს; ხომალდზე მყოფთა-

გან ერთ-ერთმა დერვიშზე მიუთითა და თქვა:

„ეს მძინარე ღარიბი გავჩხრიკოთ!“

ფულის დაკარგვით შეწუხებულმა ქისის პატრონმა ის გააღვიძებინა. უდანაშაულო დერვიშს ბრალმდებლებმა უთხრეს:

„გემზე ერთი ქისა ოქრო დაიკარგა. ყველა გავჩხრიკეთ, ეხლა შენი რიგია! გაიხადე ხალათიცა და საცვლებიც, რათა ხალხს ეჭვი არ შეეპაროს!“

დერვიში ღმერთს შეევედრა:

„ღმერთო! შენს უდანაშაულო მონა-მსახურს ბრალს სდებენ, ჩემს განცდებს მხოლოდ შენ წარმოგიდგენ!“

გემზე მყოფებმა დერვიშს გული ატკინეს, მიუხედავად იმისა,რომ ის სუფთა გულის პატრონი იყო. უდიდესი ალლაჰი კმაყოფილი არ არის იმგვარი საქციელით, როცა ადამიანს გულს სტკენენ. ამიტომაც, მან თევზებს უბრძანა რომ ისინი ზღვის ზედაპირზე გამოჩენილიყვნენ. თითოეულს პირში გასაოცარი მარგალიტი ჰქონდა. იმ მარგალიტების ფასი ერთი სახელმწიფოს შემოსავალს უდრიდა. ეს ალლაჰის წყალობა იყო, ამიტომ იმ მარგალიტებზე უფლება არავის ჰქონდა.

დერვიშმა რამდენიმე თევზს პირიდან მარგალიტი გამოაცალა და გემის შუაგულში დადო. თვითონ შეხტა და ჰაერში ისე მოირთხა, თითქოს სკამზე იჯდა. ის ისეთი ფორმით იყო, როგორც მეფეები სხედან ხოლმე თავიანთ ტახტზე. გემი აღარ იძვროდა. მაშინ, მან გემზე მყოფებს დაუძახა:

„წადით, დაე, გემი თქვენი იყოს, ღმერთი ხომ ჩემთან არის! ის მე არც ქურდობაში მადანაშაულებს და არც იმის ხელში მტოვებს, ვინც ჩემს ნაკლს განზრახ მომახლის პირში.“

გემზე მყოფებმა ჰკითხეს:

„დიდებულო ადამიანო! რისთვის გებოძა შენ ამდენად ამაღლებულ საფეხურზე ყოფნის ნიჭი?“

„სამყაროს ღმერთისადმი პატივისცემის გამო, არც ღარიბების წინააღმდეგ ავ ფიქრებს შევუპყრივარ. ისინი ხომ სასიამოვნო და მშვენიერი არსებები არიან? „აბესე“ სურა მათ ასამაღლებლად იქნა ზეგარდმოვლენილი. ისინი თავიანთი სიღარიბის გამო ამქვეყნიურობამ არ უნდა შეიპყროს და დაჩაგროს. მათ სიგლახაკე გათავისებული აქვთ და იციან, რომ ამქვეყნად ღმერთზე უმაღლესი არაფერი და არავინაა.“

ამ ნოველის სიბრძნეს ნაზიარები წმინდა მევლანა ასე ბრძანებს:

„ვინც ადამიანს აწყენინებს, ის ალლაჰის შეურაცმყოფელია. მან არ იცის, რომ წყალი, რომელიც დოქში დგას ღმერთის წყაროს უერთდება.

ჩვენ, საკუთარი უცოდინარობისა და გულგრილობის გამო, ღვთისნიერ წმინდანთა დამცირებასა და მათ წყენინებას არ ვერიდებით.

გატაცება ავადმყოფობაა, რომელიც საბოლოოდ უბედურებას მოგვიტანს. ის, ვინც განსაცდელშია გვე-

ბრალება, მაგრამ სიბრიყვე ისეთი დაავადებაა, რომ სხვებსაც კოდავს და ტკივილს აყენებს.

ბრიყვები ადამიანთა მიერ აშენებულ მეჩეთებს სცემენ თაყვანს, გულის პატრონებს კი არაფრად აგდებენ.

ამ გულის სამკვიდრებელში რომ იცოდეთ ვინ იმყოფება, მაშინ დაფიქრდებოდით, თუ რა არის მიზეზი გულის პატრონის კარების წინ თქვენს მიერ გამოჩენილი უზრდელობისა?

ალლაჰს ხომ არც ერთი ტომი არ შეურცხვენია მანამ, სანამ ღვთის კაცებს, შუამავლებს ან წმინდანებს გული არ ატკინეს.“

აქედან გამომდინარე,მისტიციზმი გულისადმი განიხილავს და უარყოფს სხვისი წყენინების საკითხს, არც იმას ტოვებს უყურადღებოდ, რომ თავად არ განაწყენდე.

სამი ეფენდის მაშინ იურიდიული ფაკულტეტი ახალ დასრულებული ჰქონდა, როცა მისი ცხოვრების ნირი ერთ წმინდანს ძალიან მოეწონა და უთხრა:

„შვილო, ეს განათლებაც კარგია, მაგრმ შენ უმთავრესი ცოდნის მოპოვება სცადე, განათლების ცენტრში ჩაგწერ, იქ გულის მეცნიერებებსა და საიქიო საიდუმლოებებს დაეუფლე!...“

თან დაამატა:

„შვილო, იმ სკოლაში როგორ აღზრდა-განათლებას იძლევიან და რას ასწავლიან არ ვიცი, მაგრამ ერთი

რამ ვიცი, რომ ამ სკოლაში პირველი გაკვეთილია – არ აწყენინო! ბოლო კი – არ გეწყინოს..“

სხვა რომ არ გაანაწყენო ადვილია, მაგრამ შენ რომ არ განაწყენდე სხვაზე-ძნელი, რადგან ის გულის საქმეა. აქედან გამომდინარე, სიმშვიდის შენარჩუნება და გაუბრაზებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი თუ წარმავალისაგან წამოსული და გულში შერჭობილი მოწამლული ისარი ჩვენზე ზეგავლენს არ მოახდენს. ეს კი გულისა და სულის განწმენდითა და აღზრდის შედეგად მიღწეული სრულყოფილების დონის შესაბამისია. როდესაც წმინდა შუამავალს ტაიფში ქვებს ესროდნენ და შეურაცხყოფდნენ, მას ანგელოზები ეუბნებოდნენ:

„ალლაჰის შუამავალო! შენ თუ ისურვებ ამ ორ მთას ერთმანეთს შევაჯახებთ და ამ უსამართლო ხალხს გავანადგურებთ!“

მაგრამ ქვეყნიერებისთვის წყალობად მოვლენილმა შუამავალმა, ანგელოზების ეს შეთავაზება უარყო. ის, თანაგრძნობითა და გულისხმიერების გრძნობით აღვსავსე, ტაიფისკენ მიტრიალდა და ღმერთს შეევედრა, რათა ისინი ჭეშმარიტების გზაზე დაეყენებინა. (იხ. ბუჰარი, ბედულ ჰალქ, 7; მუსლიმი, ჯიჰადი, 111)

ხოლო, როცა შუამავალზე შეყვარებულ ჰალიჯი მანსურს ქოლავდნენ, ის ღმერთს შეევედრა:

„ჩემო ალლაჰო! მიუტევე მათ, რამეთუ არ იციან რას სჩადიან!“

ეს არის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ

სულიერი აღზრდის და გულის სრულყოფილების შედეგად მოიპოვება.

აბუ ქასიმ ელ ჰაქიმს სრულყოფილი გულისთვის დამახასიათებელი თვისებების შესახებ ჰკითხეს, მან უპასუხა:

„სრულყოფილ გულს სამი თვისება აქვს:

პირველი: არავის აწყენინებს;

მეორე: არც თავად განაწყენდება!

მესამე: სიკეთეს უანგაროდ,მხოლოდ ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად აკეთებს.

მორწმუნე გულწრფელია მაშინ, როდესაც ის ღმერთის წინაშე ისე მივა, რომ არავინ ეყოლება შენაწუხები, გული გამუდმებით ღმერთისკენ ექნება მიმართული და არავისგან იქნება განაწყენებული; არც ჩანატარებ ღვთისმსახურებებში ეყოლება წარმავალი მოზიარე.."

სხვას რომ არ აწყენინო და არც თავად გეწყინოს, ამისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია საკუთარი ნაკლისა და დანაშაულის დაფარვა. რადგან ბელჰ ჰათემს ამგვარი მაღალი ზნეობა ჰქონდა, მას მიუხედავად იმისა რომ ესმოდა ზედმეტ სახელად ყრუ უწოდეს:

ერთ დღეს მასთან სათხოვნელად დადარდიანებული ქალი მივიდა. თავისი გასაჭირის თხრობისას მოულოდნელად გაზებმა შეაწუხა და კიდეც განთავისუფლდა მათგან. ამის გამო საბრალო სირცხვილისაგან დაიწვა. ჰათემი კი უხერხულობის გასაფანტად ისე მოიქცა, თითქოს არაფერი გაუგია, ხელი ყურთან მიიტანა და

უთხრა:

„დაიკო, ცუდად მესმის, ცოტა ხმამაღლა მოყევი! ვერ გავიგონე...“

საბრალო ქალმა ჩათვალა, რომ რაც შეემთხვა შეუმჩნეველი დარჩა და დამშვიდდა. ამიტომ, თავისი საწუხარის მოყოლა თავიდან დაიწყო.

ამ შემთხვევის შემდეგ წმინდა ჰათემს „ყრუ ჰათემი უწოდეს.“

რა თქმა უნდა, ამ ნოველის მთავარი გმირისთვის დამახასიათებელი მაღალი ზნეობის მოპოვება მხოლოდ წიგნებიდან მიღებული ცოდნის ცხოვრებაში გატარებით შეუძლებელია. წმინდა ჰათემის ეს დელიკატურობა, სხვისი ნაკლის დაფარვის ნიჭი, მისთვის ღვთისაგან ბოძებული თვისებაა. ამიტომ, მის მსგავსად მოქმედება მხოლოდ ალლაჰის ზნეობით აღჭურვის შემთხვევაშია შესაძლებელი.

სხვისი განაწყენების შესახებ ჰადისში ნაბრძანებია:

„ადამიანს ცოდვად ისიც ეყოფა, თუკი მუსლიმან ძმას ზემოდან დახედავს..“ (მუსლიმი, ბირრი, 32)

წყენინების შესახებ კი ჰადისში ნაბრძანებია:

„შენთვის ღირსების მომტანი არ არის სიკეთის მქნელს სიკეთით, ბოროტების მქნელს კი ბოროტებით გადაუხადო. ნამდვილი ღირსება იმაშია, ბოროტების მქნელს ანალოგიურად არ მოექცე და სიკეთით გადაუხადო.“ (თირმიზი, ბირრი, 63)

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„რაჰმანის (ხალასი) **მონა-მსახურები ისინი არიან, რომლებიც დედამიწაზე თავმდაბლად დააბიჯებენ და როცა მათ უცნობი ადამიანები სიტყვას გადაუკრავენ,** (ისე რომ წყენას გულში არ გაივლებენ) **ეტყვიან „სალამს“** (მშვიდობა და წავლენ)**.“** (სურა ფურქანი, აიათი 63)

სულისა და ზნეობის ამგვარ სიმაღლეზე ყოფნა გამჭრიახობის მაჩვენებელია. ადამიანი, თავისდაუნებურად, უამრავ რამეს წამოროშავს ხოლმე. ამიტომ გამჭრიახობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

რა არის გამჭრიახობა?

გამჭრიახობა შუამავლებისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანია. თანამოსაუბრის ცოდნის დონის შესაბამისი მახვილგონივრული ქმედებაა. ვინაიდან ერთმა და იმავე ქმედებამ, შეიძლება ერთი ადამიანი გაახაროს, მეორე კი დაამწუხროს. აქედან გამომდინარე, ადამიანის აღზრდა, მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობის გამყარება მოვლენის შემდგომი ორი-სამი საფეხურის განსაზღვრით ხდება.

გამჭრიახობის ერთ-ერთი გამოვლინება სიკვდილის გამოცანის ამოხსნის მცდელობაა; ვინაიდან წარმავალ სამყაროში საიდუმლოებებისა და ჭეშმარიტების გაგება მხოლოდ „გარდაცვალებამდე გარდაცვალებითაა“ შესაძლებელი. ესე იგი აუცილებელია ვნებისა და ამქვეყნიური სურვილებისგან გავთავისუფლდეთ. წმინდანები ამ საკითხში შემდეგ წესებს ემორჩილებიან:

ორი რამ არ დაივიწყო:

1. ალლაჰი;

2. სიკვდილი;

ორი რამ დაივიწყე:

1. შენს მიმართ ჩადენილი ბოროტება;

2. შენს მიერ ქმნილი სიკეთე;

ჩვენთვის გაკეთებული სიავის პატიებას თუ შევძლებთ ეს უფრო ღირსეული და მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანის მიტევებით ღმერთის მიერ საკუთარი ცოდვების შენდობას დავიმსახურებთ. აიათში ნაბრძანებია:

„(შუამავალო!) შენ მიტევების გზას დაადექი, სიკეთე დანერგე და უმეცრებს ზურგი აქციე.“ (სურა აარაფ, აიათი 199)

„თუკი სიკეთეს აშკარას არ გახდით და დაფარავთ, ან თქვენს მიმართ ჩადენილ ბოროტებას მიუტევებთ (და დამალავთ), **უეჭველია, ალლაჰიც უფრო მეტად მიმტევებელი და ლმობიერი იქნება.“** (სურა ნისა, აიათი 149)

„...არ გინდათ ალლაჰმა მოგიტევოთ?..“ (სურა ნური, აიათი 22)

იბნ ომარი გადმოგვცემს:

„ალლაჰის შუამავალთან ერთი კაცი მივიდა და ჰკითხა:

„მოსამსახურეს რამდენგზის უნდა მივუტევო?“

შუამავალმა შეკითხვაზე არ უპასუხა. მაშინ კაცმა

განმეორებით მიმართა:

„ალლაჰის შუამავალო! რამდენგზის შეიძლება მივუტევო მსახურს?“

ამჯერად წმინდა შუამავალმა უპასუხა:

„მიუტევე, თუნდაც დღეში სამოცდაათჯერ!“ (აბუ დავუდი, ედები, 123-124/5164; თირმიზი, ბირრი, 31/1949)

მეტად მნიშვნელოვანია ქვემოთ მოცემული სიტყვები, რომლებიც შუამავალმა სასიკვდილო სარეცელზე წარმოთქვა:

„ნამაზი! ნამაზს მიაქციეთ ყურადღება! თქვენს განკარგულებაში მყოფი მონების (ქალებისა და ბავშვების) გამო გეშინოდეთ ალლაჰის!“ (აბუ დავუდი, ედები, 123)

ერთ-ერთ სხვა ჰადისში კი შუამავალი ბრძანებს:

„იყო ერთი გულუხვი კაცი, რომელიც ადამიანებს ფულს სესხად აძლევდა. ის კაცი მსახურს არიგებდა:

თუკი სესხს ღარიბს მისცემ, მასთან ვალის ასაღებად რომ მიხვალ, გადახდის შესაძლებლობა თუ არ ექნება, თავი დაანებე და მიუტევე! აჩუქე ის, რაც შენ გეკუთვნოდა! ვიმედოვნებ, ალლაჰიც უფრო მიმტევებელი იქნება ჩვენს მიმართ.

საბოლოოდ ის კაცი ღმერთს წარუდგა, რომელმაც მას შეუნდო.“ (ბუჰარი, ენბია, 54; მუსლიმი, მუსაქათი, 31)

აი, ეს არის გამჭრიახობა და წინასწარ ჭვრეტის ნიჭი. თუკი ჩვენც ასე მოვიქცევით, ეს იმ მდგომარობისა და განწყობის გამომხატველი იქნება, რაც ჩვენს გულებში წმინდა შუამავალმა ჩანერგა და დაამკვიდრა.

ამ მდგომარეობას ვინც ჩასწვდება ალლაჰის მეგობარი გახდება. აქედან გამომდინარე, არც ერთი ალლაჰის მიმდევარი და მეგობარი ბრიყვი არაა. და ვერც ერთი უგუნური მის მეგობრობამდე ვერ ამაღლდება.

როდესაც წმინდა შუამავალი ვინმეს აქებდა, ბრძანებდა:

„როგორი გონიერება აქვს?!“

უდიდესი ღმერთი კი აიათებში ხშირად იმეორებს:

„ნუთუ გონს არ მოეგებიან? არ ფიქრობენ?“

ესე იგი, უდიდესი ალლაჰი ადამიანებს ჭკუისა და თავიანთი ცნობიერების გამოყენებისკენ მოუწოდებს.

ყველაზე დიდი გამჭრიახობა მომავლის საიდუმლოს ამოხსნაა. მისი ამომხსნელი ადამიანი არც არავის აწყენინებს და არც არავისგან ეწყინება. საერთოდ, ყველა მოვლენაში ღვთიური ნება-სურვილი და მარადისობის საიდუმლო შეიმჩნევა. ყველა არსება უზენაესის სურვილისამებრ იქცევა.

ჰალიდი ბაღდადი ბრძანებს:

„ღვთის წინაშე მუდმივად მოკრძალებული იყავი! არ დაივიწყო, რომ მოვლენები განგებისა და ბედისწერის შესაბამისად ვითარდება. დანარჩენი მხოლოდ უბრალო მიზეზია.“

გულის ჭეშმარიტად მცნობი ადამიანები ამბობენ:

„ის ადამიანები, ვინც საკუთარ თავს შეიცნობენ, შემდეგი სამი თვისება ახასიათებთ:

1. ქარსაც კი არ აწყენინებენ;

2. საკუთარ თავზე საუბრისას მოკრძალებულნი არიან;

3. ღმერთის ქმნილებებს გულისხმიერებითა და თანაგრძნობით უცქერიან.“

მოკლედ, რომ არ აწყენინო და არ გეწყინოს, გული იმ დონეზე უნდა განიწმინდო, რომ „შენს მოსაკლავად მოსული, სიკეთის მსურველი მოყვასად აქციო.“

ღმერთო, წილად გვარგუნე ბედნიერება, რათა ვიყოთ ნაზი, დახვეწილი და მგრძნობიარე გულის პატრონები და ავმაღლდეთ ამ დონემდე.

ამინ!

მესნევის მიხედვით

გამაოგნებელი სიამაყე

მესნევი: *„დედამიწა ზეცას მიებარა და უთხრა: „მე მორჩილი ვარ, რაც გინდა დამაწვიმე!“* (ტ. 3, 452)

„მზისგან დედამიწას ცეცხლის წვიმაც რომ დაეპკუროს, დედამიწა ამ ცეცხლს სახეს მიუშვერს. მას თავს არ აარიდებს და მის მხურვალებას მიწით დააცხრობს; ის ხომ მასზე უპირობოდაა მინდობილი.“ (ტ. 3, 450)

„ადამიანო, შენ დედამიწის ერთი ნაწილი ხარ. იქ ცხოვრობ და ალლაჰის ნაბრძანებს, ბედისწერას არ შეეწინააღმდეგო!

გაიზიარე აიათის სიბრძნე „თქვენ მიწისგან შეგქმენით,“ რაც იმას ნიშნავს, რომ ალლაჰს სურს შენც მიწა იყო და ღმერთის ბრძანებების წინააღმდეგ არ გამოხვიდე!

ალლაჰი ამბობს: „ადამიანო, ყურადღებით შეხედე

და მიხვდები, რომ შენს მიწისგან შექმნილ სხეულს ჩემი სულისაგან ერთი მარცვალი დავუმატე და სხვა არსებებზე მეტად აგამაღლე. შენ ჭკუაც გიბოძე, აზროვნების უნარიცა და სიყვარულიც. შენ ჩემი სიყვარულის მოსაპოვებლად ერთი იერიში კიდევ მიიტანე და მიწად ყოფნა, ესე იგი თავმდაბლობა, შენს თვისებად აქციე. ამიტომ მეც შენ ყველა ჩემს ქმნილებაზე მაღლა დაგაყენებ.“ (ტ. 3, 453-456)

ზემოთ მოცემულ ბეითებში მევლანა ამბობს, რომ თავმდაბლობა ადამიანის მთავარი, მისი ბუნებისთვის აუცილებელი თვისებაა. ადამიანის სხეული მიწისგან მიღებული საკვებით საზრდოობს და ვითარდება, ამიტომაც მისი სხეულის ფუძე მიწაა. სული კი ალლაჰისგან არის. ის ღმერთმა სიტყვის **„იქმენ“** წარმოთქმითა და მისი განხორციელებით შექმნა. ის, რაც ადამიანს სამყაროში ყველაზე პატივსაცემ არსებად და დედამიწაზე, ღმერთის **„ნების აღმსრულებლად“** აქცევს მის სხეულში ღმერთის მიერ შთაბერილი სულია. ადამიანი ვალდებულია იყოს იმ მიწასავით თავმდაბალი, რომლისგანაც თავად შედგება. ბუნებრივი აუცილებლობაა, რომ სხეულს ჰქონდეს მიწის თვისებები, ის ხომ მისი ფუძეა. მაგრამ ეს ბუნებრივი თვისება ორი მახსიათებლის **„გონებისა“** და **„ნება-სურვილის“** არასწორი გამოყენების შედეგად ზიანდება, რაც ადამიანს თავმდაბლობასთან განაშორებს და მას **„სიამაყეს“** სძენს, რომელიც ეშმაკის მახასიათებელია. ამის შედეგად ის თავის ბუნებრივ სახეს კარგავს და მისთვის ბოძებული უმაღლესი ადგილისთვის შეუსაბამოდ

იქცევა.

იმას, რაც ზეცისგან წარმოედინება მიწა უპროტესტოდ იღებს, რადგან მას საკუთარი ნება-სურვილი არა აქვს. ადამიანიც ღმერთის ბედისწერას მის მსგავსად უნდა დაემორჩილოს, მიენდოს, უზენაესისგან გარდმოვლენილით კმაყოფილი უნდა იყოს, რათა მისი შექმნის მიზნის მწვერვალს მიაღწიოს. ამის სრულყოფით ის შეძლებს დედამიწაზე თავისი ადგილის, „ღმერთის ნების აღმსრულებლის“ შესაბამისად ცხოვრებას.

მესნევი: *წელიწადის ნებისმიერი დროის თესლი უპირველესად მიწაშია. ის ნიადაგს შეერევა, აღმოცენდება და შემდეგ მიწიდან ამოიზრდება, ამაღლდება.*

სიკეთის ყველა საფუძველი და მიზეზი უკლებლივ ზეციდან გადმოვიდა და მიწის ქვეშ ჩავიდა. ამის შემდეგ ის სუფთა სულის საკვებად იქცა.“ (ტ. 3, 459-460)

სულიერი და უსულო, დედამიწაზე არსებული ყველა ქმნილება, მიწისგან არის შექმნილი. მიწისთვის სხვადასხვა ფორმის მიცემის შემდეგ, სულიერი არსებები განსხეულდებიან. უდიდესმა ღმერთმა დედამიწის სამი-მეოთხედი წყლით დაფარა, მხოლოდ ერთი-მეოთხედი უჭირავს ხმელეთს. ამ ერთი-მეოთხედის ერთი-მეოთხედი ოცდაათ სანტიმეტრიანი მცენარეების გასაზრდელად არის განკუთვნილი. ეს ნიშნავს, რომ ასპროცენტიანი საზომის ფარგლებში მიწის მხოლოდ ერთი მეთექვსმეტედი ნაწილი ეთმობა ამქვეყნად მო-

სულ მცენარეებს,ცხოველებსა და ადამიანებს. უდიდესმა ღმერთმა ის უსასრულო ცვლილების კანონებს დაუმორჩილა და უთვალავი სხეულისთვის ერთადერთ კაპიტალად აქცია. სამყაროს შექმნიდან ქვეყნიერების აღსასრულამდე ამქვეყნად მოსული მცენარეების და ცხოველების მხოლოდ ერთი სახეობა დედამიწაზე ერთდროულად რომ მოსულიყო, ადგილი და საკვები ამ ერთი სახეობისთვისაც კი არ იქნებოდა საკმარისი. შეგიძლიათ ამის მაგალითად ნაძვი ან სპილო მოიყვანოთ. ადამიანიც იგივე მდგომარეობაშია. ყველა ადამიანი დედამიწას ერთად რომ მოვლენოდა, არც საკვები ექნებოდათ საკმარისი და არც ნაბიჯის გადასადგმელი ადგილი აღარ დარჩებოდათ. ამის გამო უდიდესმა ღმერთმა მიწა თანაბრად გაანაწილა, ის სწორად გამოიყენა და ისინი რიგრიგობით მოავლინა დედამიწაზე. სიცოცხლე ხომ ყველა სულიერი არსებისთვის მიწით იწყება და მიწით მთავრდება.

რადგან ადამიანი მიწისგან არის შექმნილი, ის სწორედ მისი თვისებების მატარებელია. მიწა დროდადრო შრება, სიცხისგან ხურდება და წყალი ენატრება. ზამთარი კი წელში სტეხს. მაგრამ გაზაფხულის წვიმების წყალობით ხელახლა ცოცხლდება და ათასობით მშვენიერი ფერისა და სურნელის ჰარმონიული წარმოდგენით ღმერთის ძლიერების ანარეკლს გადმოგვიფენს. ადამიანიც ასეა. ამქვეყნიური ვნების მორევში ისე ირყევა, როგორც უდაბნოს ქვიშა ქარიშხლისას და სურვილებზე დამორჩილებით საკუთარ თავს კარგავს. პიროვნება მხოლოდ მაშინ ხდება სრულყო-

ფილი,როცა ვნების სახით დაბრკოლებას გადალახავს. ისევე როგორც მიწას ანიჭებს სიცოცხლეს გაზაფხულის წვიმები, ადამიანს წყალობა ალტრუისტად აყალიბებს. ის თავისთვის ნაბოძებ ნიჭსა და სიკეთეებს ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად ისე გაიღებს მოწყალებად, როგორც გაზაფხულის მიწა.

წმინდა მევლანას მიერ მოყვანილი მარცვლის მაგალითი გვიჩვენებს, რომ იმ მარცვლისგან წარმოშობილი მცენარე, ან ამ მცენარისგან აღმოცენებული ჯიში, საბოლოოდ მიწას დაუბრუნდება. ამ კანონზომიერებას ვერც ერთი სულიერი არსება ვერ აღუდგება. ის სამყაროში არსებული უთვალავ ღვთიურ გამოვლინებათაგან ერთერთია. რა ბედნიერნი არიან ისინი ვინც ფიქრობენ!.. აიათში ნაბრძანებია:

„ადამიანი დააკვირდეს რასაც სჭამს! ასე რომ: წვიმა გარდმოვავლინეთ; შემდეგ მიწა დავანაწევრეთ და იქიდან ნათესები, ვენახი, მწვანილი, ზეთისხილისა და ხურმის ხეები, მსხვილი და ხშირი ბაღები, ხეხილი და მინდვრები გამოვიყვანეთ. (ყველაფერი ეს) **თქვენთვის და ცხოველებისთვის სასარგებლო და გამოსადეგია.“**
(სურა აბესე, აიათები 24-32)

მესნევი: *„ბედნიერმა და ჭეშმარიტების შემცნობმა ადამიანმა იცის, რომ მხოლოდ საკუთარი თავის მოწონება იბლისის (ეშმაკის) თვისებაა, სიყვარული და მონა-მსახურება კი – ადამისა.*

ეშმაკის მსგავსად საზრიანნი ოკეანეში მცურავებს ჰგვანან. უზარმაზარ ოკეანეში მოცურავე ადამიანის გადარჩენა ხომ საეჭვოა. ის საბოლოოდ ჩაიძირება და შთაინთქმება; ესე იგი ის, ვინც გონებას მიენდობა და შარიათის გემში არ ჩაჯდება, საბოლოოდ განადგურდება.

ცურვას თავი დაანებე, საკუთარ მოთხოვნილებებს ნუ აყვები, სიძულვილზე უარი თქვი! წყალი, რომელშიც შენ ცურავ წყარო ან მდინარე არ არის, ოკეანეა! ეს ოკეანე სინამდვილეში ბედისწერის ზღვაა!" (ტ. 4, 1402-1404)

როდესაც წმინდა მევლანა გონივრულობასა და საზრიანობას ეშმაკის თვისებად მოიხსენიებს, ის ზეშთაგონებით აღუზრდელ, ველურ გონებას გულისხმობს. თორემ ცნობიერება და გონება სიკეთესთან მისაღწევად უპირველესი კაპიტალია. მაგრამ მხოლოდ ეს კაპიტალი საკმარისი არ არის, რომ მისი პატრონი უზენაეს სიკეთესთან მიიყვანოს. ესე იგი ცნობიერება საჭირო, მაგრამ სრულყოფისთვის არასაკმარისი საშუალებაა. ამის გამოა, რომ ისლამში ჭკუა მოხსენიებულია **„ნაკლოვან ჭკუად".** ჭკუის სრულყოფა საკუთარი უკმარისობის შემეცნებით, ამ უკმარისობის ზეშთაგონებასთან დაკავშირებითა და ღმერთზე მინდობითაა შესაძლებელი. ჭკუა ღმერთის მიერ ბოძებული დიდი სიკეთეა. ამ სიკეთისთვის ღმერთის წიგნსა და სუნნეთს დიდი მნიშვნელობა აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პატრონი ვნების ტყვედ იქცევა და განადგურება არ ასცდება.

მევლანა შემთხვევების სამყაროს-ოკეანეს, ადამიანს კი ამ ოკეანეში დასახრჩობად განწირულ მცურავს ადარებს. ადამიანურ ჭკუასა და ნება-სურვილზე მინდობა და ბედისწერის გამოწვევა უგნურების მეტი არაფერია. რადგან გონება და ნება-სურვილი ღმერთის ნება-სურვილს ბოლომდე თუ არ შეესაბამება, ვერავითარ სასიკეთო შედეგს ვერ მიიღებს.

ბედისწერა კი უცნობია. ამის გათვალისწინებით, ადამიანის შესაძლებლობების ფარგლებში საკუთარ მიზეზთა გავრცელებისა და ნება-სურვილის გამოყენების შემდეგ ბედისწერაზე მინდობა ხსნის ერთადერთი გზაა.

ისევე, როგორც ამაოა დაუთესავ ყანაში მცენარეების აღმოცენების მოლოდინი, ასევე არ შეიძლება იმაში ეჭვების გარეშე დარჩენა, რომ მარცვლის მობნევის შედეგად ყანა გაიხარებს და გაიზრდება. თესლის დათესვის კულტურა ადამიანისთვის ცნობილია. მცენარისთვის სიცოცხლის მინიჭება კი ალლაჰის ბედისწერასა და ძლიერებასთანაა დაკავშირებული. ამგვარად, ადამიანმა მარცვლის დათესვით **„მიზეზი უნდა შექმნას“** და ამის შემდეგ უნდა მიენდოს სამყაროს ღმერთს, რომელიც თავისი ნება-სურვილით მართავს ქარს, წვიმას, დროს და სხვა მსგავს მოვლენებს.

მესნევი: *„ღმერთის სიყვარული გამორჩეული მორწმუნეებისთვის იმ გემს ჰგავს, რომელიც თავს დამტყდარი უბედურებებისაგან უმეტესობას აირიდებს და*

გადარჩება.

ჭეშმარიტების თანამგზავრო! შენც შეელიე ჭკუა-გონებას და აღფრთოვანება შეიძინე! რადგან გონიერება და სიბრძნე მოძრავი ფიქრებისა და საკუთარი აზრით შეპყრობისაგან შედგება! აღფრთოვანება კი ღმერთის მშვენიერების, ძალისა და ხელოვნების დანახვით გაოცებაა!

საკუთარი გონება წმინდა შუამავლის წინაშე მსხვერპლად გაიღე და თქვი: „ჩემთვის ალლაჰიც საკმარისია!“ (ტ. 4, 1406, 1408)

„ჭკუა-გონება შენ სიამაყეს გძენს.“ (ტ. 4, 1421)

„ჭკუა მეგობრის სიყვარულისთვის მსხვერპლად გაიღე! ჭეშმარიტი აზრი იმ მხარესაა, სადაც მეგობარია! რადგან სულიერებისა და გონივრულობის ამოსავალი წერტილი ღმერთის შეცნობაა! ამიტომაც ჭკუა ღვთაებრივ სამსხვერპლოზე მიიტანე!

გონიერი ადამიანები თავიანთ გონებას იქით მიმართავენ, სადაც მათი მეგობარი ეგულებათ, ანუ მეორე მხარეს! ჭკუა, რომელიც ამქვეყნად რჩება არის მოუხმარელი, გამოუსადეგარი, რომელმაც არ იცის რა არის სიყვარული, არ უყვარს და არც თავადაა საყვარელი.“ (ტ. 4, 1424-1425)

როგორც ზემოთ მოცემული ბეითების განმარტებისას აღვნიშნავთ, გონების სწორად გამოყენება შესაძლებელია თუ ალლაჰის ბრძანებების, ღვთიური წიგნისა და სუნნეთის შესაბამისად ვიმოქმედებთ. თუ ასე არ

მოვიქცევით და ჩავთვლით, რომ ჭკუა უსაზღვრო ძალმოსილების პატრონია, ისევე ბრიყვულად მოვიქცევით, როგორც ჭიანჭველა, რომელმაც თავი ცხენად წარმოადგინა. აქედან გამომდინარე, გონებას ზეშთაგონების ძალით შმაგი ცხენივით თუ არ გავხედნით, ის პატრონს დაუსრულებელი პრეტენზიების შედეგად უბედურებასთან მიიყვანს.

თუკი გონებას შესწევს უნარი, რათა სამყაროს ჰარმონიულობასა და მშვენიერებაში ღვთიური ძალა და ნიჭი დაინახოს; თუკი აღფრთოვანების გრძნობა ექნება განვითარებული და თანაც სრულყოფილი რწმენის პატრონი იქნება, ის შეძლებს საკუთარი გონების უკმარისობას უფრო ნათლად მიადევნოს თვალი.

ისინი, ვინც ამ აღფრთოვანებაში ჩაიძირებიან, ადამიანური ცხოვრებისთვის აუცილებელ ღირსების გრძნობას დაკარგავენ და შთაგონებით იქნებიან შეპყრობილი. ეს კი, მიუხედავად იმისა, რომ გაოცება და აღფრთოვანება უზარმაზარი წყალობაა, მიღებული არ არის, უარყოფილია! რადგანაც ეს ადამიანის ნორმალური ცხოვრებისთვის აუცილებელი მოთხოვნილებების დასუსტებას იწვევს. აქედან გამომდინარე, სასურველია შთამაგონებლის ნაცვლად მიმზიდველის არჩევა. ის, ვინც მიზიდულობას განიცდის აღფრთოვანებაშია ჩაძირული და მიახლოვებულია კანონთან – **„ალლაჰი, ადამიანისთვის საკმარისია“**, მაგრამ ამასთან ერთად თავისი მოთხოვნილებებიც აქვს შენარჩუნებული. მევლანას მიერ მოწონებული სიყვარული და თავდავიწყება, უეჭველია, რომ ადამიანის ნორმალური

არსებობისთვის აუცილებელი მოთხოვნების ჩარჩოებში მოქცეული სიყვარული და თავდავიწყებაა.

მესნევი: *„რა ბედნიერია ადამიანი, რომელიც საკუთარ თავს დაიმდაბლებს!.. ხოლო რა საცოდავია ის, რომელიც საკუთარ თავს მთაზე მაღლა წარმოიდგენს.*

კარგად იცოდე, რომ სიამაყე, განდიდება, საკუთარი თავის ყველაზე მაღლა დაყენება მომაკვდინებელი საწამლავია. ბრიყვები ამ საწამლავიანი ღვინით თვრებიან.“ (ტ. 4, 2746-2747)

მორწმუნემ, მიუხედავად სულიერი უპირატესობისა, საკუთარი თავით დაუკმაყოფილებლობა უნდა იგრძნოს და მოკრძალების გვირგვინით შეიმოსოს, რათა სრულყოფილების გზაზე წინსვლის ბედნიერება ხვდეს წილად. ვინაიდან, ისინი, ვინც თვლიან, რომ შესანიშნავნი არიან, ნაკლის გამოსწორებას არ ცდილობენ. და ამ ნაკლოვანებების არსებობას არ აღიარებენ ეს მხოლოდ იმათი საქმეა, ვისაც ამ ნაკლოვანებების დანახვა და თავმოწონებისგან თავის დაცვა შეუძლია. ამის გამო ჰადისში ნაბრძანებია:

„ვინც ალლაჰის სურვილის შესაბამისად მოკრძალებას გამოიჩენს, ალლაჰი მას ერთი საფეხურით აამაღლებს. ვინც ალლაჰის წინაშე გაამაყდება, ალლაჰი მას ერთი საფეხურით დაამდაბლებს და შედეგად, ყველაზე დაბალ საფეხურზე გადაადგილებს.“ (იბნ მაჯე, ზუჰდი, 16)

აიათებში ალლაჰის მოკრძალებული მონა-მსახურები ასეა შექებული:

„რაჰმანის (ხალასი) **მონა-მსახურები ისინი არიან, ვინც დედამიწაზე თავმდაბლად დააბიჯებენ და თუკი მათთვის უცნობი ადამიანები სიტყვას გადაუკრავენ – „სელამ!“** (მშვიდობით) **ეტყვიან.** (და წავლენ ისე, რომ მათ არ აწყენინებენ!)**“** (სურა ფურქანი, აიათი 63)

სხვა აიათის მიხედვით ღმერთი ადამიანს სიმაყესა და თავმოწონებას უკრძალავს:

„დედამიწაზე გაყოყოჩებით არ იარო!.. რადგან შენ (სოლიდურობითა და ქედმაღლობით) **არც მიწის გაყოფა შეგიძლია და ვერც მთებს გაეჯიბრები სიდიადეში!“** (სურა ისრა, აიათი 37)

„ადამიანებს დასამცირებლად ზურგი არ შეაქციო და დედამიწაზე გაყოყოჩებულმა არ იარო! რადგან ალლაჰს თავმომწონე და ამაყი არავინ უყვარს!“ (სურა ლოყმანი, აიათი 18)

იმასთან ერთად, რომ მოკრძალება ადამიანის თვისება უნდა იყოს, ის არ უნდა გახდეს მიზეზი ალლაჰის ნაწყალობევი სიკეთეების უარყოფისა. ჩვენ მხოლოდ ის უნდა შევიმეცნოთ, რომ ეს სიკეთეები ღმერთისგან მომდინარეობს. ამას რელიგიის მიხედვით „სიკეთისთვის მადლიერება“ ეწოდება, რაც ნიშნავს ღმერთისგან მათი მომდინარეობის შემეცნებასა და ამის გამო უზენაესისთვის მადლობის გადახდას. ეს სიამაყე არ არის. სიმაყეა, როცა ჩათვლი, რომ ესა თუ ის სიკეთე ღმერთისგან კი არ მომდინაეობს, არამედ შენ გეკუთ-

ვნის. ეს ისეთივე ეგოიზმია, რომელმაც ქარუნი საბოლოოდ გაანადგურა. აქედან გამომდინარე, საჭიროა შევიმეცნოთ, რომ მევლანა სწორედ ამგვარი ფიქრების წარმოქმნას უმზადებს ნიადაგს, როცა ჭკუის, ნება-სურვილის, მოკრძალებისა და სიამაყის მსგავს ცნებებზე საუბრობს.

მესნევი: *„თუ ერთი მეფე მეორე მეფეს დაამარცხებს მას ან მოკლავს, ან დილეგში ჩააგდებინებს.*

მაგრამ თუ იგივე მეფე გაუბედურებულს, საცოდავსა და დარდიანს დაჭრილს ნახავს, ჭრილობაზე მალამოს დაადებს, მას შეიწყალებს.

საკუთარი თავის სხვაზე უპირატესად წარმოდგენა მომწამვლელი რომ არ იყოს, ის გამარჯვებულ მეფეს არ გააამაყებდა და დამარცხებულ, ტყვედ ჩავარდნილ მეფეს მიუხედავად უდანაშაულობისა არ მოაკვლევინებდა!

მაშინ, ის გაუბედურებულ, დადარდიანებულ ადამიანს სიკეთეს რატომ უკეთებს, რატომ ეცოდება მიუხედავად იმისა, რომ მისი მსახური არ არის? ამ ორ მდგომარეობას თუ შევადარებთ მივხვდებით სიამაყე როგორი საწამლავია?“ (ტ. 4, 2780-2754)

წმინდა მევლანა ზემოთ მოცემულ ბეითებში გადმოცემული მაგალითით გვიჩვენებს, რომ მოკრძალება და სიამაყე საპირისპირო პოზიციებიდან მომდინარე ნება-სურვილთა გამოვლინებაა. მართლაცდა, დაჭრილ

ადამიანს ყველა ეხმარება მიუხედავად იმისა, რომ არ იციან ის ვინ არის, როგორი ადამიანია კარგი თუ ცუდი. ასე იმიტომ ხდება, რომ მისი ტანჯული მდგომარეობა ადამიანებში მოწყალებასა და თანაგრძნობას აღძრავს. ქედმაღალი ადამიანი მოპირდაპირე მხარისგან წამოსული გრძნობების საწინააღმდეგოდ იქცევა. მას თავისი სიამაყე კონკურენციისაკენ უბიძგებს. საქმე ძალის დემონსტრირებისაკენ მიდის. ეს იმას ნიშნავს, მიუხედავად იმისა რომ მოკრძალება ადამიანის დარდებისა და სისუსტისაგან გამათავისუფლებელია, მას სიამყე თუ ახლავს თან, ამ სიკეთეს თავისი ხელით გაანადგურებს. მოკლედ მოკრძალება და უსუსურობა ალლაჰის მოწყალებას იზიდავს...

მესნევი: *„იმისათვის, რომ ბოროტი ადამიანებისგან დაეხსნა, ხიზირმა გემი ჩაძირა, გააფუჭა.*

თუკი გატეხილს, უბედურს შველი შენც გატეხილი და უბედური იყავი. ხსნა და კეთილდღეობა უქონლობაშია. ეგოიზმისგან, საკუთარი არსებისაგან გათავისუფლდი, უქონლობას ესწრაფე.

მთა, რომლის გულში არსებული მადანისგან ცოტაოდენი ოქრო-ვერცხლია, ბარით მიყენებული ჭრილობებით ნაწილებად იქცევა.

ხმალი ცოცხალ ადამიანს კისერს ჭრის. ჩრდილი კი მიწაზეა გაწოლილი; რადგან მას არც ტანი აქვს და არც კისერი გააჩნია, ამიტომ მისი დაჭრა შეუძლებე-

ლია.“ (ტ. 4, 2756-2759)

მევლანა ზემოთ მოცემულ ბეითებში იმავე ჭეშმარიტებას სხვაგვარად წარმოგვიდგენს. მისი აზრით, ქედმაღალი ადამიანები თავიანთ ღირსებებს მარჯვნივ და მარცხნივ გადაჭარბებულად გადასცემენ, ისინი საპირისპირო მხარეში სურვილებს აღძრავენ და სიძულვილს ზრდიან, მისი გამოწვევის მიზეზად იქცევიან. ცნობილია ანდაზა:

„ბულბულს უბედურება ენამ მოუტანაო.“ ეს ნიშნავს იმას, რომ ბულბულის სასიამოვნო გალობა რომ არა, მას გალიაში არავინ ჩასვამდა. მართლაცდა ყვავი არასდროს არავის მოუთავსებია გალიაში.

აქედან გამომდინარე, იმის თქმაც საჭიროა, რომ ღირსეული ადამიანის მეტოქეობა, ჩვეულებრივ, ამქვეყნიური, უარყოფითი წესია. თუნდაც მეტოქეობის გამწევი ადამიანი მუდამ (შუამავლების მსგავსად) სიკეთეს ჩადიოდეს და ღირსეულად იქცეოდეს.

მესნევი: *„ამქვეყნიური ქონებისთვის ათრთოლებულო და წარმავალი ღირებულებების თაყვანისმცემელო დაუდევარო!.. ზუსტად ისეთივე ცუდი ზნეობა გაქვს, როგორიც ფარაონს ჰქონდა! შენც ამაყი ხარ, შენც საკუთარი თავი მოგწონს, შენც ქონებასა და ვნებას უდგახარ კვალში! მაგრამ შენში არსებული გველეშაპი, ესე იგი ვნება უსუსურებისა და გაჭირვების ორმოშია ჩავარდნილი, ძალაგამოცლილია და ფარა-*

ონის მსგავსად ვერ ბობოქრობს და მოქმედებს.

საცოდავია! ეს სიტყვები შენი მდგომარეობის, შენი ცუდი ხასიათის გამოა ნათქვამი; შენ კი მათ ფარაონის მისამართით ისვრი! მაგრამ თუკი შენს მდგომარეობასა და „უხასიათო“ განწყობაზე ჩამოვარდება სიტყვა გული გაგიწვრილდება, არ მოგეწონება; სხვებზე ნათქვამი კი ზღაპრად მოგეჩვენება.“ (ტ. 3, 971-973)

ყოველ ადამიანში **„ბოროტება“** და **„სულიერება“** თანაბრად დევს. ვინაიდან უდიდესი ღმერთი ყურანში ბრძანებს:

„ვფიცავ, სულსა და მის მომწესრიგებელს, მისთვის ცოდვილობისა და ღვთისმოშიშობის შთამაგონებელს!“
(სურა შემსი, აიათები 7-8)

ცოდვა და ღვთისმოშიშობა ადამიანს მუდამ თავისკენ ეზიდება. ამიტომაც ადამიანის პიროვნება ჰგავს საომარ ველს,სადაც ერთმანეთს სულიერება და ბოროტება ებრძვის.

როდესაც ადამიანი ვნებას სძლევს ის ანგელოზზე მაღლა დგება, ხოლო როდესაც მას ემორჩილება ცხოველზე დაბლა ჩამოიწევს. საკუთარი ვნებების დამმარცხებელი პიროვნება ზეციურ არსებებს იმით უსწრებს,რომ ის ღმერთს ანგელოზივით ემსახურება. (იმის მიუხედავად, რომ წინ ეღობება ისეთი დაბრკოლება როგორიცაა **„ცდუნების“** – სურვილი). ზემოთქმულის მიხედვით, ყველა ადამიანში დევს ფარაონის ხასიათი, მაგრამ ამავდროულად, მათი პირობები და შესაძლებლობები ერთი არ არის. ვისში ეს თვისებები მხოლოდ

ყლორტების სახით არის წარმოდგენილი, ვისში კიდევ არანორმალურადაა გაზრდილი და განვითარებული.

მევლანა მათ, ვინც მკაცრად აკრიტიკებს ისტორიაში ცნობილ ფარაონს, მიანიშნებს რომ არ დაივიწყონ საკუთარ სულში ჩაბუდებული პატარა ფარაონების შესახებ. ვინაიდან, ხელსაყრელ შემთხვევაში, დიდია იმის იმის ალბათობა, რომ ისინი „საშიშ“ ფარაონებად გარდაისახებიან. ე.ი. თუკი მათ განვითარების საშუალება ექნებათ, უსამართლობითა და ეგოისტობით ცნობილ ისტორიულ ფარაონს არ ჩამოუვარდებიან.

ამგვარად, წმინდა მევლანა მათ, ვინც სხვებს აკრიტიკებს, საკუთარ თავში ჩახედვისა და იმავე თვისების საკუთარ თავში დანახვისკენ მოუწოდებს და იმაზეც მიანიშნებს, რომ ამგვარი განწყობა სიამაყისაგან მომდინარეობს.

იმავე აზრს, სხვა ბეითში, მევლანა შემდეგნაირად გადმოსცემს:

„სიამაყე საკუთარ თავს მაღლა აყენებს. ისევე როგორც ღუმელს წვა ახურებს, ადამიანს მასში ფესვგადგმული სიამაყე არ ასვენებს და მას ქონების, ადგილ-მამულების, ჩინ-მედლების მოპოვებისაკენ მიმართავს.

ორი წყალობა, ესე იგი, ადგილი და ქონება, სხეულს ასუქებს, ასქელებს; მას ცხიმით, ხორცითა და სიამაყით ავსებს.“

მესნევი: *„სიამაყის გზაზე წინამძღოლი და გზის მაჩვენებლი თვით იბლისია; ამიტომ მახეში პირველად სწორედ ის გაებმება, შეტყუებულიც ის არის.*

ქედმაღლობა სნეულებაა. ის იბლისის ავადმყოფობაა, როცა იბლისი ეგოიზმმა შეიპყრო მან თქვა: „მე ადამზე უკეთესი ვარ.“ სინამდვილეში ეს სნეულება ყველა არსების, ყველა ადამიანის სულში დევს.“ (ტ. 1, 3216)

„მდაბალი სულის მქონევ, მოკრძალებით ნიღბის მიღმა ეგოიზმით შეპყრობილო ადამიანო!.. თუკი ვინმე გამოცდის მიზნით გაგაბრაზებს, აგაღელვებს, დაგაბნევს, შენში არსებული ჭუჭყიანი წყალი აიმღვრევა და წყლის ფერი, გამოაშკარავდება.“ (ტ. 1, 3218)

ცოცხალ არსებებს შორის ვნებით აღჭურვილი ადამიანები და ჯინები არიან. ცნობილი შეხედულების მიხედვით, ეშმაკი მანამ სანამ ალლაჰს აუჯანყდებოდა, „ანგელოზების მასწავლებელი“ იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ის ჯინების მოდგმიდანაა – ვნება გააჩინა. ამიტომაც მაშინ, როცა ღმერთმა ადამისთვის სეჯდის შესრულება ბრძანა, მას ანგელოზები უყოყმანოდ დაემორჩილნენ, ეშმაკმა კი შეადარა და გაუჩნდა პრეტენზია, რომ თვითონ ცეცხლისგან შექმნილი არსება, მიწისგან შექმნილ ადამზე მაღლა იდგა და მისთვის სეჯდის შესრულებაზე უარი თქვა. უდიდესმა ალლაჰმა ისე, რომ ეშმაკისთვის არ უკითხავს: „თქვენ შორის რომელია უპირატესიო?“ – მას სეჯდეს შესრულებაზე მორჩილება მოსთხოვა. მაგრამ ეშმაკმა უდიდესი ღმერთის ეს ბრძანება არაფრად ჩააგდო და მზაკვრული ფიქრი

დაებადა. თუკი ჩვენც ეგოისტი ეშმაკის მსგავსად უდიდესი ღმერთის ბრძანებებს არ დავემორჩილებით, მათგან გასაქცევ გზებს მოვძებნით და ამ აკრძალვებისთვის თავის ასარიდებლად ჩვენი უსუსური გონებით გამოსავლის ძიებას დავიწყებთ, იგივე უბედურება დაგვატყდება თავს, რაც ეშმაკს. მაგალითად, თუკი პროცენტით ფულის გაცემას სარფიან საქმედ გაიხდიან და იტყვიან: „მე ამის მეშვეობით გამდიდრება და სიკეთისა და ღვთისმოსავობის ქმნა მსურსო!“

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვნების ცდუნებას პირველად ეშმაკი მიჰყვა და ღმერთის ბრძანებას არ დაემორჩილა. ყოველია მსგავსი ქმედების წყარო – სიამაყეა და ის ეშმაკს მიეწერება, **„ეშმაკისეულ ქმედებადაა“** მიჩნეული. წმინდა მევლანა მათ, ვინც სიამაყის გამო ღმერთს ზურგი აქციეს – ეშმაკის მორჩილებს უწოდებს. ამიტომ, ისინი ვინც ეშმაკის მსგავსად მოიქცევიან, მის მსგავსად უარყოფა და წყველა არ ასცდებათ.

გამაოგნებელი სიამაყე

სადაც „ეგოიზმი“ და „ურჩობა“ ჩნდება, იქ ადგილისა და რანგის თაყვანისცემა იწყება. იქ მოწყალება ვერ გამოვლინდება, რადგან ეგოიზმი და სიჯიუტე სულიერი ცხოვრების კიბოა.

გამაოგნებელი სიამაყე

პატარა თაგვს აქლემის ვეებერთელა ავშარი გაეგლიჯა, ხელში აეღო და მედიდურად მიდიოდა. აქლემი თავისი ხასიათის და მორჩილი ბუნების გამო მასთან ერთად განაგრძნობდა გზას. თაგვი ვერ ამჩნევდა თავის სიმცირეს და გაყოყოჩებული ამბობდა:

„თურმე რა საოცარი ფალავანი ვყოფილვარ, ვაჟკაცი, რომელსაც აქლემის გათრევა შეუძლია!“

ასე, სიარულში, მდინარეს მიადგნენ. მდინარის დანახვაზე თაგვი გაოცებული გაშეშდა. აქლემმა კი, რომელმაც მისი სიმაყე შენიშნა, მრავალმნიშვნელოვნად უთხრა:

„მთისაკენ, მინდვრისაკენ ჩემო ამხანაგო! რატომ გაჩერდი? ასე რამ გაგაოცა? მიდი, მდინარეში ვაჟკაცურად შედი. შენ ჩემი მეგზური, წინამძღოლი არა ხარ? გზის შუაგულში ასე გაოცებული დარჩენა გეკადრება?“

დაბნეულმა თაგვმა ამოილუღლუღა:

„ამხანაგო! ეს წყალი ძალიან დიდი, ძალიან ღრმაა, დახრჩობის მეშინია.“

აქლემი წყალში შევიდა და უთხრა:

„ბრმა თაგვო! წყალი მუხლამდე მწვდება, შიში საჭირო არ არის!“

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა და შერცხვენილმა თაგვმა, აღიარა:

„ნიჭიერო აქლემო! მდინარე შენთვის ჭიანჭველის, ჩვენთვის კი გველეშაპის ოდენაა. რადგან მუხლიდან

მუხლამდე განსხვავება არსებობს. ჩემი მსგავსი ასი მუხლი ერთმანეთზე რომ შევაწყოთ შენი ერთი მუხლისოდენა ძლივს იქნება.“

მაშინ ჭკვიანმა აქლემმა თაგვს ურჩია:

„თუ ასეა, სიამაყემ არ შეგაცდინოს და უზრდელობამ არ შეგიპყროს, საზღვარი იცოდე! საკუთარი შეხედულების მიხედვით მოქმედებამ დაუდევრობამდე არ მიგიყვანოს და არ გათამამდე; რადგან ალლაჰს თამამები არ უყვარს!..

წადი და შენს მსგავს თაგვებს დაეტოლე!“

აქლემის რჩევით დარცხვენილმა თაგვმა მას მიმართა:

„ვნანობ, ალლაჰის ხათრით, ამ მომაკვდინებელ, დამახრჩობელ წყალზე გამატარე!“

აქლემმა მოწყალება გამოიჩინა. ის შეეცოდა და უთხრა:

„მოდი, აცოცდი და ჩემს კუზზე დაჯექი! ამ წყალში გავლა ან სხვების გაყვანა ჩემი საქმეა. რადგან ჩემი მოვალეობაა შენს მსგავს სუსტ არსებებს მოვემსახურო.“

აქლემმა თაგვი მდინარის მეორე ნაპირზე გაიყვანა.

მესნევში წმინდა მევლანას გადმოცემული ზღაპრის მიხედვით, ეს თაგვი, სხვებზე მაღლა საკუთარი თავის წარმომდგენი,დიდი საქმეების გასაკეთებლად მომზადებული, გაყოყოჩებული ადამიანის სიმბოლოა. აქლემი კი მომთმენ, გამოცდილ, მოხერხებულ და სრულყოფილ

ადამიანს განასახიერებს.

წმინდა მევლანას სურდა ამ ნოველაში უამრავი ჭკუის სასწავლებელი ფიქრი და გრძნობა, არეკლილიყო. ნაამბობის თითოეული წინადადება ხომ გამჭრიახობის ოკეანეა. მევლანა შემდეგ მახვილსიტყვაობებსაც არ იშურებს:

„თავდაპირველად, იბლისი ანგელოზებში ძალიან ცნობილი იყო, ამიტომ საკუთარი თავის მათზე მაღლა დაყენებას მიეჩვია. ამ ჩვევის წყალობით გათამამდა და ალლაჰის ბრძანების სიდიადე და შთამბეჭდაობა ვერ შეამჩნია. მან ადამი მდაბლად წარმოიდგინა.. რის გამოც ყველაზე მდაბალი არსების სამწუხარო დასასრული სწორედ მას ერგო..

იცოდე, რომ სპილენძი სანამ ოქროდ არ გარდაისახება, არ იცის რომ სპილენძია. გულიც მანამ ვერ ხედავს საკუთარ შეცდომებს და სულმდაბლობას, სანამ სულიერად სათანადო საფეხურამდე არ ამაღლდება. გულო! სული სიამაყის უფსკრულისგან იხსენი და შენც სპილენძივით სიყვარულის ელექსირს ემსახურე და ოქროდ იქეცი! გულების დამპყრობელ საყვარელს დაემორჩილე!

ეს საყვარლები ისინი არიან, ვისაც გული უცემთ და ისევე გაეყრებიან ამქვეყანას, როგორც დღე და ღამე ერთად შეყრის შემდეგ...“

ზემოთ მოთხრობილი, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ იქ სადაც „ეგოიზმი“ და „სიჯიუტე“ იჩენს თავს ადგილისა და რანგის თაყვანისცემა იწყება. იქ მოწყალებას ადგილი არა აქვს, რადგან სიამაყე და ურჩობა

სულიერი ცხოვრების კიბოა.

ეგოიზმისა და სიჯიუტის უპირველესი წყარო ალლაჰის ძალის წინაშე აღდგომაა. ესე იგი, მიუხედავად იმისა, როცა ვრცელი უდაბნოს ქვიშისგან ერთი ცალიც კი არ გეკუთვნის, შენ მაინც შენს ადგილსა და ალლაჰის მიერ ნაბოძები სიკეთეების ანაბრობას ივიწყებ. ანუ როცა საკუთარ თავს გადაჭარბებულად აფასებ – სიამაყეა. სიამაყე კი, უეჭველიად ადამიანს საკუთარ თავს იმაზე უფრო ძლიერს, მოხერხებულსა და ნიჭიერს წარმოუდგენს, ვიდრე სინამდვილეშია. ასე რომ, ნებისმიერ არსებას რა ძალაც არ უნდა გააჩნდეს, უნდა ახსოვდეს, რომ ის უდიდესი ღმერთის ნაწყალობევია! საცოდავნი არიან, ვინც ამ ჭეშმარიტებას ვერ შეიმეცნებენ! ცნობილია, რომ ფარაონს და ნემრუდს სიამაყემ ღმერთობაზე გამოაცხდებინა პრეტენზია და შედეგად ღვთის შურისძიება დაიმსახურეს.

ამიტომაც უდიდესი ღმერთი ალლაჰის შუამავალსა და მის თანამიმდევრებს დიდი გამარჯვებების შემდეგ, მუდმივად, მოკრძალებისა და ღმერთზე მინდობისაკენ მოუწოდებდა და ხელს უშლიდა მათში ვნების აღორძინებასა და აბობოქრებას. ისლამური წარმატებული ბრძოლის – ბედირის გამარჯვების ერთ-ერთ პირობად დასახელებულა ის, რომ მორწმუნეებს მათი გულწრფელობის შესაბამისად, თავდაპირველად ათასი, შემდეგ სამი ათასი, შემდეგ კი ხუთი ათასი ანგელოზი გამოეგზავნათ:

„...(ჩემო შუამავალო!) **ორთაბრძოლის დროს შენ არ ისროდი, ალლაჰი ისროდა!..“** (სურა ენფალი, აიათი 17)

ამგვარი აღზრდის წყალობით, ალლაჰის შუამავალი და მისი თანამიმდევრები ყველა მუსლიმანისთვის მაგალითს წარმოადგენენ. წმინდა შუამავალმა ხომ მექის დაპყრობის დროს ამ ქალაქის მაცხოვრებელთა გულები დაიმორჩილა. როცა ის წმინდა მხარეში შედიოდა, აქლემზე ისე კი არ იჯდა, როგორც გამარჯვებული, არამედ ღმერთისადმი მადლიერების გამოხატვის მიზნით – სეჯდეს შესრულების მდგომარეობაში.

ეს მდგომარეობა ქვემოთ გაცხადებული წესის ცოდნის მაჩვენებელია.

„საკუთარი თავის მცნობი ღმერთს იცნობს!..“ (აჯლუნი, ქეშფულ ჰაფა, II, 361)

ადამიანი, რომელიც სჯერდება ამქვეყნიურ თავის ხვედრსა და მდგომარეობას, ცხოვრებას მშვიდად აგრძელებს. ესე იგი ის, შემოქმედისა და მისი ბრძანებების შემეცნებით ცხოვრობს. თუკი ჭიანჭველა გადაწყვეტს სპილოს შეეჭიდოს, ამას იმიტომ აკეთებს, რომ თავისი სისუსტე არ აქვს გათავისებული. ის ადამიანიც, რომელიც ღმერთს მონა-მსახურებას უწევს, მაგრამ სიმაყის ჭაობშია ჩაფლული, საკუთარ თავს არ იცნობს და ღმერთის წინაშე მხოლოდ დამალობანას თამაშობს. ამიტომაც, ყველაზე მნიშვნელოვანია – საკუთარი თავისა და ამ გზით, ღმერთის შეცნობა!

ვინც საკუთარ თავს იცნობს, მას სიამაყე არასდროს შეიპყრობს. პირიქით, უფრო მოკრძალებული და იდუმალი გახდება.

საკუთარი თავის შემცნობი ადამიანის, მაგალითად, წმინდა ჰუსეინის ამბავს წარმოგიდგენთ:

ერთ დღეს წმინდა ჰუსეინი გზად ღარიბებს შეხვდა, რომლებიც პურის ნატეხებს ჭამდნენ. ღარიბებმა ის მათთან შემდეგი სიტყვებით მიიწვიეს:

„ალლაჰის მონა-მსახურო! მობრძანდი, მიირთვი!“

წმინდა ჰუსეინი ამაყი ადამიანი არ იყო და საერთოდ სძაგდა სიამაყე. ამიტომაც ცხენიდან მაშინვე ჩამოხტა და მათთან ერთად ჭამა დაიწყო. ჭამის დამთავრებისთანავე შუამავლის შვილიშვილმა თქვა:

„მე თქვენი მიწვევა მივიღე. ახლა კი მე გეპატიჟებით თქვენ! მობრძნდით ჩემს სახლში!“ გლახაკები დაემორჩილნენ და ყველამ ერთად გასწია მისი სახლისკენ, სადაც საჭმელი მიირთვეს.

ვინც საკუთარ თავს იცნობს, ღმერთისადმი მუდმივად მადლიერებას განიცდის და ქედს უხრის მას.

საკუთარი თავის მცნობები მარადიულ ბედნიერებას იმზადებენ.

საკუთარი თავის მცნობები უდიდესი ალლაჰის, ალლაჰის შუამავლისა და მორწმუნეთა მეგობრები არიან და მარადისობის ქარავანს უერთდებიან.

ხოლო ვინც საკუთარ არსებას არ იცნობს, ყოველგვარ ღვთაებრივ სილამაზეს მოკლებულია. როგორც შეიჰ სადი ამბობს:

„ვინც ჩათვლის, რომ მიწის თხილის მსგავსი გული აქვს, ის ხახვის მსგავს კანს გადაიძრობს.“

ასეთ ადამიანებს წმინდა მევლანა შემდეგნაირად აფრთხილებს:

„დაუდევარო ადამიანო! თუ შუამავალი არ ხარ, თუ სხვებისაგან ამბავს არ იღებ და მორჩილებიც არ გყავს ამ გზაზე საზღვარი მაინც იცოდე, შენს მწკრივში დარჩი, წინ არ წახვიდე! ჭეშმარიტების გზაზე მხოლოდ დიდი წმინდანის უკან იარე, რომ ერთ დღეს ბოროტების ორმოდან ამოხვიდე და წმინდა იუსუფის მსგავსად აზრთა მეფე გახდე.

თუკი ჭეშმარიტებაში არ ჩაიკარგები და მისით არ ამეტყველდი, ბარემ ყურიც დაგელუქოს! რაიმეს თქმას თუ დააპირებ შეკითხვის ფორმა მიეცი, რომ სიტყვები სავალდებულოს სწავლაში გამოგადგეს! მეფეების მბრძანებელთან ისე ისაუბრე როგორც არაფრის მქონე უპოვარმა!

სიამაყე და სიძულვილი, ვნებისა და სურვილებისაგან, განსაკუთრებით კი, ქარუნის ამქვეყნიური მისწრაფებებათა გადაჭარბებული სიყვარულისგან მომდინარეობს. ეს გადაჭარბებული გრძნობები გულში თუ განთავსდება და დარჩება, ფესვებს გაიდგამს და ჩვეულებად იქცევა.

თუკი ხასიათის სიფიცხე ჩვეულებრივად გექცევა, იმ ადამიანს გაუწყრები, ვინც შეეცდება მასზე უარი გათქმევინოს, იმას გაუწყრები. ეს გაბრაზება საბოლოოდ სიძულვილს გამოიწვევს. ისინიც კი, ვინც კერპებს სცემენ თაყვანს, კერპების თაყვანისცემას თავიანთ თვისებად აქცევენ და ვინც შეეცდება მათი ამ გზიდან ჩამოშორებას, მას მტრად ჩათვლიან.“

იმასთან ერთად,რომ სიამაყე საძულველი და დასაგმობია, საბრალოა ის, ვინც მისი ზეგავლენის ქვეშ მოექცევა. მოწყალების რამდენიმე გამოვლინება არსებობს. მათგან ერთ-ერთი ღარიბ და საბრალო ადამიანზე მეტად, ამაყი ადამიანის შეცოდების უნარია. რადგან, ერთი შეხედვით, ქედმაღალი ადამიანი სინამდვილეში სინდისჩაძინებული, ვნების ტყვედქცეული, მონა-მსახურების უარმყოფი და ეშმაკის ამხანაგად ქცეული საბრალო ადამიანია.

ღმერთო ჩვენო, ჩვენი გულები სიამაყისა და თავგასულობისგან დაიფარე! გვაქციე საკუთარი თავის შემცნობ, ღვთისამსხურების შემსრულებელ მორწმუნე მონა-მსახურებად!

ამინ!

გულის ძირმაგარა

სიამაყე და თავმოწონება

სიამაყე საკუთარი თავის გარდა სხვების არად ჩაგდება და ამ მდაბლად წარმოდგენაა; თავმოწონება კი საკუთარი პიროვნების სხვებზე უპირატესად ჩათვლაა. სიამაყე და თავმოწონება ერთმანეთისგან განუყოფელი ნეგატიური ცნებებია. ამ სენის შედეგი სააქაოში – მოუსვენრობა, საიქიოში კი ღვთიური სატანჯველის მიღებაა.

გულის ძირმაბარა

სიამაყე და თავმოწონება

უდიდესმა ღმერთმა სააქაო გამოსაცდელ ადგილად შექმნა, ადამიანს კი სიკეთისა და ბოროტების ჩადენის უნარი ერთნაირად უბოძა. აქედან გამომდინარე, ყოველი ადამიანის შინაგანი სამყარო მართალისა და ტყუილის, სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებისა და ორთაბრძოლის ასპარეზია. იმისათვის, რომ ადამიანმა ამ ბრძოლაში გამარჯვება შეძლოს და სამოთხე მოიპოვოს, უდიდესმა ღმერთმა მას ჭეშმარიტების გიდებად შუამავლები უწყალობა.

ამ ღვთიური დახმარების მიუხედავად, ადამიანთა დიდი ნაწილი დაუდევრად იქცევა და მათში არსებულ გაშმაგებულ ვნებას ემორჩილება. რის შედეგადაც ისინი ყველაზე ცუდ თვისებებს – **სიამაყესა და თავმოწონებას** იძენენ.

სიამაყე არა მარტო საკუთარი თავის შეუცნობლობა, არამედ სხვა ადამიანების მდაბლად წარმოდგენა, მათი დაუფასებლობაა. თავმომწონე პიროვნება თავს სხვებზე მაღლა აყენებს. სიამაყე და თავმომწონეობა ერთმანეთისგან განუყოფელი ნეგატიური ცნებებია. ამ სენის შედეგი – სააქაოში წინააღმდეგობრივი და მოუსვენარი არსებობა, საიქიოში კი ღვთიური სატანჯველის მიღებაა. ეს საზიზღარი თვისებები ადამიანის გულსა და მის მაღალ ზნეობას შორის ჩამოფარებული ფარდაა, რომელიც სულიერ კატასტროფას იწვევს.

ამაყ და თავმომწონე ადამიანს სტანჯავს გარშემომყოფთა დამდაბლებულ მდგომარეობაში დანახ-

ვის სურვილი, ამიტომაც მსგავსი პიროვნებები ისეთი ბოროტი ვნებების მატარებლად იქცევიან, როგორებიცაა: **„ბრაზი, სიძულვილი, ტყუილი, ცილისწამება და მრისხანება“**, რის შედეგადაც სული იწამლება. მეორე მხრივ, ის „თავმდაბლობის, გულისხმიერების, გულწრფელობის, სისწორის, მცირედით კმაყოფილების“ ე.ი. სიამაყისა და ქედმაღლობის საპირისპირო დადებით თვისებებს ემშვიდობება. რადგან ეს ჯოჯოხეთური თვისებები, რომლებიც ადამიანს სამოთხის დამკვიდრებაში ხელს უშლის, ზნეობრივ ღირებულებებთან ერთად ვერ თანაარსებობენ.

შუამავლის თანამიმდევართაგან წმინდა ჯაბირი გადმოგვცემს:

ერთ დღეს ალლაჰის შუამავალთან მივედი და კარებზე დავაკაკუნე. წმინდა შუამავალმა მკითხა:

„ვინ არის?“

„მე ვარ!“ –ვუპასუხე

ამაზე ალლაჰის შუამავალმა გაიმეორა:

„მე ვარ, მე ვარ!“ – მგონი, ეს პასუხი არ მოეწონა. (ბუჰარი, ისთიზან, 17) (კომენტატორები ამ ჰადისის განმარტებისას შემდეგს ამბობენ: წმინდა შუამავალს ჯაბირის მიერ „მეს“ წარმოთქმა არ მოეწონა, რადგან სიტყვა „მე“ სიამაყეს შეიცავს).

ბრძენთა სულთანი წმინდა მევლანა ამ ჰადისის მახვილსიტყვაობებს ემოციური და გულისმიერი სიტყვებით ასე განმარტავს:

„ერთი ადამიანი მეგობრის კარებთან მივიდა და დააკაკუნა. მეგობარმა იქიდან გამოსძახა:

„საიმედო ადამიანო, ვინ ხარ?“

კარებთან მყოფმა უპასუხა:

„მე ვარ!“

მეგობარმა უთხრა:

„თუ ასეა, წადი! შენთვის ჯერ შიგნით შემოსვლის დრო არ დამდგარა, რადგან სულიერი სიკეთეებით გაწყობილ სუფრასთან გაუთლელი ადამიანის ადგილი არ არის.

გაუთლელმა და ჩამოუყალიბებელმა ადამიანმა წინააღმდეგობისა და დარდის გარდა სხვა რა შეიძლება მოუმზადოს საკუთარ თავს? ორპირობისგან მას რა იხსნის?

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ის საცოდავი კაცი კარებიდან მიტრიალდა და ზუსტად ერთი წელი იხეტიალა. მეგობართან განშორებამ ის დაამწუხრა. მაგრამ გულდამწვარი და განშორების ცეცხლით შეპყრობილი შეყვარებული ისევ დაბრუნდა და კვლავ მეგობრის სახლის გარშემო დაიწყო სიარული. მან იმის შიშით, რომ პირიდან საყვარელი მეგობრისადმი გულსატკენი სიტყვა არ ამოსცდენოდა, აღელვებულმა, კარებზე, მსუბუქად დააკაკუნა.

მეგობარმა იკითხა:

„კარებზე ვინ აკაკუნებს?“

„ჩემი გულის მიმტაცებელო! კარებთანაც შენ ხარ.

„თუკი, ახლა, შენ „მე“ ხარ. მევ, ჩემგან შემდგარო, შიგნით შემოდი! ეს სახლი ვიწროა, ამ სახლში ორი მე-ს სამყოფი ადგილი არ არის. ნემსის ყუნწში გასაყვან ძაფს თუ გავყოფთ, ის გაორმაგდება და ნემსში ვეღარ გავა. რაკი შენ მარტო დარჩი და ერთი ხარ, მოდი ამ ნემსის ყუნწში გაძვერი!“ (ტ. 1, 3056-3064)

ეს ნიშნავს, რომ შეყვარებული სანამ საყვარლის მდგომარეობას არ გაიზიარებს ნამდვილი მეგობარი ვერ გახდება. ამის გამცნობიერებელმა, სრულყოფილებას მიღწეულმა, კაცმა დასმულ შეკითხვას შიგნიდან გამოეხმაურა: „ვინ არის?“

„ერთი მე, რომელიც თავიდან ბოლომდე შენ ხარ!“ და ამგვარად ამცნო, რომ ისიც იმავე საფეხურზე იმყოფებოდა, რაზეც მისი მეგობარი.

წმინდა მევლანა თხრობას შემდეგნაირად ავითარებს:

„ვნებისთვის დამახასიათებელი ეგოიზმის გავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანო! მოდი, შიგნით შემოდი! შენ უკვე აღარ ხარ ბაღში ამოსული ვარდის ნამატი ეკალი! შენ ახლა ვარდების ხელმწიფე ხარ!

რა ბედნიერია ადამიანი, ვინც თავს არარაობად მიიჩნევს, რა საცოდავია ის, ვისაც თავი სხვაზე უპირატესად წარმოუდგენია! კარგად იცოდე, რომ ამგვარი სიამაყე და თავმოწონება გამანადგურებელი საწამლავია. და, სულელია ის, ვინც ამ მომწამვლელი ღვინით მთვრალი, საკუთარ თავს არსებად, პიროვნებად აღიქვამენ.

ამ შხამნარევი ელექსირის დამლევი, თავდაპირველად, სიხარულით გააქნევს თავს, მაგრამ ცოტა ხანში საკუთარ ადამიანობას დაემშვიდობება და შერცხვენილი იქნება.

გონიერო ადამიანო! კარგად იცოდე, რომ ხმალი ადამიანს კისერს ჭრის, ჩრდილს კი, რომელიც მიწაზეა გაწოლილი, იმის გამო, რომ მას კისერი და ტანი არა აქვს, ზიანს ვერ მიაყენებს.

ჭეშმარიტებას აცდენილო ადამიანო! საკუთარ თავზე გადაჭარბებული წარმოდგენისა, სიამაყეს და თავმოყვარეობაში ჩაძირვა, ცეცხლში შეშის შენთებას ჰგავს. და, როგორ ბედავ ამგვარ ცეცხლთან მიახლოებას, საკუთარ თავს ცეცხლში როგორ აგდებ?

ყურადღებით დააკვირდი და დაინახავ, რომ მიწასთან შერწყმული ჩრდილები შეიძლება ისრებისთვის სამიზნე გახდეს?

ასევე, მიწიდან თავის ამღები და საკუთარი არსების წარმომჩენი, გაყოყოჩებული ადამიანი იმ ისრების სამიზნე ხდება, რომლებიც მას დაცხრილავს, გაანადგურებს და გამოუვალ მგომარეობაში ჩააყენებს.“

აიათებში ნაბრძანებია:

„მათი სიგლახაკის გამო ადამიანებს ზურგი არ შეაქციო და დედამიწაზე გაყოყოჩებულმა არ იარო! რადგან ალლაჰს თავმომწონე, გაამაყებული ადამიანები არ უყვარს! ეცადე, სიარულისას ბუნებრივი იყო. ხმა დაიდაბლე!..“ (სურა ლოყმანი, აიათები 18-19)

„დედამიწაზე ქედმაღლურად ნუ ივლი!.. რადგან შენ

(სოლიდურობითა და ქედმაღლობით) **არც მიწის გაყოფა შეგიძლია და ვერც მთებს გაეჯიბრები სიდიადეში!“** (სურა ისრა, აიათი 37)

ერთ დღეს ალლაჰის შუამავალმა ასე ბრძანა:

„ვისაც გულში იოტისოდენა რწმენა მაინც აქვს ის ჯოჯოხეთში არ შევა. მაგრამ, ვისაც გულში იოტისოდენა სიამაყე აქვს – სამოთხეს ვერ დაიმკვიდრებს.“ (მუსლიმი, იმანი, 148-149)

შუამავლის ამ განცხადებაზე, (რომელიც გვიჩვენებს თუ რაოდენ დიდი საგანძურია მარადიული ბედნიერებისთვის გულში არსებული რწმენა, ხოლო ამის საწინააღმდეგოდ, ცხოვრებისთვის სულის მომწამვლელი სიამაყე, რაოდენ დიდი უბედურებაა საიქიო) ერთ-ერთმა თანამიმდევრამა თქვა:

„ალლაჰის შუამავლო! ნუთუ ადამიანს ლამაზი ტანსაცმელი ან ლამაზი ფეხსაცმელი არ მიიზიდავს?“

შუამავალმა უპასუხა:

„უეჭველია, ალლაჰი ლამაზია და მას სილამაზე უყვარს. სიამაყე და სიკეთეების თავის საკუთრებად ჩათვლა ღმერთის უარყოფა და ადამიანების დამდაბლებაა.“ (მუსლიმი, იმანი, 147; თირმიზი, ბირრი, 61)

ალლაჰის შუამავალი ამბობდა, რომ გულქვა, უხეშ და ძუნწ ადამიანებთან ერთად ამაყი ადამიანებიც ჯოჯოხეთის მკვიდრნი იქნებიან.

„ალლაჰი არასოდეს შეხედავს მოწყალე თვალით

მას, ვისაც სიამაყის გამო ტანსაცმელი ძირს დასთრევს.“ (მუსლიმი, ლიბასი, 42)

სხვა ჰადისში, რომელიც ასევე მეტყველებს თუ რაოდენ დიდი დანაშაულია ქედმაღლობა და ამპარტავნება, ნაბრძანებია:

„ერთი თავმომწონე ადამიანი ლამაზი ტანსაცმლით მორთულიყო, თმები დაევარცხნა და ამაყად მიაბიჯებდა. ალლაჰმა ის მდაბიოდ აქცია მიწას გაუტოლა. ის პიროვნება ქვეყნიერების აღსასრულამდე ფორთხვას ვერ მორჩება.“ (ბუჰარი, ენბია, 54; მუსლიმი, ლიბასი, 49-50)

„ერთხელ, სამოთხე და ჯოჯოხეთი წაეკიდნენ ერთმანეთს:

ჯოჯოხეთმა თქვა:

– „ჩემში ტირანები და ამაყები არიან.“

სამოთხემ მიუგო:

– „ჩემში კი სუსტები და უპოვარნი.“

უდიდესმა ალლაჰმა მათი დავა შემდეგნაირად მოაგვარა:

„სამოთხევ! შენ ჩემი წყალობის სახე ხარ, შენი საშუალებით შემიძლია ის შევიწყალო, ვინც ამას იმსახურებს. ჯოჯოხეთო! შენ კი ჩემი სატანჯველი ხარ და შენი საშუალებით დავსჯი მას, ვინც გამარისხებს. ამიტომ, მე ორივე თქვენგანს გავავსებ.“ (მუსლიმი, ჯენნეთი, 34)

„ამაყი ადამიანი, ამ ნეგატიური თვისების გამო, საბოლოოდ უსამართლოთა საზოგადოებაში მოხდება. ამიტომ უსამართლოთა სასჯელს თავადაც დაიმსახურებს.“ (თირმიზი, ბირრი, 61)

სიამაყესა და თავმოწონებას სათავე ეშმაკმა დაუდო და ნემრუდის, ფარაონის, ქარუნისა და აბუ ჯაჰილის მსგავსი უამრავი ბრიყვის სამწუხარო დასასრული განაპირობა. ამ საბრალოთა ნუსხა იმდენად გრძელია, რომ დათვლა შეუძლებელია.

ყურანშიც სიამაყის პირველ წარმომადგენლად ეშმაკი ითვლება. მან უზენაესის ბრძანება, **„ადამს სეჯდე შეუსრულე!“** – არ შეასრულა, ვინაიდან თავი სხვაზე უპირატესად წარმოიდგინა და შედეგად, ამ სიამაყემ, ურწმუნოებასთან მიიყვანა. უდიდესი ალლაჰი ეშმაკის ამგვარ საქციელზე ბრძანებს:

„...ნამდვილად აღზევებული ხარ თუ გაყოყოჩდი?“ (სურა სადი, აიათი 75)

ამ სიტყვების მიხედვით ღმერთი აცხადებს, რომ ეშმაკის მიერ სეჯდეს შეუსრულებლობას ნამდვილ ამაღლებასთან არავითარი კავშირი არა აქვს, ის მხოლოდ და მხოლოდ ამპარტავნების წარმოდგენაა.

ეს ნიშნავს, რომ საკუთარი **„მე-ს“** გაიდიალება სულიერ გზაზე დაბრკოლება და ერთგვარი სნეულებაა. მიუხედავად იმისა, რომ ეშმაკი ანგელოზების მასწავ-

ლებელი იყო, ის თავისი ეგოიზმის გამო მარადიულად დაზარალდა.

ნემრუდიც წმინდა იბრაჰიმის „მონოთეისტურ რწმენას“ სიამაყემ აუმხედრა. მან თქვა:

„მე იბრაჰიმის მიერ გაცხადებულ ზეციერ ღმერთს ომს ვუცხადებ.“ მაგრამ მან ამგვარი ყოყოჩობითა და თავისი სიდიადის წარმოდგენით გარშემომყოფებს ძალა და დიდებულება კი არა, პირიქით უგუნურება და სიმდაბლე აჩვენა.

აბუ ჯაჰილმა და სხვებმა, მიუხედავად იმისა, რომ შინაგანად სწამდათ ალლაჰის შუამავლის ის ვნების მიზეზით მაინც უარყვეს. ვინაიდან, იმ დროისთვის, მორწმუნეთა უმრავლესობას სუსტები და მონები შეადგენდნენ, მათ რიგებში ჩადგომის უფლება კი თავიანთმა სიამაყემ არ მისცა. სიბრიყვემაც შემდეგი სიტყვები ათქმევინა:

„...ეს ყურანი, ორი ქალაქისგან დიდ ადამიანს რომ მოვლინებოდა არ შეიძლებოდა?“ (სურა ზუჰრუფი, აიათი 31)

წმინდა შუამავალი თავისი უწმინდესი მისიისა და მისი დიდი სიკეთის მიუხედავად, მადლიერებას კი არა, დიდ წინააღმდეგობას, აბუჩად აგდებას, შეურაცხყოფასა და შეწუხებას წააწყდა.

ფარაონმა ვეზირ ჰამანს უთხრა:

„გამომწვარი აგურისაგან მაღალი კოშკი ამიშენე, ეგება მუსას ღმერთი დავინახოო.“

უგუნურთა ჯაჭვიდან უახლოესი ისტორიის ერთ-

ერთმა წარმომადგენელმა, რუსმა ასტრონავტმა, გაგარინმა თქვა:

„ზეცაში ღმერთს არ შევხვედრივარ.“

ეს ხომ სხვა არაფერია გარდა, ფარაონის სისულელის განმეორებისა.

რწმენითა და მაღალი ზნეობით გულების აღზრდა მხოლოდ და მხოლოდ სიამაყისა და თავმოყვარეობის უგულებელყოფითაა შესაძლებელი. იმაზე დაუფიქრებლობა – სადან მოვედით, ან უგულებელყოფა – სადაც უნდა წავიდეთ, უდიდესი ღმერთის ბრძანებებისადმი დაპირისპირება და სიამაყეში ჩაძირვა, სამწუხარო დაუდევრობაა, რომელიც საიქიოში საშინელი სიღატაკით შემოგვიბრუნდება. აუცილებელია, არასდროს დაგვავიწყდეს, რომ სიამაყემ და თავმოწონებამ უამრავი ხელმწიფე და უსამართლო კეისარი გაანადგურა, ფარაონი კი შუა ზღვაში გამოუვალ მდგომარეობაში, გარდაუვალი სიკვდილის წინაშე ეულად დატოვა.

სააქაო და საიქიო ცხოვრებისთვის ესოდენ საზიანო სიამაყისა და ქედმაღლობისაგან განთავისუფლება, სხვა უარყოფითი თვისებების მსგავსად, საკუთარი თავის კონტროლის საშუალებით შეიძლება. ამისთვის საკმარისია, გულით მივენდოთ ალლაჰის ბრძანებებსა და აკრძალვებს. რადგან ყველაზე სრულყოფილად ისლამს შეუძლია, არა მარტო სიამაყისა და ამპარტავნებისაგან, არამედ ყველა მსგავსი უარყოფითი თვისებისაგან გაუვნებელყოფა და მათი დადებითი თვისებებით

შეცვლა. ამ სიკეთეების ცხოვრებაში გასატარებლად ალლაჰის შუამავალს უნდა მივბაძოთ, მისი ცხოვრება ხომ გასათვალისწინებელი საქმეებით აღსავსე ოკეანეა. ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად, საჭიროა მისი ბრძანებების სწორად შესწავლა, ხოლო მათ შესასრულებლად უნდა შევეცადოთ მთელი ჩვენი ძალისხმევა გამოვიყენოთ და მივბაძოთ ალლაჰის შუამავალს. ეს საქმის მხოლოდ გარეგნული მხარეა და, რა თქმა უნდა, სულიერი მხარეც არსებობს. ეს არის უდიდესი ღმერთისადმი მუდმივი ვედრება, აკრძალვებისადმი მორიდება და ამგვარად, მაღალი ზნეობით აღჭურვა. ვინაიდან ჰარამი სარჩო და დაუდევარი ქმედებები, ნეგატიური ენერგიის მიწოდების გზით, შემეცნებას ბინდავს.

ამავე დროს, ყურადღება უნდა მივაქციოთ ვისთან ვმეგობრობთ. რადგან სულიერად განწმენდილ და ამაღლებულ ადამიანებთან ყოფნა სასარგებლოა და ამიტომ მათი სულიერებისგან უნდა ვისარგებლოთ. ყველა ამ სულიერ კრიტერიუმს თუ დავემორჩილებით, უარყოფითი ენერგია ვეღარ დაგვძვლევს. ღვთისმოსავ და სანდო ადამიანებთან ერთად ყოფნა ძალიან მნიშვნელოვანია,რადგან მათი შინაგანი განწყობა გადამდებია. ადამიანს ხომ საყვარელი ადამიანისგან უარყოფითი ან დადებითი ენერგია გადაედება. ამიტომაც, ის ვალდებულია ყურადღება მიაქციოს იმ ადამიანებს, ვისთან ერთადაც იმყოფება.

უდიდესი ღმერთი აიათში ბრძანებს:

„მორწმუნენო! ალლაჰის გეშინოდეთ და სანდოებთან ერთად იყავით!“ (სურა თევბე, აიათი 119)

რადგანაც სანდო და სათნო ადამიანებთან ყოფნა იმის წინაპირობაა, რომ მათი მდგომარეობა ჩვენზეც გადმოვა.

მეორე მხრივ, ადამიანის ბუნებაში არსებული სიამაყის გრძნობა, ორლესული მახვილივით სასიკეთოდაც შეიძლება იქნეს გამოყენებული და ბოროტებისთვისაც. ამიტომაც მისაღებია ამ თვისების მთლიანად არა თუ განადგურება, არამედ მისი გაკონტროლება.

რადგან შეიძლება ისეთი სიტუაცია შეიქმნას, სადაც ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი სიამაყის გამოყენება ნებადართული და საჭიროც კი იქნება. ამის ერთ-ერთი მაგალითია:

„სიამაყეზე სიამაყით დაპირისპირება მოწყალებაა.“ (მუნავი, ფეიზულ ყადირ, IV, გვ. 366/5299)

ე.ი. ისლამისთვის მიუღებელი, ზღვარგადასული ურწმუნოებისა და ცოდვილობის წინააღმდეგ მისი პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით გამოყენებული სიამაყე – მოწონებულია. ვინაიდან, თუკი ასეთ შემთხვევაში, ეს ბუნებრივი კაპიტალი სამართლიანად და დადებითად იქნება გამოყენებული ის დარბაისლობის სახელს მიიღებს.

დარბაისლობაც, მოკრძალების მსგავსად, საქებარი ზნეობაა. უდიდესი ღმერთი აიათში თავის საყვარელ მონა-მსახურს შემდეგნაირად ახასიათებს:

„(ის ღვთისმოსავი მონა-მსახურები) **ცრუ მოწმედ არ დადგებიან, მოსაწონი სიტყვებით თუ შეხვდებიან დარბაისლურად** (იქიდან) **წავლენ.“** (სურა ფურყანი, აიათი 72)

ისევე როგორც სამარცხვინო და საზიზღარი

საქციელია სიამაყის გამოჩენა იქ, სადაც მოკრძალებაა საჭირო, დარბაისლობის საჭიროების შემთხვევაში მოკრძალების გამოვლენაა სირცხვილი.

ადამიანში არსებული ნებისმიერი ნიჭის შესაბამისი საზომითა და (ისლამის) ჩარჩოებით გამოყენებაა საჭირო. ცხოვრების უნომრო სათვალით ხედვა და მისი ერთფეროვნად გატარება, ისლამის თვალსაზრისით, არც მოსაწონია და არც სასურველი. რადგან, საჭიროების შემთხვევაში, საწამლავიც სამკურნალო საშუალებაა.

მოკლედ, მარადიული ბედნიერებისთვის ჩვენი ცხოვრების ღვთის ბრძანების შესაბამისად გატარებაა საჭირო და ამ ბრძანებების შესრულებისას კი (ლოგიკის შემეცნების თვალსაზრისით) დიდი მგრძნობელობის გამოჩენა უნდა შევძლოთ.

უდიდესმა ღმერთმა აგვაცილოს ღვთიური შურისძიებისა და სატანჯველის გამომწვევი საზიზღარი თვისებები. გვაქციოს ისეთ მონა-მსახურებად, რომლებიც ატარებენ ისლამის ღირსებასა და სიდარბაისლეს, ალლაჰის ძალისა და დიდებულების წინაშე კი თავის არარაობას შეიმეცნებენ და იქცევიან აიათის:

„...რაჰმანის (მგრძნობიარე) მონა-მსახურები დედამიწაზე მოკრძალებით დადიან...“ – (სურა ფურქანი, აიათი 63) **– შესაბამისად.**

ამინ!



მესნევის მიხედვით

უგულისყურობისგან ხსნა

მესნევი: *„იმის გამო, რომ სამყაროში ყველაფერი მისი სიყვარულის ტყვეა, ძაღლის ყეფაც კი ღმერთისადმი მიზიდულობის გამოხატულებაა. საერთოდ ყველაფერს, რაც უფლისადმია მიმართული, გზაზე დაბრკოლება ეღობება. ძაღლის მოვალება ხომ სახლის დაცვა, პატრონის ფარის ყარაულობაა. მას ეს დაბრკოლება რომ არ ჰქონოდა, ძაღლებიც ღმერთისადმი მიზიდულობის გამო, მთებში იხეტიალებდნენ, ყველა ღმერთის მეჯნუნი გახდებოდა.*

ისევე როგორც, ასჰაბი ქეჰფის ძაღლი, მიზიდულობის წყალობით, ლეშის ჭამისგან განთავისუფლებულ იქნა და ხელმწიფეთა ხელმწიფის სუფრასთან იქნა მიპატიჟებული.

ის ძაღლი, იმის გამო, რომ ასჰაბი ქეჰფის მეგობრობა აირჩია და მათთან ერთად ყოფნის სიამოვნება განიცადა, გამოქვაბულის კარებთან მოწყალების წყალს

დალევს ისე, რომ მის წინ თასი არ იქნება.

ძაღლის ტყავში გახვეული, ესე იგი, ერთი შეხედვით, საძაგელი და საზიზღარი – ბევრი ადამიანია, მაგრამ ისინი ფარდის უკან ასპაბი ქეჰფის ძაღლისთვის ბოძებული სიყვარულის თასიდან სვამენ.

შვილო, სიცოცხლე გაიღე, რათა ის თასი მოიპოვო! ნუთუ ვნებასთან შეუბრძოლებლად, თავს დამტყდარი უბედურებების მოუთმენლად, სიმაღლის მოპოვება შეიძლება?

ამ სიყვარულის თასიდან დასალევად მოთმინება, უბედურებების გადატანა და გაუსაძლისი სატანჯველის გამოვლაა საჭირო. შენც, მოითმინე და დარდს შეუერთდი, რადგან მოთმინება სიუხვისა და სიხარულის გასაღებია.

ამქვეყნიურ საფარში, სხეულის მოთხოვნილებების და სურვილების მოუთმენლად, სიმწარის გადაუტანლად და წინდაუხედავი მოქმედების გარეშე არავინ გადარჩენილა; რადგან მოთმინება წინდახედულების ხელ-ფეხია. (ტ. 3, 207-213)

წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ადამიანი საყვარელთან ერთად არის.“ (ბუჰარი, ედები, 96; მუსლიმი, ბირრი, 165)

სიყვარული და მის ობიექტთან ერთად ყოფნა მიჯნურებს ერთმანეთის თვისებებს სძენს. რადგან ეს მდგომარეობა გადამდებია და მისი გამტარი საშუალება – სიყვარულია.

ძველები იტყვიან *„გულიდან გულამდე გზაა.“* ეს

გზა გულიდან გულში მდგომარეობის გადაცემის უზრუნველმყოფი სიყვარულის არხია. ამ გადასახედიდან, ისინი ისევე, როგორც ბოროტების მომქმედნი ეგუებიან იმ მდგომარეობას, რომელიც მათ ახასიათებთ; ასევე ადამიანები, რომელთაც უყვართ ისინი, ვინც ალლაჰს უყვარს, მათი თვისებებით აღიჭურვებიან. უნდა გავიგოთ რომ საჭიროა ასჰაბი ქეჰფის ნოველას ყურადღება მივაქციოთ. მათი ძაღლი – კიტმირი ხომ მხოლოდ და მხოლოდ ამ ღვთისმოსავ ადამიანებთან ერთად ყოფნით ამაღლდა და იქცა სამოთხეში შემსვლელ ერთადერთ ცხოველად.[1] ალლაჰის ღვთისმოსავ მონამსახურებთან ერთად ყოფნამ ძაღლსაც კი სამოთხე მოაპოვებინა. საჭიროა დავფიქრდეთ, ადამიანს ასეთ პიროვნებებთან ერთად ყოფნით თუ რაოდენი სარგებლის მიღება შეუძლია.

სადი სირაზს სურაში „ქეჰფ“ სურაში მოცემული ასჰაბი ქეჰფის ნოველა მაგალითად მოჰყავს და ამბობს:

„ძაღლი ღვთისმოსავი ადამიანების ყარაულობით სანდო გახდა და ყურანშიც კი იქნა მოხსენიებული. ხოლო წმინდა ნუჰის შვილი და წმინდა ლუტის ცოლი კი, იმის გამო, რომ ცოდვილებთან ერთად იყვნენ, ურწმუნოებაში გადაცვივდნენ და ჯოჯოხეთის მგზავრებად იქცნენ.“

მართლაცდა, სიყვარულსაც და სიძულვილსაც თუ

1. მუჰამმედ ბაჰაედდინ ნაქშიბენდიმ აბდულყადირ გეილანის ს - ფლავი რომ მოინახულა, კარებთან შემდეგი ბწკარები დაწერა: „თუკი ღმერთთან ახლოს ყოფნა გსურთ, ლომობას სჯობია აბდულყადირ გეილანის კარებთან ძაღლი იყო.“

სწორად მივმართავთ იმისკენ, ვინც ამას იმსახურებს, პატრონის კეთილგანაწყობას დავიმსახურებთ,წინააღმ-დეგ შემთხვევაში,თუ სიყვარულსა და სიძულვილს მივ-მართავთ იმ ადამიანისკენ, ვინც ამას არ იმსახურებს, ჩვენვე ვიქნებით უბედურები.

ამ ჭეშმარიტებას თუ გავითვალისწინებთ, ცხადი გახდება თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სუ-ლიერი აღმასვლის გზაზე ღვთისმოსავ ადამიანებთან ერთად ყოფნას და მათი ზეგავლენით ცხოვრებას. მა-გრამ, ამ შემთხვევაშიც, სარგებელი სიყვარულის შესა-ბამისად განხორციელდება. თორემ მხოლოდ ერთად ყოფნა სასურველ შედეგს არ იძლევა.

შუამავლის თანამიმდევრების მწირი ნიადაგის მსგავ-სი გულები, ალლაჰის შუამავლის საუბრების წყალო-ბით, სულიერი მოწყალების ნაყოფიერ თავშესაფრად იქცა. სწორედ მისი მცდელობითა და მონდომებით დაითესა და გაიზარდა ის უბადლო და ღისეული აზ-რთა თესლი, რომელიც თავის დროზე ჩაკეტილი იყო. გულიდან გულში გადასული სიყვარულისა და სულ-ერების გაცვლით ეს ადამიანები ვარსკვლავებივით კაშკაშა პიროვნებებად იქცნენ. უმეცრების პერიოდის უმოწყალო, უსინდისო, გულქვა, ქალიშვილების მიწაში ცოცხლად დამმარხავი, სამართლისა დ კანონის არმცნობი ადამიანი სადღაც გაქრა, დაიკარგა. იმავე სილუ-ეტით კი, სრულიად ახალი, გულისხმიერი, ფაქიზი, გულ-ჩვილი, მგრძნობიარე ადამიანი მოევლინა სამყაროს.

ამქვეყნიური ცხოვრება ყველა არსებისთვის თავ-გზის ამბნევ ოპიუმს ჰგავს. ესე იგი, ის ადამიანებს ალლაჰთან აშორებს. ამიტომაც დიდი ადამიანები

შეკითხვაზე:

– „ეს ქვეყანა რა არის?“

პასუხობდნენ:

„ყველაფერი, რაც მას ალლაჰთან აშორებს!“

ამქვეყნიური ცხოვრება ყველა არსებისთვის სამოქმედო ასპარეზია. ამ მოქმედების საბოლოო მიზანი კი საიქოს მოპოვებაა. წმინდა შუამავალი ამ აზრს, ჰადისში, შემდეგნაირად ავითარებს:

„სააქაო საიქოს ყანაა.“ (აჯლუნი, ქეშფულ ჰაფა, 1, 412)

ესე იგი, ადამიანი საიქიოში იმას მოიმკის, რასაც სააქაოში დათესავს.

საჭიროა,ამქვეყნის ეს თავგზაამბნევი,ოპიუმის მსგავსი ზემოქმედება რწმენის საშუალებით იქნეს გაწონასწორებული. უგულისყურობის საწინააღმდეგო თვისება სიფხიზლეა. ამის უცილობელი განხორციელების გარეშე, ამქვეყნიური ცხოვრების ამოქმედება შეუძლებელია. ამ შემთხვევაში წონასწორობა დარღვეულია და ადამიანის ქმედებები გონებისა და ლოგიკის ჩარჩოებს მიღმა რჩება.

ზემოთ მოცემულ წმინდა მევლანას ბეითში ნათქვამია, რომ თუკი უგულისყურობა შეწყდება ძაღლში, რომელიც მოკლებელია შემეცნებისა და აზროვნების უნარს და რომელსაც მარტივი ვალდებულება აკისრია, ისიც კი ღმერთის სიყვარულით ველად გაიჭრება და თავის დაკისრებულ მოვალეობას-გუშაგობას აღარ შეასრულებს. როდესაც ეს ასეა, გავითვალისწინოთ ადამიანი, ნამდვილი სიფხიზლის შემთხვევაში, როგორ

მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს.

უგულისყურობისგან ხსნისთვის აუცილებელია სულიერი განწმენდის მეშვეობით გულის ამქვეყნიურობისგან დაცლა და მისი საშუალებით სამყაროში არსებული ძალის, საოცრებებისა და სინატიფის სხვადასხვა გამოვლინებებზე ცქერა. მეცნიერები ამბობენ:

„ცოდნის მგზავრო! ამ გზაზე მოუთმენლობას მოთმინებით, დავიწყებას – ღმერთის ხსენებით, უმადურობას – მადლიერებით, ამბოხებას – მორჩილებით, სიძუნწეს – გულუხვობით, თვალთმაქცობას – გულწრფელობით, შეცდომებს – მონანიებით, ტყუილს – სიმართლით, უგულისყურობას – დაფიქრებით სანამ არ შეცვლი, მანძილს ვერ დაფარავ!“

მესნევი: *„საბრალოა ადამიანი, რომელმაც საკუთარი თავი საჭიროებისამებრ ვერ შეიცნო. ის ხომ სულ სხვა მხრიდან, სხვა სიმაღლიდან, მარადისობის სამყაროდან მოვიდა და ამ ხარვეზიან, მანკიერ სამყაროში, ამ ჭუჭყიან ქვეყანაზე ჩამოვარდა.*

ადამიანმა საკუთარი თავი იაფად შეაფასა. ის ძალიან ძვირფასი ატლასის ქსოვილის მსგავსად აიღო, დაიჭირა და საკუთარი თავი ხალათს შეადარა.“ (ტ. 3, 1000-1001)

ჰადისში ნაბრძანებია:

„საკუთარი თავის შემცნობი ღმერთს შეიცნობს“.

ეს განცხადება მიანიშნებს,რომ ადამიანმა ჯერ საკუ-

თარი თავი უნდა შეიცნოს და თავისი ფასი იცოდეს.

მართლაცდა, ადამიანს თუ ეცოდინება თავისი ფასი და გააცნობიერებს იმას, რომ ის ყველაზე პატივსაცემ, თავის საყვარელ არსებად შექმნა ღმერთმა, სულმდაბალი საქციელისადმი კეთილგანწყობის ნაცვლად, მისთვის თავის არიდების აუცილებლობას ადვილად შეიმეცნებს. რადგან ადამიანთა უმრავლესობა თავისი არსების სიდიადესა და შესანიშნაობას ვერ შეიმეცნებს და ვერ ზომავს, ესა თუ ის საქციელი რამდენად უხდება მას, სულმდაბალი ქმედებებისგან თავს ვერ იცავს. ამიტომ ყველაზე მდაბალ არსებაზე უფრო დაბლა ეშვება.

მესნევი: *„მუსა კვერთხს მიუბრუნდა და უთხრა: „რა გასაოცარი რამეა? ჩვენი შუამავლობა ჩვენთვის მზესავით აშკარა და მბრწყინავია, მტრისთვის კი ღამის მსგავსად წყვდიადით მოცული...*

ნეტა, როგორ ხდება, რომ ფარაონის არმია ქუშლუქის დროის მზის სისავსეს ვერ ხედავს?

მათ მხედველობა, სმენა და ჭკუა-გონება გააჩნიათ, მაგრამ ჭეშმარიტებას ვერ ხედავენ და არ ესმით. გაოცებული ვარ ალლაჰის მხედველობის ძალითა და სიმახვილით!

მე მათი უგულისყურობით ვარ გაოცებული. მათ კი ჩემი შუამავლობა და ჩემს მიერ ღმერთის ქადაგება აკვირვებთ. ისინი გაზაფხულზე გაზრდილი ეკლები არიან, მე კი იმ გაზაფხულით მოსული ჟასმინი ვარ!“

(ტ. 3, 1107-1110)

ისინი, ვინც საკუთარ ეგოიზმში არიან ჩაძირულნი და ვერ ხედავენ თავიანთი პიროვნების სიდიადეს, თავიანთ მოვალეობას, (ვისაც თავისი სამყარო მარტის ბურუსში გახვეულ ნიადგისთვის დაუმსგვასებია) მზე ზენიტშიც რომ იყოს,მის კაშკაშს ვერ დაინახავენ. რადგან მათ შორის უგულისყურობის ფარდაა ჩამოფარებული. მიუხედავად იმისა, რომ მუსა და მისი მსგავსი შუამავლები მზესავით ბრწყინავდნენ მათი აღიარება უგულისყუროებს საკუთარ სამყაროში ჩაკეტილობისა და თავიანთ ვნებებზე დამოკიდებულების გამო არ შეეძლოთ. ისინი ჰგვანან ადამიანებს, რომლებიც დღისით თავზე საბანს გადაიფარებენ და აცხადებენ – ღამის წყვდიადიაო. მათ არ იციან, რომ ჭეშმარიტება მათი სურვილის მიხედვით არ იცვლება. ღვთაებრივი ბედისწერის მცოდნე მუსა ამ ყველაფერს უზენაესსა და გულგრილ არსებებს შორის ჩამოფარებულ ფარდად აფასებს.

რა არ ხელეწიფება ღმერთს! სხეულის სულ პატარა ნაწილს; თვალს, მხედველობის, გულს-გრძნობის, ტვინს კი ფიქრის მსგავსი საოცარი ნიჭი უწყალობა; ამავდროულად, ამათი საპირისპირო სიბრმავის, უგრძნობელობის, სულიერი დაავადების არსებობაც აუხსნელი ძალის გამოვლინებაა.

თავისუფალი და ძლიერია ის,ვინც ვნების ფუჭ სურვილებს სძლევს. ხოლო ადამიანი, რომელსაც მოერევა ვნების ბოროტება, ესე იგი სატანჯველი, სიძულვილი და ჟინი სხვა პიროვნების ტყვედ ქცეულ ადამიანზე უარესია.

ბაღდადის მიდამოებში წმინდა შუამავლის შვილიშვილის მკვლელმა თქვა:

„დღეს მე ქვეყნის ყველაზე სახელოვანი ადამიანი მოვკალი!“

ამ სიტყვებით მან აჩვენა, რომ ვნების ტყვე და უვარგისი ადამიანი იყო.

ჰულაღუ კი, რომელიც თავისი არსებობისას სადაც გაივლიდა სისხლისა და ცრემლის კვალს ტოვებდა, იმ პერიოდის დედაქალაქ ბაღდადში სასაკლაო მოაწყო და ოთხასი ათასი მუსლიმანი დახოცა. ამავე დროს გაანადგურა ყველა შედევრი და ტიგროსში ჩამარხა იშვიათი ხელნაწერები. ის, ამ სისასტიკის გამო, ისტორიაში დაკარგულ, უბედურ და საბრალო ადამიანად იქცა. ის ხელმწიფე კი არა, სინამდვილეში, ვნების საცოდავი ტყვე იყო.

მეორე მხრივ, ჰალიჯი მანსურმა, რომელმაც ბაღდადში საფრთხის არსებობის მიუხედავად გაამჟღავნა მის ხელთ არსებული შარიათის საიდუმლო და ამის წყალობით, ადამიანებისთვის ჭკუის შეფასების შეუმცდარ საზომად იქცა. ის თავისი ჩამქოლების გამო ღმერთს ევედრებოდა:

„ღმერთო, ჩემზე ადრე ჩემს ჩამქოლავთ მიუტევე!“

ეს სიტყვები გვიჩვენებს, რომ ის ვნებადაძლეული, მისი ტყვეობისაგან განთავისუფლებული და სიმშვიდემოპოვებული ადამიანი იყო.

მესნევი: *„უგულისყურო ადამიანო! უდიდესი ღმერთის მიერ ყურანში ნახსენები – „ღმერთის მიერ ბოძებული სარჩოსაგან მიირთვი!“ – სარჩოდ ჯერ პური მიიღე და მხოლოდ შემდეგ დაეწაფე სიბრძნეს!“*

ალლაჰისაგან ბოძებული სარჩო, ადამიანს ინტუიციის მიხედვით სიბრძნესა და ცოდნაშია. მათი მიღება არაა დროებითი და წარმავალი. ისინი მარადიულ საზრდოს წარმოადგენდნენ.

თუკი ხორციელ პირს დახურავ, შენში სულიერი პირი გაიხსნება და იმ პირით ღვთიური საიდუმლოებებისა და ცოდნის ლუკმებს მიიღებ.“ (ტ. 3, 3745-3747)

სარჩო მხოლოდ საჭმელ-სამელი არ არის, ისე როგორც უმეტესობას მიაჩნია. ის რაოდენობითაც კი განსაზღვრულია. ესე იგი, არც ერთი ადამიანი არ მოკვდება მანამ, სანამ მისთვის განსაზღვრული საჭმელი, სარჩო არ დასრულდება. ღმერთის მიერ ბედისწერით განსაზღვრულ სხვა რამეებზეც იგივე შეიძლება ითქვას. მაგალითად, თვალმა ამ წარმავალ სამყაროში რა პეიზაჟებიც არ უნდა ნახოს, ყურმა რაც არ უნდა მოისმინოს, ტვინმა (ისე როგორც ტელევიზორის ეკრანზე გარბენილმა მოძრავმა უხმო სტრიქონმა) რა ფიქრებიც არ უნდა წარმოშვას, გულმა რა გრძნობებიც არ უნდა გამოხატოს – ყველაფერი ეს ღვთიური ცოდნითაა ცნობილი და საბოლოოდ შეზღუდულია. ისე როგორც სარჩო, ისინიც სანამ არ ამოიწურება და არ გათავდება სიკვდილი არ მოვა.

ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა ბედისწერა სარჩოთია განსაზღვრული და დადგენილი. ეს განსაზღვრა ღვთიური ბედისწერით ხდება. მაგრამ ამის გამო რომ

ჩავთვალოთ, რომ ეს მხოლოდ საჭმელ-სასმელისათვისაა დამახასიათებელი, მცდარი შეხედულება იქნება. მევლანა ამბობს:

„სხეულის გადამეტებულ კვებასა და განვითარებას ნუ მიაქცევ ყურადღებას! რადგან ის საბოლოოდ მხოლოდ მიწისთვის მისაბარებელი მსხვერპლია. შენ გულის საზრდოს მიაქციე ყურადღება! უმაღლესთან წამსვლელი და პატივსაცემი სწორედ ის არის.

სხეულს ცხიმიანი და თაფლიანი რამეები მცირე რაოდენობით მიაწოდე. რადგან ის, ვინც საკვების მიღებისას ზომიერებას ვერ იცავს, ვნების სურვილებში ექცევა და საბოლოოდ შერცხვენილი რჩება.

სულს სულიერი საზრდო მიაწოდე. სრულყოფილი ფიქრი, დახვეწილი ზნეობა და მსუბუქი საკვები შესთავაზე, რომ საბოლოო სამკვიდრებელს მხნედ მიაშუროს:

მესნევი: *„შენ, გაოცებულო ადამიანო, გაზაფხულის სილამაზის წინაშე ტუჩებს რომ იკვნეტ! ერთხელ შემოდგომის სევდიან მდგომარეობასა და სიცივესაც მიაქციე ყურადღება!*

განთიადისას, როცა მზის ულამაზეს ამოსვლას იხილავ, მზის ჩასვლის დროს, მის სიკვდილს რომ უწოდებენ, იმასაც ნუ დაივიწყებ!

ადამიანიც იმავე თანმიმდევრობით ცხოვრობს. სრულყოფილება და სილამაზე გასაქრობადაა განწირული.

ლამაზი ბავშვი თავისი სილამაზის წყალობით ხალხისთვის საყვარელი და ნებიერია. დროის შემდეგ, ასაკისაგან გამოჩერჩეტდება და ხალხისთვისაც უსიამოა. თუკი შენ ვერცხლისტანიანმა სილამაზემ მოგინადირა, მოხუცებულობის ჟამს ბამბის ყანას დამსგავსებულ საკუთარ სხეულს შეხედე.

ცხიმიანი, თაფლიანი საჭმლისა და სურვილის აღმძვრელ საკვებისაკენ მსწრაფო! ადექი, საპირფარეშოში შედი და მათი დასასრული იქ ნახე!" (ტ. 4, 1596-1601)

ეს სამყარო უდიდესი ალლაჰის სასწაულებრივი თვისებების ერთობლიობის ნაყოფია. თვით ალლაჰის გარდა ყველა სხვა არსებაც ამ თვისებათა გამოვლინებების შენაერთია. ჩვენს სამყაროში კი ღმერთის გაცხადების ადგილი არ არსებობს. ვინაიდან უდიდეს ღმერთს არ შეუქმნია ადგილი, რომელიც მის გაცხადებას შეესაბამება.

მეორე მხრივ, უფლისმიერ ნიჭთა შენაერთის წყალობით შექმნილი არსებები **„მარადიულობის"** თვისებას მოკლებულნი არიან; ე.ი. ამქვეყნად ალლაჰის გარდა არც ერთი არსება არ არის მარადიული, უკვდავი, მუდმივობის ძალით დაჯილდოვებული. ამის შედეგი კი ის არის, რომ ყველა ქმნილება წარმავალია, ძველდება და ნადგურდება. აიათში ეს ჭეშმარიტება ასეა გამოხატული:

„დედამიწაზე არსებული ყველ არსება განადგურდება." (სურა რაჰმანი, აიათი 26)

წარმავალი არსებების თვისებებიც მიწიერი და წარმავალია. ამ მახასიათებლის შედეგად ყველა მარა-

დიულად იცვლება, ასაკი ემატება. არც ერთის მდგომარეობა არ არის მუდმივი და მარადიული. თუმცა, წარმავლობის მსვლელობა ყველა არსებაში სხვადასხვა ფორმითა და შინაარსით ხორციელდება. ამიტომაც, ცნობილი ჭეშმარიტებაა **„ყველა მდგომარეობა დროებითია.“**

ეს ნიშნავს, რომ კონტრასტებზე დაფუძნებულ ჩვენ სამყაროში არც სილამაზე, არც სიმახინჯე, არც სიკეთე, არც ბოროტება, არც ყოფნა, არც ქონება, არც უქონლობა, არც სრულყოფილება და არც დაცემა მარადიული არ იქნება. მუდმივი ცვლილება ყველა ქმნილებისთვის უცილობელი ბედისწერაა. მევლანა, ზემოთ მოცემულ ბეითში, სწორედ ამ ჭეშმარიტებას გადმოგვცემს, როცა მოიხსენიებს ადამიანის სვლას ბავშვობიდან მოხუცებულობისკენ და საკვების მიერ ორგანიზმში განვლილ ეტაპებს.

უგულისყურო ცხოვრებას ბავშვობის ასაკში თამაში, ახალგაზრდობაში – გატაცება, მოწიფულობაში – გულგრილობა, მოხუცებულობაში – წარსულის მონატრება და ათასგვარი წუხილი და სინანული განაპირობებს. ვინც ღმერთს არ ახსენებს, ვისაც გლახაკი და დახმარების მთხოვნელი არ ებრალება და მათ დარდის გაზიარების გრძნობები არ გააჩნია, ვინც ამაყი და ქედმაღალია, მას სიკვდილი ყოველ წამს უსაფრდება. რა სამწუხაროა მათი დასასრული, ვინც ამქვეყნიურობით ტყუვდება და ცდილობს სიქიოს გამორიცხვით სააქაო კეთილდღეობა მოიპოვოს, ვინც სიცოცხლის ბოლომდე ცდილობს წარმავალი სიამოვნებით ტკბობას.

სააქაო გამოცდისა და ცდუნებების ადგილია. ერთი

შეხედვით, სურნელება სასიამოვნო და ტკბილია. ის სულს სიცოცხლეს ანიჭებს. მაგრამ, მეორე მხრივ, მახეა, მორევია მათთვის, ვისაც ვნებისთვის დამახასიათებელი დაბრკოლების გადალახვა უჭირს.

მესნევი: *„ადამიანო, დედამიწაზე ურთიერთგამომრიცხავი ორი ხმა ვრცელდება. ნეტავ, შენს გულს რომლის მიღების უნარი გააჩნია?..*

იმათგან, ერთი ალლაჰთან დაახლოებულების მდგომარეობის გამოძახილია, მეორე კი ცოდვილთა და ცდუნებულთა მდგომარეობის გამოხატულებაა. (ტ. 4, 1622-1623)

„ამ ხმებისგან ერთ-ერთს თუ მიყვები, მეორეს ვეღარ გაიგონებ!

რადგან შეყვარებული ადამიანი საყვარლის ნეგატიური თვისებებისადმი ჩვეულებრივ ბრმა და ყრუა.“ (ტ. 4, 1626)

„მგზავრო, სარკეში შენი არსებობის უკანასკნელ სურათს შეხედე! სილამაზის, ასაკისთვის დამახასიათებელი სიმახინჯით მოსალოდნელ შეცვლაზე და შენობის დანგრევის შესაძლებლობაზე დაფიქრდი. ამიტომ სარკეში დანახული სიყალბე ნუ შეგაცდენს!..“ (ტ. 4, 1628)

წმინდა მევლანა, ზემოთ მოცემულ ბეითებში, სხვადასხვა მაგალითების მოყვანით გვმოძღვრავს, რომ ეს სამყარო კონტრასტებზეა დაფუძნებული. ამის მიზეზი კი ის არის, რომ თავად უდიდესი ღმერთია წინააღმ-

დეგობრივი თვისებების მატარებელი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ღვთიური ნიჭით შექმნილი ჩვენი სამყაროც ამ კონტრასტებს შეესაბამება; ამიტომ მათგან ჩამოშორებული ვერ იქნება. ადამიანის ტვინი ვერ სწვდება მას, რასაც საპირისპირო მხარე არ გააჩნია. სამყარო სწორედ ამ პირობითაა შექმნილი. ამიტომ ადამიანი და დედამიწა სილამაზისა და დიდებულების გამოვლინებების ამსახველი და კონტრასტების ასპარეზია. ისლამის შეხედულებით, პასუხისმგებელი ადამიანის შემეცნებას მხოლოდ იმის შემეცნება შეუძლია, რასაც კონტრასტი გააჩნია. კონტრასტი კი რამდენადაც მკაფიოა, მისი შემეცნების შესაძლებლობა იმდენად იოლია. შავ დაფაზე ერთ თეთრ და ერთ ნაცრისფერ ძაფს თუ დავდებთ, საერთო ფონზე, უფრო მკაფიოდ თეთრი გამოჩნდება. თოვლზე მორბენალ თეთრ კურდღელს კი ძალიან მჭრელი თვალიც ვერ დაინახავს.

ისლამი ამ ფაქტის ჭეშმარიტებას აქცევს ყურადღებას, როცა განმარტავს მოწესრიგებული სისტემისა და მის მიერ შეთავაზებული ამქვეყნიური შეხედულებების შესახებ. ახსნა-განმარტებებიც ისეთ კონტრასტებს ეფუძნება, როგორებიცაა: სიკეთე-ბოროტება, სამოთხე-ჯოჯოხეთი, სიცოცხლე-სიკვდილი..

ამ კონტრასტებს შორის, ადამიანის პიროვნებაშიც და სამყაროშიც, გასამარჯვებლად და ამავე დროს, ერთმანეთის გასანადგურებლად შეუპოვარი ბრძოლა მიმდინარეობს. ისევე როგორც ადამიანის არსებაში მებრძოლმა ცოდვა-მადლმა, ამ ბრძოლაშიც შეუძლებელია ერთმა მეორე გაანადგუროს. რადგან ამ სამყაროში ყველაფერი ის, რაც კონტრასტულია, ღმერთის თვისების ანარეკლია. ხოლო რადგანაც ალლაჰის თვისებები

მარადიულია ეს კონტრასტულობა ქვეყნიერების აღსასრულამდე გაგრძელდება. ადამიანი უნდა ეცადოს, რომ საკუთარ პიროვნებაშიც და გარე სამყაროშიც სამართალმა და სიკეთემ ტყუილსა და ბოროტებას სძლიოს. ამის გამო, საჭიროა, ყური დავუგდოთ მართალსა და გონიერს ბოროტებასა და ტყუილს კი ზურგი ვაქციოთ. ამის მოქმედნი ბედნიერებას მოიპოვებენ. რელიგიის მიზანია ეს გამარჯვება ყველა პიროვნებას მოაპოვებინოს. აიათში ნაბრძანებია:

„სულის (ჭუჭყისგან) **განმწმენდმა ხსნა მოიპოვა. მისი ცოდვებით დამფარველი კი განადგურდა.“** (სურა შემსი, აიათები 9-10)

მესნევი: *„ქონებამ ან ადგილ-მამულმა ზედმეტად არ გაგიტაცოს, რადგან როცა დრო მოვა, ადვილად შეძლო მისი დატოვება! ქონებას იოლად უნდა შეელიო და ისე უნდა წახვიდე, რომ მადლი თან დატოვო! შენ მაგრად ჩაეკარი მას, ვინც გავიწროებს, რადგან დასაწყისიც ის არის და დასასრულიც. მისი პოვნა თუ გინდა, ვნების სიმძიმე, რომელიც გულს სძირავს – მოიშორე, გადააგდე და სურვილს აისრულებ.“* (ტ. 3, 128-129)

ამქვეყნიურ სიკეთეთაგან გულს ფუძეს ყველაზე მეტად, ქონებისა და შვილის სიყვარული ურყევს. ამის გამოა, რომ უდიდესი ღმერთი ყურანში ამ ორ სიკეთეს ტერმინით *„შფოთისთავი“* მოიხსენიებს.

უზენაესი ალლაჰის მიერ ადამიანისთვის ნაწყალობევი ნებისმიერი სახის ქონება, თუნდაც შვილი, სინამდვილეში ანაბარია, რადგან ყველა სიკეთე მისგან

არის და მასვე ეკუთვნის. ამიტომაც, ბრძენი გულები ღმერთის წინაშე მუდმივად ისეთი გრძნობით არიან განმსჭვალული, რომელიც მათ ათქმევინებს:

„ამღები შენ ხარ, გამცემი შენ ხარ, დამწესებელიც შენ ხარ!

რასაც გვიბოძებ ის არის; ჩვენ საკუთარი რა გვაქვს?!“

ამგვარი მსჯელობით წმინდანები, რომლებიც უკიდურესად შორს იყვნენ უგულისყურობისგან შეიმეცნებდნენ,რომ ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის მონა-მორჩილია და მის წინაშე არარაობაა: ნებისმიერი სიკეთის, რომელსაც ადამიანი ფლობს, ნამდვილი პატრონი ალლაჰია.

ალლაჰის შუამავალი თავის მიმდევრებს მომავალში მოსალოდნელ „შფოთისთავზე“ ასე ეუბნება:

„ყველა ერთმორწმუნეს ერთი შფოთისთავი ჰყავს. ჩემი მიმდევრების ძირითადი შფოთისთავი – ქონებაა.“ (თირმიზი, ზუჰდი, 26)

ქონების უადგილოდ გამფლანგველი; ან მათთვის, ვისაც ამ ქონებაზე უფლება აქვს, ამ უფლების წამართმევნი და ამგვარად მისი დამგროვებელი ადამიანები ალლაჰის ბოძებულ სიკეთეებს დაკარგავენ. უდიდესი ღმერთი უგულისყუროდ მოქმედთა ტრაგიკული დასასრულის შესახებ აიათში ასე ბრძანებს:

„..არიან ისინი, ვინც ოქროსა და ვერცხლს აგროვებენ და მათ ალლაჰის გზაზე არ ხარჯავენ, აი, მათ ტკივილის მიმყენებელი სატანჯველი ახარე! იმ დღეს,

როცა (ეს ფული) **ჯოჯოხეთის ცეცხლში გახურდება და მათ შუბლს,გვერდებსა და ზურგს დაუდაღავს** (მათ ეტყვიან)**: „აი, ეს თქვენს მიერ მოკრებილი სიმდიდრეა და ახლა იგემეთ მათი გემო!“** (სურა თევბე, აიათები 34-35)

მას, ვინც ამქვეყნიური სიკეთეებით ზედმეტადაა გატაცებული და თანაც ძუნწია, შეიჰ სადი შემდეგნაირად აფრთხილებს:

„არ ჩათვალო, რომ ფულის მოგროვებით ამაღლდები. დამდგარ წყალს ცუდი სუნი ასდის და შრება. ეცადე გასცე და გააჩუქო, წყალს დინება გაუიოლო. გამდინარ წყალს ცა ეხმარება. ის წვიმის სახით ნიაღვარს ქმნის და პატარა წყაროს მდინარედ აქცევს.“

აქედან გამომდინარე, ნამდვილი ცოდნა, გულუხვობა და ალტრუიზმი – საკუთარი გულის მდინარის ამოქმედებასა და უდიდესი ღმერთის მიერ ნაწყალობევი სიკეთეებისა და ამქვეყნიური ვაჭრობის საიქიო სიმდიდრედ გადაქცევაშია. ამ გადასახედიდან ყველაზე ძვირფასი და საპატიო ქონება პატრონზე უწინაა საიქიოს გაგზავნილი, ყველაზე სასიკეთო სიცოცხლე კი – ალლაჰის კმაყოფილების მოსაპოვებლად გადადებული სიცოცხლეა.

შუმავლის თანამიმდევრები იმისთვის,რომ ამქვეყნიური სიცოცხლე საიქიო ბედნიერების მოსაპოვებელ კაპიტალად ექციათ, მოწყალებას ისე გასცემდნენ, რომ სიღარიბეზე არ ფიქრობდნენ. ჩვენც უნდა დავფიქრდეთ საიქიოზე და უნდა შევეცადოთ ამ წმინდა ადამიანების უმაღლესი ღირსებისაგან ჩვენი წილი მივიღოთ.

ჰადისში ნაბრძანებია:

„მას, ვისი მღელვარების მიზეზიც საიქიოა, ალლაჰი გულში სიმდიდრეს ჩაუდებს, არეულ-დარეული საქმეებისაგან იხსნის და სააქაო ყოფას გაუადვილებს, დაუმორჩილებს. ხოლო მას, ვისი მღელვარების მიზეზიც სააქაო ცხოვრებაა, ალლაჰი სიღარიბეს დაანათლავს, მას დაუდევრად აქცევს და ამქვეყნად მხოლოდ ისე იარსებებს, როგორც მის ბედისწერას შეესაბამება:
(თირმიზი, სიფათულ ქიამე, 30)

წმინდა მევლანა მიანიშნებს, რომ როცა ადამიანის გულში ქონების სიყვარული გაიდგამს ფესვებს, ის ღმერთს დაშორდება.

მართალია ის, ვინც ცხოვრობს იმის შემეცნებით, რომ ყველა სიკეთე ანაბარია. თუ ასე ჩავთვლით მასთან განშორება გაუსაძლისი სატანჯველის მიზეზი აღარ იქნება.

გული ალლაჰის მეთვალყურეობის ადგილია. ის ქონების ან შვილების სიყვარულით თუ შეივსება, დამდაბლდება. ამ ორ რამეს თუ გავაკერპებთ, რწმენის საწინააღმდეგო ქმედებად ჩაგვეთვლება და ამავე დროს, ამქვეყნად საიქიოს მოპოვებაში ხელს შეგვიშლის. საბოლოო შედეგი კი ამ საწუთროში ტყვეობა, საიქიოში კი სამწუხარო დასასრული, ანუ ორივე სამყაროში ტრაგიკული ყოფაა.

უგულისყურობისგან ხსნა

იმისათვის, რომ უგულისყურობას მოვერიდოთ, აუცილებელია მუდმივად ვახსენოთ ღმერთი და არასდროს არ დავივიწყოთ. ვინაიდან ადამიანი ცოდვას სწორედ იმ მომენტში სჩადის, როცა ღმერთს ივიწყებს და მას შორდება.

უგულისყურობისგან ხსნა

ადამიანი არის ერთადერთი არსება, რომელსაც ღმერთმა მისცა სიკეთისა და ბოროტების გარჩევის უნარი და მონა-მსახურების პასუხისმგებლობა დააკისრა.

მან, მისი **„მე“** სიკეთისა და ბოროტების მარცვლებით შეამკო და სააქაო სიმშვიდის და საიქიო ბედნიერების მოპოვების შესაძლებლობა, მისი შინაგანი სამყაროს, კერძოდ კი, გულის მდგომარეობასთან დააკავშირა. გულის სრულყოფილებამდე მიღწევის მნიშვნელობა და სიძნელე **„შემს“** სურის პირველ აიათებშია გაცხადებული:

„...სულს და მას ვუბოძეთ გარკვეული უნარი და წილი ღვთისმოშიშობისა (სიკეთის) **და ცოდვის** (ბოროტების) **შთამაგონებელს ვფიცავ, სულის ბოროტებისგან განმწმენდმა ხსნა მოიპოვა, მისმა ბოროტებაში ჩამმარხველმა კი – ზიანი.“** (სურა შემსი, აიათები 7-10)

ცოდვილობა, ვნებისა და სურვილებისადმი ტყვეობაა; ღვთისმოშიშობა კი გულის ამქვეყნიური ჭუჭყისაგან დაცვით ღმერთთან დაახლოების მცდელობა. ამ ორი კონტრასტული თვისებისათვის საჭირო მასალა უმეტესწილად ერთი და იგივეა: ჭკუა, გონება, შემეცნება; ქონება, თანამდებობა, შვილი... და ა.შ.

ამ თვისებებს ადამიანი ღმერთთან დასაახლოებლად თუ არ გამოიყენებს, ის ვნების ტყვეობაში მოექცევა, სულიერ საგანძურს მოწამლავს, ადამიანის ხელთ არსებულ ერთადერთ ხელსაყრელ შემთხვევას, სიკეთით აღნიშნულ სიცოცხლეს, ზიანს მიაყენებს და ორი სამ-

ყაროს უბედური იქნება.

როცა ეშმაკი სამოთხიდან იქნა გამოძევებული, მან უდიდეს ღმერთს სთხოვა მისთვის ქვეყნიერების აღსასრულამდე მარადიულობა ებოძებინა და ადამიანები ბოროტებისკენ მიემართა. უზენაესმა მას, ამ სურვილში თავისუფლება, მხოლოდ ამქვეყნად მიანიჭა. აიათში ნაბრძანებია:

„(ეშმაკმა) **უთხრა: „თუ ასეა, ჩემი შეცდენის სანაცვლოდ ვფიცავ, რომ მეც მათ საცდუნებლად შენკენ მომავალ გზაზე დავჯდები. შემდეგ კი წინიდან, ზურგიდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან შევუძვრები მათ. მათ უმრავლესობას შენს მადლიერთა რიგებში ვეღარ იპოვი.“** (სურა აარაფ, აიათები 16-17)

ალლაჰისკენ მიმავალ ჭეშმარიტ გზაზე დაბრკოლებად აღმართული, ადამიანების ბოროტებისკენ მიმქცევი, ეშმაკი გულწრფელი მონა-მსახურების წინაშე რომ უძლურია, ეს აიათში ასეა გაცხადებული:

„(ეშმაკმა თქვა: ვაცდუნებ ყველა ადამიანს), **მათ შორის მხოლოდ გულწრფელობას მიღწეული ადამიანებია გამორჩეული.“** (სურა ჰიჯრი, აიათი 40)

უდიდესი ღმერთი ბრძანებს:

„უეჭველია, რომ ჩემს (გულწრფელ) **მონა-მსახურებზე, შენ ვერ მბრძანებლობ** (და ვერ ახდენ ზემოქმედებას)! **შენ მხოლოდ შმაგები გემორჩილებიან.“** (სურა ჰიჯრი, აიათი 42)

უდიდესი ღმერთი, იმისათვის რომ ეშმაკმა არ შეგვაცდინოს, გვაფრთხილებს:

„...ფრთხილად,იმ ცბიერმა და მატყუარა ეშმაკმა ალლაჰის მიერ თქვენი ცოდვების შენდობაში არ დაგარწმუნოთ და არ შეგაცდინოთ.“ (სურა ლოყმანი, აიათი 33)

წმინდა მევლანა ეშმაკისეულ ხრიკებსა და მზაკვრობებს დამორჩილებულ ადამიანებს, ვნების ჩარჩოებში მოქცეულ, ღვთისმსახურებისათვის ზიანის მიმყენებელი პიროვნებების მდგომარეობას შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„შუაიბის დროს ერთი ადამიანი ამბობდა: „ალლაჰმა ჩემი ბევრი ნაკლი და ცოდვა დაინახა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემში ამდენი ცუდი და ბოროტი აღმოაჩინა, საკუთარი მოწყალებისა და კეთილშობილების წყალობით ჩემს ნაკლს ყურადღება არ მიაქცია.“

შუაიბმა, უდიდესი ღმერთის ზეშთაგონებით, ეს ადამიანი ასე გააფრთხილა:

„შენ ამბობ, მე ამდენი ცოდვა ჩავიდინე, ალლაჰმა კი დიდსულოვნების გამო პასუხისმგებლობა არ დამაკისრა და არ დამსაჯაო. ჭკუის უქონელო ადამიანო! ჭეშმარიტი გზის უარმყოფელო და უდაბნოში მოხეტიალე საბრალოვ! ალლაჰმა უკვე რამდენჯერ დაგსაჯა, ამაზე წარმოდგენაც არ გაქვს. იმის გამო, რომ თავიდან ფეხის ფრჩხილებამდე უგულისყურობაში ხარ ჩაფლული, გამჭრიახობა დაგეხშო. შენ გრძნობების, ვნებების ტყვე ხარ და ამას ვერც კი ამჩნევ.

გაშავებულ ქვაბს დამსგავსებულო ადამიანო! ფენაფენა ჭვარტლსა და ჟანგში ხარ ჩაფლული. ისინი შენს

შინაგან სამყაროს აბნელებს. შენი გული მრავალკეცი ჟანგითაა დაფარული და გამჭრიახობამოდუნებული ველარაფერს ხედავ. ღვთიურ საიდუმლოებებს უმეცრების ფარდა აქვს ჩამოფარებული, შენი გული კი დაბრმავებულია.

ყველაფერი უფრო ნათლად დასანახი და უფრო ადვილად შესამეცნებელია. კონტრასტის გამო ის შავი ჭვარტლი დახალასებულ ქვაბზე აშკარად გამოჩნდება. როცა კვამლი ჭურჭელს გააშავებს, მასზე არსებული შავი ლაქა, ჩვეულებრივ, დაიკარგება და მას ველარავინ დაინახავს! ამგვარადვე, მჭედელი შავკანიანი თუ იქნება, კვამლი მის სახეზე კვალს არ დატოვებს. მაგრამ თუკი მჭედლობას თეთრკანიანი ეწევა, კვამლის ზეგავლენით მისი სახე გაშავდება.

ასევე, წმინდა გულის მქონე მორწმუნე ცოდვას თუ ჩაიდენს, მის სიმძიმეს სწრაფად იწვნევს და „ღმერთო ჩემო“ ტირილსა და კვნესას დაიწყებს. მაგრამ ადამიანს, რომელიც მუდმივად სჩადის ცოდვას, გულის თვალი დაბნელებული აქვს და მას ველარ ხედავს, სინდისის ქენჯნას ველარ განიცდის. მონანიება საერთოდ აზრადაც არ მოუვა. ცოდვა მის გულს ისე ჩაესმის, როგორც სასიამოვნო მუსიკა. რწმენას კი ისე კარგავს, რომ ვერც კი ამჩნევს. მას ეთხოვება სინანულის გრძნობა და ის არ წრმოთქვამს – „ღმერთო ჩემო!“ გულის სარკე ჟანგით იბინდება და მის გაშავებულ, გაქვავებულ გრძნობის ორგანოს ჟანგი სჭამს.

როცა თეთრ ქაღალდზე რამეს დაწერ, ნაწერი მკაფიოდ გამოჩნდება. მაგრამ უკვე დაწერილ ქაღ-

ალდზე ხელახლა თუ დაწერ, ნაწერები ერთმანეთში აირევა და გაუგებარი გახდება; ამიტომ მის წაკითხვას ვეღარ შეძლებ, რადგან როცა მელნის სიშავე ერთმანეთს ედება, არც ერთი ნაწერის გარჩევა აღარ შეიძლება. ხოლო თუ იმ ქაღალდზე მესამედაც დაწერ რამეს, ის ურწმუნოს გულივით გაშავდება.

და თუ ასეა, ყველა გამოუვალი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი ალლაჰზე თავშეფარების გარდა რა შეიძლება იყოს? ამიტომ, მოწყალე ღმერთის ჭეშმარიტების თავშესაფარს შეეკედლეთ, რომ უკურნებელი დარდისგან, ესე იგი გულის გაშავებისა და დაჟანგებისგან თავი იხსნათ!“

შუაიბის ამ სიტყვების გამო, რომლებიც ღვთიური სიოს მატარებელი და გულების ამათრთოლებელია, ის ადამიანი გონს მოეგო და, ღმერთისადმი პატიების თხოვნის მიზნით, იკითხა:

„ჩემს მიერ შეუმეცნებელ ამ ცოდვებზე ღვთიური სასჯელის რა ნიშანია?“

ამის შესახებ უდიდესმა ღმერთმა შუაიბ შუამავლას შთააგონა:

„მე დანაშაულებსა და ცოდვებს ვფარავ; საიდუმლოს არ ვახმაურებ, მაგრამ მას რომ უბედურება უცილობლად დაატყდება თავს, ყველაზე აშკარა ნიშანი სწორედ ეს არის:

მართალია, ის მონა-მსახურების მოვალეობას ასრულებს, მარხულობს, ნამაზს ლოცულობს და სხვა სიკეთეებსაც სჩადის, მაგრამ არც ერთი მათგანი იოტიო-

სოდენა სულიერ სიამოვნებას არ ანიჭებს.

ღვთისმსახურება, შესრულების ფორმით, შესაფერისია, მონა-მსახურება – ლამაზი, მაგრამ სულიერება სუსტი; გული და სხეული გაწონასწორებული არ არის. კაკალი გარეგნულად ჯანსაღად გამოიყურება, მაგრამ შიგთავსი ცარიელია.

იმისათვის, რომ ღვთისმსახურებებმა ადამიანს სიამოვნება მიანიჭოს, აუცილებელია, გულმა სულიერება შეიძინოს. თესლი, რომ გაღვივდეს და აღმოცენდეს, საჭირო მას გული გააჩნდეს. ფშუტე მარცვლისაგან განა შესაძლებელია ნერგი ამოვიდეს? სულიერებისაგან დაცლილი სურათი ხომ ცარიელი ფორმისაგან შედგება?!“

შუაიბმა იმ დაუდევარ ადამიანს ამგვარი რჩევები მისცა და მის გულში, შუამავლისეული სულიერებისგან იმედის ყვავილები გაიშალა. მან ღმერთს შენდობა სთხოვა და თავისი ფიქრები მისკენ წარმართა...“

ყველაზე მოწყალე, უდიდესი ალლაჰი, თავის მონა-მსახურებს სიყვარულითა და მოთმინებით ექცევა. მათ გარკვეულ დრომდე შეცდომებისთვის არ სჯის, რაც მისგან დიდი მიმტევებლობის გამომჟღავნებაა:

„ალლაჰს ადამიანები ჩადენილი ცოდვების გამო (მაშინვე) **სრულად რომ დაესაჯა, დედამიწაზე ერთ ადამიანსაც კი არ დატოვებდა; მაგრამ ალლაჰი მათი დასჯისაგან, განსაზღვრულ დრომდე, თავს იკავებს. ხოლო როდესაც ეს დრო მოვა განაჩენს მკაცრად**

აღასრულებს და მათ დასჯის. რადგან ალლაჰი თავისი მონა-მსახურების მეთვალყურეა.“ (სურა ფათირ, აიათი 45)

ამგვარი სულიერი სნეულებით შეპყრობილი უბედური ადამიანები ვერ ამჩნევენ, რომ ცოდვას სჩადიან და ამასთან ერთად შეიძლება ჩათვალონ,რომ მათ მიერ ჩადენილი საქმე სასიკეთოა და საიქიოშიც სასიკეთო შედეგს მოუტანს. თუმცა უდიდესი ღმერთი ამგვარად მოქმედი ადამიანების ტრაგიკულ დასასრულს ასე გვამცნობს:

„უთხარი: გაუწყო ისინი, ვისი საქმეებიც ფულია? მათ ვინც,მიუხედავად იმისა საქმეებს კარგად თვლიან, მათი ამქვეყნიური მცდელობა ამაო აღმოჩნდება.“ (სურა ქეჰფი, აიათები 103-104)

ამ გადასახედიდან, მორწმუნეებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ღვთისმსახურების შესრულების გულწრფელობას და უნდა ეშინოდეთ, რომ ის ამაო არ იყოს და ჩადენილი, სულ მცირე შეცდომაც კი, უნდა გაიაზრონ,თავიანთ თვალში გაზარდონ. უგულისყუროები კი ამის საპირისპიროდ,ჩადენილ ცოდვებს,რაოდენ დიდიც არ უნდა იყოს ის, უმნიშვნელოდ თვლიან.

აბდულლაჰ იბნ მესუდი ასე ამბობს:

„მორწმუნე საკუთარ ცოდვებს ისე ხედავს,როგორც მთას, რომლის ძირში თავად ზის და ეშინია, ეს მთა თავზე არ დაემხოს. უგულისყუროს კი ცოდვა ცხვირზე მჯდარ კოღოს მსგავსად არაფრად მიაჩნია.“

იბნ მესუდმა ეს რომ თქვა, ხელი ცხვირზე კოღოსავით მიიტანა. (ბუჰარი, დეავითი, 4, მუსლიმი, თევბე, 3, 2744)

ერთხელ ალლაჰის შუამავალმა წმინდა აიშეს უთხრა:

„აიშე! მოერიდე ყველაზე პატარა ცოდვასაც კი, რომელსაც მნიშვნელობას არ ანიჭებ! რადგან ალლაჰს ჰყავს ანგელოზი, რომელიც ნებისმიერ წვრილმანს თვალყურს ადევნებს და იწერს.“ (იბნ მაჯე, ზუჰდი, 29, დარიმი, რიქაქი, 17)

თანამედროვეობაში მნიშვნელოვანი დაუდევრობა, რომელსაც ადამიანები ვერც კი ამჩნევენ, ალლაჰის მონა-მსახურების დარღვევა და არაფრად ჩაგდებაა. ამგვარი არსებობისა და ცხოვრების წესის შედეგი –ჭორაობაა. იმის დამდაბლება, ვისზეც ჭორიკანა ჭორაობს, ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს. ის ამაყდება და ვნება უფრო მეტად უძლიერდება. ეს კი სხვისი უფლებების დარღვევას იწვევს, რომლის გამოც სასჯელი განმკითხველისთვის განკითხვის დღეს იქნება გამოტანილი.

უდიდესი ღმერთი ადამიანის შეურაცხყოფის არანაირ ფორმას არ ცნობს და ამას დიდ, მძიმე ცოდვებს შორის მოიხსენიებს. ის ასე ბრძანებს:

„ვაი, მას ვისაც ჩვეულებად აქვს პირისპირ დაცინვა ან ზურგსუკან ავად ხსენება (ესე იგი ჭორაობა)**.“** (სურა ჰუმეზე, აიათი 1)

შემდეგი აიათები გვაფრთხილებენ, რომ მოვერიდოთ განკითხვას, რათა, ამ ავი თვისების გამო, ჯოჯოხეთის ცეცხლი არ დავიმსახუროთ.

გულებს ყველაზე მეტად უგულისყურობაში ჩავარდნა, ღვთისმსახურებისაგან და სულიერი საზრდოსაგან შორს ყოფნა, ამქვეყნიური სიკეთეებისადმი და ქონების მოპოვებისაკენ ლტოლვა ღუპავს. ამ გზით მავალი ადამიანების შესახებ, უდიდესი ღმერთი აიათებში ამბობს:

„როცა ღმერთი ადამიანს გამოცდის მიზნით პატივს მიაგებს და სიკეთეებს უწყალობებს, ის იტყვის: „ჩემმა ღმერთმა მე დამაფასა.“ მაგრამ, თუკი ისევ გამოსაცდელად, წილს შეუმცირებს,მაშინ დაიჩივლებს: ის იტყვის: „ჩემმა ღმერთმა მე შეურაცხმყო, უბედურად მაქცია.“ არა! თქვენ გსურთ,რომ ალლაჰი მუდმივად პატივს მოგაგებდეთ, მაგრამ თავად ობოლს არ აფასებთ და მას პატივს არ მიაგებთ! გაჭირვებულებს ხელს არ უწყობთ, რომ დანაყრდნენ, მემკვიდრეობას კი ისე სჭამთ, რომ არ არკვევთ ჰალალია თუ ჰარამი, რადგან ქონების სიყვარულს მთელი თქვენი არსება მოუცავს!“ (სურა ფეჯრი, აიათები 15-20)

ლოყმან ჰაქიმმა, შვილი დაუდევრობას რომ მორიდებოდა, ასე გააფრთხილა:

„შვილო! ეს ქვეყანა უფსკერო ზღვაა. მრავალი ბრძენი მეცნიერი და დიდებული ადამიანი დაუდევარი ქმედების გამო განადგურდა. დაე, ამ ზღვაში, შენი გემი ალლაჰის წყალობითა და შეწევნით ირწეოდეს. მისი მოსართავი კი ღვთისმოშიშობა და ღვთისმასხურება იყოს. ზღვაში სამოგზაუროდ გასული გემის იალქანი, ღვთისაგან მონაბერი ქარის მიხედვით ირხეოდეს. მხოლოდ ამგვარად შეიძლება ხსნის მოპოვება.“ (ბეიჰაქი, ქითაბუზ ზუჰდ, 73)

ალლაჰის შუამავალი ცოვებისგან დამძიმებული გულის ვითრებას ასე ასახავს:

„ადამიანი ცოდვას რომ სჩადის, გულში შავი წერტილი ჩნდება და თუკი ის ცოდვის ქმნას შეწყვეტს, მოინანიებს და ღმერთს შენდობას სთხოვს, გული გაუსუფთავდება. ამგვარად თუ არ მოიქცევა და ცოდვას კვლავ განაახლებს, შავი წერტილიც გაიზრდება და შედეგად მთელ გულს დაფარავს.“ (თირმიზი, თეფსირი, 83, იბნ-მაჯე ზუჰდი 29)

კვლავ წმინდა შუამავალი ბრძანებს:

„ისე, როგორც რკინა, გულიც ჟანგს იკიდებს.“

„ალლაჰის შუამავალო! და, რა აპრიალებს მას?“

„ალლაჰის წიგნის კითხვა და ალლაჰის ხსენება.“ (ალი ელ მუთთაქი, ქენზულ უმმალ. II. 241)

უდიდესი ღმერთი, როცა თავის იმ საყვარელ, ღვთისმოშიშ მონა-მსახურებზე საუბრობს, რომელთა მორჩილებით კმაყოფილია, ბრძანებს:

„ისინი (კეთილისმყოფელნი არიან), **როდესაც ცოდვას ჩაიდენენ ან თავიანთი სულისთვის შეუსაბამოდ მოიქცევიან, ალლაჰს გაიხსენებენ და მაშინვე ცოდვის მიტევებასა და შენდობას სთხოვენ. ალლაჰის გარდა ცოდვების მიტევება ვის შეუძლია? განსაკუთრებით მათთვის, ვინც შეგნებულად ცოდვას არ დაიჟინებენ!“** (სურა ალი-იმრანი, აიათი 135)

უგულისყურობაში რომ არ ჩავცვივდეთ, აუცილებელია, მუდმივად ვახსენოთ ღმერთი და ის არასდროს დავივიწყოთ, რადგან ცოდვის ჩადენის დროს, ადამიანი ღვთისაგან შორსაა და ის არ ახსოვს. შეგნებულად თუ შეუგნებლად ჩადენილი ცოდვები, დაუდევრობით დაშვებული შეცდომები, სულიერების ცენტრს-გულს დამღუპველ ჟანგს უჩენს. რის შედეგადაც გული ბრმავდება და ღვთისმსახურების შესრულება სიამოვნებას აღარ ანიჭებს. ამგვარად დაავადებული ადამიანი ძილს ვერ ერევა და განთიადის წმინდა ჟამს ზიანს აყენებს. ამ დაუდევრობის შედეგად შეცდომებს ის ვეღარ ამჩნევს, ამიტომ ღმერთს მიტევებას აღარ სთხოვს და აღარ ეხვეწება **„ღმერთო, ღმერთო!“**

სწორედ ამ მიზეზით, უდიდესმა ღმერთმა წმინდა შუამავალს და მისი სახით ყველა მორწმუნეს, ღმერთის მუდმივი ხსენებისაკენ მოუწოდა. ამგვარად, ღმერთს სურს, რომ ადამიანი ერთი წუთითაც კი არ ჩავარდეს დაუდევრობაში:

„დილა-საღამოს, შენთვის, გულში წარმოთქმით, შიშით და ხვეწნით, დაბალი ხმით, შენი ღმერთი ახსენე და უგულისყუროთაგანი ნუ იქნები!“ (სურა აარაფ, აიათი 205)

ადამიანმა, საკუთარი ცხოვრების გზაზე შეხვედრილ, სულიერ რყევებს იმთავითვე მონანიების წამლით უნდა უმკურნალოს და გულწრფელობით უნდა აღიჭურვოს. უდიდეს ღმერთს სურს, რომ ადამიანებმა მისი კმაყოფილების მოსაპოვებლად გულწრფელად შეასრულონ ღვთისმსახურება. ღვთისმსახურებისაგან

ჭეშმარიტი სულიერი სიამოვნების მიღება მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი. აიათში ნაბრძანებია:

„(ჩემო შუამავლო!) **უეჭველია, რომ წიგნი შენ დამსახურებულად მოგივლინეთ. რადგან ამ ვითარებაში შენ რწმენა ალლაჰისთვის ხალასი გახადე და გაუწიე გულწრფელი მონა-მსახურება.“** (სურა ზუმერი, აიათი 2)

აქედან გამომდინარე, იმისათვის რომ ღვთისმსახურება სასარგებლო იყოს, აუცილებელია, ის გულწრფელად, მორჩილად და უზენაესისმიერი სიყვარულის შეგრძნებით (ესე იგი სხეულმა და სულმა ჰარმონიულად) შევასრულოთ. გულწრფელობის გარეშე შესრულებული ღვთისმსახურებები სულიერებისაგან დაცლილ საგნებს, გულგამოღებულ ხილს და გამხმარ თესლს ჰგავს. ღვთისმსახურებისათვის სულიერი სიამოვნების გამომცლელი ყველაზე მთავარი მიზეზი – ჰარამი და საეჭვო ლუკმაა. და, ადამიანი, ამის გამო, რამდენადაც დამწუხრდება, მის გულში რწმენის სიხარული იმდენად გაიზრდება და ჩატარებული ღვთისმსახურებებისგან სიამოვნებას მიიღებს. საოცარია, ამასთან დაკავშირებული, ქვემოთ გადმოცემული ნოველა:

იბრაჰიმ ეთჰემი გადმოგვცემს:

ერთ დღეს, ბეით მაქდისის მეჩეთში, ჭილოფი გავშალე და დავწექი. შუადამისას მეჩეთის კარი გაიღო და ერთი ფირი (რელიგიური ორდერის დამაარსებელი) შემოვიდა. ორი მუხლი ნამაზის ლოცვის შემდეგ ზურგით მინბერისკენ მიტრიალდა და დაჯდა. იქ ორმოცი ადამიანი კიდევ მოვიდა. მათ შორის ერთმა თქვა:

„აქ ერთი კაცი წევს.“

ფირმა ღიმილით უთხრა:

„ის იბრაჰიმ ეთჰემია; რომელიც ორმოცი დღეა ნალოცი ნამაზის გემოს ვერ იგებს!“

მისი სიტყვები რომ გავიგონე, ვერ მოვითმინე და ფირთან მივედი. მივესალმე და ვკითხე:

„ღმერთის ხათრით მითხარი, რა არის ჩემი ამგვარი მდგომარეობის მიზეზი?“

მან ასე თქვა:

„ერთ დღეს ბასრაში ხურმა იყიდე, ისე რომ ვერ მიხვდი ძირს დაცვენილი ხურმები შენი გეგონა და საკუთარ აბგაში ჩაიწყვე. (თუმცა ისინი გამყიდველს ეკუთვნოდა.) ამის გამო სულიერებას ცოტა დაშორდი.“

მაშინვე წავედი და ხურმის გამყიდველს შენდობა ვთხოვე. ამ ამბავმა გამყიდველზეც ძალიან იმოქმედა და ის ქველმოქმედი ადამიანი გახდა. (ფერიდუდდინ ათთარი, თეზქირეთულ ევლია, 122-123)

ღვთისმსახურება სულის მკვებავი სულიერი საზრდოს მონიჭების გარდა, სხეულის მიერ მატერიალური საკვების მიღებით დაბადებული ძალით სრულდება. სხეულზე ჰალალი საკვებისგან მადლი და ზნეობრიობა ვრცელდება, ჰარამი და საეჭვო საკვებისგან კი – დარდი, ნაღველი და უგულისყურობა.

ადამიანმა უნდა მოინანიოს, ღმერთს მიტევება სთხოვოს და ის ახსენოს, განთიადისას მან განთიადი უნდა გააცოცხლოს, მაგრამ ამავე დროს, განთიადის ნაყოფიერება მთელი დღის მანძილზე უნდა გაჰყვეს

და სულიერი კაეშნისგან გული განიწმინდოს. უდიდესი ღმერთის სიმშვიდის გამოვლინებით სულიერი ენერგიით აღსავსე ნაყოფიერი ცხოვრება უნდა გააგრძელოს.

უდიდესო ღმერთო, წილად გვარგუნე გულწრფელობითა და ღვთისმოშიშობით აღჭურვილ, ღმერთის კმაყოფილების მოპოვების შემძლე მონა-მსახურებად, ღვთისმსახურებებისგან სიამოვნების მიმღებ ბედნიერ ადამიანებად ვიქცეთ! დაუდევრობა, დარდი, ნაღველი და ინერტულობა მოგვაშორე, ჩვენს გულს სიხალვათე და სიმშვიდე უწყალობე!

ამინ!

მესნევის მიხედვით

შური – გულში არსებულ მშვენიერებათა გამანადგურებელი

მესნევი: *„შურით შეპყრობილო! გონს მოეგე და შენც მოიპოვე სრულყოფილება, სიდიადე!.. ამის შემდეგ სხვების სრულყოფილებაზე აღარ იეჭვიანებ; საკუთარი თავს დარდისა და ნაღველის კლანჭებისაგან იხსნი!*

თვით ალლაჰს სთხოვე შურიანობისგან რომ გიხსნას, ამ მძიმე სნეულებისა და ხასიათისაგან რომ გაგათავისუფლოს!

შენი შინაგანი ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანე, გული ამაღლებულ ფიქრით შეივსე, რათა, ამის შემდეგ, შენს ირგვლივ მყოფ ადამიანებთან დაპირისპირებისგან და სხვისი ნაკლის დანახვისაგან გიხსნას!“ (ტ. 4, 2680-2682)

ღვთის მიერ ამქვეყნად მოვლენილი ადამიანი,მის არსებაში ჩადებული ბოროტებისა და ღვთისმოშიშობის

საწყისებთან ერთად საკუთარ თავთან მარტო იქნა დატოვებული. ესე იგი, ადამიანის შინაგანი სამყარო სიკეთესა და ბოროტებას შორის გამართული ბრძოლის ველია. ჩვენს შინაგან სამყაროში გამართულ ბრძოლის ველზე, უარყოფით საფუძვლებს შორს, ყველაზე ძნელად გასანადგურებელი და ყველზე ცუდი-შურია. რთულია, მისი ძირფესვიანად ამოგდება, რაკი ის ერთხელ გაიდგამს ფესვებს ადამიანში, მას მუდმივი მოუსვენრობით დააჯილდოვებს. რწმენის მიზანია ადამიანს სააქაო და საიქიო ცხოვრება შეუმსუბუქოს და სიმშვიდე მოუპოვოს. სიმშვიდის ყველაზე დიდი მტერი კი **„ეჭვიანობა“** და მისი შედეგი **„შურია“.**

ადამიანში არსებული შურის გრძნობას სიხარბე სარგებლის მითვისება და სხვისი კეთილი ცხოვრებით გაღიზიანება იწვევს. ამგვარი ავადმყოფობით შეპყრობილი ადამიანი სულიერი კატასტროფებისგან ყველაზე ტრაგიკულში ჩაიძირება. გულწრფელობას მოკლებულ ადამიანს თავისი უგულწრფელობა რომ სცოდნოდა, შეიძლება გადარჩენილიყო. მაგრამ ის საკუთარი შინაგანი სამყაროსგან თავგზააბნეულია. მისთვის ხაფანგის მომწყობი ნამდვილი მტერი თავისთავში არსებული ვნებაა.

შურს მრავალგვარი უარყოფითი გამოვლინება ახსიათებს. ის ინდივიდის ბუნებაში არსებულ სრულყოფილ საფუძვლებს პარალიზებას უკეთებს და ლოგიკასაც ასუსტებს. გადმოცემის მიხედვით, როცა წმინდა მუსა სინას მთაზე მიდიოდა, იქ, ზურგზე შეშამოკიდებული მოხუცი შეხვდა, რომელიც სარჩოს ამ გზით შოულობდა. კაცმა მუსას სთხოვა:

„ჩემს ერთ მეზობელს ვირი ჰყავს. შეშას იმით ეზიდება. მე კი ამ მოხუცებულობაში ზურგით ვეზიდები. რა იქნება ღმერთს ჩემს გამო შეევედრო, რათა ერთი ვირი მეც მიწყალობოს და ამ ტანჯული ცხოვრებისგან მიხსნას.“ წმინდა მუსამ იგრძნო, რომ როდესაც კაცმა თქვა – „მეზობელს ვირი ჰყავსო“ – მის მიმართ შურისა და ეჭვიანობის გრძნობით იყო შეპყრობილი. ამიტომ სინას მთიდან დაბრუნებულმა კაცს თხოვნაზე ასე უპასუხა:

„უდიდესი ღმერთი შენ ვირს გიწყალობებს. მაგრამ ერთ ვირს იმ მეზობელსაც მისცემს!..“

ამ სიტყვების გაგონებაზე მოხუცმა დაიყვირა:

„არა, არ მინდა! არც მე მომცეს და არც მას...“

ამ ნოველის შინაარსის მსგავსი სხვა ბევრი მაგალითი მოყვანა შეიძლება, რომლებიც აჩვენებს, თუ შური სიმშვიდის რაოდენ დამარღვეველი და უარყოფითი თვისებაა.

შურის თავშეფარებისა და აღმოცენების ნიადაგი **„ეგოიზმი და თავმოწონებაა“,** მაშინ როდესაც რწმენის მთავარი მიზანი ადამიანის ეგოიზმისაგან განწმენდა და ალტრუიზმის შეძენაა. ამის უზრუნველსაყოფად კი ყურადღება უნდა მივაქციოთ და მთელი მონდომებით შევასრულოთ, ღვთისმსახურებები, რომლებიც რწმენის სრულყოფისა და ამაღლებისთვისაა საჭირო. როგორც ცნობილია, რწმენის პირველი ნაყოფი, ადამიანში არსებული გულისხმიერება და ღმერთისმიერი ქმნილებებისადმი სიყვარულია. ისევე როგორც ადამიანი საყვარელს მისი სიყვარულის შესაბამისად უმასპინძლდება

და მასთან მიღწევითაც კი სიამოვნებას იღებს. ეს სიამოვნება რამდენადაც მაღალია, ადამიანში არსებული თანდაყოლილი სიკეთეები იმდენად სუსტდება და ქრება.

ადამიანში არსებული სიყვარულისა და გულისხმიერების მიზეზი რწმენის სრულყოფილებაა. სრულყოფილი რწმენის მქონენი ნელ-ნელა ისეთ გულისხმიერებას აღწევენ, რომ მათი ეს გრძნობა ყველა სხვა არსებას მოიცავს. ამგვარ ადამიანში სიძულვილის, შურისა და ეჭვიანობის მსგავსი თვისებები ნელ-ნელა გაქრობას იწყებს. ეს იმას ნიშნავს, რომ სწორედ შური გვიჩვენებს მორწმუნე, საჭიროების შესაბამისად, არის თუ არა ამაღლებული.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, **„შური“** არის საკუთარი მდგომარეობითა და ყოფით დაუკმაყოფილებლობა. ცნობილია, რომ პირველი დანაშული ადამიანმა სწორედ შურის გამო ჩაიდინა.

ასე რომ, სხვების ბედნიერებითა და მიღწევებით ისე უნდა ვისიამოვნოთ, როგორც საკუთარი ბედნიერებითა და მიღწევებით. აგრეთვე, ყურადღება უნდა მივაქციოთ ვართ თუ არა მათით კმაყოფილი და საკუთარი თავი შეუმცდარად უნდა ავწონოთ. რწმენის პრინციპების მხოლოდ ენით აღიარება საკმარისი არ არის. საჭიროა, ვეცადოთ, რომ რწმენამ ჩვენს გულში ღრმად გაიდგას ფესვები და ამ ჩვენმა მცდელობამ რა დონეს მიაღწია იმის მიხედვით გავიგებთ, თუ რამდენად გავთავისუფლდით შურისაგან.

ცუდი ზნეობისთვის ყველაზე ეფექტური, სიხარბისა და შურისგან გათავისუფლების ერთადერთი სა-

შუალება მცირედით კმაყოფილება და ამ თვისებით გამოწვეული სიმშვიდეა. რადგან სამყაროსთვის ღმერთის მიერ ნაწყალობევი ხაზინები არ აღირიცხება. ალლაჰის შუამავალი ბრძანებს:

„მცირედით კმაყოფილება ულევი ხაზინაა.“ (დეილემი, მუსნედი, III, 236 ჰადისი № 4699)

აქედან გამომდინარე, სიმდიდრის ნამდვილი საზომი მცირედით კმაყოფილებაა!

მესნევი: *„ღმერთის გზაზე სიარულისას შური აღიძვრება და მოგეწებება. იცოდე, რომ შურს თან ეშმაკის სიშმაგე ახლავს.“* (ტ. 1, 783)

„ეშმაკს, წმინდა ადამისთვის სეჯდის შესრულება შურის გამო შერცხვა. ამავე მიზეზით საკუთარ თავს ბედნიერება მოაკლო.

ღმერთის გზაზე შურზე უფრო რთული და საშიში გადასალახავი დაბრკოლება არ არსებობს. რა ბედნიერია ადამიანი, რომლის გულშიც შური არ არის!

კარგად იცოდე, რომ სხეული შურის თავშესაფარია, მისი სახლია. ამ სახლის ბინადარნი (ე.ი. ადამიანის სხეულის კუთვნილი ყველა გრძნობა): შემეცნება, სმენა, მხედველობა და ბედისწერით განსაზღვრული გრძნობები, შურის წყალობით ჭუჭყიანდება.

სხეული შურის სახლია, მაგრამ ალლაჰმა სრულყოფილი ადამიანებს სხეულები გაასუფთავა და გაწმინდა მისგან.

– „ჩემი სახლი გაასუფთავეთ!“ *(სურა ბაყარა, აიათი 125) აიათიც სულისა და სხეულის განწმენდისაკენ მოგვიწოდებს. სხეული მიწისგან შეიქმნა, მაგრამ სინამდვილეში ის შუქის ხაზინაა.*

თუ იმ ადამიანის შეგვშურდება, რომელიც შურის გრძნობას არ იცნობს და მას ვუმუხთლებთ, ამის გამო, ჩვენივე გული გაშავდება, დალაქავდება.“ (ტ. 1, 430-435)

წმინდა მევლანა, ზემოთ მოცემულ ბეითში, ნათქვამი ფრაზით. „ღმერთის გზაზე სიარული“, მიანიშნებს, რომ შური მორწმუნეშიც შეიძლება იყოს. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ თქმით – „ვირწმუნე“ შურს ვერ გაანადგურებ.

შური პირველად ეშმაკში ჩაისახა. როგორც ცნობილია, ეშმაკს წმინდა ადამისთვის სეჯდესანუ ღმერთის ბრძანების შესრულებაში ხელი **„ეგოიზმმა“** შეუშალა, და ის პირველ მეამბოხედ იქცა. მან ცეცხლისგან შექმნილი საკუთარი თავი მიწისგან შექმნილ ადამზე მაღლა წარმოიდგინა და ამ მიზეზით, უდიდეს ღმერთს აუჯანყდა. იმის გამო, რომ ეშმაკი ჯინების მოდგმისაა მას ადამიანების მსგავსად **„ეგოიზმი“** გააჩნია. ეს ნიშნავს, რომ ყველა ადამიანში ერთი ეშმაკისეული ნიშანი დევს. ამის ყველაზე ცხადი გამოვლინება – ეჭვიანობა და შურია.

სხეული სახლს ჰგავს. ამ სახლის დასუფთავება კი მხოლოდ შურისგან განთავისუფლებითაა შესაძლებელი. შურის თავშესაფრად ქცეული სახლი,იმ ადგილს ჰგავს,სადაც მომწამვლელი გაზია გაშვებული. იქ ჭიანჭველისოდენა არსებაც კი ამ დამღუპველი ჰაერისაგან სუნთქავს. ეს ნიშნავს, რომ შურის მატარებელი ადამი-

ანი ნებისმიერ ლამაზ ქმედებას ამ ბოროტი თვისებით წამლავს და მათ სრულყოფილების უნარს ართმევს. ამიტომაც, ადამიანური განწმენდის პირობა – შურისგან გათავისუფლებაა. ეს კი მხოლოდ ალტრუიზმის გრძნობითაა შესაძლებელი. ალტრუიზმის ნიადაგი და საშუალება კი – სიყვარულია. რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ყველა იმ არსების სიყვარულის მოპოვება და მასთან მიღწევა დიდ სიამოვნებას გვანიჭებს. ასე რომ კეთილი საქმის დასაწყისი სიყვარულია. ჭეშმარიტი სიყვარულის მოპოვება კი რწმენის გათავისებითა და სულის სიფაქიზითაა შესაძლებელი. ხოლო, როცა სული სიფაქიზეს მიაღწევს ის შურისაგან თავისუფლდება, მაშინ რწმენის სიამოვნება ყველა სიამოვნებაზე მაღლა დგას. შურისაგან გათავისუფლებულ გულში კი აქამდე არსებული შეხედულება ქონებაზე იცვლება. ასე რომ, მაშინ როცა შარიათში:

– „შენი ქონება – შენი, ჩემი კი ჩემია.“

თარიქათში:

– „შენი ქონება – შენია, ჩემიც – შენია.“

საბოლოოდ კი მივდივართ დასკვნამდე, რომ: „არც შენია – შენი და არც ჩემი – ჩემი, ყველაფერი ალლაჰისაა!“

მესნევი: *„მაშინ, როცა წმინდა მუსა ფარაონის სასახლეში მშვიდად ცხოვრობდა, ფარაონი უდანაშაულო ბავშვებს ხოცავდა.*

გრძნობებს აყოლილი და დამორჩილებული ფარა-

ონი სხეულის დამანგრეველ, ყველაზე დიდ მტერს ვნებას აძლიერებდა და თან ამბობდა: „გარეშე მტერი მყავს, რომელსაც ჩემი შურსო“! ის ეჭვიან პიროვნებას განასახიერებდა.

„თუმცა მისი ნამდვილი მოშურნე და ნამდვილი მტერი, მის მიერ ბოროტებით გამოკვებული სხეული, ესე იგი ვნება იყო.

ის ეგოისტი, ვნებიანი პიროვნება – ფარაონს, სხეული კი მუსას ჰგავს. ფარაონი ამბობს – „სად არის მტერი?“ და მის საპოვნელად აქეთ-იქით დაეხეტება, მტერს გარეთ ეძებს.

ადამიანში გრძნობების სახით გაბატონებული ვნება მისი სხვადასხვა სიკთეებით იკვებება. ის საკუთარი თავის გარდა ყველას მიმართ სიძულვილს განიცდის და კბენს მათ.“ (ტ. 2, 771-775)

როგორც ზემოთ მოცემულ ბეითშია გამოხატული, ადამიანი, რომელიც ვერ შეიმეცნებს, რომ მისი ნამდვილი მტერი საკუთარ თავში არსებული ვნებაა, ფარაონის მსგავსად მტრების ძებნას გარეთ დაიწყებს. თუმცა, ამ სახის მტერი რომც არსებობდეს, ის ადამიანს იმდენ უბედურებას ვერასდროს მიაყენებს, რამდენსაც საკუთარი გაშმაგებული ვნება. მევლანა ამ ჭეშმარიტებას შემდეგნაირად აკონკრეტებს:

„ჭეშმარიტების მგზავრო! სიმართლის გაგება გინდა?! არც მუსა და არც ფარაონი არ მომკვდარან. დღეს ისინი შენში ცხოვრობენ. შენს არსებაში დამალულან, შენს გულში განაგრძობენ ბრძოლას. ამიტომაც ერთმანეთის წინააღმდეგ აღმდგარი ეს ორი პიროვნება საკუთარ თავში უნდა მოძებნო!“

ამ საკითხთან დაკავშირებით წმინდა ედებალიმ ოსმან გზის შემდეგი რჩევა მისცა:

„შვილო! ყველაზე დიდი გამარჯვება საკუთარი თავის ცნობაა. საკუთარი თავის ყველაზე დიდი მტერი – ადამიანი, ანუ მასში არსებული ვნებაა. მეგობარი კი შენი სულის შემსწავლელი, მისი აღმზრდელი და იმ უარყოფითი თვისებების მცნობი და გამანადგურებელია, რომლებითაც შენი სულია შეპყრობილი.“

ძალიან რთულია ადამიანს გააჩნდეს იმ დონის შემეცნება,რომელიც მას საკუთარ თავში არსებულ მტერს – ვნებას შეაცნობინებს. შმაგი ვნება იმდენად ითვლება ადამიანის მეგობრად, რამდენადაც მას დაიმორჩილებს. გარეშე მტრის შესწავლა და მის საწინააღმდეგოდ ზომების მიღება უფრო იოლია, ვიდრე ჩვენს სხეულში აბობოქრებულ ვნებებთან ჭიდილი, რადგან ის ჩვენს მეში დევს და მისი უარყოფითობაც კი ჩვენთვის ძალიან ახლობელია. ამიტომაც, მას შემწყნარებლურად ვუყურებთ. ეს შეიძლება შევადაროთ შემდეგ მაგალითს: ადამიანი მეზობლის ბავშვში დანახულ ცუდ თვისებას საკუთარ შვილში თუ დაინახავს, მას უფრო იოლად შეეგუება, იმიტომ რომ შვილთან სიახლოვეს გრძნობს. საკუთარი ვნებაც სხვების ვნებასთან შედარებით, უფრო უსუსური და უბოროტო გვგონია.

ვნებასთან ბრძოლას ის საკითხი ართულებს,რომ ის ჩვენი მეს ერთი ნაწილია, ამის გამო მისი გათავისება ბუნებრივი თვისებაა. საკუთარი ბუნების საწინააღმდეგოდ სიარული კი ყველაზე რთული ქმედებაა. მაშინ,

როცა გარეშე მტრის წინააღმდეგ ზომების მიღება და მისგან თავის დაცვა იოლია, ვნების წინააღმდეგ ამის გაკეთება თითქმის შეუძლებელია. ჩვენს არსებაში არსებული დადებითი და უარყოფითი თვისებების ხასიათიდან გამომდინარე, ის ყველაზე შმაგი მტერია, რომელთან ბრძოლა და რომლისგან თავდაცვაც შესაძლებელია. ამ მტრის დამარცხება მხოლოდ შურის გრძნობის განადგურებითაა მოსახერხებელი.

„ვინც მორწმუნეთა დარდს არ გაიზიარებს, ის მათთაგანი არ არის.“ (ჰაქიმი, მუსთედრიქი, IV, 352; ჰეისემი, მეჯმაუზ ზევაიდ, 1, 87)

როდესაც სირრი საქათი მოსწავლეებს ამ ჰადისს განუმარტავდა, მას ერთმა აღელვებულმა მოსწავლემ მოახსენა:

„მასწავლებელო! თქვენი უბანი დაიწვა, ნაცარტუტად იქცა. მხოლოდ თქვენი სახლი გადარჩა.“

სირრი საქათმა სიხარულით ამოისუნთქა:

– „ღმერთს მადლობა!“ – თქვა მან.

ოცდაათი წლის შემდეგ ის მეგობარს გამოუტყდა:

„მე იმ დროს, სიტყვების: „ღმერთს მადლობა“, წარმოთქმით წუთიერად, მაგრამ მაინც საკუთარ თავზე ვიფიქრე და უბედურებადამტყდარი ადამიანებისაგან შორს დავდექი. ამას ოცდაათი წელია ვნანობ!...“

ეს მაგალითი აჩვენებს,რომ წმინდანობამდე ამაღლებულ ადამიანებშიც კი ეგოისტური გრძნობები სახლობენ და სულ მცირე ხელსაყრელი შემთხვევის გამო-

ჩენისთანავე თავს წამოყოფენ. ეს მაგალითი კარგად წარმოგვიდგენს სულში არსებული ყველაზე უარყოფითი თვისების – შურის განადგურების სირთულეს.

მესნევი: *„ეშმაკიც დამცირებას მოერიდა, მაშინ როცა ჩათვალა, რომ წმინდა ადამისთვის სეჯდეს შესრულებით და მისი მაღლა დაყენებით საკუთარ თავს დაიმდაბლებდა. ამიტომ ათასგვარ ბოროტებაში ჩავარდა.*

მას შეშურდა, რომ მიწისგან შექმნილი ადამი დედამიწაზე ღმერთის კანონების გამტარებელი იყო. ამ მიზეზით, მას სეჯდე აღარ შეუსრულა და საკუთარი თავის ამაღლება მოინდომა. მაგრამ სიმაღლე სადღა შერჩა? თვალთაგან სისხლნარევი ცრემლები დაათხია.

აბუ ჯეჰილს კი ობოლი და ღარიბი მუჰამმედის მიერ, ალლაჰის ჭეშმარიტი შუამავლობისა შეშურდა. შურის გამო მან საკუთარი თავის წმინდა შუამავალზე მაღლა დაყენება განიზრახა.“ (ტ. 2, 806-808)

შური და ამის შედეგად ნაკლის ძიება მასში, ვისიც შეგშურდება და საკუთარი არსების მასზე მაღლა დაყენება – ეჭვის შედეგია. თუმცა, სინადვილეში, ვერც მსგავსი ფიქრი და საქციელი აამაღლებს ადამიანს სხვებზე მაღლა და ვერც ალლაჰის საფეხურებზე დააწინაურებს, პირიქით მისი დაქვეითების მიზეზი ხდება. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, ეშმაკის მიერ წმინდა ადამისთვის სეჯდეს შესრულებაზე უარის თქმაა.

კიდევ ერთი ჭეშმარიტება ის არის, რომ უდიდეს ალლაჰს ყველა არსებისთვის სიკეთე თანაბრად არ უწყალობებია. საზოგადოების უკონფლიქტო არსებობისათვის ამ მიმართულებით არსებული განსხვავება აუცილებელია. ღვთიური სიკეთეებისაგან მცირე ან დიდი წილის მიღებაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი – ადამიანისთვის ნაწყალობევი ღირსებისათვის დაკისრებული პასუხისმგებლობაა. ამ გადასახედიდან, ყველა არსებას თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრება: ბევრი სიკეთისთვის მეტი პასუხისმგებლობა, მცირე სიკეთისთვის – ნაკლები. ამის მიხედვით განსჯაც უფრო იოლია. აიათში ნაბრძანებია:

„საბოლოოდ, იმ დღეს, ჩვენს მიერ ბოძებული სიკეთეებისგან, რა თქმა უნდა, განისჯებით!“ (სურა თექასური, აიათი 8)

ღვთიური სიკეთეების ამგვარ დაყოფას შური ეწინააღმდეგება და ესეც ალლაჰის წინაშე ყველაზე დიდი კადნიერებაა. კადნიერების გარდა ეს არის ღვთიური სიკეთეების თანაბრად გაუნაწილებლობის სიბრძნის შეუმეცნებლობა. მაგალითისთვის, ყველა ადამიანს ჭკუა თანაბრად რომ ბოძებოდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში რიგით და ჩვეულებრივ საქმეებზე, მაგალითად ქუჩის მენაგვეობაზე, თანახმა არავინ იქნებოდა. ყველა არსებაზე ამგვარი ლოგიკით თუ ვიფიქრებთ, მივხვდებით რომ სიკეთეების განსხვავებულად ბოძება საზოგადოებრივი ცხოვრების შესაძლებლობის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ამ ღვთიური დაყოფის მიზეზი ყურანში ასეა გაცხადებული:

„...ერთმანეთის საქმეების გასაკეთებლად ადამიანები სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე დავაყენეთ!..“
(სურა ზუჰრუფი, აიათი 32)

აქედან გამომდინარე, შური, ალლაჰის სიბრძნის შეუმეცნებლობა და ჩვენზე დაკისრებული მოვალეობის კადნიერი უარყოფაა. ეს კი ყველაზე საპატიო არსებისთვის, ადამიანისთვის, შეუფერებელი თვისებაა. ამგვარად, ასეთი გრძნობა და საქციელი, ესე იგი შური და ეჭვიანობა, ალლაჰის საფეხურებზე ურწმუნოების შემდეგ, ადამიანის ყველაზე დამამდაბლებელი უარყოფითი ქცევაა.

მესნევი: *„იუსუფები, საძაგელ შურიანებს და ეჭვიანებს ემალებიან. ლამაზებიც, მტრის ბოროტების გამო ჩვეულებრივ ცეცხლში ცხოვრობენ.*

იუსუფები ძმების მზაკვრობის გამო ჭაში ხვდებიან. რადგან, საკუთარმა ძმებმა შურის ნიადგაზე იუსუფი მგლებს მიუგდეს.“ (ტ. 2, 1405-1406)

(...)

„ძალიან გულჩვილმა იაყუბმა, ამ მგლის მსგავსი შურის გამო, იუსუფისთვის იცახცახა.

მართალია, ნამდვილი, ანუ თვალით დასანახი მგელი იუსუფის გარშემო არ დაძრწოდა, მაგრამ შურით ნაკარნახევმა ძმების საქციელმა, ჩადენილი ბოროტებითა და უსინდისობით ავ მგლებს გადააჭარბა.

ამ მტაცებლის მსგავსმა შურმა იუსუფი დაგლიჯა. ძმებმა კი თქვეს: „ის ჩვენი ტანსაცმლის გვერდით დავტოვეთ და წავედით, ალბათ ის მგელმა მოიტაცა.“ ძმის ამგვარი უბედური დასასრულის გამო, მამისგან ტკბილი სიტყვებით მიტევებაც კი ითხოვეს.

ამგვარი მზაკვრობის გამო ის მგლიდან გამოირჩევა. (გამგელებული შური) საბოლოოდ შერცხვება.“ (ტ. 2, 1408-1411)

ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც შეიძლება დავინახოთ ყურანში მოცემულ წმინდა იუსუფის ნოველაში, არის ის, რომ მოშურნე ადამიანი, საბოლოოდ სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

მართლაცდა, ამ ნოველის მიხედვით, ძმები საბოლოოდ იძულებული გახდნენ ეღიარებინათ საკუთარი დანაშაული.

მათ, თავიანთი გაუტანლობის გამო, მრავალგანსაცდელგამოვლილ ძმას მიმართეს და **„უთხრეს: ალლაჰს ვფიცავ, სინამდვილეში ალლაჰმა შენ ჩვენზე მაღლა დაგაყენა. ჩვენ მართლაც შეცდომა დავუშვით.“** (სურა იუსუფი, აიათი 91)

ეს ნიშნავს, რომ მოშურნე, საშურველ ადამიანს ზიანს ვერ აყენებს, მაგრამ საკუთარ თავს ამდაბლებს და შემდეგ იძულებული ხდება ინანოს.

ამ ნოველაში, კიდევ ერთი, ყურადღებამისაქცევი საკითხი შურის მკურნალობის ფორმაა. წმინდა იუსუფმა შურისგან სულიერად განადგურებული, მასთან თხოვნით მისული ძმები შეიბრალა, შიმშილობის დროს რთულ მდგომარეობაში ჩავარდნილები შეიწყალა და

გაუმასპინძლდა; რის შედეგადაც ძმებს თავიანთი შურის შერცხვათ და თქვეს:

– „შენ იუსუფი ხარ!“

იუსუფმა მათი მორცხვობა გააქარწყლა და ამ საქციელით ისინი მეტად შებოჭა.

„(იუსუსფმა) მათ უთხრა: „დღეს თქვენ არ გძრახავთ, დაე, ალლაჰმა მოგიტევოთ! ის მოწყალეთაგან ყველაზე მოწყალეა.“ (სურა იუსუფი, აიათი 92)

ამგვარად, მან, მათ გულში არსებული შურის ავადმყოფობა მთლიანად მოსპო.

მესნევი: *„სამყაროში საკუთარ მიზანს მიღწეული და საზრიანთა სიკაშკაშის მოშურნე ადამიანი შეიბრალე, თანაგრძნობით მოექეცი მას და მიუტევე!*

განა ასეთი ადამიანი საკუთარი თვალებით მზის ბრწყინვალებას აღუდგება? ნუთუ მას შეუძლია ყოველი დღის სიახლე დააუძლუროს და გაახუნოს!

თუ ის მისი უსაზღვრო შუქის დაჩრდილვას, ან იმ მაღალი ადგილიდან ჩამოგდებას შეძლებს, რომელიც მან სამართლიანად დაიმკვიდრა?

სულიერად ამაღლებული ადამიანების მიმართ – შური და მათი დამდაბლების სურვილი, საკუთარი თავისთვის მარადიული სიკვდილი არ იქნება? ამის გამოა ნათქვამი: „ყველა მოშურნის შური, მის მიერვე ნამოქმედარ სიკეთეს – ღვთისმსახურებას წვავს.“ (ტ. 5, 11-14)

ადამიანის ცხოვრების დამდაბლებისა და ამაღლების ყველაზე ეფექტური საშუალება, სიძულვილისა და სიყვარულის მიზანში ამოღებაა. ალლაჰის ნებისმიერი მეგობრის სიყვარული, ადამიანს აამაღლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში (ე.ი. ამგვარი ადამიანისადმი სიძულვილი და მისდამი შურის გრძნობა), მას დაამდაბლებს და მის ცხოვრებას მრუდე გზით წარმართავს. ამგვარი შური, რიგითი ადამიანისადმი განცდილ შურზე მეტ ზარალს წარმოშობს. რადგან ალლაჰის საყვარელი არსებისადმი ნაგრძნობი შური, ღმერთის უფრო დიდ მრისხანებას იწვევს. ამ თემასთან დაკავშირებით, წმინდა მევლანა ბრძანებს:

„იმის გამო, რომ ალლაჰის ერთგულ ან მოსიყვარულე ადამიანების შურთ და მათზე ეჭვიანობენ ეშმაკები, ზეციდან მათკენ თავდაყირა ეშვებიან (გახარებული)!“

შური, ისე როგორც სხვა ცოდვები, იმის მიხედვით უნდა შევაფასოთ, თუ ვის მიემართება ის. ამ შეფასებისას, საგულისხმოა, შევიბრალოთ ისინი, რომლებიც სათაკილო შურის კლანჭებში მოქცეულნი არიან. იმიტომ, რომ როცა ის, საკუთარი ხელით იმდაბლებს თავს, ამას ვერც კი ამჩნევს. თუმცა საჭიროა ცოდვილს სიბრალულის გრძნობით შევახსენოთ, რომ „საკუთარი თავი ცოდვისგან ვერ დაიცვა“, ეს ისეთი სრულყოფილი თანაგრძნობით უნდა გავაკეთოთ, რომ მას შეურაცხყოფა არ მივაყენოთ და არ გავაღიზიანოთ, ეს ყველას არ ხელეწიფება.

შური

გულში არსებული მშვენიერების გამანადგურებელი

შური, ღვთიური განაწილების შედეგად, სხვისთვის ნაწყალობევი სიკეთის გაპროტესტებაა. გულში სიკეთის პატრონისადმი ნაგრძნობი სიავე შურისა და ავადმყოფობის დასაწყისი და იმის ნიშანია, რომ ის კვლავ განვითარდება. ამავე დროს ბედისწერის წინააღმდეგ ამბოხებაა.

შური

გულში არსებული მშვენიერების გამანადგურებელი

უდიდესმა ღმერთმა ადამიანი ყველაზე ლამაზ არსებად შექმნა, მონა-მსახურების პასუხისმგებლობა დააკისრა და ამ მონა-მსახურების აღსრულებისთვის საჭირო თვისებებიც უწყალობა. მაგრამ, იმის გამო, რომ ეს ქვეყანა გამოსაცდელი ადგილია, ადამიანს ამ თვისებებთან ერთად მონა-მსახურების მოვალეობის აღსრულებაში ხელის შემშლელი ვნებებიც ებოძა. იმისათვის, რომ ეს წუთისოფელი, ე.ი. გამოსაცდელი ადგილი, წარმატებით განვლოს, ადამიანი ვალდებულია ვნება ისევე უმოქმედოდ აქციოს, როგორც ყინულში ჩამარხული გველი, რათა ამ გზით გამარჯვება ღვთაებრივ თვისებებს დარჩეს.

ადამიანმა, ამქვეყნიური გამოცდის დროს, უნდა გაანადგუროს შური როგორც ავადმყოფობა, რომელიც გულში არსებულ ყველა სილამაზეს ხელყოფს.

შური, ღვთიური განაწილების შედეგად, სხვისთვის ნაწყალობევი სიკეთის გაპროტესტებაა. გულში სიკეთის პატრონისადმი ნაგრძნობი ეჭვიანობა, შურის ავადმყოფობის დასაწყისი და იმის ნიშანია, რომ ის კვლავ განვითარდება. ამავე დროს, საკუთარი ბედისწერის მიმართ ამბოხებაა.

შურს შენობას თუ შევადარებთ, ის ზნეობაზე და განხეთქილებაზე აგებულ ნაგებობად უნდა მივიჩნიოთ, რომლის საფუძველში – ეგოიზმი, პირველობისაკენ მისწრაფება, ანგარება, სიხარბე, თავის გამოჩენის სურვილი, სიამაყე, თავმოწონება და მსგავსი ამორალური

თვისებები დევს.

იმის გამო, რომ შურის ფესვები ადამიანის შინაგანი სამყაროს სიღრმეშია გადგმული, ვნების ტყვედ ქცეული ზოგიერთი ადამიანი, მიუხედავად იმისა, რომ ეგოიზმში ყელამდეა ჩაფლული, თვლის რომ შურიანი არ არის. მას წარმოდგენაც კი არა აქვს, რომ უფსკრულის მორევშია ჩათრეული.

ადამიანში შურის არსებობის დამადასტურებელი პირველი ნიშანი – შურის ობიექტში სიკეთის გაქრობის სურვილია. სიკეთის გაქრობის შემთხვევაში კი, მოშურნეს გულში სიმშვიდისა და სიხარულის გრძნობა და სადღესასწაულო განწყობა იჩენს თავს.

მოშურნეს, საშურველი ადამიანისადმი, სიძულვილის, ვერაგობის, შურისძიების, თაღლითობის, ძრახვისა და მისი გაბაიბურების მსგავსი მდაბალი გრძნობები ამოძრავებს. ის, ისედაც წარმავალ სიცოცხლეს, ოცნებებითა და ილუზიებით აზიანებს. გარშემო საწამლავს თესავს.

წმინდა მევლანა, ადამიანის შინაგან სამყაროში ჩაბუდებული, ამ საზიზღარი და გამანადგურებელი თვისების გადმოსაცემად, შემდეგ ნოველას მოგვითხრობს:

ერთმა ხელმწიფემ ორი მონა იყიდა და მათი სულიერი მდგომარეობის გასაგებად, ესაუბრა. ხელმწიფის შეკითხვებზე მონა ისეთ პასუხებს სცემდა, რომელთა მსგავსი პასუხების გაცემა სხვებს მხოლოდ დიდი ხნის ფიქრის შემდეგ შეეძლოთ. ამიტომ მეფე ამ მოსამსახურის საზრიანობით, ჭკუა-გონებითა და

ტკბილი ენით კმაყოფილი დარჩა. მაშინ მეორე მონა მოიხმო თავისთან.

ის ხელმწიფის წინაშე წარსდგა. დასნეულებულს პირიდან სუნი ამოსდიოდა და კბილებიც უსიამოდ შავი ჰქონდა. ხელმწიფეს ეს მონა გარეგნულად არ მოეწონა, მაგრამ მისი თვისებების გასაგებად მასთან საუბარი დაიწყო; თანაც სთხოვა, რომ ცოტათი უკან დაეხია:

„ამ ჭუჭყისა და პირიდან ამომავალი ცუდი სუნის გამო მოშორებით დადექი; ჩვენ შევეცდებით პირველად შენი ავადმყოფობის სამკურნალო საშუალება ვიპოვოთ; შენ ჩვენთვის საყვარელი ადამიანი ხარ, ჩვენ კი გერგილიანი ექიმები. შენი შეურაცხყოფა და აბუჩად აგდება არ მოგვიხდება. დაჯექი, ერთი-ორი ამბავი მოგვიყევი და შენი აზროვნების დონეს გავიგებთ.“

ფადიშაჰი იმ მონას მიუბრუნდა, პირველად რომ ესაუბრებოდა და უთხრა:

„წადი! აბანოში შედი და კარგად დაიბანე.“

მისი წასვლის შემდეგ, მეფემ მეორე მონას გამოცდის მიზნით ჰკითხა:

„შენამდე შენს ამხანაგს ვესაუბრე და მან შენს შესახებ ცუდი რამეები მითხრა. ვხედავ, რომ შენი ისეთი არ ხარ, როგორადაც იმან დაგახასიათა. იმ შურიანმა შენდამი კინაღამ მტრულად განგვაწყო. მან შენზე თქვა: „ქურდია, მართალი კაცი არ არის, ბოროტებას სჩადის, უნამუსოა.“ შენ რაღას იტყვი მის შესახებ?“

მეორე მონამ ხელმწიფეს მიუგო:

„სწორედ მოაზროვნე, მართლის მთქმელ ამხანაგზე მრუდს ვერ ვიტყვი. პირიქით, მის მიერ თქმულის გამო დავფიქრდები, იქნებ ასეთი ნაკლი მართლაც მაქვს და თუ აღმოვაჩინე, მათ გამოსწორებას შევეცდები. ჩემო ხელმწიფევ! შესაძლოა, მან ჩემში ბევრი ისეთი ნაკლი დაინახა, რომელთა შესახებ მე წარმოდგენაც არ მაქვს.“

ხელმწიფემ მონას უთხრა:

„მან შენი ნაკლის შესახებ უკვე მიამბო, ახლა შენ მომიყევი მისი მანკიერების თაობაზე!

„ჩემო ხელმწიფევ! იმასთან ერთად, რომ ჩემი ამხანაგი მომწონს, ჩემი შინაგანი ხმა ნებას არ მაძლევს მის ნაკლოვანებებზე ვილაპარაკო. მის შესახებ მხოლოდ შემდეგის თქმა შემიძლია: მისი ნაკლი, ჩემი აზრით, ნაკლი კი არა – ღირსებაა. ის სიყვარულის, ერთგულებისა და ადამიანობის მაგალითია. მისი მდგომარეობაა: სამართლიანობა, გონიერება და მეგობრობა. მისი თვისებებია: გულუხვობა და უბედურებაზე ხელშეწყობა. ის იმდენად გულუხვია, რომ თუ საჭირო გახდება სულსაც არ დაიშურებს. ბედისწერის მორჩილის ერთ-ერთი თვისება ისიცაა, რომ მას საკუთარი თავი არ მოსწონს. ის ყველასთვის კარგია, მაგრამ საკუთარი თავისთვის ცუდი.“

„ამხანაგი ზედმეტად არ შეაქო და მის სიკეთეებზე საუბრისას საკუთარის წარმოჩენაც არ მოგინდეს; რადგან, შენს შემდეგ მას გამოვცდით და შენ შეგრცხვება.“

მონამ ამაზე თქვა:

„არა! მის ქებაში არა გადამიჭარბებია. პირიქით, ჩემი მეგობრის თვისებები ჩემს ნათქვამს ასწილად აღემატება. მის შესახებ მხოლოდ ის ვთქვი, რაც ვიცოდი. მაგრამ დიდსულოვანო ხელმწიფევ! ჩემი ნათქვამის თუ არ გჯერა, მე რა უნდა ვქნა? ჩემი შინაგანი სამყაროს კარნახით ვმოქმედებ და ვსაუბრობ.“

როცა მეორე მონა აბანოდან გამოვიდა, ხელმწიფემ ახლა ის მოიხმო თავისთან და უთხრა:

„ჯანმრთელობა და რაც გაკლია ის სიკეთეები მოგეპოვებინოს; მაგრამ რა კარგი იქნებოდა, ის ცუდი თვისებები რომ არ გქონოდა, რაზეც შენმა ამხანაგმა ისაუბრა. მაშინ შენი ლამაზი სახის დანახვა ადამიანებს გაახარებდა და გაამხიარულებდა. შენს ნახვას მთელი ქვეყნის ფასი ექნებოდა.“

მონამ უთხრა:

„ჩემო ხელმწიფევ! გთხოვთ იმ უზრდელის ნალაპარაკევიდან მცირეოდენი მაინც მითხარით!...“

„მან პირველად შენი ორპირობის შესახებ მომითხრო. აღნიშნა, რომ შენ შესახედავად წამალი, სინამდვილეში კი უბედურება ხარ.“

როცა მონამ ხელმწიფისგან ამხანაგის ნათქვამი ცუდი სიტყვები მოისმინა, სიბრაზე მოერია, გაცოფდა და გაწითლდა. მის მიერ ამხანაგის კილვა ყოველგვარ საზღვრებს გასცდა.:

„ის, მართალია პირველად ჩემი მეგობარი იყო, მაგრამ პირი იმთავითვე გაფუჭებული ჰქონდა. მოშიმშილე ძაღლივით ხშირად სიბინძურეს ჭამდა.“

ამხანაგის გასალანძღად მონამ საკუთარ არსებაში დამალული მთელი სიავე სააშკარაოზე გადმოაფრქვია. ამაზე ხელმწიფემ მიუგო – „კმარა“ და ხელის პირთან მიტანით მიმართა:

„ამ გამოცდის წყალობით, თქვენ ორს შორის არსებული სხვაობა კარგად დავინახე. მას პირიდან სუნი მხოლოდ ფიზიკური ავადმყოფობის გამო ასდის, შენ კი სულიერად ყარხარ! სულაყროლებულო ადამიანო, შორს დადექი! შენი ამხანაგი შენი მბრძანებელი იქნება და შენ მის ბრძანებას დაემორჩილები. მისგან ზრდილობა, ადამიანობა და საუბარი ისწავლე! მისი ღირსებისგან მაგალითი აიღე. შური მოიშორე. შენ ამ შურით წელზე ქვამობმული და დამძიმებული საბრალო ადამიანი ხარ. ამ ქვით ვერც ცურვას შეძლებ და ვერც სიარულს.“

როგორც დავინახეთ, ადამიანის შინაგანი სამყარო და პიროვნება ამრეკლავ სარკეს ჰგავს. სარგებლის გამო ნადირობა და შურით განპირობებული უარყოფითი ქმედებები, მისი გულის სამყაროს ისე წარმოგვიდგენს, როგორც კარდიოგრამა.

მევლანას სურს, რომ ამ ნოველის სიბრძნით შესაბამისად ვისარგებლოთ და შემდეგ რჩევას გვაძლევს:

„ადამიანის ნამდვილი ხასიათი ენის ქვეშაა დამალული. ეს ენა კი ადამიანის შინაგანი სამყაროს განმასახიერებელია.

ქარი ფარდას რომ წამოსწევს გამოჩნდება ის, რაც სახლშია. ესე იგი, უცნობი ადამიანის სულზე ჩამოფარებული ფარდა მაშინ აიწევა, როგორც კი ის ვი-

თარეხიდან გამომდინარე, ერთი-ორ სიტყვას იტყვის, მისი ნამდვილი სახე, გულის სამყარო საჯაროზე გამოვა და გამოჩნდება ის, თუ როგორი პიროვნება, როგორი ხასიათის ადამიანია. მისი შინაგანი სამყარო მარგალიტებით არის სავსე თუ ხორბლით? იქაურობა გულისთვის სიხალვათის მიმნიჭებელი ვარდის ბაღია, თუ მხოლოდ ნამსხვრევების ნაგავსაყრელი? იქაურობა საგანძურის ხაზინაა თუ გველებისა და მორიელების ბუდე.

ამქვეყნის მორჩილო, შინაგანი სამყაროსთვის ზიანის მიმყენებელო, უგულისყუროვ! არ იცი, რომ სიკვდილის დღეს ამ გრძნობათაგან არც ერთზე აღარ იფიქრებ?! მაშინ შურიანობა რომც შეწყვიტო, არავითარ სარგებელს არ მოგიტანს. მიწაში მოხვედრისას თვალებს მტვერი ამოგივსებს, მაგრამ თუკი სუფთა სულის პატრონი ხარ, გული შენი თანამგზავრი გახდება. ამიტომ საკუთარ თავს კრიტიკულად შეხედე! საფლავის გამნათებელი სული და ნაყოფიერების მატარებელი გული გაქვს? შენ ეცადე, მოიპოვო, შენთვის ანაბრად მობარებული უკვდავი სულის საგანძური. ეცადე, ღირსეული იყო და სიხარბისა და შურისგან შორს დადექი. ბევრი სიკეთე ჰქმენ და ღვთიმსახურება აღასრულე, რომ იმ სილამაზეებით ღმერთის წინაშე წარსდგე.

კარგად იცოდე, რომ საკუთარი სილამაზე ცუდ ხასიათთან თანაარსებობის გამო ფასს დაკარგავს. ესე იგი, ბილწი შინაგანი სამყარო ფარისევლური ქმედებებით არ დაიმალება. ცხოვრების ნირი ნიღაბს ჩამოგხსნის.

ადამიანის გარეგნობას კი არა მის ყოფაქცევას,

გულის სამყაროს დააკვირდი. ვინაიდან ადამიანის ამამაღლებელი, მხოლოდ და მხოლოდ, მისი მაღალი ზნეობაა.

იცოდე, რომ მატერიალური ფორმა – სხეული, წარმავლობის ზღვაში დაიკარგება, სილამაზე – გაქრება და წავა. მაგრამ სულიერი სამყარო მარადიულად დარჩება, ის უკვდავია. სულიერად აღზრდილი ღირსეული პიროვნების წარმავალი სხეული მიწად რომ იქცევა, მისი ცხოვრების შესახებ არსებული ლამაზი მოგონებები სხვათა გულებში გააგრძელებს სიცოცხლეს. ისინი წარსულად არ იქცევინ.

ადამიანო, ეგოიზმის გამო სხვისთვის მინაწერი სიავეები, სინამდვილეში შენი ცუდი ხასიათის ანარეკლია. ის შენ ხარ! შენ კი სარკეში დანახულს მოპირდაპირეს მიაწერ, შენ საკუთარ თავზე საუბრობ და აზიანებ მას. წყევლასაც თავად უგზავნი.“

შური, მის ობიექტზე მეტად, თვით მოშურნისათვის ზიანის მიმყენებელი სულიერი ავადმყოფობაა. ეს ზიანი ადამიანის რწმენასთან კავშირის შესაბამისად ტრაგიკულად შეიძლება დასრულდეს. ამის თვალსაჩინო მაგალითია – ქარუნი, რომელიც პირველ ხანებში, მუსას შემდეგ, თორას (თევრათს) ყველაზე კარგად კითხულობდა და ღვთისმოსვი მორწმუნე იყო, მაგრამ შურის მიზეზით საბოლოოდ რწმენაც კი დაკარგა. ვინაიდან ის სიმდიდრემ გააყოყოჩა, წმინდა მუსას მდგომარეობამ გაადიზიანა და ამიტომაც, ღმერთის შურისძიება დაიმსახურა. ყველა ის სასახლე და ხაზინა, რომელსაც ის ეყრდნობოდა აღიგავა პირისაგან მი-

წისა. ის მარადიული სამყაროს ღარიბ-ღატაკად იქცა.

წმინდა შუამავალი ეგოიზმისა და შურისათვის დამახასიათებელი დამანგრეველი შედეგის შესახებ ჰადისში შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„თქვენ, ძველი დროის ერთმორწმუნეებისათვის დამახასიათებელი ავადმყოფობა მოგედოთ: – შური და მტრობა. ეს პიროვნების ამომთხრელია (გამანადგურებელია). იცოდეთ, ტერმინ ამომთხრელში (გამანადგურებელში) ლითონის ამომთხრელს არ ვგულისხმობ. რწმენის ამომძირკველზე (გამანადგურებელზე) ვსაუბრობ...“ (თირმიზი, სიფათულ ყიამე, 57)

მევლანა განაგრძნობს:

„ამ ბოროტებას შენ საკუთარ არსებაში ვერ ამჩნევ, წინაადმდეგ შემთხვევაში, სხვების კი არა, მთელი არსებით საკუთარი თავის მტერი გახდებოდი.

შენ, ალლაჰისეული თვალებით რომ შეგეხედა ბოროტებისთვის, სხვას შეარცხვენდი, სხვების ნაკლს დაინახავდი და დაუდევრად მოიქცეოდი?

დამწუხრებულო, დარდიანო ადამიანო, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მიუახლოვდი სიკეთის ნათელს, რომ ცეცხლისებური ხედვა შუქად აქციო, სხვების ნაკლოვანებების დანახვამდე საკუთარ შინაგან სამყაროს დააკვირდი. საკუთარი თავი გააძლიერე, რომ გული ნაგვისაგან გაწმინდო.“

შურის საწყისი ისეთივე ძველია, როგორც კაცობრიობის ისტორია. რა საოცარია, რომ ყველაზე ღირსეული ადამიანები მოშურნეების სამიზნე იყვნენ.

შური პირველად ეშმაკმა გამოავლინა წმინდა ადამის მიმართ. მან შურის, სიამაყისა და ეგოიზმის გამო ალლაჰის ბრძანება არ შეასრულა. ამის შემდეგ ეგოიზმის ნიადაგზე ადამის შვილმა კაენმა, თავისი ღვთისმოსავი ძმა აბელი მოკლა. ძმების მიერ ჭაში ჩაგდებული იუსუფის გამო კი იაყუბმა თვალთაგან სისხლნარევი ცრემლი დაღვარა. ეს და კიდევ სხვა მრავალი შემთხვევა შურის შედეგად გულში გაჩენილი ხანძრის შედეგია.

განადგურებული ოჯახები, არა ერთი საზოგადოება და სახელმწიფო, სწორედ შურის ავანსცენებია. შური ინდივიდისგან დაწყებული, ნაბიჯ-ნაბიჯ, მთელი საზოგადოების მომცველი, დამანგრეველი უბედურების მიზეზია.

ჰადისში ნაბრძნებია:

„ფრთხილად, არ შეგშურდეთ! ვინაიდან შური მადლსა და სიკეთეს ისე ანადგურებს, როგორც ცეცხლი შეშას.“ (აბუ დავუდი, ედები, 44; იბნ მაჯე, ზუჰდი, 22)

„ადამიანები მანამ არიან ხვავსა და ბარაქაში სანამ ერთმანეთის არ შეშურდებათ.

ერთმანეთი არ შეიძულოთ, არ შეგშურდეთ, ზურგი არ შეაქციოთ და კავშირი არ გაწყვიტოთ. ალლაჰის მონა-მსახურებო, ძმები იყავით.“ (ბუჰარი, ედები, 57)

მეორე მხრივ, შურის ობიექტმა, ამ მავნე თვისებას შურითვე არ უნდა უპასუხოს. მას, დამწუხრებისა და გაბრაზების ნაცვლად, მოშურნე უნდა შეებრალოს. ამავე დროს, მისდამი მიმართული უსამართლობისა და

ჩაგვრის მოთმენით, შემწყნარებლობითა და ატანით ჯილდოს მოპოვება უნდა სცადოს. ასევე, უნდა სცადოს, რომ ამ მდგომარეობიდანაც კი მოგებული გამოვიდეს.

წმინდა მევლანა, ამასთან დაკავშირებით, შემდეგ მახვილსიტყვაობას გადმოგვცემს:

„ვარდმა თავისი სასიამოვნო სურნელება მავნე ეკლის ატანის გამო შეიძინა. ამ ფაქტის ჭეშმარიტება თვით ვარდისაგან მოისმინე, ნახე, რას ამბობს ის:

იმის გამო, რომ ეკალთან ერთად ვარ, რატომ უნდა დავმწუხრდე, დავდარდიანდე? მე ხომ ვარდობა იმ ცუდი ხასიათის ეკალთან ერთად ყოფნის გამო მოვიპოვე, სწორედ მისი საშუალებით მოვიპოვე შესაძლებლობა, სამყაროს სილამაზე და სასიამოვნო სურნელი შევთავაზო..“

დაე, უდიდესმა ღმერთმა წილად გვარგუნოს ბედნიერება ნაწყალობევი სიკეთით კმაყოფილ, მაღალი ზნეობის მონა-მსახურთაგან ვიქცეთ! დაგვიფაროს სხვების სიკეთეზე თვალის დადგმის, ამქვეყნიური, ვარსკვლავური თავშესაქცევის, დროებითი სიყვარულის, იყოს სანახაობების, სიხარბისა და შურისაგან. ამგვარი ადამიანების უსასოო დასასრულისგან.

ამინ!

მესნევის მიხედვით

წმინდა მუსა და ფარაონი

მევლანა, წმიდა მუსას გამჭრიახობის სიღრმესთან ფარაონის ვნებას აყოლილი ცხოვრების წინააღმდეგობრიობას, ადამიანური შემეცნებისთვის გასაგებად, შემდეგნაირად წარმოგვიდგენს:

„წმინდა მუსამ, ფარაონისთვის ჭეშმარიტების ქადაგებისას, თავმდაბლობა გამოიჩინა. ვინაიდან თვით უდიდესმა ღმერთმა ისურვა, რომ წმინდა მუსას მისთვის გაწეული ქადაგების დროს ტკბილი ენა გამოეყენებინა. როცა მას ფარაონმა ჰკითხა, „ვინ იყო, ვისი გვარიდან გახლდათ და როგორი იყო მისი ძველი სახელი – წმინდა მუსამ უპასუხა:

„მე ალლაჰის შუამავალი ვარ; ადამიანს უკუდმართობისგან ვკურნავ! წარმოშობით თიხისაგან ვარ. მიწისგან შექმნილი სხეული საბოლოოდ ისევ მიწას დაუბრუნდება! თუმცა ალლაჰმა თიხას სული უბოძა

და გული უწყალობა! ჩემი სახელი: „ალლაჰის უსუ-სური მონა-მსახური მუსაა და ალლაჰის ერთ-ერთი მონა-მსახურის შვილი ვარ!“

ამჯერად, ფარაონმა უთხრა: „შენ ფარაონის მონა ხარ, რადგან შენი სხეული ფარაონის სიკეთით გამ-ოიკვება და განვითარდა. ახლა კი სიმართლეს არ აღიარებ. ჩემი უარყოფის გამო უმადურობისა და ურ-წმუნოებას ამჟღავნებ.“

წმინდა მუსამ უპასუხა:

„ღმერთმა დამიფაროს! ალლაჰი ერთია. მას მოზ-იარე არ ჰყავს. ადამიანებს, თვინიერ მისა, სხვა ბატონი არ ეყოლებათ. უგუნურის გარდა მის მოზიარეობას არავინ მოიწადინებს! ვინაიდან მონოთეისტური რწმენა სიყვარულში მოზიარეობასა და ცვალებადობას ვერ იტანს!

ფარაონო! შენ იმისთვისაც არ გეყოფა ძალა, რომ ჩემი წარბი ან თუნდაც მწერის ერთი ფრთა შექმნა; და როგორ შეგიძლია თქვა, რომ მე შემქმენი? შენ ძალიან სასტიკი ადამიანი ხარ! რადგან ალლაჰს მოზიარეს უწესებ! მე თუ შეცდომით კოპტი მოვკალი, ის ვნების გამო არ მომიკლავს! მე მას მუშტით გავუსწორდი. რის შედეგადაც, ისედაც სულიერებას მოკლებულმა, იმ ურ-წმუნო ადამიანმა სული განუტევა.“

ფარაონმა უთხრა:

„უეჭველია, მე შენზე უფლება მაქვს და როცა შენ ხალხის წინაშე ცუდად მომექეცი, ჩემი უზენაესობის წინააღმდეგ გამოხვედი და ჩემი გულის ნათელი წყვ-

დიადად აქციე ეს მისი დარღვევა იყო.“

წმინდა მუსამ ამის პასუხად თქვა:

„თუ მე არ მომისმენ, არ ირწმუნებ, სიკეთეს არ იქმ და ბოროტებას არ უარყოფ, განკითხვის დღეს შენი მდგომარეობა ამაზე უარესი იქნება!

გარეგნულად, მე შენში ღმერთობაზე პრეტენზიას ვებრძვი, მაგრამ სინამდვილეში, ვცდილობ, ურწმუნოების ეკალი, რომელიც შენს სულშია გამჯდარი, ვარდის ბაღად ვაქციო.“

ფარაონმა უთხრა:

„სინამდვილეში, დახელოვნებული ჯადოქარი ხარ. ეგვიპტელები, რომელთა გულიც მე მეკუთვნოდა, შენ ორად გახლიჩე!“

მუსამ მიუგო:

„ჯადოქრობის საფუძველში უგულისყურობა და ურწმუნოება დევს, მე კი ღვთიური ზეშთაგონების ქვეშ ვიმყოფები.. ჩემი სული რწმენის ჩირაღდანია. მესიაც კი ჩემი სულისკენ ისწრაფვის! წიგნებიც კი ჩემი სულისაგან ნათელს იღებენ!

შენ მხოლოდ ვარაუდობ! ჩემმა ღმერთმა შენთან რომ გამომგზავნა, ეს ხომ იმის მტკიცებულებაა, რომ მან ყველაფერი იცის? თან ჩემი სასწაული შენი ურწმუნოების ჭრილობის ყველაზე უებარი წამალია!

შენ ამის შესახებ, ადრე, რაღაც სიზმრებიც კი გინახავს. განგიჭვრეტია, რომ როცა ხელში კვერთხს ავიღებ, შენ ჩემს ხელზე შუქს დაინახავ, რითაც შენს

კადნიერებას დავამსხვრევ! სიზმრის ამხსნელი ბრძენი და ვარსკვლათმრიცხველები ჭეშმარიტებას მიხვდნენ, მაგრამ ჭეშმარიტებას შენ ვერ ჩაწვდი და ვერ შეიმეცნე!

ხალხის მმართველი ალლაჰის ზნეობით უნდა აღიჭურვოს! თუმცა შენ შენი გული ეშმაკის სახლად აქციე, ვნება ყიბლედ გაიხადე!

ამქვეყნად ვნების ტყვედ ქცეული თქვენი მსგავსი ადამიანები მუდმივად თავს ესხმით რწმენით მაცხოვრებლებსა და მათ ციხეებს! ბოროტო ფარაონო, ურწმუნო ადამიანო! მორწმუნე გმირები მხოლოდ თავიანთი თვინიერი და რბილი ხასიათის გამო არ დაგესხნენ თავს!

შენ ალლაჰის მიერ თაობებისთვის სიცოცხლის მიმნიჭებელი გზა, ესე იგი, დედის საშვილოსნო, როგორ შეგიძლია გადაკეტო? ათასობით უდანაშაულო ადამიანის ჯალათად იქეცი და ტირანთაგან ყველაზე უბედურის სახელი შეიძინე. შენ ფიქრობ, რომ სამყაროს სულიერი დარაბები ჩაკეტე, თუმც თავად შენს დასაბრმავებლად ერთი ვაჟკაცი გამოვიდა! აი, ის ვაჟკაცი მე ვარ; და, შენს სურვილებს დავამსხვრევ, შენს სახელსა და დიდებას გავანადგურებ!

უგუნურო! იცოდე, რომ არსებობს მხოლოდ ერთი ძლევამოსილი და ყოვლისმცოდნე ბატონი. ის ყველას დამსახურების შესაბამისად მიაგებს! ნუთუ გინახავს ან გსმენია, რომ ალლაჰისკენ მიმართული სიკეთე ვინმეს დაეკარგა, არ დაუფასა და შეუმჩნეველი დარჩა?

განსაცდელი მხოლოდ საკუთარი სიბრიყვისა და

სისულელის გამო დაგატყდება თავს. ამიტომ, თუკი შენს გულს ბოროტება გააშავებს, გაიგე, რომ ის სატანჯველის მხოლოდ დასაწყისია. უარყავი რწმენაში მერყეობა, უსამართლობა და შეჩვეული ცოდვები მოინანიე, ღმერთს მათ გამო მიტევება სთხოვე! ცოდვის გამო სასჯელს ვერ განირიდებ; უცოდველობის შემთხვევაში კი – ალლაჰის წყალობას.

„ჩემგან მხოლოდ ერთი რჩევა მიიღე და იმის მიხედვით იმოქმედე. შედეგად ოთხი კარგი თვისების, ოთხი ღირსების პატრონი გახდები.“

ფარაონი დაინტერესდა და იკითხა:

„მუსა, რომელია ის რჩევები, მითხარი, იმ რწმენის სანაცვლოდ, რომელიც ამ ლამაზი დაპირების გამო, ჩემს ურწმუნოებას ჯვარზე გააკრავს, რას მომცემ?“

წმინდა მუსამ უპასუხა:

„ეს რჩევა შემდეგია, წარმოთქვი: „არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაჰისა!“ და, აქედან გამომდინარე ღმერთის ერთპიროვნულობა აღიარე! ის, უბადლო ალლაჰი, ზეცის, დედამიწის, ვარსკვლავების, ადამიანების, ეშმაკების, ფერების, ჯინების, ფრინველებვის შემოქმედია! ზღვების, მინდვრების, მთებისა და უდაბნოს შემქმნელიც ის არის; მის სამფლობელოს საზღვარი არ აქვს და მას მსგავსი არ ჰყავს!

ამ რწმენის სანაცვლოდ მიღებული ოთხი ღირსება კი შემდეგია:

პირველი: შენი სხეული მუდმივად ჯანსაღი, ესე იგი, სულიერებით გაბრწყინებული და განმტკიცებული იქნება.

მეორე: ისეთ ხანგრძლივ სიცოცხლეს მოიპოვებ, რომ სიკვდილიც კი შენი სიცოცხლის ხანგრძლივობას მოერიდება და შენ არ მოგიახლოვდება! სიკვდილს მხოლოდ იმიტომ ისურვებ, რომ დარწმუნდები საკუთარი სხეულის წარმავლობასა და მიწიერებაში! ესე იგი, ღმერთის სიყვარულს სრულად ჩასწვდები და მასთან შეხვედრას ისწრაფებ, რადგან გაათვითცნობიერებ, რომ სხეული აზრთა ათასობით კალოს ეჭიდება!

თუკი, იმ მარადიული სიკეთის მოსაპოვებლად სხეულში არსებულ ვნების მარცვალს დასწვავ, ამ გზით ალლაჰის მორჩილთათვის საყვარელ საქმეს მიჰყვები; საკუთარი სხეულისგან გათავისუფლდები, უკვდავიყოფი. სხეულის მტვრად ქცევის შემდეგ კი სიცოცხლეს გააგრძელებ.

მესამე: ღმერთზე მინდობილი, სააქაოსა და საიქიოში უსაფრთხოდ იცხოვრებ!

დიდებულმა ალლაჰმა, შენი ტანჯვის სანაცვლოდ მსგავსი ღირსებები, ამქვეყნად გიწყალობა და თავად განსაჯე, სიკვდილის შემდეგ როგორ მიგიღებს და შეგიფარებს!

მეოთხე: შენი თმები იმდენად შეინარჩუნებენ სიშავესა და ბზვინვარებას, რამდენადაც შეინარჩუნებ სულიერ სიმაღლეს, სიმხნევეს; სახე კი შუქისაგან გაცისკროვნდება; გული მისი ხსენებით მუდმივ სიმშვიდეს შეინარჩუნებს.“

მსგავსი ღვთიური სიკეთეების მასზე გარდმოვლენის სიხარულით შეპყრობილმა ფარაონმა, თქვა:

„მუსა, გთხოვ, მე მათ საუკეთესო მეგობართან განვიხილავ!“

ფარაონმა წმინდა მუსას სიტყვები თავის ცოლს, ასიეს, გაუმხილა. ასიემ უთხრა:

„გულდაბნელებულო ადამიანო; ნუთუ ეს დაპირებები მთელი გულით მიიღე! რა ბედნიერი ხარ, რწმენის მზე თავზე გვირგვინად აღმოგიბრწყინდება!

არ იცი, რომ ეს სიტყვები არც დაპირებაა და არც წყალობა; ეს იმის მსგავსია, ალლაჰმა ეშმაკს რომ მიუტევოს, მას თვალყური რომ მიადევნოს! ნუთუ დიდებულმა ალლაჰმა შენ ასეთი სიკეთით დაგაჯილდოვა?! გასაოცარია! მართლაც საოცარია, როგორ მოხდა, რომ სიხარულისგან გული ბუდიდან არ ამოგივარდა?!“

თუმცა, ამ სიბრმავეშიც საოცრება დევს, მაგრამ ეს რამდენად ხანგრძლივი იქნება? უკურნებელი და უსაზღვრო გულგრილობა სულისა და გონების საწამლავად არ უნდა გექცეს!

ერთი მარცვლის სანაცვლოდ, შენ ასობით მარცვალი, ერთი ოქროს სანაცვლოდ კი – ასობით ოქროს მადანი გებოძება!

„ვინც ალლაჰთან ერთადაა, ალლაჰი მასთან ერთად არის.“ (აჯლუნი, ქესფულ ჰაფა, II,272)

ამ ჰადისში მოცემული სიბრძნის მიხედვით, როდესაც წარმავალი არსება, უკვდავ არსებას მიეკედლება თავადაც უკვდავებას შეიძენს!

ქარისა და მიწისაგან შევიწროებული და მათგან

განადგურებული წვეთი, ზღვას თუ შეუერთდა, მზის მცხუნვარებაც გადაურჩება და მიწისგან შეწოვნასაც. მართალია, იმ წვეთის თავისთავადობა ზღვაში ჩაიკარგება, მაგრამ ის მის ნაწილად ქცევის გამო, მარადიულობას შეინარჩუნებს!

ეს გაცვლა-გამოცვლა უმდაბლესი საფეხურიდან უმაღლესამდე ზეაღვსლის მსგავსია და ეს ყველაზე დიდი წყალობაა! თუმცა ამ წყალობით წყალობაც კი იკარგება!“

ასიეს მიერ მიცემული რჩევების გამო, ფარაონმა თქვა:

„ჰამანსაც მოვეთათბირები, მისგანაც ვიკითხავ ჭკუას. რადგან ხელმწიფემ საკუთარი ვეზირების მოსაზრებაც უნდა გაიზიაროს!“

ჰამანი ფარაონის მოდგმის იყო. ფარაონმა, რაკი ის მარტოდ მყოფი ნახა, მოუთხრო ის, რაც მას აწუხებდა.

ჰამანი ღმერთის წყალობას მოკლებული იყო, ამიტომ ფარაონის მონათხრობის გამო მოთქმა-გოდება და კივილი მორთო. მან ქუდი და ჩალმა ძირს დააგდო და ამბობდა:

„დიდო ხელმწიფევ, დღემდე ყველასთვის ღმერთი იყავი, ყველა მუხლს იყრიდა შენს წინაშე. ახლა კი ყველაზე უღირსი, ყველაზე შეურაცხყოფილი ადამიანი უნდა იყო?

ხელმწიფე მონას რომ დაემორჩილოს და ეყმოს, მაშინ დედამიწა ზეცად უნდა გარდაისახოს, ზეცა კი დედამიწად. დღემდე ასეთი რამ არ მომხდარა და არც

ამის შემდეგ მოხდება!“

მაშინ, როცა ფარაონი ჭეშმარიტი ხელმწიფობისა და ბედნიერების ზღურბლთან იდგა, ჰამანმა ამ ცუდი და უგუნური სიტყვებით მას რწმენისა და სიმართლის გზა მოუჭრა, ე.ი. არ მისცა იმის საშუალება, რომ შინაგან ხმას მიჰყოლოდა, ჭეშმარიტებას ზიარებოდა. მსგავსი ვეზირი არც ერთ ხელმწიფეს არ უნდა ჰყავდეს.

წმინდა მუსამ, ამის გამო, თქვა:

„მე სიკეთე ვქმენ, გულუხვობა გამოვიჩინე, მაგრამ ალლაჰს მან შენი წილხვედრობა არ არგუნა!“

ხალხის მიერ ბოძებულ ხელმწიფობას კი ისევ ხალხი წაგართმევს, ისევე, როგორც სესხად მოცემულ ფულს! სულელო! წარმავალი ხელმწიფობა სამყაროს მფლობელს, ესე იგი ალლაჰს მიეცი, რომ შენ ნამდვილი სასულთნო გიწყალობოს! შენ საკუთარ მეგობრად და მესაიდუმლედ გაქციოს!

წმინდა მუსა და ფარაონი

ჭეშმარიტების თანამგზავრო!
სიმართლის გაგება გსურს? მუსა და
ფარაონი არ მომკვდარან, დღეს ისინი
შენში ცხოვრობენ, შენს არსებაში
არიან ჩამალულნი, შენს გულში
განაგრძობენ ბრძოლას!

უდიდესი ღმერთი „შემს“ სურაში გვამცნობს, რომ ადამიანში განათავსებს **„ცოდვილობასა“** და **„ღვთისმოშიშობას“** და რომ გადარჩება მხოლოდ ის, ვინც ვნებას გაანადგურებს და ღვთისმოშიშობასთან მიაღწევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის სურვილებს აყოლილ, შინაგანი სამყაროს ცოდვებით დამბნელებელ ადამიანად იქცევა.

ამ გადასახედიდან თუ შეხედავთ, ადამიანის გულს ორი მიმართულება აქვს, რადგან ის ორ კონტრასტულ საფუძველს სიკეთესა და ბოროტებას ეყრდნობა და მათი ბრძოლის ასპარეზია. წმინდა მევლანა, ადამიანის შინაგან სამყაროში გამართული ამ წინააღმდეგობის შესახებ, შემდეგ ბწკარებს გადმოგვცემს:

„ადამიანის შინაგანი სამყარო იმ ტყეს ჰგავს, სადაც ყველაზე ველური მტაცებლიდან დაწყებული ყველაზე თვინიერი და საყვარელი მხეცია წარმოდგენილი.

„...ჩემი სულისგან მას შთავბერე!...“ (სურა ჰიჯრი, აიათი 29)

ეს აიათი თუ იცი, ამ ღვთიური ნაყოფიერებისგან წილს თუ იღებ, ადამიანის არეულ და საოცარ შინაგან სამყაროს დააკვირდი!

ადამიანის არსებაში უამრავი მგელი და უთვალავი ღორია; სუფთა, ჭუჭყიანი, ლამაზი, მახინჯი, საყვარელი, ცხელი და ცივი – ათასობით ხასიათი დევს.

პიროვნებაში, რომელი ხასიათიც გაიმარჯვებს, ის სწორედ იმის მიხედვით ჩამოყალიბდება. მადნეულში,

რომელშიც ოქრო და სპილენძია არეული და მათგან ოქრო უფრო მეტია, ეს ლითონი ოქროდ ჩაითვლება.

შენს არსებაში რომელი ხასიათიც ჭარბობს და მბრძანებლობს, ის ხასიათი პატრონმა პირუტყვივით უნდა გახედნოს; რადგან გრძნობები არსებებთან ერთად არიან.

ადამიანში ცხოვრების ერთ პერიოდში მგლური ხასიათი გამოვლინდება; დრო მოვა და სიმკაცრე ანგელოზებრივ სიმშვიდედ გარდაისახება. მთვარის მსგავს იუსუფს დაემსგავსება.

სიკეთეც და ბოროტებაც ფარული გზით გულიდან გულში გადადის.

შმაგი და ურჩი ცხენი თოხარიკით სიარულს იწყებს; დათვი თამაშობს, თხა სალამს აძლევს.

ადამიანში ძაღლისთვის დამახასიათებელი თვისებები იჩენს თავს. გრძნობების აღზრდითა და გაწვრთნით ძაღლი ან სახლს დარაჯობს ან ფარას მწყემსავს, ის გუშაგია და ადამიანის განკარგულებაში დგება.

„ასჰაბი ქეჰფის“ ძაღლში კი იმ ღვთისმოსავი ახალგაზრდების ხასიათისაგან ისეთი რწმენა გადავიდა, რომ ის საბოლოოდ წავიდა, ალლაჰის მაძიებელი გახდა და ყურანში დაიმკვიდრა ადგილი.

ადამიანის გულში, დროდადრო, სხვადასხვა მიდრეკილებები იჩენს თავს. სულიერება ადამიანს ანგელოზს ამსგავსებს, ხოლო საპირისპირო ვნებისადმი მორჩილება ეშმაკად აქცევს, ააფთრებს. ღმერთს აღარ სცნობს.

აზრთა ფალავნებისა და წმინდანების სამკვიდრებელ იმ ჭეშმარიტების ტყეში, გულების მახისკენ მიმავალი ფარული გზა დევს. წმინდანები იმ მახეებს სცნობენ და მათი განადგურებით საკუთარ გულებს ბოროტი ვნებისა და მღელვარებისაგან ათავისუფლებენ; მათ მხოლოდ ღვთაებრივ სიკეთეს აზიარებენ.

შინაგანი სამყაროთი ძაღლზე დაბლა მდგომო ადამიანო! შენი მდგომარეობის გამო უიმედობაში არ ჩავარდე! თუ შენც გსურს ჭეშმარიტების ტყეში სულიერი სიამოვნება მიიღო, მათი ცოდნისგან მცირე წილ მაინც ეზიარე.

თუკი უხეირო ხარ, იმ ძვირფასი მარგალიტებისგან შენი წილი აიღე! თუკი ატარებ, დაე, ისეთი ძვირფასი ტვირთი ატარე.“

როგორც ამ ბწკარებიდან ჩანს, ჩვეულებრივ, ადამიანი სამყაროს დაპატარავებული მოდელია და გარესამყაროში არსებული ყველა ჭეშმარიტება ადამიანის შინაგან სამყაროში აუცილებლად გამოვლინდება. შეიძლება ითქვას, რომ ისე როგორც თესლში იმალება ყველა ის თავისებურება, რომელსაც ამ თესლისაგან აღმოცენებული მცენარე ან ხე შეიძენს, ადამიანშიც სამყაროში არსებული ყველა ჭეშმარიტება განსაკუთრებული ფორმითაა წარმოდგენილი. ყურანი კი ადამიანისა და სამყაროს მთავარი კანონისა და წესების ყველაზე შესანიშნავი და ყველაზე სწორი განმარტებელია. მისი ფასი ენით აღუწერელია. მორწმუნენი, რომელთაც გაგებული აქვთ ყურანი სამყაროს განმგებლის უზენაესობის გამომავლინებლები არიან.

ისტორიის ფურცლებზე შემონახული უამრავი წმინდანისა და მათი საპირისპირო თვისებები აღჭურვილი ადამიანების სახელები, სინამდვილეში, წინააღმდეგობრივი სამყაროა. ამ ორთაბრძოლაში გამარჯვებული ადამიანის მდგომარეობა და ინტერესები მმართველობს. წმინდა მევლანა, მუსასა და ფარაონის მაგალითით, ამ საკითხს თვალწინ გვიცოცხლებს:

„ჭეშმარიტების თანამგზავრო! სიმართლის გაგება თუ გსურს, მუსა და ფარაონი არ მომკვდარან, დღეს ისინი შენში ცხოვრობენ, შენს არსებაში არიან ჩამალული, შენს გულში აგრძელებენ ბრძოლას.“

ამავე საკითხთან დაკავშირებით, მუჰიიდდინ არაბი ბრძანებს:

„ჩემი სული – მუსა, გონება კი – ჰარუნია. ვნება – ფარაონი და სურვილებით გატაცება – ფარაონის ვეზირი ჰამანია.“

თუკი ადამიანის შინაგან სამყაროში წმინდა მუსა და ფარაონი ერთად სახლობენ, საკუთარი თავის გასაცნობად და არჩევანის გასაკეთებლად, სასარგებლო იქნება, თუკი რეალურად არსებული ამ ორი პიროვნების ბიოგრაფიას გავიხსენებთ.

როგორც ცნობილია ფარაონი უხეში ვნების ტყვედ იქცა, საკუთარი თავი ღმერთად გამოაცხადა და თავისი მმართველობა უსამართლობაზე დააფუძნა.

უსამართლობა ადამიანის მიერ შეგნებულად ან

შეუგნებლად სხვების სულისა და სხეულისთვის ტანჯვის მიყენებაა. უსამართლობა მოწყალებას მოკლებულ გულებში ჰპოვებს ადგილს. მისი წყარო კი: სიხარბე, შური, სიძულვილი და ანგარების მსგავსი მდაბალი ცხოველური ინსტიქტებია. კაცობრიობის ისტორია აღსავსეა თავზარდამცემი უსამართლობის ათასობით სცენით.

ამის ერთ-ერთი მაგალითია, როცა ნანახი სიზმრით შეშინებულმა, უსამართლო და უსინდისო ფარაონმა, ტახტიდან ჩამოგდების შიშით ებრაელების ყველა ახალდაბადებული ვაჟის მოკვლა ბრძანა. ეს ტირანიაში გადაიზარდა. მუჰიდდინ იბნ არაბი გადმოგვცემს:

„ფარაონმა წმინდა მუსას გამოჩენის შიშით, მის გასანადგურებლად 980000 უდანაშაულო ჩვილი მოაკვლევინა. სინამდვილეში, ყველა ამ ბავშვს წმინდა მუსას დასახმარებლად, მისი რწმენისა და სულიერების გასაძლიერებლად კლავდნენ. რადგან ფარაონი და ფარაონის ოჯახი მუსას ჯერ კიდევ არ იცნობდნენ, მაგრამ ღმერთი ხომ იცნობდა. რა თქმა უნდა, ყოველი მათგანის ჩამქრალი სიცოცხლე მუსას კუთვნილება გახდებოდა. რადგან მიზანი სწორედ ეს იყო.“

როდესაც ფარაონი უდანაშაულოებს ხოცავდა და უსამართლობის მწვერვალზე იმყოფებოდა, უდიდესი ღმერთი, ამავდროულად, მის სასახლეში საყვარელ ნერგს ზრდიდა წმინდა მუსას სახით!..

წმინდა მუსა პატარაობიდანვე ფარაონის სასახლეში, ალლაჰის მფარველობის ქვეშ იზრდებოდა. როცა ის გაიზარდა და ჭაბუკობის ასაკს მიაღწია, ერთი

ებრაელის, ფარაონის პურის მცხობელის მონობისაგან გათავისუფლება გადაწყვიტა და ამ დროს, ეს კოპტი შემოაკვდა. შეშინებული ეგვიპტიდან გაიქცა. ამ გაქცევისას მედინაში ჩასული მუსა, წმინდა შუაიბს შეხვდა. შვიდ წელს წმინდა შუაიბს მეჰირად ემსახურა და მის ერთ-ერთ ქალიშვილზე დაქორწინდა. ხელმეორედ ეგვიპტეში დაბრუნებისას კი წმინდა თუვას მინდორში მუსას შუამავლობა ებოძა და ებრძანა ფარაონისთვის რწმენა ექადაგა.

ყურანში მოცემული მეთოდი, რომლის მიხედვითაც მუსას ფარაონისთვის რწმენა უნდა ექადაგა, მას ალლაჰისაგან გადმოეცა:

„მას ტკბილი სიტყვით მიმართეთ. შესაძლოა, მან გონებას მოუხმოს ან შეეშინდეს.“ (სურა თაჰა, აიათი 44)

ამგვარად, შმაგი ურწმუნოც რომ იყოს, საჭიროა მას ტკბილი სიტყვით ვუქადაგოთ.

„შენ და შენმა ძმამ აიათები (სასწაულები) **ერთად წაიღეთ. ჩემი ხსენებისგანაც თავი არ შეიკავოთ!“** (სურა თაჰა, აიათი 42)

ეს აიათი, ჩვენს ყურადღებას იქცევს ქადაგების ხასიათის განსაზღვრითა და ალლაჰის მიერ მისი საუკეთესო გზის დასახელებით.

მაშინ, როცა მუსა და ჰარუნი შუამავლები იყვნენ და უდიდესმა ღმერთმა მათ თავისი ხსენება მაინც უბრძანა, ეს ღვთიური ბრძანება რამდენად მნიშვნელოვანი უნდა იყოს ჩვენთვის. გულის აღზრდა ყველა მორწმუნისთვის აუცილებელია. ისე როგორც რწმენის ცენ-

ტრი, ღმერთის ხსენების ცენტრიც გულია. როდესაც გულში ღმერთის ხსენება იკავებს ადგილს, მას ნამდვილი სიმშვიდე ეუფლება. აიათში ნაბრძანებია:

„...კარგად იცოდეთ, რომ გულები მხოლოდ ალლაჰის ხსენებით მშვიდდება...“ (სურა რადი, აიათი 28)

ღმერთო! შენ გევედრებით, რომ იმ მცირე დროის პერიოდშიც კი თვალის დახამხამებას რომ სჭირდება, ვნების ტყვედ ნუ გვაქცევ. ჩვენ შენი ხსენებით სიმშვიდემოპოვებულ, ღვთისმოშიშ, ცოდვილობისაგან შორს მდგარ მონა-მსახურებად ჩამოგვაყალიბე. ღმერთო, ჩვენში არსებული ფარაონი შენი რწმენითა და წყალობით გაანადგურე, ჩვენი სულები ცოდვებისაგან განწმინდე.

ამინ!

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

სალამურის ნოველა 15

მესნევის მიხედვით სალამურის კვნესა ანუ სრულყოფილი ადამიანის გულის ხმა 21

სრულყოფილი ადამიანის

გულის ხმა სალამურის ბმინვა 39

მესნევის მიხედვით ჭეშმარიტი მეგობრობა 49

ჭეშმარიტი მეგობრობა 73

მესნევის მიხედვით მარადიული სიყვარული და ყოფიერების შუქი 86

მარადიული სიყვარული

და წმინდა შუამავალი 107

შუამავლური კალენდრის

პირველი და ბოლო გვერდი 108

მისტიციზმის განსაკუთრებულობა 111

მესნევის მიხედვით შუამავლის ზნეობა 114

შუამავლის ზნეობა 129

მესნევის მიხედვით გაუნაწყენებლობა 140

გაუნაწყენებლობა 165

მესნევის მიხედვით

გამაოგნებელი სიამაყე 178

გამაოგნებელი სიამაყე 199

გულის ძირმაგარა

ანუ სიამაყე და თავმოწონება 209

მესნევის მიხედვით

უგულისყურობისგან ხსნა 222

უგულისყურობისგან ხსნა 243

მესნევის მიხედვით შური – გულში არსებულ

მშვენიერებათა გამანადგურებელი 257

შური – გულში არსებული

მშვენიერებათა გამანადგურებელი 275

მესნევის მიხედვით

წმინდა მუსა და ფარაონი 286

წმინდა მუსა და ფარაონი 297